

УОССУКА

4

644/
1964/4

рнн



У О С С У К А 1 9 6 4



ვ. ი. ლენინი რუსეთში

მხატვარი გურამ გელოვანი

გარეკანის პირველ გვერდზე—ნ. ხრუშჩოვი და ი. გაგარინი მავკოლუშის ტრიბუნაზე

სილსაქი



1696

შინაარსი

4

პოეზია

პარლო კალაქი	3
ჯანსუღ ჩარკვიანი — „მუშღვერ“ — მზე მიდის.	14
ფრიდონ ხალვაში	63
გონდო კეუელავა	73
ვლადიმერ ლუგოვსკოი — თარგმნა შო- თა ნიშნიანიძემ	75

აკვილი

1964

პროზა

დავით ჯავახიშვილი — სოსოს ნაამ- ბობი	
თამაზ შილაქი — პირველი დღე	22
ლადო მრეღაშვილი — მოღალატე	65
ერნესტ ჭეშინავაძე — ჰარი მორგანი. ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ	81

გამომცემლობა

„ლიტერატურა და ხელოვნება“

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს ალკა ც. ბ-სა და
მშვილთა კავშირის ორგანო

ლიზიაგუკური კრივიკა

ლაპროსი კალანდაძე — ხმათა კო- ეზია	88
შალვა რადიანი — ქაბუკობის მომ- ღერალი	95
ბიორბი სუსაშვილი — სიუჟეტები, კონფლიქტები, ადამიანები	100

პუბლიცისტიკა

ნიკოლოზ ჯაში — ასახვის ლენინური თეორია და ხელოვნება	10
ბრიგოლ ფურცელაძე — ილია ჭავჭა- ვაძის დამოკიდებულება ბატონუშო- ბასა და საგლეხო რეფორმისადმი	119

დაუპიწყაკი დღეები

კონსტანტინე სვინტრაძე — ლეგენ- დად ქცეული გმირობა	131
--	-----

მეცნიერება და გაენიკა

გურამ ლორთქიფანიძე — ლეგენდა- რული კოლხეთის უძველესი ქა- ლაქი	150
---	-----

უოველი მხრიდან

157

რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ხარედაქციო კოლეგია:

გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯი-
კიძე (პ/მგ მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭავანიძე, ვახტანგ ქელი-
ძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.

პარო კალაძე

დიოსკურია

თქვენ როგორ ფიქრობთ, ოდესმე ჩვენებს
ზღვაში ყრუდ გასვლა უყვარდათ? — არა!
წარსული ჩრდილსაც ვერ მოგვაჩვენებს,
რომელიც მძარცველ ხომალდზე მდგარა.

უყვარდათ მყუდრო ნაპირი მხოლოდ,
მიწის მომხიბლავ გულს უერთგულეს
და თვალი როგორ არ გაგაყოლოთ
გულისპირივით ამოჭრილ ყურეს!

აქ იყო, წყალმა აქ იმთაბარა,
კლდეს განა შხეფად მიმოსხურია —
ჩემი ქალაქი ზღვამ აქ დაფარა,
ჩემი პატარა დიოსკურია!

წევს აქვე სადღაც, ზღვის აკლდამაში,
ყველა სტრიქონი მისი პოემის...
ზვირთებს კი, ზვირთებს მიაქვთ თამაშით
სინათლე ჩემი საღამოების!..

და მაინც თვალი ვერ მოისყიდეს,
მზის ჩასვლა აღარ მინდა ვიხილო,
ვარჩევ, მოკნეჭილ წმინდა ზღვის კიდეს
შვენის წვრილ ქვათა ჭრელი ღილ-კილო!

ეს ხომ ის მიწა და ის ყურეა,
რომელიც ტალღით წართმეულს არ ჰგავს,
თუმც ქვიშად იქცა დიოსკურია,
გულის ნალეწი არ დაუკარგავს!

საუნჯესავით ცის ქვეშ თავმოყრილთ
ესმით ლელვის ხმა დიდი ხანია:
მუხლზე ეცემა ზღვა ამოხვრით,
და ცოდვა ველარ მოინანია!..

დღე იყო ცხადი თუ ცად ბნელოდა —
როგორც კი ღრუბლებს გახევდა გემი,
ყოველთვის ღია ზღვიდან ელოდა
უბედურებას მოხუცი ჩემი.

დასჩემდა ბედად ასეთი დარდი
და ახლა ჩემი ხმაც არ აჯერებს, —
სწუხს, შორეული შუქი და ლანდი
როცა ზღვისპირად კლდეს ააჭრელებს.

რა ვუთხრა მოხუცს, რა წაგჩურჩულო,
სიტყვით ამ ტკივილს რა ეშველება,
შავად გართხმული მტერი ურჯულო
ზღვის ჩამჩუმშიც კი ერეცნება!..

— არა, თავს ველარ იმართლებ, ზღვაო,
და რა სახელიც ექვიან — ისა ხარ!
სიშავე შენი რით განვასხვაო,
რით განვასხვაო სიავისაგან!

იქნებ არც გახსოვს, რამ გაამძაფრა
ამ ძველი კაცის გული უტეხი, —
ცად განა ერთხელ ამართა აფრა —
ღელვით ყოველთვის წინ აღუდექი!

იქნებ არც გახსოვს, რა დაგვიშავე,
ყრუდ რომ შორიდან გვეხმაურები, —
სად იპოვნიან, სად შენიშნავენ
ჩვენს აფრას ღაზი მებღავურები!..

მოხუცს კი არა, ჩამავალ მზესაც
სახეზე აღისფერი ედება, —
სადღაც, უთუოდ, წყალ-გალმა დღესაც
მათი შეხვედრა ეიმედება!

და შემძლია, განა, არ ვიცნო,
ბედმა თუ ერთხელ კიდევ მაჩვენა:
ზღვაში ნასროლი ნავი ტან-ვიწრო
და გაბედული ღაზის მარჯვენა!

ერთია ბოლო ქართული ზღაპრის,
როგორც ვეშაპის ნდომაა ერთი, —
ფრთა რამდენჯერაც შთაინთქა აფრის —
იმდენჯერ ვეშაპს გამოსჭრა ფერდი!

☆ —————

სოსოს ნახშირი



მოახრობე

სახითათო რამ არის ტყუილი. ზოგჯერ უცაბედად წამოგცდება კაცს, მერე ინანებ, მაგრამ გვიანდაა: გაიხედავ და ის უკვე მიბაჯბაჯებს თავისი მრუდე ფეხებით, მიბაჯბაჯებს და ძნელია მისი უკან მობრუნება. თუმცა შორს ვერ წავა, სადღაც აუცილებლად წამოეწევა სიმართლე და სწორედ ამიტომ არის ნათქვამი, ტყუილს მოკლე ფეხი აქვსო. ეს ანდაზა ყველამ იცის, მაგრამ მართო ცოდნა არ კმარა, უნდა გვეროდეს.

მე მეცხრე კლასში ვარ, სოსო მქვია, მაგრამ ზოგმა არც იცის ჩემი ნამდვილი სახელი და ჩიკლიკას მეძახის. ალბათ გაგიკვირდებათ, ეს რა უცნაური სახელიაო. მეც არ მომწონს, მაგრამ რას იზამ? 9-10 წლისა ვიქნებოდი, ეს სახელი ქურთებმა შემარქვეს. ისინი ბევრნი ცხოვრობენ ჩვენს უბანში. ტანად პატარა ვიყავი და თითქოს განკებ, მაინც-დამაინც ვიოლონჩელზე დაკვრას მასწავლიდნენ. სკოლაში დამცინოდნენ, კონტრაბასი უფრო მოგიხდებოდაო. თითქმის

ყოველდღე დავდიოდი მუსიკის მასწავლებელთან. დამინახავდნენ თუ არა ქურთის ბიჭები ქუჩაში გამოსულს. ამედევნებოდნენ ყვირილით:

- ჩიკლიკა მოდის, ჩიკლიკა!
- სამსართულიანი ვიოლინო მოაქვს!
- მუშა არ გინდა, ჩიკლიკ?
- ჩიკლიკ, ითამაშე რა!..

ბევრჯერ მიჩხუბნია მათთან, ძალიან ვბრაზობდი ხოლმე და ალბათ სწორედ ამიტომ შემრჩა და შემრჩა ეგ სახელი. ახლა, რა თქმა უნდა, აღარ მწყინს, არც მახსოვს, რატომ დამერქვა ან რას უნდა ნიშნავდეს საერთოდ ეს სიტყვა. ის კი კარგად მახსოვს, ჩემი მუსიკალური განათლება როგორ დამთავრდა.

ზამთრობით ჩვენი დაღმართი ისე მოიყინებოდა ხოლმე, რომ ნახერხის და ხრეშის მოყრა ვერაფერს შველიდა და იყო ერთი პარტყაბურტყი. დღე ისე არ გავიდოდა, ერთი-ორი კაცი მაინც არ დაშავებულყო. ბიჭებს კი უხაროდათ. ჩემს გარდა მგონი ყველას ჰქონდა ცივა



და დაღამებამდე სრიალებდნენ. მე კი... მე ვიოლონჩელი მქონდა და დაკვრას ვსწავლობდი. დიდხანს ვითმინე ეს უსამართლობა, ვითმინე და ბოლოს ვეღარ მოვითმინე. ერთ საღამოს, როცა მუსიკის გაკვეთილზე მივდიოდი, ბიჭები, როგორც ყოველთვის, ღრიანცელით ამედევნენ უკან. ბევრი აღარ მიფიქრია, მოვაჯექი იმ საწყალ „სამსართულიან ვიოლინოს“ და ქუჩის ბოლომდე გაუჩერებლად ჩავსრიალდი. გაკვეთილზე წასვლას, რა თქმა უნდა, აზრი აღარ ჰქონდა.

იმ დღის შემდეგ აღარავინ დამცინოდა. მალე აღმოჩნდა, რომ მე თურმე კარგად ვთამაშობდი ფეხბურთს, რომ ქუჩათები ალაღმართალი და პატიოსანი ხალხი ყოფილა, და ერთი სიტყვით, ძველი მტრობა ჩვენს შორის ნამდვილი მეგობრობით შეიცვალა. ზედმეტი სახელი კი შემრჩა და შემრჩა, მაგრამ ეგ არაფერია.

...ვატყობ, რომ ბევრს ვლაპარაკობ ჩემს თავზე. ეს ამბავი კი, რომელიც მინდა გაიმბოთ, იმდენად მე არ მეხება, რამდენადაც ჩემს ერთ-ერთ ყოფილ თანაკლასელს. ნიკოს. მას ყველანი ბარონ მიუნჰაუზენს ვეძახდით. მართლაც არაფრით ჩამოუვარდებოდა ამ სახელგანთქმულ მატყუარას. ტყუოდა ყველგან და ყოველთვის, სიზმრად ხომ ალბათ სულ ტყუილებს ხედავდა. ჰოდა, არ ვიცი, როდემდე გაგრძელდებოდა ასე, ან რა გამოვიდოდა. ბოლოს ნიკოსაგან, რომ ერთხელ ეს სასაცილო ამბავი არ გადახდენოდა თავს.

I

გაზაფხულის ერთ თბილ საღამოს, ისიც იყო შინიდან გამოვედი, რომ შემხვდა ნიკო. ერთი თვის წინ ის სხვა სკოლაში გადაიყვანეს და მას შემდეგ აღარ ვინახა. ხელში ახალთახალი სპორტული ჩემოდანი ეჭირა და თავმომწონედ ილიმებოდა.

— აქ საიდან გაჩნდი, ბარონ? — გამიკვირდა მე.

— შენთან მოვდიოდი, — მიპასუხა განგებ დაბოხებული ხმით, — საქმე მაქვს. სად შეიძლება შენი ნახვა?

— აგერ არა ვარ? — გამეცინა მე ტყუილების მოსასმენად მოვემზადე ნიკომ ჯაშუშივით მიიხედავდა, მერე კიდევ უფრო მომიახლოვდა და ჩურჩულით მითხრა:

— არა, ცალკე უნდა განახო.

— დაიწყე ახლა შენებურად! — ვუთხარი მე. — თქვი, რა გინდა!

— მოიცა! — გამაჩერა ნიკომ და უკან მიმახედა.

— ხაბარდა! ხაბარდა! — ღრიალებდა მეეზოვე სულეიშანი. ის უზარმაზარ სარწყავს მსუბუქად იქნედა იქით-აქეთ და პატარ-პატარა, ჩქარი ნაბიჯებით გვიახლოვდებოდა.

გზიდან ჩამოვეცალეთ. გაუჩერებლად ჩავგვიარა, მაგრამ მოსალმება და მოკითხვა მაინც მოასწრო:

— გამარჯობა, ჩიკლიკ! როგორ არის, გენასვალე?

ლიმილის დროს პირი ყურებამდე ეხსენებოდა და ვერცხლის ბრჭყვილა კბილები მოუჩანდა.

— გმადლობთ, სულეიშან! — მივაძახე და ისევ ნიკოს მივუბრუნდი, რატომაც დამცინავი ღიმილით რომ შემომტყუროდა:

— ჰა! თქვი რა საქმე გაქვს! მალე, თორემ გეჩქარება!

— სად გეჩქარება? — ეწყინა ნიკოს.

— თეატრში.

— ალბათ აბონემენტით, არა? — მკითხა და თავით ფეხებამდე ჩამათვალეირა, — მერედა, სხვა არაფერი გქონდა, ეგ სკოლის ფორმა რომ არ ჩაგეცვა?

— შენი საქმე არ არის! — გავბრაზდი მე. — წავედი! — და ზურგი შევაქციე.

ნიკომ ქამარში მტაცა ხელი, მაინც არ გავჩერდი და ბურტყუნით ამედევნა:

— მოიცა! რა გეწყინა? გეზუმრე! ვაჭერდი. ისიც ვაჭერდა.

— რა გამიჭირე საქმე? თქვი, რა გინდა! — შევეუტიე მე.

— შენი დახმარება მჭირდება ერთ საქმეში. მიშველი?

— გააჩნია.
დავით ჯავახიშვილი
სოსოს ნაამბობი

— რას გააჩნია?
 — საქმეს! — ვუყვირე.
 — ნუ ყვირი, მოიცა... თეატრიდან რომ გამოხვალ, დაგზვდები და ყველაფერს გმტყვი, კარგი?
 — ახლა მითხარი.
 — არა, ვერ მოვასწრებ.
 — კარგი, ეგრე იყოს, — ვთქვი მე და მისი სპორტული ჩემოდანი შევათვალიერე, — ეგ რაღაა? სად მიდიხარ?
 ნიკომ თავმომწონედ გაიღიმა:
 — საცურაოდ. მეორე თანრიგს ვიღებ მალე.

გამახსენდა, როგორ იხრჩობოდა ნიკო ამ ერთი თვის წინ „ბაყაყების“ აუზში, სადაც წყალი წელამდე წვდებოდა კაცს, და გამეცინა.

— რას იცინი? — გაიბერა ნიკო, — არა გჯერა? წამოდი და მიყურე!

— კარგი! — მივახალე მე, — მოვდივარ!

ნიკო არ მოელოდა ამას, დაიბნა და აღარ იცოდა, რა ექნა. მერე უსირცხვილოდ გამიღიმა და მითხრა:

— დღეს თეატრში გავგიანდებო, სხვა დროს იყოს...

— არა უშავს! — გავჯიუტდი მე, — მაინც...

— მოკლედ, თეატრთან დაგზვდები! — გამაწყვეტინა, საჩქაროდ გამშორდა და მარცხნივ გაუხვია.

მე პირდაპირ წავედი. ერთ-ერთი ეზოს წინ ბიჭები შეგროვილიყვნენ და ხმამაღლა ყაყანებდნენ.

— არჩევანი — მე! — ყვიროდა ვილაც
 — არადანი — მე! — პასუხობდა სხვა.
 — ორმუზა — მე!
 — მექო — მე!
 — გივი — მე!
 — სადო — მე!

როცა დამინახეს, შუაში მდგომმა, ხელში ბურთი რომ ეჭირა და ყველაზე მეტს ყვიროდა, წრე გამოარღვია, კოკლობით გამოიქტა ჩემკენ და მხარზე ხელი დამკრა. ეს აზისა იყო, მეტსახელად გარინჩა.

— ჩიკლიკა — მე! — დაიყვირა და მერე მომესალმა, — გამარჯობა, ფეხბურთს ხომ ითამაშებ?

— არა, გარინჩ, — ვუბასუხე მე — სხვაგან მივიღვარ.

— ვახ, აფსუს! — ეწყინა მას, — სხვა?

— ხვალ კი, აუცილებლად.

— იცოდე, არ მოგვატყუო! — გამაფრთხილა ღიმილით და თითი დამიქნია, — მაშ, ხვალ ვთამაშობთ: ჩვენი ეზო — მათი ეზო.

მე კიდევ ერთხელ დავბირდი, რომ ვითამაშებდი და გზა განვაგრძე. ბიჭები ეზოში შეცვივდნენ.

II

თეატრში ისე გავერთე, რომ ეს ყველაფერი გადამავიწყდა და უცხად გამიკვირდა კიდევ, როცა გარეთ გამოვედი და კარებში ნიკო შემომეჩხება. თმა სველი ჰქონდა, სახე — წითელი და სუფთა, მოკლედ ძალიან ჰგავდა აბანოდან ახლად გამოსულს.

— კარგი იყო? — მკითხა დამცინავად.

— შენ რა ჰქენი? მსოფლიო რეკორდი ხომ არ დაამყარე უცაბედად? — გავიცინე მე.

— მოიცა, რა დროს ეგ არის! — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა ნიკომ და მხარზე ხელი გადამხვია.

ასე გამოვედი თქუჩაში.

— პირობაზე როგორა ხარ? მიშველი? — მკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— ეს ვინ ყოფილა?! — გავბრაზდი და მხრიდან მისი ხელი მოვიშორე, — მიშველი? მიშველი? მიშველი?... ბიჭოს! ჯერ თქვი, რა გინდა და მერე მკითხე!

ნიკო რაღაც საწყულად იღიმებოდა და უცხად ვინანე, რომ ასე უხეშად მომივიდა.

— სოსო! შენ გარდა არავის იმედი არ მაქვს, — მითხრა ჩუმი ხმით და საბოლოოდ ამიჩუყდა გული: „სოსო“ დამიძახა და აბა რა მომივიდოდა?!

— მოდი, ტკბილი წყალი დავლიოთ, — შემომთავაზა მერე და წყლების მაღაზიაში შევუხვიეთ.

როცა სამ-სამი ღიდი ჭიქა დავვაღეთ და მაგრად გაქუყბილები გამოვედი გარეთ, მხოლოდ ამის შემდეგ გამანდო ნიკომ თავისი საიდუმლო. ჯერ პირობა

ჩამომართვა, რომ არავის ვუამბობდი (ახლა თვითონაც ეცინება ხოლმე, როცა ამ ამბავს ვისხენებთ), მერე ჩაახველა და დაიწყო:

— ერთი გოგო მომწონს... ჰოდა... იმას მაინცადამაინც არ მოვწონვარ...

— მერე? მე რა შუაში ვარ? — ვკითხე აკვირვებულმა.

— შენ ისა... რა ჰქვია... მოკლედ, როგორმე უნდა მოვეწონო... შენ უნდა დამეხმარო, პა?

— რა ვიცი... — დავიბენი მეც. — მე რა... არა, კი დაგეხმარები, მაგრამ.. როგორ?

ნიკო თითქოს ამასღა უცდიდაო, ვახარებულმა გაიღიმა და სხაპასხუბით დამაყარა:

— ყველაფერი მოფიქრებული მაქვს! ხვალ ხომ გცალია საღამოთი?

— რას იზამ?! — თავი დავიფასე მე, — მოვიცლი.

— ჰოდა, მე და ის კინოში მივდივართ, „რუსთაველში“, ექვსსაათიანზე. როცა გამოვალთ, შენ დაგვხვდები და ისა...

— რა?

— დაგვხვდები და... ისა... — ცხადი იყო, ნიკოს რალაცის თქმა ეძნელებოდა და მიეხმარე:

— ჰო, დაგვხვდებით. მერე?

— მერე... ჰოდა... მხარს გამკრავ...

— რაა? — ვკითხე გაოცებულმა.

— ჰო რა, დამეჯახები... მოკლედ, ჩხუბს ამიტებ, გაიგე?

— ვერ გავიგე, — გამოვუტყდი მე.

— რა ვერ გაიგე? — ახლა ნიკო იყო გაკვირვებული, — მე და შენ ვითომ არც ვიცნობთ ერთმანეთს. შენ ჩხუბს დამიწყებ... ჩხუბს კი არა, მოკლედ... ამირე! მე ვითომ შეგაშინებ და შენ... რა ჰქვია... გაიტყევი. ახლა გაიგე?

— თითქოს გავიგე, — ვუბასუხე მე, — მაგრამ... რად გინდა ეგეთები?

— იპ! — ჩაიცინა ნიკომ, — შენ არაფერი გესმის! გოგოებს ასე უყვართ და მე რა მენაღვლება?!

— და გჯერა, რომ ამის შემდეგ აუტილებლად მოეწონები? — უნდობლად ჩავიცინე მეც.

— არა! მოიცა, მოიცა... — განაგრძო ნიკომ, — ვიდრე გაიტყოდე... სულ დამავიწყდა, მთავარი კი ეგ არის, — დანას ამოიღებ, მე ვითომ წაგართმევ და ამის შემდეგ გაიტყევი... გაიგე?

— მე დანა არა მაქვს! — ვთქვი უკმაყოფილოდ და გავიფიქრე: „ეს რა ხაბაბლამი გაეგები!“

— აჰა, ჩემი გქონდეს, ოღონდ არ დამიკარგო, — მითხრა ნიკომ და კარგადი შეგტარინი ჯაყვა გამომიწოდა.

— გიქი ხომ არა ხარ?! — ხელი ავუკარი მე, — თავი დამანებე!

— თუ ძმა ხარ! — შემეხვეწა ნიკო, — ოღონდ ახლა მიშველე და... რაც გინდა მთხოვე სამაგიეროდ! თუ ძმა ხარ, სოსო!..

მე ძალიან ხათრიანი კაცი ვარ. როცა ვინმე რამეს მთხოვს, და მით უმეტეს თუ მეხვეწება, ყოველთვის მიჭირს უარის თქმა, თუმცა ვიცი, რომ ზოგჯერ ეს ძალიან ცუდია.

ბოლოს და ბოლოს ნიკომაც დამითანხმა, დანაც კი შემომამჩენა ხელში და განაგრძო:

— ... მერე შენ უკან გამოგვყვები და როცა იმ გოგოს სახლამდე მივაცილებ...

— როგორ?! აღარ გაათავდა? — გამიკვირდა მე, — რა ამბავია? ასპინძის ბრძოლაა?

— მოიცა რა, ცოტადა დამრჩა! — შემეხვეწა ნიკო, — ჰოდა, როცა იმ გოგოს...

— რა ჰქვია? — გავაწყვეტინე ისევ.

— რად გინდა?

— ისე, ტყუილად.

— არ არის საჭირო! — თქვა ნიკომ და განაგრძო, — მოკლედ, იმ გოგოს სახლთან შენ ისევ მოხვალ და... ცოტა უნდა ისა... დავარტყათ რა... ოღონდ მაგრა არ იყოს! მეც არ გავიმეტებ, თორემ მართლა არ წავიჩხუბოთ.

— კარგი კი იქნებოდა, — გავიციინე მე.

— დანა არ დამიკარგო, იცოდე! — მითხრა ნიკომ.

— იცი რას ვიზამ? — შუბლზე ვიტკიცე ხელი, — ჩვენს ეზოში ერთი ძველებური ზარბაზნის ლულა გღია, სპარსულად ვიწვევს იგი

სოსოს ნაამბობი

ლი წარწერით, ჰოდა, წამოვიღებ, გინდა?

— რისთვის! — გაუკვირდა ნიკოს.

— შენ იმასაც წამართმევ და... იცი რას უზამ?...

ნიკო როგორც იქნა მიხვდა, რომ დაეცინი და გაიბერა:

— მოიცა! ხუმრობა მერე იყოს! აი ნახავ, შენც მოგეწონება ვინმე და დაეპირდები.

— მართალია, — გავიცინე მე, — დამეპირდები! და იცი რისთვის? მოვიყვან შენთან იმას, ვინც მომეწონება, და ვეტყვი, რომ შენ არ გიცნობ!

— ხი-ხი-ხი-ხი... — ვითომ გავიცინა ნიკომ და მერე დასძინა:

— მოკლედ, ხვალ შენი იმედი მაქვს. არ მომატყულო!

— კარგი! — დავეთანხმე მე. — ბოლოს რითი გათავდება ეგ ამბავი?

— არაფრით, — გავიცინა ნიკომ. — შენ შენი გზით წახვალ...

— ნაცემი, — ჩავურთე მე.

— ჰო... მე კი დავრჩები და... არ შეიძლება, რომ არ მოგეწონო.

— რალაც ეჭვი მეპარება, — ვუთხარი მე.

— ეგ ჩემი საქმეა, — მითხრა ნიკომ.

— მე კი ჩემი გზით წავალ. არა?

— ჰო.

— ნაცემი, არა?

— ჰო.

— არ მინდა! — ვთქვი მე.

— რა არ გინდა? — აყვირდა ნიკო.

— აღარ ვთამაშობ.

— მოიცა რა! არა გრცხვენია? ხო დამპირდი? აბა ეგ რაღა...

— კარგი, კარგი, — გავიცინე მე. — გეხუმრე.

ნიკომ თავისუფლად ამოისუნთქა და ღიმილით მითხრა:

— შენ ის შემისრულე, რასაც გთხოვ და დანარჩენი ჩემზე იყოს! კარგი? — და ხელი გამომიწოდა; მე არ ჩამოვართვი და გავუთმორე:

— რალაც ეჭვი მეპარება, რომ რამე გამოვიდეს.

ნიკომ კიდევ ერთხელ და უფრო დაწ-

ვრილებით ამიხსნა, თუ რა მომეხერხებოდა და როცა ჩემი უკულოცობის უკვე საბოლოო თანხმობა მიიღო, მაღიან გამხიარულდა:

— მაშ ასე! ხვალამდე! ოღონდ არ დაგავიწყდეს: არავის უამბო! და ისა... კიდევ... დანა არ დამიკარგო!

ასე დაეშორდით ერთმანეთს.

III

მეორე დღეს, სკოლიდან დაბრუნების შემდეგ, სასწრაფოდ მოვამზადე გაკვეთილები და ხუთი საათისთვის უკვე იმ ეზოში ვიყავი, სადაც დანიშნული იყო მატჩი ფეხბურთში: ჩვენი ეზო — მათი ეზო. მე ცხრა ნომერი ვიყავი და მოწინააღმდეგის კარში შვიდი ბურთი შევაგდე. თამაში მოვიგეთ და მე, როგორც ნამდვილი პელე, ისე გამომიტანეს ბიჭებმა „მოედნიდან“. სახელად კი მაინც ჩიკლიკას მეძახდნენ. ჰო, ამას არავითარი კავშირი არა აქვს ნიკოს ამბავთან. მაგრამ ასეთი რამით ძნელია არ დაიტრახახო კაცმა.

რვის ნახევარზე კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ ვიდექი და მოუთმენლად ველოდი სენანის დამთავრებას. ცოტა არ იყოს, ველავადი და მეჩვენებოდა, რომ ყველამ იცოდა, რა სასაცილო საქმისათვისაც ვიყავი აქ მოსული. რამდენჯერმე გადავწყვიტე, ვიდრე გვიან არ იყო. ხელი ამელო ამ სისულელეზე, მაგრამ მაშინათვე იმედგაცრუებული ნიკოს უმწეო სახე დამიდგებოდა თვალწინ და... მორჩილად განგარძობდი ლოდინს. დრო კი ძალიან ნელა გადიოდა, თითქოს აღარასოდეს დამთავრდებოდა სენანი.

როგორც იქნა გაიღო უზარმაზარი კარი და სიცხისაგან სახეწაფილებული ხალხი ქუჩაში გამოეფინა. თითის წვერებზე შევდექი. კისერიც წაფიგრძელე და ვცდილობდი შორიდანვე დამენახა ნიკო და გოგონა. ამასობაში კი მათ უკვე ჩემ ცხვირწინ ჩაველოთ და ნიკომ კარგა მაგარი მუჯღუტუნი მითავაზა გვერდში, რა თქმა უნდა ისე, რომ გოგონას არაფერი შეუნიშნავს. ამის შემდეგ „მოქმედება“ წინასწარ შემუშავებული გეგმის

მიხედვით წარიმართა: მე უკან გავყვირი მათ და იქამდე ვდიე, ვიდრე წყნარ ქუჩაზე არ აუხვივის. ნიკო ხშირ-ხშირად იხედებოდა ჩემსკენ და გოგონას ზურგს უკან ამოფარებული, ხელით რაღაცას მანიშნებდა ხოლმე. მე ვერ ვხვდებოდი, რისი თქმა უნდოდა, ალბათ მეძახდა, მოდიო. ქუჩა ცარიელი იყო. მართლაც დროა-მეთქი, ვიფიქრე და ნაბიჯს ავუჩქარე.

ნიკოს ყოველთვის თამამად ეჭირათავი გოგონებთან. ახლაც ხელების ქნევითა და მომხიბლავი ღიმილით უამბობდა რაღაცას ამ ლამაზ გოგონას. მომეჩვენა, რომ იგი სადღაც მენახა. მაგრამ ვერ მოვიგონე — სად, და გავიფიქრე, რომ ლამაზები ხშირად ჰგვანან ხოლმე ერთმანეთს, გარეგნობითაც და ქკუითაც. უფრო სწორედ, — უჭკუობით. აბა რატომაა, რომ ნიკოსნაირი მატყუარები და ტრახახები უფრო მოსწონთ, ვიდრე... აი, თუნდაც მე?

ამაზე ვფიქრობდი და ალბათ ამიტომაც პირველი „სცენა“ ძალიან დამაჯერებლად გავითამაშეთ: სწრაფად დავეწიე მათ, ჩავუარე გვერდით და ისე მაგრად გავკარი ნიკოს მხარი, რომ კინაღამ წაიქცა. გოგონას ჯერ გაუკვირდა, მერე შეშინებულმა შემომხედა, ნიკო, მგონი, მართლა გაწიწმატდა და რიხიანად შემომძახა:

— ეი, მაიმუნო, ცოტა წყნარად ვერ გაივლი?!

უცბად გავჩერდი, მოვტრიალდი, დონჯშემოყრილი გადაფუდექი მათ წინ და ვიკრძენი, რომ, ნიკოსი არ იყოს, მეც მართლა ვბრაზობდი.

— მაიმუნის ხმა მესმის! — ვუთხარი ნიკოს და მერე გოგონას მივუბრუნდი, — სად იშოვეთ ეს ბედოვლათი?

გოგონა ისევ შეშინებული მიყურებდა და სასაცილოდ ახამხამებდა გრძელ წამწამებს.

— უკაცრავად! — თავაზიანად მიმართა მას ნიკომ, მერე ჩემკენ წამოვიდა და ვითომ ჩუმად მითხრა (სინამდვილეში კი ისე, რომ გოგონასაც გაეგო):

— შენ რა, თავი ხომ არ მოგებურები? დაითესე, მანამ ლამაზი ხარ!

მე ვითომ გარტყმა დავაპირე, ნიკომ ვითომ დამასწრო და... ისეთი მკაცრად მაწნა, რომ ეს უკვე „ვითომ“ აღარაქმდა: თითონაც მიხვდა, რომ მაგრა მოუვიდა და შევატყვე, როგორ შეშინდა. გაბრაზებული გადავხტი უკან, ჯიბიდან შევტარიანი ჯაყვა ამოვიღე, გავხსენი... გოგონამ იკვილა და ხელები თვალებზე აიფარა. ნიკომ კარგად ისარგებლა ამით და თვალის დახამხამებაში „წამართვა“ დანა. მე ვედარ მოვითმინე და ნიკოს ჭორფლიან ლოყაზე, სრულიად გაუთვალისწინებლად, ჩემი ხუთივე თითის წითელი ანაბეჭდი დავუტოვე, მერე მოვბრუნდი. უხალისოდ გამოვიტყეცი. პირველივე მსხვილ ჭადარსიან გავჩერდი, ამოვეფარე მას და უკან მივიხედე. გოგონა მკლავში ჩაფერნოდა ნიკოს, არ უშვებდა. ისიც მალე დაემორჩილა და გზა განაგრძეს. მე კი ყაჩაღივით ავედევნე მათ: ხიდან ხემდე, ხიდან ხემდე. ნიკო ისევ ხელებს იქნევდა და ალბათ ტრახახით იკლებდა იქაურობას. „ეხ! სიტყვა სიტყვაა, თორემ შენ მიბეჭვას ახლა არაფერი მირჩევნია“. — გავიფიქრე მე და ძლივს მოვითმინე, რომ ეს სიამოვნება შემდეგისათვის შემომენახა.

უკვე ბინდდებოდა. ნიკო და გოგონა ხშირად მეკარგებოდნენ მხედველობიდან. მაშინ აგჩქარდებოდი, თითქმის წამოვეწიოდი მათ და მერე ისევ ჩამოვშორდებოდი შეყვარებულებს. ისე ვიყავი გართული ამ საქმიანობით, რომ არც კი შეშინიშნავს, როგორ აღმოჩნდით ჩემს უბანში. ძალიან გამიკვირდა, როცა ნავთის წერტს ჩავუარეთ. ჩემი სახლი რაღაც ორიოდ ნაბიჯზე იყო აქედან და მასაც მალე გავცდით. ფანჯარაში დედაც კი დავინახე, იღვა და რაღაცას აუთოებდა. ალბათ ღელავდა, რომ შინ მისვლა დავაგვიანე.

ნიკო და გოგონა ნელ-ნელა მისეირნობდნენ ჩემ წინ და ცოტა ხნის შემდეგ ყვითლად შეღებილ სახლთან შეჩერდნენ, დიდი ცაცხვის ქვეშ. „აი თურმე საიდან მეცნობა ეს გოგო“, — გავიფიქრე და

დავით ჯავახიშვილი
სოსოს ნამბობი

გამიკვირდა, რომ აქამდე არ მიმიქცევია მისთვის ყურადღება. ისინი იღვნენ, რა-ღაცაზე საუბრობდნენ და ნიკო მალი-მალ იყურებოდა ჩემკენ. მე ჩრდილი მფარავდა, ალბათ მხედავდა და ღელავ-და.

აქა-იქ შუქი აინთო ფანჯრებში. საი-დანღაც დუღუკის კვნესა ისმოდა, რადიო თუ ჰქონდა ვინმეს ჩართული. რომელი-ღაც სახლის სახურავზე ალერსიანად კნაოდნენ და კრუტუნებდნენ კატები. თბილ ჰაერში რაღაცის უცნობი და სა-სიამოვნო სურნელი ტრიალებდა. წრი-პინით დაფრინავდა ღამურა... მოკ-ლედი, ისეთი წყნარი და საამური საღა-მო იყო, კაცი ყველაფრის გუნებაზე დადგებოდა, გარდა ჩხუბისა. ისევ გავ-ბრაზდი ნიკოზე და მივხვდი, რომ მეო-რე „სცენას“ პირველზე უფრო დამაჯე-რებლად გავითამაშებდით.

ნიკო ზურგით იდგა ჩემკენ. მე სინათ-ლეზე გამოვედი, გოგონამ დამინახა, მიცნო და შიშისაგან კიდევ უფრო გაუ-დიდდა ისედაც დიდი, შავი თვალები.

— ხომ არ დავგიწყვი, ძმობილო? მე რაღაც მეცნობა შენი გამოშტერებული სიფათი! — მივაძახე ნიკოს და გამომწე-ვად დავუდექი წინ.

— ოჰო! — ვითომ გაუკვირდა მას, — რა? არ გეყო, რაც მიიღე? მოდი, დავი-მატებ!.. — და ჩემკენ გამოქანდა.

ნიკოს სილას ჩემი მოჰყვა. ჩემსას — ნიკოსი, და მალე მუშტებზე გადავედი.

— ცოტა ნელა, შე კაი კაცო! — ჩამ-ჩურჩულა ნიკომ და იმავე წუთში საკმა-ოდ გამეტებით მდრუზა კბილებში.

სასწრაფოდ დავუბრუნე „ხურდა“...

გოგონამ ერთი-ორჯერ წამოიკივლა და ჩვენს გარშემო უცბად შეიკრა მაყურე-ბელთა წრე, მაგრამ რატომღაც არავინ გვაშეელებდა.

— გვეყოფა... — ქლოშინით მიჩურ-ჩულა ნიკომ, — ახლა... გაიქციე...

მეც ის-ის იყო გავიფიქრე, საკმარი-სია-მეთქი და გადავწყვიტე „განშორე-ბის ჟამს“ ერთხელაც მომეფხანა ხელის-გული ნიკოს ლოყაზე, რომ უკანიდან ნაბიჯების ბრაგა-ბრუგი და ყვირილი მომესმა:

— ვაიიიმე! ჩიკლიკას ცემენ!!!
ვიდრე მივხვდებოდი რაშეცხმუნს საქმე და სანამ რამეს ვიტყობდი, კო უკვე ქვაფენილზე იყო გართხმული, ზემოდან ქურთი ბიჭები შემოსხდომოდ-ნენ და უწყალოდ უბარტყუნებდნენ მუშტებს.

— შენ ვისა ცემე? ჩიკლიკას? ვაიი-მე! — ყვიროდა ორმუზა და ისე იქნევდა ხელებს, თითქოს ბალიშს ისწორებსო ძილის წინ.

— ვისა, ბიჭო, ვისა? ჩიკლიკის?.. — ყვიროდა მექოც და მტვრიან ლეიბივით ბერტყავდა საცოდავ ნიკოს.

აზისა და სადოც დაუზარებლად „მუ-შაობდნენ“. გოგონა კიოდა და კიოდა. ხალხი გროვდებოდა და გროვდებოდა, მაგრამ რატომღაც ისევ არავინ ერეოდა ჩხუბში. მე აღარ ვიცოდი, რა მექნა: მეთქვა ბიჭებისათვის, რომ გაჩერებუ-ლიყვნენ? — მაშინ გოგონა მიხვდებოდა ყველაფერს და მთელი ჩვენი „შრომა“ წყალში ჩაგვეყრებოდა, არ მეთქვა და... ნიკოს კარგი დღე არ დაადგებოდა. ის-ის იყო გავიფიქრე, სახელის გატეხას თავის გატეხვა სჯობია-მეთქი და გადავ-წყვიტე გულხელდაკრეფილს მეცქირნა ნიკოს საცოდაობისათვის, რომ საიდან-ღაც გაჩნდა მეეზოვე სულეიმანი და ღრიალით დაერია ბიჭებს.

— აი, თქვე ჯიბვირებო! ვისა სცემთ, ეგ ჩიკლიკას ძმაკაცია; მე ვიცნობ მაგას!

ვიღაც კიდევ მივხმარა სულეიმანს და საწყალი ნიკო ძლივს გამოგლიჯეს ხე-ლიდან ჩემ ქურთ „ზმაკასებს“, რომლე-ბიც გაცოფებული მეეზოვის შიშით კურ-დღელებივით მიმოიფანტნენ იქით-აქეთ. მაყურებლებიც მალე დაიშალნენ და ჩვენ სამხილა დავრჩით. ნიკოს ორივე თვალი ჩალურჯებული ჰქონდა, ცხვირიდან და შუბლიდან სისხლი სდიოდა და ფეხზეც ვერ იდგა მტკიცედ, ხეს ეყუდებოდა. გოგონა აღარ კიოდა. მან ცრემლია-ნი თვალები მოიწმინდა, ერთი კი შემოხვდა დამარცხებულ „რანიდს“ და შინისკენ მოჰკურცხლა. მე მივხვდი, რომ თავგატეხილ ნიკოს არც სახელი შერჩე-ნოდა მთელი, შემეცოდა და მხარში ამო-ვუდექი.

— წამოდი ჩემთან, — ეუთხარი და წელზე ხელი მოვხვიე, — დაიბანე, გაიბერტყე და...

— არ მინდა... — ქლოშინით გამაწყვეტინა ნიკომ, გასისხლიანებული ტუჩები ხელით მოიწმინდა და მოულოდნელად გაიცინა, — გაბერტყვა მაკლია ვითომ?

მისმა ხუმრობამ ისე გამაკვირვა, რომ პირი დავაღე.

— ახია ჩემზე... — ისევ გაიცინა ნიკომ, წელიდან ჩემი ხელი ჩამოიცილა და ბარბაცით, მაგრამ სწრაფად გამშორდა.


კიდევ კარგა ხანს ვიდექი ბული.

იმ ღამეს ძლივს დამეძინა. ბევრი ვიფიქრე და ბოლოს მივხვდი, რომ ის რაც მოხდა, კარგი უფრო იყო, ვიდრე ცუდი.

მთელი ღამე, სიზმარში მრუდე და მოკლეფეხებიან მაჯლაჯუნას ვხედავდი, იგი მიბაჯბაჯებდა, მიბაჯბაჯებდა და მაინც ერთ ადგილზე იდგა.

დავით ჯავახიშვილი
სოსოს ნაამბობი





1

„მუქვერ“ — მზე მიდის,
 მუქვერ, დრო მიდის,
 დაწვეტილია მსხვილი თოკები.
 გზები გარბიან მზის ცხელ თონიდან
 და გულში ვნებებს ვერ იოკებენ.
 ეს შემოდგომაც სულში ფათურობს
 და საქართველოს ფრთებით ფართქალებს.
 ჩემო ჯვარო და ჩემო ქართულო,
 ისტორიაზე უფრო მართალო.
 ჩემო მცხეთავ და ჩემო კრწანისო,
 დაწურული მზის თეთრო ბადაგო,
 სადაც მირონის მადლი წამიცხე,
 იქ მაქვს სამცხე და საათაბაგო.
 გმადლობთ, მამულის ტკბილი ბოლისთვის.
 გმადლობთ, მამულის მწარე კვამლისთვის.
 ისე ძველი ხარ,
 როგორც ბოლნისი
 და ისე ძველი,
 როგორც კრწანისი.

¹ „მუქვერ“ — სენატრად, მზე მიდის.

ჩუმად მივაგენ ძველ გზებს ჩაშლილებს,
ჩვენი ფიქრები ხელთ რომ ეყირათ.
გმაღლობთ,
რომ უცებ არ შეგვაშინე
და არ გვისროლე ზღვაში კენჭივით.
არ დაგვიხატე სიცოცხლის კვერთხი,
ეგზომ მძიმე და ეგზომ უხეში...
და ასე ერთხელ,
ნელა და ერთხელ,
ყველა გავებით ქვეყნის უღელში.
მეუამრავე წელი იწყება,
ისევ იწვიან ჩვენი გულები,
მკაცრი დღეების არდავიწყებით
და სიმღერებით შენიღბულები.
სულებს შემორჩა, როგორც მძევალი,
ის სიყვარული თეთრი არყების,
ზოგი მოგკვდიო და მალალ მწვერვალებს
ცისარტყელების კიბით აყყევით.
ბევრი ღიმილი ტუჩზე შეგვაშრა,
რადგან არ ჩანდა სითბო წილხვედრი.
შენ ჩვენს უმცირეს ღვაწლსაც შეამჩნევ,
ჩვენს ყველა ფიქრს და წუხილს მიხვდები.
არ გვიდარდია დარდიმანდობა,
რომ სული ღურჯი სივრცით შეგვევსო...
და თუ ამქვეყნად გადის მადლობა,
ეს შენ გეკუთვნის უპირველესად.

2

შემოვარდნილი სულში გრიგალად,
ქვეყნიდან შენი თვალი მდევნიდა...
მერე ავდექი და გიგალობე
ჩემი სხეულის ყრუ კედლებიდან.
მთა გავხედნე და არხოტი ვნახე.
მთა გავგუდე და ვნახე გუდანი.
მთების ნისლეები დაჩეხილ სახეს
მეფარა ისე, როგორც სუდარა.
გამოვეცხადე ნადირთა, მხეცთა,
არაყი ვასვი ფიქრებს ურთულესს.
მერე ხელები გავითბე ცეცხლთან
და გავაბოლე მწარე თუთუნს.
მზისკენ წასული ნისლეები შევსვი
და ღონიერი ღამე დავღრიცე.
ავაზას ტანზე მძინარე ხევსურს
ლექსი ვკარი და გამოვადვიძე.
რის თერგელი და რის არაგველი,
ყველას ბოლომდე გვინდა ბიჭობა,
არავინ იცის,
ვის ან რა გველის
და უსამართლოდ ვინ დაიჩოქებს.

★
გვამბობს! —
„მუქაშვილი“
★
ჩარბიანი

არავინ იცის, შენ მიტირებ თუ
მე გიგალობებ უფრო ღმერთივით,
მანინც იცოდე,
ჩემი სხეული,
რომ შენი მიწით არის შექმნილი.

3

შენ რა იცოდი,
მე ვინ მომწონდა,
შენ რა იცოდი,
მე ვინ მიყვარდა.
პირისპირ ვიდექ მალალ კოცონთან,
მაგრამ ხელი მკრა
და არ მიკადრა.
აუდექ, მოვისხი მხრებზე კოცონი,
მოგყევი ყიალს ტყეში ალივით.
ღამე მიმზერდა, როგორც ბოჩოლა,
მინდორში ბაწრით წამოყვანილი.
მთებში მალალი ცეცხლი დავანთე,
ჩემი მოყვრის და მტრის დასანახად.
ყველა აღმართზე
დროშა აღვმართე,
მზეს მივუფიცხე ჩემი სამარხი.
გომბორს ახალი მთვარე მივართვი,
როგორც ცოცხალი,
როგორც კალმახი,
მერე ვესტუმრე გრემს და იყალთოს,
კედლებში ჩემი სული ჩავმარხე.
შენ სადაც გმირი ხალხი გეგუღვის,
იქ მივედი და ღამე დავქანცე.
შენი გულივით ფიცხი ენგური
დავიფიცე და სვანს ვექმაკაცე.
მე მოვამთავრე ერის გაცნობა,
თუმც ბევრ რამეში არ გამიმართლა...
მხრებით დამქონდა შენი კაცობის
დიდი ჭერი და დიდი გუმბათი.
გამოგარჩიე მანინც ყველაში,
თუმც არ ვიყავი ლექსში გამმხელი,
მოსკოვში,
რომში,
ლამაზ
ვენაში
პირზე მეკერა შენი სახელი.
დამდეგდა შენი თვალი კეთილი,
მეც უცხო ქვეყნებს
კალმით მივდიე,

და ევროპაში ზოგიერთივით
სამშობლო კი არ გამოყიდნია.
შენ მყავდი გვერდში,
როგორც თილისმა,
როგორც მცხეთა და
როგორც ბოლნისი...
და ვრწმუნდებოდი —
მხოლოდ თბილისი
და საქართველო პირველყოფლისა.

4

ნოღაის ველზე ისე ვიცხოვრე,
როგორც უბრალოდ ცხოვრობს მეცხვარე,
მერე ანანურს,
ვით მეციხოვნე
და ვით კაი ყმა გამოვეცხადე.
სულში ყიოდა მაღალი უშუა
და ის ყივილი
ატანდა სახსრებს.
სამყარო მქონდა მიდგმული ტუჩთან,
მისი ჯანსაღი პაერით სავსე.
ფხიზელ ცისკართან პირი შევკარი,
და ძილს
ღამითაც არ გავეკარე.
უმადლეს კოშკებს
ჭვრეტდა ქვეყანა
და ჩემი სისხლის შადრევნები
ცაში რეკავდნენ.
მე ჩემი ქვეყნის ფიქრი ავჩაღე,
შენი სისხლის და
ცის სიყვარულით
და ქინძის სუნით სავსე ბორჩალო
კვლავ მეგებება ნისლში ხრამულით.
ცოტა ვწერე და ბევრი ვიწვალე
და ღმერთს მოვჭერი ხელი წვალეების,
გაყრილი მქონდა,
როგორც ფიწალი,
ქორივით მზერა შენი თვალების.
ყაზახეთის მზე გულში ჩავისვი,
არ მოვასვენე მიწა დამცხრალი.
ჩემი ძალა და ჩემი ხალისი
ჩავეთსე, როგორც პურის მარცვალი.
შენ ჩვენი წლები ხარ ხერხემალი
და ღონიერი ჯიბრი მაყრების.
ვსდიეთ ვარსკვლავს და
მაღალ მწვერვალებს
შენი ხერხემლის კიბით ავყევით.

☆
— გზე მიღის!
„მუქვარე“ ☆
ჯანსუღ ჩარკვიანი ☆

1696



როცა ვაგებდით,
 ვამსხვრევდით,
 ვფშენიდით,
 ისევ ვძერწავდით,
 ისევ თავიდან...
 „ვინ გაიგონა
 რუსთველი მშვიდი“,
 მე სიმშვიდეზე
 ფიქრიც არ მინდა.
 ვძერწავდით,
 ვფშენიდით,
 ვწერდით და ვშლიდით.
 ბერჯერ გვიმტყუნა ძალამ ტიალმა.
 ვინ გაიგონა ფშაგელა მშვიდი,
 ვინა სთქვა მშვიდი გალაკტიონი.
 ვეომებოდით მაღალ მწვერვალებს,
 დიდი კოსმოსი ფრთებით დავხაზეთ.
 უმრუდდებოდა მთებს ხერხემალი
 შენი ბიჭების ერთ დანახვაზე.
 ჯერ საუკუნე არის დაღლამდე,
 კვლავ არის ჩვენი გუგუნის ჯერი.
 დღეო ნათელო,
 რომ არ დაღამდე,
 მზით და სიმღერით
 აგივსეთ ჭერი.
 მოგვაქვს ცისფერი და გვეფერება
 შენი მზესავით თბილი ხელები.
 ჩვენა ვართ შენი ალგეთელები,
 და მოუღლეელი თბილისელები.
 ...და გვეძახიან ქარხნის მიღები,
 მალაროები,
 თეთრი ფუნჯები...
 მიდიან გზებზე ჩვენი შვილები
 თეთრი სიზმრების
 თეთრი ქუჩებით.
 ჯერ არ დაღლილა,
 დიდება შეხლდას!
 შენი ძალა და შენი ქართული,
 ვით აძაგძაგებს
 თვალნათლივ ვხედავ
 მაღალი ძაბვის დენის მავთულებს.

კვლავინდებურად რეკენ ზარები,
 შენ საუკუნე შუა გადასჭერ,
 კარებს აღებ და არ გეზარება
 ლექსი ნათქვამი ათიათასჯერ.

მიწა კი,
 ხელისგული გაშლილი,
 სულ რაღაც ერთი გაშლა მტკაველის.
 კაცი კი,
 ნიკო ბარათაშვილი,
 კაცი კი,
 დიდი ვაჟა-ფშაველა.
 ის ძველი სევდაც სხვას უთხოვია,
 და ძველი წლები მწარედ მღერიან —
 მამულის მთებზე დაუთოვია,
 რა ვქნათ,
 ბუნება მბრძანებელია.
 კვლავინდებურად რეკენ ზარები,
 მე ისევ შენი დამდევს ზმანება.
 თუ გინდა წყალზე გაგეგზავნები, —
 ერთხელ მთვარეზეც გაგეგზავნები,
 შენთვის სიკვდილიც არ მეზარება.
 თუ გინდა გეტყვი შოთას პოემას
 და აგიხდები,
 როგორც სიზმარი...
 შენ დაგინიშნავ ყველა პაემანს,
 რომ ქვეყანაზე შენ ერთს გიმზირო.

7

მეძახის ჩემი ზეცის სიშორე
 და თმებში თეთრი თოვლის ნამქერი...
 და რაც ვიწვალე,
 და რაც ვიშრომე,
 მთვარეში მოსჩანს ცისფერ ლაქებად.
 მე ჩემი მიწის სიღრმე მეძახის...
 ხელად დამხევედნენ,
 ხელად დამფლეთდნენ,
 მაგრამ ფეხს იდგამს სიყრმე ვენახის
 და ყურძნის წვენი ღებავს საფეთქლებს.
 მე ვეხვეწები მზეს და ლილეოს,
 თეთნულდს და მულახს,
 მახვს და წინამძღოლს,
 მტერს და მოყვარეს ნუ გამომიღვეს,
 სიკვდილით არვინ არ დამიმარცხოს.
 მუჟღვერ — მზე მიდის,
 მუჟღვერ, დრო მიდის,
 დაწყვეტილია მსხვილი თოკები,
 გზები გარბიან მზის ცხელ თონიდან
 და გულში ვნებებს ვერ იოკებენ.

8

ვაი რამდენი წელი გასულა,
 მე ისევ ცელით ხელში ვიღლები,

☆
 მზე მიდის! —
 „მუჟღვერ“ ☆
 რაკოვიანი
 ჯანსუღ

ჩემი ვენახის ვაზი გასხლული
მზისკენ მიდის და ცრემლად იღვრება.
ვაი რამდენი წელი გასულა
და წერტილივით მოსჩანს იმედი.
ეს ოკეანე ვინც ვერ გასცურა,
ბედმა იმსხვერპლა და გაიმეტა.
ეს ოკეანე ვინც ვერ გასცურა,
მთებს შეუერთდა, ვით მიწის ფენა,
ძარღვებში ლურჯი დროშა ტკაცუნებს,
მყინვარწვერის და თეთნულდის ფერი.
ყვირილი მესმის —
რა გაგვიკეთე,
რა მოგვეცი და რა გაგვიკეთე,
სად არის შენი მზე და სიკეთე,
რა გაგვიკეთე.
რა გაგვიკეთე,
— სიცოცხლესავით ერთი ბეწოა...
— რაც გააკეთე, ერთი ბეწოა...

მე ახლა ქარიც ვერ დამეწვევა,
ახლა ეშმაკიც ვერ დამეწვევა.
სხეული თრთის და მზეში იწვეება,
მზის ირგვლივ ბრუნავს თავდაფიწყება,
დიდი სიცოცხლე ახლა იწყება,
მთების დაპყრობაც ახლა იწყება.

9

რა დროს შიშია,
რა დროს ცრემლია,
იღვიძებს ყველა მკაცრი ვულკანი,
ახლა ცრემლები ისე ძნელია,
როგორც დაკარგვა კაცის უკვალოდ.
მე ჩამოგართვი მძიმე ხელები
და სეტყვასავით ცივი ხელები,
ახლა გადივლის რემა ცხენების,
ვით წუთისოფლის ციებ-ცხელება,
ის ბოლო ცხენი,
შემარცხვენელი,
დაიკარგება ტყეში უკვალოდ,
რა დროს შიშია,
რა დროს ცრემლია,
იღვიძებს ყველა მკაცრი ვულკანი.

10

რადგანაც შენი ღონის ტოლი ვარ,
რადგან ახალი სული გავჩარხე.
მზისკენ მივდივარ,
როგორც ტოროლა
და შენს სახელზე კოცონს ვაჩაღებ.

თუ გამიმართლა,
ღირსი მიწოდონ
და თუ მიმტყუნა,
აღარც დავბრუნდე...
ლამე მჭამდეს და ცეცხლში ვიწოდე,
ჩამქრალ ვულკანში
ტალღად ჩავბუდდე.
თუ გამიმართლა,
ღირსი მიწოდონ
და აგისრულდეს, რასაც ინდომებ...
მე მაინც მინდა ასე იცოდე,
რომ ყველა ციხე სასაცილოა.
რადგანაც შენი ღონის ტოლი ვარ,
რადგან ახალი სული გავჩარხე.
მზისკენ მივიწევე,
როგორც ტოროლა
და შენს სახელზე კოცონს ვაჩაღებ.
მუჟღვერ — მზე მიდის,
მუჟღვერ, დრო მიდის,
დაწვევითილია მსხვილი თოკები...
გზები გარბიან მზის ცხელ თონიდან
და გულში ვნებებს ვერ იოკებენ.



თამაზ ჭილაძე

„სიკვლევი დღე“

მოთხრობა

1. ჯობო

ნოდარმა რომ დამიძახა, წვერს ვიპარსავდი. წვერს ყოველ დილით დიდი ამბით ვიპარსავ, უფრო სწორად — დიდი ხმაურით, რადგან ჩემი პირველი ჯამაგირით ელექტროსაპარსი „ნევა“ ვიყიდე. აბა, სხვა რა უნდა მეყიდა? თანაც იაფი იყო. ჯერ ვიფიქრე: მოდი, მეორეს მამას ვუყიდი-მეთქი, მაგრამ მამა წვერს სამართებლით იპარსავს და ჩემი საჩუქარი მაინცდამაინც არ გაახარებდა, ამიტომ მას საჩუქრად საპნის ასაქაფებელი ფუნჯი მივართვი. დარჩენილი ფულით დედას ჩანთა ვუყიდე, დას კი — პოლონური მოდების ყურნალი. პოლონურმა ყურნალებმა და შთლად გადამირია, დღე და ღამე „ფილმსა“ და „ეკრანს“ ფურცლაგს, ხანდახან ისე ამოიხენენებს, გული გადამიქანდება ხოლმე. ბარბარა კვიატკოვსკას ზაძავს. სიმართლე რომ ვთქვა, ცოტათი კი ჰგავს, „ევას ეძინება“ თუ გინახავთ, იქ რომ თამაშობს, იმას. ერთხელ მოვატყუე, ბარბარას თავი მოუწამლაეს-

მეთქი, ისეთი ზღუტუნი ამოუშვა, დედაჩემს ძლივს გავასწარი სახლიდან. ისე, დედა მკაცრი ქალი არ არის. ჩანთა რომ მივეტანე, მითხრა, რად გინდოდა, რომ ყიდულობდი, რა იმდენი ფული აიღეო. შევატყვე, საჩუქარი გაუხარდა. კარადის უჯრაში რომ ჩადო. მერე არც ამოუღია. რას უნახავს, არ ვიცი. ხანდახან, როცა ხმამაღლა დავიწყებ ოცნებას, აი, გავიზრდები და ამას და ამას გაყიდი-მეთქი, თვალეში შუქი ჩაუდგება და მეტყვის: თქვენ იყავით, შვილო, კარგად, მე არაფერი არ მინდაო. დედას ამქვეყნად ყველაზე მეტად ის უნდა, რომ მე კარგი კაცი გამოვიდე, სახელოვანი შვილი გყავდე, ყველა პატივს მცემდეს, ქუჩაში რომ გავივლი, ხალხი მცნობდეს. დედას ჩემი მომავალი დაახლოებით ასე წარმოუდგენია: მე რესპუბლიკის სახალხო არტისტი გავხდები, კარგი ბინა მექნება, საკუთარი მანქანა. კიდევ? ჰო, უსათუოდ სამი შვილი უნდა მყავდეს:

ორი ბიჭი და ერთი გოგო. გოგოს დედის სახელი უნდა დავარქვა.

მამას არც ჩემი რესპუბლიკის სახალხო არტისტობა უნდა, არც ბინა და არც მანქანა. მეისრე გამოვიდეს, ოღონდ პატიოსანი იყოსო. მე მგონი, ამას იმიტომ ამბობს, რომ ჩემი ნიჭისა არ სჯერა. თუმცა არც მე მიმიცია რაიმე საბაბი, რომ ასე არ ეფიქრა. თუ რატომ უნდა გავხდე მაინცდამაინც რესპუბლიკის სახალხო არტისტი — ეს უკვე დედაჩემის წმიდათა წმიდა სურვილია და, როგორც კანონს, მას ვერავინ ვერ გაუბედავს შეკამათებას. დედა როცა ლაპარაკს დაიწყებს: ის დღე როდის გათენდება, ჩემს შვილს რომ სცენაზე ვნახავო, მამა უსათუოდ ჩაიბუზღუნებს: ეპ, ძმაო სანდრო, შენ დაგედოს ჩემი ცოდვა!

მამაჩემის ძმა — სანდრო წამდვილი სახალხო არტისტია. ალბათ იცნობთ კიდეც, რადგან თითქმის ყველა ფილმში თამაშობს. გაზეთებში სულ მისი ქება წერია: მსახიობმა სანდრო ირემამ ძემ კიდეც ერთი ახალი ღირსშესანიშნავი სახე შექმნაო. სკოლა რომ დავამთავრე, სწორედ ძია სანდრომ თქვა, ამ ბიჭს მსახიობობის ნიჭი აქვს და უსათუოდ თეატრალურ ინსტიტუტში უნდა შევიყვანოთო. ამიტომ არის სწორედ, რომ ახლა თეატრში სცენის გამნათებლად ვმუშაობ, სტაჟს ვაგროვებ. მე კი მინდოდა სკოლის დამთავრებისთანავე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩამებარებინა გამოცდები, იქნება მოვხვედრილიყავი.

მამამ თქვა: თუ სტაჟი აუცილებელია, ჩემთან წამოვიდეს ქარხანაში. სტაჟსაც მოაგროვებს და თან ხელობასაც ვასწავლიო. დედაჩემმა შეიცხადა: ისიც მეყოფა, შენ ასეთი ნიჭიერი კაცი ქარხანაში უბრალო ზეინკლად რომ მუშაობ. ისიც მეყოფა, შენ რომ არ გაგიმართლდა ცხოვრებაშიო. მამამ გაკვირვებით შეხედა და უპასუხა, რა იცი, რომ არ გამიმართლდა, ძალიანაც გამიმართლდა, რადგან, რაც მინდოდა, ის გამოვედიო. მერე დაუმატა: ძალიან ვთხოვ, წარამარა ნიჭიერებაზე ლაპა-

რაკს თავი დაანებეო.

დედაჩემი რომ სულ ნიჭზე ლაპარაკობდა, ესეც ძია სანდროს წყალობა იყო. არავისზე ისე არაფერს არ იტყოდა, თუ „ნიჭიერია“ ან „უნიჭოა“ — არ დაუმატებდა. მერე მათ ჩემი მეტიჩარა დაც აპყვით და ამ საქმეში იმდენად დაოსტატდა, რომ ერთხელ დედას ჩემზე მიუთითა: ნახე, რა უნიჭოდ დედისო.

მერე რა, რომ უნიჭო ვარ, — ვფიქრობდი მე, — რითი ვარ ნიჭიერებზე ნაკლები. კლასში ერთი ნიჭიერი გოგო გვეყავდა — ლილი, პირველი კლასიდან დაწყებული მარტო ხუთიანებს იღებდა. იმ გოგოსავით არავინ მეზარებოდა. სამაგიეროდ, ჩემი ამხანაგები, მასწავლებელი რომ უნიჭოებს ეძახდა, ძალიან მიყვარდა. იმათაც ვუყვარდი, რადგან ბევრი რამ გვექონდა საერთო.

მუშაობა რომ დავიწყე, ძია სანდრომ კვირაში ორი გაკვეთილი დამინიშნა. მასთან უნდა მივსულიყავი და რომელიმე ლექსი წავეკითხა. პირველად რომ ლექსი წავუკითხე, დამიწუნა. მეგონა, ისეთივე შენიშვნას მომცემდა, როგორსაც სკოლაში მასწავლებელი მაძღვედა ხოლმე. მან კი მითხრა, ლექსის წაკითხვის დროს მთავარი სუნთქვავაო. გავოცდი. მაგრამ არაფერი მითქვამს. გაიგეო? — მკითხა. კი-მეთქი, — თავი დავუქნიე. აბა, ყურადღებით მომისმინეო, — და იგივე ლექსის კითხვა დაიწყო. ჯერ ღრმად ჩაისუნთქა, მერე ფილტვებიდან ჰაერი ნელ-ნელა ამოუშვა, სტროფი რომ დაამთავრა, მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა მთლიანად. მერე ისევ ჩაისუნთქა და ახალი სტროფის კითხვა დაიწყო. სანამ ლექსი არ დაამთავრა, სულ ასე სუნთქავდა. რომ დაამთავრა, მითხრა, აი, ასე მკაფიოდ უნდა ისმოდეს თვითთული სიტყვაო. მეც თავი დავუქნიე, მაგრამ საქმე ის იყო, რომ როცა ის კითხულობდა, მარტო მისი სუნთქვა მესმოდა, სიტყვები კი — არა. ალბათ, შორიდან უფრო

თამაზ ჭილაძე
პირველი დღე

კარგი მოსასმენი იქნებოდა.

შინ რომ დავბრუნდი, დედამ მკითხა: აბა, რა გასწავლა ბიძაშენმაო. მე ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე და ხმაძალა დავიწყე: ლექსის კითხვის დროს მთავარია სუნთქვა... ყველა... სიტყვა... მკაფიოდ... უნდა... ისმოდეს... — მერე ამოვისუნთქე, ისევ ჩავისუნთქე და გავგარძელე: — თუ არ დაგეზარება... და... კარგად... ივარჯიშებ... ეს არც... ისევ... ძნელია...

ჩემი და პირდაღებული მიყურებდა. მამამ ვაზეთი გვერდზე გადადო, სათვალე მოიხსნა, ცოტახანს ყურადღებით მიცქირა, მერე ადგა და მეორე ოთახში გავიდა. მე კი უცებ ლექსის კითხვა დავიწყე, ხმას ნელ-ნელა ვუწევდი, თან დედას თვალეში შევცქეროდი. ყვირილზე რომ გადავედი, დედამ მთხოვა: ცოტა ჩუმად, მეზობლებს შეეშინდებათო. მეზობლების ხათრი მქონდა და გავჩუმდი. ჩვენ კარგი მეზობლები გვეყავს.

ოთხოთახიან ბინაში სამი ოჯახი ვცხოვრობდით. ჩვენ ორი ოთახი გვეჭირა, მეხანძრესა და მოხუც ცოლქმარს კი — თითო-თითო. სამზარეულო, აბაზანა და ტელეფონი საერთო გვქონდა. მეხანძრე შინ იშვიათად მოდიოდა. მაშინვე ოთახში ჩაიკეტებოდა, ხმას ვერ გაიგონებდით. მოხუცი ცოლქმარიც, — ძია ანტონი და დეიდა ვარო წყნარი ხალხი იყო. ქმარი უკვე პენსიას იღებდა. გულს უჩიოდა. სამსახურისთვის თავი ამიტომ დაენებებინა. დეიდა ვარო ჯერ კიდევ მსახურობდა, საბავშვო ბაღის გამგე იყო. დილით სამზარეულოში ერთად ფუსფუსებდნენ და მათი საუბარი გარკვევით მესმოდა: „საუზმის მერე ორი საათით კიდევ დაიძინე, მერე ქალაქში გაისეირნე, ბაღში შედი, მზეზე დაჯექი, შუადღისას დაბრუნდი, კვერცხი შეიწვი, კვერცხი ზემო თაროზეა, თეთრ ქვამში, მერე წამოწეკი“, — არიგებდა დეიდა ვარო ძია ანტონს. ძია ანტონი ხმადაბლა იცინოდა. კარგად ვიცოდი, რატომაც იცინოდა ძია ანტონი. მე მთელ ჩვენს სახლში ერთადერთი კაცი ვიყავი, ვინც

ძია ანტონის საიდუმლო იცნობდა. ეს საიდუმლო კი შემთხვევით გავეცანი. ერთხელ, დილით სავარჯიშოდ ჩამოვედი (დამავიწყდა, მეთქვა, რომ კარგად ვცურავ, მაშინ მეორე თანრიგს ვიღებდი), მეტეხის ხიდის წინ, მოედანზე ძია ანტონი დავინახე. ძია ანტონს სახელოზე წითელი ლენტე ჰქონდა შემოხვეული და შუა გზაზე უშნოდ განხერილი ტროლეიბუსის მძღოლს ხელების ქნევით ეჩხუბებოდა. მაშინვე ავტობუსიდან ჩამოვედი. ძია ანტონმა, როგორც იქნა, ის ტროლეიბუსი გაისტუმრა, კმაყოფილმა აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა და უცებ მე დამინახა. შევატყვე, შეკრთა. შეკრთომა რომ დაეფარა, გამიღიმა, მოდი, ვია, აქო, — მითხრა, ხელი მომიკიდა და პატარა ბაღში შემიყვანა. სკამზე ჩამოვჯექით. ძია ანტონმა პაპიროსი ამოიღო და გააბოლა. „ანტონს ხუთი წელია თამბაქო აღარ მოუწევია“, — ამბობდა დეიდა ვარო. თქვენ სწევთ-მეთქი? — ვკითხე გაოცებულმა.

— ვია, მოდი იმით დავიწყოთ, რომ ვითომ შენ ეს პაპიროსი არ დავინახავს, — მითხრა ძია ანტონმა. — და იმით დავამთავროთ, რომ მარტო თქვენ გნახეთ, — ვუპასუხე მეც ღიმილით. — არა, ვია, არც მე გინახივარ, შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ და დეიდა ვაროსთან არ გამთქვამ, — მითხრა ძია ანტონმა. კი მაგრამ, აქ რას აკეთებთ-მეთქი. ვმუშაობო. ხმამაღლა გავიცინე: რატომ მატყუებთ, ძია ანტონ, თქვენ უკვე რამდენი ხანია პენსიონერი ბრძანდებით-მეთქი. მერე რა, ევ სრულებით ხელს არ მიშლისო. კი მაგრამ, სად მუშაობთ-მეთქი? ტრანსპორტის მოძრაობას თვალყურს ვადევნებო.

ვერ დავიჯერებ, თქვენ ქარხნის დირექტორი იყავით და ახლა ასეთ უბრალო სამუშაოს როგორ კადრულობთ-მეთქი. ვკადრულობ კი არა, მე თვითონ ვთხოვეო, — მიპასუხა ძია ანტონმა: — სამუშაო ყველგან ერთნაირია. მთავარია, კარგად მუშაობდეო. ალბათ, დიდ ჯამაგირს გაძლევენ-მეთქი, — შევაპარე. არა, კაპიკსაც არ მაძლევენო. აბა,



რის გულსთვის მუშაობთ-მეთქი. ძია ანტონმა ცოტახანს დიმილით მიყურა და მერე მითხრა: ჩემი საკუთარი სულისთვისო. მეგონა, კარგად ვერ გავიგონე, — რა-მეთქი? ძია ანტონმა გამომეორა: სულისთვის ვმუშაობო. თუ რა იყო სული, დაახლოებით ვიცოდი ლექსებიდან. მაინც ჩავევითხე, სული რა არის-მეთქი. ადამიანის სულია, რამაც ეს ქვეყანა ააშენაო. ეს არის ყველაფერზე დიდი და უნაპირო რამო. ყველაფერზე დიდი-მეთქი? ზო, ყველაფერზე დიდი ადამიანის სულიაო.

მეხანძრეს სპირიდონი ერქვა. მე ბატონ სპირიდონს ვეძახდი. ერთხელ რალაცაზე მიმაგზავნა მამამ. კარზე დავუკაკუნე და პასუხისთვის არ დამიციდია, ისე შევადე. ბატონი სპირიდონი მაგიდასთან იჯდა, ხელში მაკრატელი ეჭირა და ჟურნალიდან სურათს სჭრიდა. ისეთი ჩაფიქრებული სახე ჰქონდა, უკან გაბრუნება დავაპირე. ბატონ სპირიდონს თავი არ აუწევია, ისე მითხრა: შემოდი, გია, შემოდიო. მოვახსენე, მამამ ეს და ეს დამაბარა-მეთქი. მერე ახლოს მივედი და ჟურნალიდან ამოჭრილი სურათი ავიღე. სურათზე თბილისის დინამოელი ბარქაია ეხატა. ბარქაია! — ვთქვი ხმამაღლა. ბატონ სპირიდონმა თავი დამიქნია. მერე მაგიდაზე ალბომი დავინახე. ეტყობა, ბატონი სპირიდონი ალბომში ჟურნალებიდან ამოჭრილ ფეხბურთელთა სურათებს აწებებდა. ბატონო სპირიდონ, ფეხბურთი გყვარებიათ-მეთქი. არასოდეს არ მინახავსო, — მიპასუხა. მამ, ეს ალბომი რად გინდოდათ-მეთქი. ზურგიკოს ვუმზადებო.

ზურგიკო ბატონი სპირიდონის შვილი იყო და დედასთან ცხოვრობდა. ცოლქმარი გაყრილნი იყვნენ. მე ეს აღრეც ვიცოდი. აი, ასეთი მეზობლები გყავდა. მოდი და ნუ მოგერიდებოდა მათი.

— ნოდარი გეძახის, — მითხრა ეკამ. ჩემს დას ეკა ჰქვია.

— ვიცი, — ვუპასუხე.

ეკა ფანჯრიდან იხედებოდა:

— ჯუმბერიც იქ არის. რა კარგი ბიჭია ჯუმბერი, არა, გია?

— ჰო...

— ვილაც გოგოც ახლავთ. ზი გოგოა!

გოგო? არ მინდა ეკას ანკესზე წამოვეგო, იქნებ მატყუებს. ბევრჯერ მივარდნილვარ ფანჯარას გიყვივით, მაგრამ ვაგწბილებულვარ. ახლაც რომ მონატყუოს, დავადრჩობ.

ელექტროსაპარსი გამოვრთე, ახლა სარკეში ვიხედები, სახეს გულდასმით ვათვალიერებ. არც ისეთი ცუდი ბიჭი ვარ, ეს არის, წვერი ვერაფრით ამოვიყვანე, თუმცა დღეში ორჯერ ვიპარსავ. იქნებ სამართებლით ჯობდეს. ჰა?

— გია, — მესმის ნოდარის ხმა.

— ახლავე, ახლავე, — პასუხობს ეკა, — იპარსავს...

ამ სიტყვას ისე ამბობს, რომ იქ, ალბათ, ყველაფერს ხედებიან, ალბათ, იცინიან კიდევ. მართლა გოგო თუ ახლავთ? ვინ უნდა იყოს? გოგო კი არა, ის არ გინდა... ჩემი კლასელი გოგოები მე ვერ მიტანენ, მათი პირველი დამწიოკებელი ვარ. ჩემს ცხოვრებაში ერთხელ დამირეკა გოგომ. ძია ანტონმა კარზე დავგვიკაკუნა, შემოაღო და მითხრა:

— გია, ტელეფონთან გთხოვენ.

მისი კილო მეუცხოვა, დერეფანში გავედი და ყურმილი ავიღე.

— გისმენთ.

— გია ხარ?

— ჰო...

— გია, გამარჯობა, ლილი ვარ...

უცებ მივხვდი, რა ამბავიც იყო ჩემს თავს. ბოლო გამოცდას ვაბარებდით, ალბათ, მკითხავდა, რამე ხომ არ გიჭირსო.

— ცირკში ხომ არ გინდა წასვლა? — ვკითხე.

აქედან ვიგრძენი, ლილი რომ გაწითლდა...

— არა...

— პარაშუტით გადმოხტომა?

— არა, არა...

თამაზ ჭილაძე
პირველი დღე

— აა, მივხვდი, საცუროდ გინდა წაგიყვანო.

— ვაა...

— რა სულელი ვარ, ფეხბურთზე გინდა წასვლა!

ლილი გაჩუმდა.

— ლილი, ლილი, — დავუძახე.

ცოტახანს ხმას არ მცემდა. მე კი ვმატრიაბავოვდი:

— ალო, ალო, გაგვითმეს, რა დროს გაგვითმეს, ღმერთო ჩემო, რა დროს გაგვითმეს.

მერე ლილის ხმა მომესმა:

— ვაა, გეყოფა...

— მადლობა ღმერთს, მეგონა, გაგვითმეს...

— ვაა, მასწავლებელმა მითხრა, ტრიგონომეტრიაში დაეხმარეო.

— ტრიგონომეტრია, მასწავლებლისა და ლილის დახმარებით...

— მოდი ჩემთან, ვაა...

— არა. გმადლობთ, როგორმე მართვ მოვერევი...

— თუ გინდა, მი მოვალ.

— დიდი სიამოვნებით, მაგრამ...

— რა, — ჩამეკითხა ლილი. — რა მაგრამ?

— ძალიან მიმიძის თქმა...

— თქვი...

— ბუღდოგი გაგვიცოფდა და არ ვიცი, როგორ უნდა მოხვიდე... ლილი, ცოფის წამალი ხომ არა გაქვს?

ლილიმ ყურმილი დამიკიდა.

ეს იყო და ეს. მარტი ტელეფონით ჯოგოსთან არ მილაპარაკია. თუ არ ჩავთვლით ეკას, რომელთანაც ჩემი საუბარი დაახლოებით ასეთი იყო:

— ვაა ხარ?

— ჰა?

— ვაა ხარ?

— ჰო...

— დედა შინ არის?

— ჰა?

— დედა შინ არის-მეთქი?

— ჰო...

— მამა არ მოსულა?

— ჰა?

ტუ... ტუ... ტუ... ტუ...

ჩემი ამხანაგები გოგოებთან დადი-

ოლენ. მე არც წვერი ამომდიოდა და არც გოგოებთან დავდიოდი. ვესკდებოდი, გოგო რომ პრანკვას დაიწყებდა: „იუნოსტს“ არ კითხულობთ? რა კარგი მოთხრობა იყო დაბეჭდილი! ავტორი არ მახსოვს. რა კარგი სვიტერი გაცვიათ! როგორ დათბა, არა?

არც ის მოთხრობა მქონდა წაკითხული, არც კარგი სვიტერი მეცვა. მაინც ვერაფერს ვეუბნებოდი, ყელში რაღაც შეჩხირებოდა. ენას რა მიბორკავდა. არ ვიცი, ჩემებურად ვერ ვურევდი. ვბრაზობდი და ამ სიბრაზის ზრალი იყო, რამე უხვამსობას რომ ვეტყვოდი ხოლმე. ამიტომაც ახლოს არავინ მეკარებოდა.

სარკე გვერდზე გადავდე, კარადა გამოვალე. ბიძის ნაჩუქარი პერანგი მოვძებნე და ჩავიცვი.

— ჰმ, — ჩაიციხა ეკამ.

ყურადღებო არ მივაქციე, ჯაგრისი ავიდე, ფეხი სკამზე შევდგი და ფეხსაცმელი გავიწმინდე.

— უზრდელი, — თქვა ეკამ, — ოთახში ფეხსაცმელს ვინ იწმინდავს?

რა თქმა უნდა, არავინ. არც მე გამიწმინდია არასოდეს, მაგრამ ახლა ეკას ჯიბრით გავაკეთე.

— ძალიან კი ემზადები, — თქვა ისევ ეკამ. — მაინც სად მიდიხართ?

ჯერ ხმა არ გავეცი, ხელმეორედ რომ მეკითხა, ვუპასუხე:

— ბატალოვი ჩამოდის, სადგურში უნდა დავხვდეთ...

სხვა მაგარი რომ ვერაფერი იპოვა, ისევ თავისი პოლონური ჟურნალი ჩამთხლიშა თავში.

— ჰა-მეთქი, — გავიწიე, მაგრამ დროზე შევიკავე თავი.

მამამ სამი რამე ამიკრძალა: პაპიროსის მოწვევა, შინ გვიან მოსვლა და ჩემი დის ცემა. პაპიროსს ნამალევად ვწევდი, ოღონდ მერე ჩაის ვლექავდი, სუნი რომ არ დამჩენოდა. შინაც ხანდახან გვიან ვბრუნდებოდი, მაგრამ აი, ჩემს დას კი ვერაფერს ვუბედავდი. მან ეს ამბავი იცოდა და ამიტომ შინ პატარა ტირანად მეჯდა.

— თუ დამირეკონ, უთხარი, მალე

დაბრუნდება—თქო, — დაუზბარე დას, თითქოს ქვეყანას ტელეფონით აკლებული ვყავდი. ესეც ისე, იმის გასაბრაზებლად ვთქვი.

კიბეზე ჩავიბრინე და ქუჩაში გავედი.

— სადა ხარ აქამდე?

— „ომსა და მშვიდობას“ ვამთავრებდი, რამდენიმე ფურცელი მქონდა დარჩენილი და ვერ მოვშორდი.

ნოდარის გვერდით ჯუმბერი იდგა. ჯიბეებში ხელი ჩაეყო და უსტვენდა, თითქოს მე კი არ მიცდიდა — ისე იდგა.

„აკი გოგოც ახლავთო?“

— გაიპარსე? — ჯუმბერმა სტვენა შეწყვიტა.

— ჰო, — ლოყებზე ხელი მოვისვი, — გავიპარსე.

— რითი იპარსავ? — მკითხა ნოდარმა.

— ელექტროსაპარსით...

— აბა, სამართებლით სცადე, — მითხრა ჯუმბერმა, თითქოს ჩემს გულში იჯდა.

— შენს საპარსს რა ჰქვია? — მკითხა ნოდარმა.

— „ნევა“.

— გინდა მაგით გაგიპარსია და გინდა მოტოციკლით, — გაიცინა ნოდარმა.

— მე მომწონს, — ვთქვი მე, — ძლიერია...

— ჰო, შენს წვერს სხვა ვერაფერი აიღებს, — ჯუმბერი როდის ხუმრობს და როდის არა, ვერ გაიგებ.

„აკი გოგოც ახლავთო?“

ჯუმბერს სათვალე უკეთია, ვერც თვალეებზე შეატყობ, გეხუმრება თუ მართალს გეუბნება.

— წავიდეთ? — ვკითხე ბიჭებს ისეთი კილოთი, თითქოს ვახსენებდი, ვინმე ხომ არ გრჩებათ-მეთქი.

— წავიდეთ.

მე საღამოთი ვმუშაობდი, დღისით თავისუფალი ვიყავი. ისინიც თავისუფლები იყვნენ, რადგან გამოცდებს აბარებდნენ, გამოცდები კი აგვისტოში იწყებოდა.

ცოტა მოშორებით, ხესთან, ვიღაც ვოგო იდგა, გულმა რაღაც მიაზრა,

მაგრამ ყურადღება მაინც არ მიმიქცევია. როგორც უკვე გითხარი, თოდ გოგოებს მაინცდამაინც ვუყურებ.

— დოდო, წავიდეთ, — დაუძახა ნოდარმა იმ გოგოს.

გოგო მოგვიახლოვდა და პირდაპირ მე შემხედა, რატომღაც თავი ჩავლუნე.

— გია, გაიცანი, — მითხრა ნოდარმა. — ჩემი ბიძაშვილია...

დოდომ ხელი გამომიწოდა:

— დოდო.

ხელი ჩამოვართვი და ხმამაღლა, ვაეკატურად ვუთხარი:

— გია.

— დოდო, ეს არის ჩვენი მომავალი დიდი მსახიობი, ძალიან ნიჭიერი...

— ოჰო? — თქვა დოდომ, მეტი არაფერი არ უთქვამს.

ისე მომჩვენა, თითქოს ჩაეცინოს, მაგრამ არა, ალბათ ყურმა მომატყუა.

— დიდი მსახიობი კი არა...

ხელები გავშალე და გავიღიმე, ძალიან უმწეო ვიყავი. ისე გამოვიდა, ნოდარის ქება უყოყმანოდ მივიღე. ახლა ამ შთაბეჭდილების გაფანტვა მოვიინდომე და ძალდატანებით გადავიხარხარე:

— მე მხოლოდ სცენის გამნათებელი ვარ... ხა, ხა, ხა...

„რა არის ამაში სასაცილო, შე ბრიყვო!..“

დოდომ გაკვირვებით შემხედა, მას ღრმა, მომწვანო თვალეები ჰქონდა.

— ტროლეიბუსით წავიდეთ, — თქვა ნოდარმა.

— ტროლეიბუსით კი არა, ტაქსით, — ვთქვი მე და ისევ გავიცინე.

„მოათავე სიცილი, შტერო...“

— ასე იცის, — უთხრა ჯუმბერმა დოდოს. — როცა როლს ამუშავებს...

დოდომ ისევ შემხედა, მე ისევ თავი ჩავლუნე. სიცილი კი მაინც ვერაფრით ვერ მოვიშორე:

— ბიჭებო, ბიჭებო, რა მოგიყვებ, გუშინ მოვდივარ და...

მერე ისეთი საშინელი რამ მოვეყვი,

თამაზ ჭილაძე
პირველი დღე

რომ თვითონვე გავწითლდი, სიცილით
კი მაინც ვიცინოდი. ნოდარმა გვერდ-
ზე გამიყვანა:

— ე, ააფრინე?

— უცებ გავბრაზდი. გამოვტრიალდი
და წამოვედი.

— სად მიდიხარ? — დამიძახა ჯუმ-
ბერმა.

ხმა არ გავეცი.

ნოდარი დამეწია:

— მოიცა, — მკლავზე ხელი მომკი-
და. ხელი გამოვგლიჯე:

— გამიშვი.

— რა დაგემართა, რამ გიკბინა?

— თავი გამანებე...

ვგრძნობდი, სიბრაზე ნელ-ნელა მიე-
ლიდა, თანაც არ ვიცოდი, რატომ ვი-
ყავი გაბრაზებული. რაღაცა ხომ უნდა
მეთქვა, მაგრამ ვერაფერს ვიგონებდი:

— თუ ძმა ხარ, თავი გამანებე.

— აღარ მოდიხარ?

— უჩემოდ წადით, მე საქმე მაქვს...

— საქმე კი არა და...

— ვითომ რაო, არ შეიძლება საქმე
მქონდეს? — ახლა ხელმეორედ გავ-
ბრაზდი.

— როგორ არ შეიძლება, — დამიყ-
ვავა ნოდარმა, — მაგრამ რაღა მაინცა-
დამაინც ახლა გამოგიჩნდა საქმე?

— უცებ გამახსენდა, ნახვამდის.

— სად მიდიხარ? — მომესმა უცებ
დოდოს ხმა.

ასე პირდაპირ დასმული კითხვისა-
თვის მზად არ ვიყავი და შეზღუდულ-
მა მიეუბნე:

— მივდივარ.

— აჰა. — თქვა დოდომ.

„აჰა, მაჰა, დაჰა“, — გავაჯავრე გულ-
ში დოდოს, ენაც გამოვუყავი, ნამდვი-
ლად კი არა, გულში.

— აბა, ჩვენ წავიდეთ, — მიუბრუნ-
და დოდო ბიჭებს, — გიას საქმე ჰქო-
ნია.

ჩემი სახელი რომ ახსენა, უცებ მოვ-
ლბი, თანაც შევატყვე, ბიჭები მაინცდა-
მაინც აღარ მეხვეწებოდნენ.

— ის მაინც მითხარით, სად მიდი-
ხართ, — ჩავბუზღუნე.

— გული ნუ დაგწყდება, დიდი არა-

ფერი, — თქვა ჯუმბერმა, — სხვა
დროს კიდევ წავალთ.

— არ მეტყვიო, სად მიდიხარო?
— ხომ გითხარი, გული ნუ დაგწყ-
დება-მეთქი...

— თუ არ გინდათ, არ წამოვალ...

— ჩვენ არ გვინდა? — ნოდარმა ხე-
ლები გაშალა, — გამაგიჟა!

— აბა, რატომ არ მეუბნებით, სად
მიდიხართ?

რატომღაც ჯიბეში ხელი ჩავიყავი
და კამფეტი კიბოვე, საიდან გაჩნდა
ჩემს ჯიბეში, არ ვიცი. გავფცქვენი და
პირში ჩავიდე.

— ეგ რა არის? — მკითხა ჯუმბერ-
მა. ალბათ გაუკვირდა, კამფეტი გოგოს
რომ არ მივაწოდე.

— ვალოკარდინი, — ვუპასუხე.

დოდო ახლოს მოვიდა და თვალბეჭდში
შემხედა:

— გული გტკივათ?

თავი დავუქნიე, თან კამფეტს უსინ-
დისოდ ვწუწნიდი.

— დიდი ხანია?

— ბავშვობიდან...

— ექიმებთან დადიხარო?

— კი...

— რას ამბობენ?

— საშიშიაო.

დოდო ისეთი სიბრაღულით მიც-
ქერდა, შემეცოდა, მაგრამ უკან აღარ
დავიხიე.

— ხომ იცით, გულს როგორი ყუ-
რადლებით მოპყრობა უნდა?

— ვიცი, — გულზე ხელი დავიდე და
თავი ჩავლუნე.

ბიჭები გაშტერებულები შემომყუ-
რებდნენ.

— იქნებ მართლა ჯობდეს, რომ შინ
დაბრუნდეთ.

— არა. — ვუპასუხე მე. — გამოიარა.

— მაშ მოდიხარ? — მკითხა ნოდარ-
მა. ნოდარი გულუბრყვილო ბიჭია. შე-
ვატყვე, ჩემი გულის ტკივილი მართლა
დაიჯერა, თუმცა თავისი თვალთ ნა-
ხა, კამფეტი რომ ჩავიდე პირში.

— რას იზამ, წამოვალ, — ვთქვი მე.

— გამაღობოთ, — კბილებში გამოც-
რა ჯუმბერმა და სტვენა დაიწყო.

ჯუმბერმა თუ ტყუილში დაგიჭირა, არ გაგატყვამს, მაგრამ თავს ვერ იკავებს და სტვენას იწყებს.

— ეგრე არ უნდა, — ვუთხარი ჯუმბერს! — აბა, მომისმინე.

ახლა მე დავიწყე სტვენა.

— რა კარგად უსტვენო, — მითხრა დოლომ.

თავი დავუქნიე, სტვენა არ შემიწყევტია. არასოდეს ასეთი ტრაბახა არ გყოფილვარ, დღეს რა დამემართა?

დოდოს მუჭი წაბლისფერი, მოკლედ შეკრეჭილი თმა ჰქონდა, ეტყობა, დიღიხანი არ იყო, რაც ასე შეეკრიჭა, რადგან ორივე ხელს მალიმალ თავზე ივლებდა. ამას ისე ლამაზად აკეთებდა, უნებურად თვალს ვარიდებდი.

„იციან თავისი საქმე“, — ვფიქრობდი ჩემთვის. ისე მსუბუქად მოდიოდა, გეგონებოდა, თითისწვერებზე შემდგარაო.

მალალი გოგო იყო, თითქმის ჩემი სიმაღლე. სიმაღლე, ალბათ, სითამამეს ჰმატებდა და ამაყად მოდიოდა. მე კი... კი არ მივდიოდი, თითქოს მივცუზრავდი, ჰაერი მკვრივი იყო და მკერდით ვაწვებოდი, რომ გამერღვია, თანაც ახლა სტვენა ავიჩემე. ჯუმბერი დიღიხანია გაჩუმდა, მე კი ისევ ვუსტვენდი.

ბიჭები ვერაფერს მეუბნებოდნენ, დოდო იღიმებოდა. ეტყობა, გულით ავადმყოფი ვეცოდებოდი. მერე პატარა ბიჭები დავინახე, ფეხბურთს თამაშობდნენ. ჩვენი უბანი სამი წელია რაც გააშენეს. სულ ახალი სახლები დგას. სახლებს უკან დიდი ტრიალი მინდორია, რამდენიც გინდა ითამაშე.

პატარა ბიჭები ფეხბურთს მაინც ქუჩაში თამაშობენ. ალბათ, ქუჩაში თამაშს თავიანთ ძველ უბნებში დაეჩვივნენ. უცებ ადგილიდან მოვწყდი და ფეხბურთელ ბიჭებს შევერიე:

— ბურთი მოიტა, ბურთი!

ბიჭები ჯერ შეცბნენ, მაგრამ უფროსს უარი ვერ გამიბედეს და ბურთი მომაწოდეს. გავქანდი და ბურთს ფეხი მოვუქნიე, ამიცდა და ძირს გავიშხლართე. ამან მთლად გადამრია: „გაგინარდათ არა, გაგინარდათ არა?“ წამოვხტი. ერთ-ორს ხელიც კი წავკარი,

ბურთი დავისაკუთრე და ოსტატობის ჩვენება დავიწყე:

— ბურთი აქვს მიხეილ მესამე, ატყუა ერთი, მოატყუა მეორე, მესამე, დარტყმა! არის!

მერე ფეხი დამიცდა და ახლა კი ნამდვილად მაგრად დავეცი. გავსრიალდი და იდაყვები გადავიტყავე. ვაბრაზებულმა ცრემლმორეული თვალებით ამოვხედე პატარა ბიჭებს:

— იცინით ხომ?

ბიჭები არ იცინოდნენ, ოღონდ შემკრთალები შემომცქეროდნენ. ხომ არ ვეტყვოდი, თქვენ არ გეუბნებით-მეთქი. ვისაც მივმართავდი, იმათკენ არც კი ვიხედებოდი. ვერ ვიხედებოდი... წამოვდექი და იდაყვებზე დავიხედე. ამ დროს მხარზე ხელის შეხება ვიგრძენი. მოვიხედე, დოდო იყო.

— გეტყინათ? — მკითხა განაზებული ხმით.

„გეტყინა, ბეტყინა“...

ხმა არ გავეცი.

— აგერ ოქანი, დაიბანეთ...

არც ახლა გავეცი ხმა, გავტრიალდი და ოქანისაკენ წავედი.

ხელებს რომ ვიბანდი, ჯუმბერის ხმა შემომესმა:

— ყველა კარგი ფეხბურთელი დაგვიმტვრიეს, წინათ ასე უხეშად არ თამაშობდნენ.

რომ არ მყვარებოდა, უსათუოდ გავარტყამდი. რა მექნა, კარგი ბიჭი იყო. მე და ჯუმბერი სკოლაში ერთ მერხზე ვისხედით. ის ჩვენთან რომელიღაც სკოლიდან მეცხრე კლასში გადმოვიდა. პირველად ცხვირაბზეკილები შევხვდით, როგორც ყველა სათვალეზიან ბიჭს ხვდებიან ხოლმე სკოლაში. ჩვენს კლასში სათვალე მარტო ჯუმბერს ეკეთა. თანაც, მოვიდა თუ არა, გოგონებს მაშინვე მოეწონათ: „რა კარგი ბიჭია!“ ერთი-ორჯერ სათვალე დავუშალეთ, არაფერი უთქვამს, იძულებული გავხდით დაგვებრუნებინა. ხმა რომ ამოელო, არ მივცემდით. მერე უცებ სკოლის კომპაჟმირის კომიტეტის წევ-

რად აირჩიეს. ჩვენი მეგობრობა სწორედ იქიდან დაიწყო. კომიტეტის წევრი გახდა თუ არა, პირველად კომიტეტში მე დამიბარა.

პატარა ოთახში მაგიდას ჩვენი ბიჭები და გოგოები შემოსხდომოდნენ. მაშინვე დავითვალე, ცხრანი იყვნენ. ისეთი ჩაფიქრებული და ჰკვიანი სახეები ჰქონდათ, თითქოს რომელიღაც პიესაში თამაშობდნენ.

— დაჯექით, — მომმართა ქერა გოგომ, მასაც სათვალე ეკეთა. კომიტეტის მდივანი იყო. შორიდან ვიცილობდი — ნატა ერქვა.

დავჯექი. თან უდარდელად ვიღიმებოდი. მინდოდა მეჩვენებინა, ჩემი ნებით ვჯდები-მეთქი.

ქერა გოგომ რვეული გადაშალა, რაღაცა მოძებნა და თავი ასწია:

— საწვევროები გადახდილი აქვს...

— დიახ, — თავი დაუქნიე.

— თქვენ არ გეუბნებით.

— ბოდიში.

— ჯართის მოგროვებაშიც თავი გამოუჩენია.

ხელები გავშალე, ნეტავი რისთვის დამიბარეთ-მეთქი, მაგრამ კიდევ შემაჩერეს:

— მოითმინეთ...

ის გოგო ჩემზე უფროსი იყო, მეტერთმეტეკლასელი.

— ბატონი ბრძანდებით, — ვთქვი მე.

— აქ ბატონები არ არიან, აქ ყველანი ამხანაგები ვართ. — მკაცრად გამისწორა მეშვიდეკლასელმა დათომ. მას თავის ტანთან შეუფერებელი, მეტისმეტად ბოხი ხმა ჰქონდა. ამიტომ საზეიმო სხდომებზე სიტყვებს სულ ის ამბობდა ხოლმე.

„შენ მაინც მოვივლი“, — გავიფიქრე გულში.

— კარგი მოცურავე ყოფილა, პირველი ადგილიც აუღია...

ყველანი რატომღაც დაიძახნენ, მივხვდი, რომ ჩემი ღირსებების ჩამოთვლა წინასწარ ჩაწყობილი ფანდი იყო.

ჯუმბერმა ხელი ასწია:

— შეიძლება?

— თქვით.

— ეს პირველი ადგილი ირემძემს აძლევს თუ არა რაიმე უპირატესობას?

— უსათუოდ, — უპასუხა ჩვენი გომ. — სწავლაშიც პირველი უნდა იყოს...

— შეუძლია თუ არა, გააცდინოს გაკვეთილები?

— მხოლოდ საპატიო მიზეზით.

— შეუძლია თუ არა, არ მოამზადოს რომელიმე საგანი?

— არა, არ შეუძლია.

— შეუძლია თუ არა, მასზე სუსტ ამხანაგს თავში წამოართყვას?

— ეს სირცხვილია, მეტი არაფერი. შეკითხვა კიდევ გაქვთ?

— არა, ეს მინდოდა გამეგო.

— ირემძემ, რას გვეტყვი?

მე თავი მოვასაწყლე, თითქოს ვერაფერს ვხვდებოდი. არა და, რასაც ამბობდნენ, ყველაფერი მართალი იყო. ცოტას ღირექტორიც მანებივრებდა. ასეთი კარგი სპორტსმენი ვესახელებოდი, — მასწავლებლებიც ცოტას ხელს მაფარებდნენ, ცოტას მე თვითონ ვზარმაცობდი, ცოტაც...

— „ოხ, დედაჩემი...“, — ვთქვი მე და გავიღმე.

— რა? — ყველანი სკამებზე წამოიწვივნენ.

— მართალი ხართ, — დავუმატე სასწრაფოდ, — ვიფიქრებ... გამოვსწორდები.

ოთახიდან რომ გამოვედი, ჯუმბერთან მივედი. მინდოდა რამე მწარე მეთქვა, მაგრამ რატომღაც ვერაფერი ვუთხარი. სამაგიეროდ ჯუმბერმა გამიღიმა და მითხრა:

— გია, გინდა მეგობრები ვიყოთ?

და ხელი გამომიწორდა, მეც ავღექი და ჩამოვართვი.

მანამდე წინ იჯდა, მასწავლებლის მაგიდის ახლოს. იმ დღის მერე ჩემთან გადმოჯდა. სიმართლე რომ გითხრათ, სკოლაში სულ მის მიერ გამოყვანილი ამოცანებით გავდიოდი იოლას.

ხელები დავიბანე და ცხვირსახოცით გავიმშრალე. თან ვიღიმებოდი, ვითომ არაფერიც არ მომხდარიყოს.

— ახლა წავიდეთ, — თქვა ნოდარმა.

— სად წავიდეთ? არ იტყვიო?

— ბალში წავიდეთ, დოდოს ბალში გასეირნება უნდა...

— კარუსელზე მინდა დავჯდე. — თქვა დოდომ ღიმილით.

— ბალში მერე წავიდეთ, — ვთქვი მე, — ჯერ ზოოპარკში შევიაროთ...

— ზოოპარკში რა გვინდა, ბავშვები ხომ არა ვართ? — გაუკვირდა ნოდარს.

— შენ გგონია, ზოოპარკში მარტო ბავშვები დადიან? — ვკითხე მე და შუბლი შევიკუმუნე, თითქოს მინდოდა მენიშნებინა, დაუფიქრდი, რა სისულელეს ამბობ-მეთქი.

ნოდარი დაიბნა:

— მარტო ბავშვები არ დადიან...

დაბნევა რომ შევატყვე, აღარ მოვეშვი:

— მაშ, ზოოპარკში დიდი არავინ გინახავს?

— როგორ არ მინახავს...

— ან იქნებ გგონია, რომ ზოოპარკი გაკვეთილების გამცდენი მოწაფეებისათვის არის გახსნილი?

— კარგი, გეყოფა, — გაეცინა ჯუმბერს, — რას გადაეკიდე?

— ჯერ ზოოპარკში წავიდეთ, — თქვა დოდომ, — დიდიხანია არ ვყოფილვარ...

მე ისევ ნოდარს მივუბრუნდი:

— ხელავ?

ეს კი შემდეგს ნიშნავდა: „ხომ ხელავ, გოგოც კი შენზე ჰკვიანია...“

ნოდარი მიხვდა:

— წავიდეთ რა, — ჩაიბურტყუნა.

ზოოპარკში წასვლა ამხანაგებს განგებ შევთავაზე. სიცილით დავწყვიტავ-მეთქი, — ვიფიქრე. იქ იმდენჯერ ვყოფილვარ, რომ თითქმის ყველა მხეცი მიცნობდა. ერთხელ ჩემმა დამ ორ-აზროვნადაც კი მითხრა: არა, ნამდვილად არ მიკვიროს... თანაც მხეცების მომვლელი ქალი — დეიდა ზინა, ჩვენი მეზობელი იყო. მისი წყალობით ზოგ მხეცს ისე შევაჩვიე თავი, რომ გალიაშიც კი მიშვებდნენ. დეიდა ზინა ბეითალი იყო. რაღაც დისერტაციას სწერდა და ზოოპარკში მხეცებს აკვირდებოდა.

— ოღონდ შაქარი მჭირდება, ვთქვი მე.

— რა? — ჩამეკითხნენ ბიჭები.

— შაქარი მჭირდება-მეთქი...

— შაქარი რად გინდა?

— ნახავთ...

სულელები! გალიაში უშაქროდ რომელი მხეცი შეგიშვებს? ნუთუ არ იციან, ქრთამი რომ ჯოჯოხეთს ანათებს?

ცოტა მწყინდა, დოდოს რომ არაფერი უკვირდა. ბიჭები პირდაღებულნი სულ რატომ, რატომს იძახდნენ, ის კი ხმას არ იღებდა.

— შაქარი გასტრონომში ვიყიდოთ, — თქვა ჯუმბერმა.

ჯუმბერი გაჭირვების ტალკვესი იყო.

— აქ გასტრონომი სად არის? — იკითხა ნოდარმა.

— გასტრონომი აქვეა, თერთმეტ-სართულიან სახლში...

— აბა, წავიდეთ და ვიყიდოთ...

ხელები ჯიბეებში ჩავიწყვე და ამხანაგებს წინ გავუძეხი. უკვე წინასწარ ვხედავდი ჩემი ამხანაგების გაოცებულ სახეებს, გალიაში რომ დამინახავდნენ. ახლაც სჯობია გამოვტყდე, გალიაში მარტო მაიმუნები მიშვებდნენ. ბავშვობიდან ვიყავი შეჩვეული მათთან თამაშს. ჩემი მისვლა უხაროდათ. თითქოს იმ საცოდავებს რამეს ვუკეთებდი. ჰო, კიდევ სპილოსთანაც ვხედავდი შესვლას. სპილოს სამყოფელს გალიას ვერ დაუძახებდი. იგი გადაჭრილი რელსებით იყო შემოღობილი. რელსებს გრძელი რკინები ჰქონდა გაყრილი. ასე რომ, საწყალი სპილო იქიდან ვერაფრით ვერ გამოვიდოდა. ხანდახან ღობეში ხორთუმს გამოყოფდა, დაბლა ჩამოუშვებდა და ბრმა რომ მიწაზე ჯოხს აფათურებს, ისე აფათურებდა. თან შემოჩერებულ მნახველებს ათვალიერებდა. ისე დაჩინებული უცქერდა, თითქოს სამაგიეროს უხდიდა, თქვენც კარგი სანახავი ხართო. ერთხელ ჩაბნელებული ზოოპარკი დამესიზმრა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. მხოლოდ სპილოს სამყოფელი იყო განათებული

თამაზ ჭილაძე

პირველი დღე

ცირკის ასპარეზივით. სინათლის წრეში სპილო იდგა, თავი მაღლა აეწია და დიდ, ყვითელ მთვარეს უყურებდა. მე ლობზე ვიჯექი და ვტიროდი. მერე მამამ გამაღვიძა, რა ვატირებდო? — მკითხა. შემერცხვა და საბანი თავზე წავიხურე.

უცებ დოდოსა და ჯუმბერის საუბარს მოვკარი ყური:

— თანამედროვე არქიტექტურა მეტად ეკონომიურია, — ამბობდა ჯუმბერი.

მერე კიდევ რაღაცა თქვეს. მერე ჯუმბერმა სხაპასუხით ჩამოთვალა:

— რაიტი, კორბუზიე, მის ვან დერ როე...

— ვინ? — ჩავერეიე საუბარში.

— მის ვან დერ როე, — ჯუმბერმა არც კი შემხედა, ისე მიპასუხა.

— აჰა, — ვთქვი მე, თითქოს მარტო მის ვან დერ როე არ ვიცოდი, ვინ იყო.

— იმ დღეს ალბომში რაიტის მიერ ჩანჩქერზე აგებული სახლის სურათი ვნახე. არ გინდათ, ისეთ სახლში ცხოვრობდეთ?

— არა, — ვთქვი მე, თუმცა მე არავინ მეკითხებოდა.

გაკვირვებულემა შემხედეს.

— არა, არ მინდა, — გავიმეორე.

— არ უნდა და რა ქნას, — თქვა ნოდარმა, ისიც, ეტყობა, დოდოსა და ჯუმბერის ასეთი განსწავლულობით გაღიზიანებული იყო.

ამასობაში გასტრონომამდეც მივედი.

— თქვენ აქ დამიცადეთ, — ვთქვი, — შაქარს მე ვიყიდი...

— ჩვენც შემოვალთ, — თქვა დოდომ.

რომელი გოგო გაჩერდება ისეთი ცდუნების წინ, მაღაზია რომ ჰქვია!

— ახლა გამახსენდა, — თქვა ჯუმბერმა. — რადიოს სახლი პარიზში!

— მართალია, — დოდოს თვალეზი გაუბრწყინდა. — როგორ დამავიწყდა!

რატომ არის, გოგოებმა ყოველთვის ამდენი რამე რომ იციან? მუსიკაზე, არქიტექტურაზე და მხატვრობაზე ისე ლაპარაკობენ, ვითომ არაფერი. „დაა-

ვიწყდა... ღმერთო ჩემო, როგორ დაავიწყდა?“

მაღაზიაში შევედი და პირდაპირ დახლს მივაშურეთ.

— ამიწონეთ ხუთი ნატეხი შაქარი, — ვუთხარი გამყიდველს.

გამყიდველი გაწირბული, შავგვრემანი გოგო იყო.

— ხუთი ნატეხი?

— დიახ, ხუთი...

გამყიდველმა გაიცინა:

— რა ამბავია?!

სიცილში არ ავყევი და ცივი ხმით ვუთხარი:

— გთხოვთ, ამიწონოთ ხუთი ნატეხი შაქარი...

გამყიდველმა ხუთი ნატეხი შაქარი მინაზე დადო თითო-თითოდ, ხმაურით;

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... აჰა, წაიღეთ.

— რამდენი მოგართვათ? — ვკითხე მე.

— ნეტავ რად გინდათ ხუთი ნატეხი შაქარი? — გამებრანჭა.

— ჩემი თავის დაბადების დღეა, — ვუთხარი ისევ ცივად, — რამდენი მოგართვათ?

— თქვენ თავს უთხარი, ნაზიკომ გამოგიგზავნა-თქო...

— მითხარი, რა ღირს, თორემ არ წავიღებ, — გავჯიუტდი მე.

— ხუთი კაპიკი, — მიპასუხა ნაზიკომ.

ჯიბიდან ხუთი თითო კაპიკიანი ამოვიღე და დახლის მინაზე ხმაურით დავუთვალე:

— ერთი... ორი... სამი... ოთხი... ხუთი...

— რა კარგი ხმა აქვს! — გაიღიმა ნაზიკომ.

— პლატინაა! — ვუპასუხე და გამოვტრიალდი.

— მაგარი ვაჭრობა კი გცოდნია, — მითხრა ნოდარმა.

— ისე რა...

მაღაზიიდან რომ გამოვედი, დოდომ მითხრა:

— ერთი ნატეხი შაქარი მომეცით.

გაოცებისგან პირი დავაღე, ისე მთხოვა, ვითომ არაფერი.

მივეცი. მაშინვე პირში ჩაიღო და გამიღიმა.

— ერთიც მე მომეცი, — მთხოვა ნოდარმა.

იმასაც მივეცი.

ჯუმბერს შაქარი პეშვით გავუწოდე, ბარემ შენც აიღე, მაიმუნები აქ მყოლობხართ-მეთქი.

ორი ნატეხი-ლა დამრჩა.

ზოობარკის ბილეთების სალაროსთან პატარა რიგი იდგა. რიგში ნოდარი ჩავაყენეთ. რიგში ყოველთვის ნოდარი დგას ხოლმე. სტადიონზე, კინოში, თეატრში რიგში ჩადგომას ვერავინ დაასწრებს. არ გეგონოთ, რიგში დგომა უყვარდეს, განგებ შერება: შემომხედეთ, რა კარგი ბიჭი ვარო!

ზოობარკში ძიძებისა და ჯარისკაცების მეტი თითქმის არავინ არ იყო. ძიძები სკამებზე ისხდნენ და იქვე, სილაში მოთამაშე ბავშვებს უყურებდნენ. ჯარისკაცები ბალის იმ მხარეს სეირნობდნენ, სადაც ძიძები ეგულებოდათ. სკამების წინ მიწა სულ მზესუმზირას ჩენჩოთი იყო მოფენილი. ერთი ჯარისკაცი უკვე სკამზე იჯდა, ფეხი ფეხზე გადაედო და ხელში ჩვილი ბავშვი ეჭირა. უნდა გენახათ, რა ტყბილად უმღეროდა!

ჯერ ლომების გალიებისკენ ჩავიარეთ. ლომები თვალდახუჭულები იწვნენ. ვიცოდი, რომ არ ეძინათ, თავს იმძინარებდნენ. ამხანაგებს ჩურჩულით ვუთხარი:

— აგე, იმ ლომს ხედავთ, გალიაში მარტო რომ წევს?

ჩურჩულმა ამხანაგებზე იმოქმედა, ოდნავ შემკრთალებმა თავი დამიქნიეს.

— ეგ არის ყველაზე დიდი ლომი მსოფლიოში...

ნოდარმა მაშინვე დაიჯერა. დოდოსა და ჯუმბერის კი რა მოგახსენოთ.

— რა ჰქვია? — მკითხა ნოდარმა.

ლომის ნახვას ისე რა გემო აქვს, თუ სახელი არ იცი.

— ბახვა, — ვუპასუხე ჩურჩულით.

— ეგ არის ყველაზე დიდი ბახვა მსოფლიოში, — წაიჩურჩულა ჯუმბერმაც.

დავინახე, დოდომ გაიღიმა: „რა კარგი ბიჭია!“

— არა გჯერათ?

არაფერი მიპასუხეს.

მოაჯირს გადავეყუდე და ხმადაბლა დავიძახე:

— ბახვა, ბახვა!

ჩემდა ბედად ლომმა თვალი გაახილა.

— აჰა...

— კიდედ დაუძახე, — მთხოვა ნოდარმა.

— მეტი არ შეიძლება, ეძინება...

— მიღება დამთავრებულია, წავიდეთ, — თქვა ჯუმბერმა.

თუმცა ლომების გალიებს კარგა მანძილით მოვშორდით, მაინც რატომღაც ჩურჩულით ვლაპარაკობდით.

— ეგ აფრიკიდან ჩამოყვანილი ლომია, — ვთქვი მე.

— აბა, პარიზიდან ხომ არ იქნება, — გაიღიმა ჯუმბერმა.

ნოდარმა წყენით შეხედა, რა დროს ხუმრობაო.

— ძალიან ლამაზია, — თქვა დოდომ.

— ახლა ამ ბილიკს ჩავეუყვით, — ვთქვი მე.

— რა ჩურჩულით ვლაპარაკობთ? — თქვა დოდომ.

— მართლაც, — და ნოდარმა ხმამაღლა გაიცინა. — შეგვეშინდა...

რკინის მავთულგზებზე გარეულ ტახებს მოედოთ დრუნჩები, ჯაგარზე ტახები ჰქონდათ შემხმარი, მბზინავი თვლებით გვიყურებდნენ.

— რას ფიქრობენ, თუ იცა? — ვკითხე ნოდარს.

— ერთი თქვენი თავი შემახვედრა ალაზნის ჭალაში, მეტი არაფერი მინდაო, — მიპასუხა ნოდარის მაგივრად ჯუმბერმა.

— რამოდენეზია?! — გაიკვირვა დოდომ.

— ესენი არიან ყველაზე დიდი გარეული ღორები მსოფლიოში, — თქვა ჯუმბერმა.

— „უჰ, შენი...“

თამაზ ჭილაძე
პირველი დღე

— შარშან მამაჩემმა ერთი ამოდენა ტახი ჩამოიყვანა მოკლული, — თქვა ნოდარმა.

— ალბათ, ასპირანტებმა მოუკლეს, — უთხრა ღიმილით ჯუმბერმა.

ნოდარის მამა პროფესორი იყო.

— ასპირანტებმა კი არა, თვითონ მოკლა, — ვერ მიხვდა ხუმრობას ნოდარი — იცი, რა კარგად ისვრის...

— თქვენ თუ ისვრით რომელში? — გკვირთხა დოდომ.

ჩემდაუნებურად წამომცდა, მე ვისერი კარგად-მეთქი.

დოდომ ტაში შემოჰკრა:

— წავიდეთ რა ტირში!

— ტირში უსათუოდ წავიდეთ, — ვთქვი მე, — ჯერ ამას შენედეთ!

ჩვენ წინ სპილო იდგა, ხორთუმჩამოშვებული და ჩაფიქრებული. ღობესთან მივირბინე, შემოგტრიალდი, ხელეები მალლა ავწიე და დავიძახე:

— იცნობდეთ, ეს არის უმძიმესი და უტკვიანესი სპილო — სოლომონი!

ამხანაგები ახლოს მოვიდნენ და ისინიც ღობესთან შეჩერდნენ. სპილო სულ სხვა იყო, ჯუმბერმაც კი ვერ იხუმრა.

ღობეზე ავცოცდი და რელსზე ჩამოვჯექი. ჯიბიდან შაქრის ნატეხი ამოვიღე და ვთქვი:

— სოლომონ, სოლომონ, შაქარი მოგართვი... — და იქით მხარეს ჩაცოცება დავიწყე.

— გია, რას შერებთ? — მომესმა დოდოს ხმა. გულზე თითქოს ცხელმა ტალღამ გადამიარა. ახლა უკვე აღარაფერს შეეძლო ჩემი გაჩერება. ზოოპარკის დარაჯს რომ დავენახე, კარგი მიტყებოდა ზედ მქონდა.

სპილოსთან ახლოს მივედი, ცოტა მეშინოდა. მაგრამ შიშს არაფრად ვაგდედი, ისევ დოდოს ხმა მესმოდა:

— გია, გია...

— სოლომონ, შაქარი მოგართვი, სოლომონ.

წინათაც ბევრჯერ გადავმძვრალვარ. სპილოც შეჩვეული იყო. ბიჭები შაქარს აჭმევდნენ ხოლმე.

შაქრის ნატეხი რომ მეჭირა, ის ხელი წინ მქონდა გაშვერილი. სოლომონი

ჯერ არავითარ ყურადღებას არ მამჩვენებდა. ოღონდ პატარა თვალეებს არ მაიცილებდა. საკვირველია, თვალეები აქვთ სპილოებს. ახლოს რომ მივედი, უცებ ხორთუმი მალლა ასწია და პირი დააღო. შაქრის ნატეხი მაშინვე პირში ჩაუღღე. სპილომ პირი უცებ დახურა, თითქოს შეეშინდა, არ გადამეფიქრებინა. მერე ერთ ადგილას დატრიალდა. წინათაც ასე აკეთებდა, შაქარს რომ ვაჭმევდით ხოლმე.

— გაუხარდა, ნახე, გაუხარდა, — დაიძახა ნოდარმა.

— მე კი მეგონა, ერთ ციციქნა შაქარს გემოსაც კი ვერ გაუგებდა, — თქვა დოდომ.

— სიხარულისთვის ერთი ნატეხი შაქარიც კმარა, მწუხარებისათვის კი — ერთი წვეთი შხამი, — ვთქვი მე და გავწითლდი, თითქოს ეს სიტყვები მე კი არ ვთქვი, არამედ ჩემზე უფროსმა და გამოცდილმა კაცმა ჩემი სულის სიღრმიდან ამოიძახა. ვიგრძენი, ჩემმა სიტყვებმა ამხანაგებიც რომ შეაკრთო. თავჩალუნული ღობისაკენ წამოვედი, ღობეზე ავცოცდი და იმ სიმალიდან ჩამოვხტი. უცებ საოცარი სიმარტოვე ვიგრძენი, თითქოს მე ჩემს ამხანაგებზე უფროსი ვიყავი და მათ ჩემი არ ესმოდათ. „სიხარული“ და „მწუხარება“, — ეს სიტყვებიც თითქოს პირველად ვთქვი. შეიძლება სწორედ ამ სიტყვებმა მაგრძნობინეს ასეთი სიმარტოვე. გუშინ ჩვენი სახლის შემოსასვლელში ასეთი სცენის მოწმე გავხდი: კიბეებთან ქალი და კაცი იდგა. ქალს ვიცნობდი, იგი ჩვენს სახლში მესუთე სართულზე ცხოვრობდა. კაცი კი ნამდვილად დებეშების დამტარებელი იყო. ჩია, მელოტი, ხანშიშესული. ისინი ერთმანეთს შეჩერებოდნენ. ქალი ტიროდა, კაცსაც დაპაღუბით ჩამოსდიოდა ცრემლები. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ტიროდა, მიხვდები, რომ მათ საკუთარი სიხარული თუ ტკივილი ატირებდათ. ქალადლის პატარა ნაგლეჯსაც სიმარტოვის საბუთივით ჩაფრენოდა ორივე. კიდევ ერთ ამბავს მოგიყვებით: შარშან ზღვაზე ვიყავი, ერთხელ, საღამოხანს

გავედი ზღვისპირას. ცა თითქოს სისხლისგან იწრიტებოდა. ნაპირს გავუყვევი და უცებ გადმობრუნებული, ძველი ნავი დავინახე. ნავი სილაში ეგდო. ხავს-მოდებული, მარილს შეეკაშა. ნავზე მოხუცი კაცი იჯდა. მის შიშველ ფეხებს ტალღა ეთამაშებოდა, თუმცა ვერ კი წვდებოდა. კაცი წელზევით შიშველი იყო. ტანზე წითელი ფერი დასდებოდა. თავჩალუნული იჯდა და ზურგზე გახეულ ხალათს აკერებდა. არ ვიცი, რა დამემართა, რატომ შემეშინდა. იქნებ იმიტომ, რომ კაცი ასე მარტო იყო, ამ უზარმაზარ, წითელ ცასა და ზღვას შუა მოქცეული. ყველაფერი ეს რომ გამახსენდა, უცნაური რამ მოხდა, თითქოს უცებ დავკაციდი, ჩემი საკუთარი სხეულის შიგნით, თითქოს კიბის ერთ საფეხურზე ავედი. ავედი და რასაც აქამდე ვაკეთებდი, ზემოდან გადმოვხედე. თავჩალუნული მივუახლოვდი ამხანაგებს.

— ერთი წვეთი შხამი... როგორ მომეწონა! — თქვა დოდომ.

ჩემი ამხანაგები ნირწამხდრები იდგნენ, ეტყობა, ჩემგან ასეთ სიტყვებს არ მოელოდნენ. მეც მათთან დამნაშავესავით ვგრძნობდი თავს, იმიტომ რომ უცებ აძლენ რამეს მივხვდი, ასე გავასწარი.

— თითქოს ლექსი იყო, — თქვა ისევ დოდომ.

იქვე, სკამზე ჩამოვსხედით. ასეთი დანადგლიანებული არასოდეს ვყოფილვარ. ყველანი მიყვარდა: დოდო, ნოდარი, ჯუმბერი, სპილო, ლომები, ჭადრის ხეებიც. მიყვარდა და მეცოდებოდა კიდევ. რატომ მეცოდებოდა, არ ვიცი. ათი წუთის წინ რომ მოგეკალით, ლექსს რა მათქმევინებდა! ახლა კი ჩემდაუნებურად ხმადაბლა დავიწყე: „გავონდება თუ არა, კარად-კითხის დღეები...“ ჩემს სიცოცხლეში ძალდაუტანებლად მეორედ ვკითხულობდი ლექსს. პირველად სასაფლაოზე წავიკითხე, როცა ჩვენს მასწავლებელს ვასაფლავებდით, დეიდა ბაბოს. კუბო საფლავის პირას ესვენა. არავინ ტიროდა. მასწავლებელს მარტო ერთი შვილი ჰყავდა,

მაღალი, ჭადრაგარეული, პირხმეული კაცი. ის იყო მისი ჭირისუფალი შვილი ტიროდა. ხელები გულზე დაკეტილი იყო და ყბა უცახცახებდა. მერე სკოლის დირექტორმა სიტყვა თქვა. მერე გეოგრაფიის მასწავლებელმა დაიტირა: ჩვენო ძვირფასო ბაბო, ჩვენი მასწავლებელიც იყავით. მერე დეპეშების კითხვა დაიწყეს. მე ვიდექი და მასწავლებლის დამქკნარ, ფერდაკარგულ სახეს დავყურებდი. პირისახე თითქოს თაბაშირისგან ჩამოვსხათ. თმა კიდევ უფრო გათეთრებოდა. სახისა და თმის ფერი თითქმის ერთნაირი ჰქონდა. ყველაფერი მახსოვდა: მისი ხმაც, სიარულიც, გამოხედვაც. ისიც მახსოვდა, უკანასკნელად ლექსი რომ არ ვიცოდი და ორიანი დამიწერა. — ირემადე, — ამოიკითხა ჟურნალში ჩემი გვარი და სათვალეს ზემოდან გადმომხედა. მე ნელა ავდექი.

— გისმენთ, პატივცემულო...

— გაკვეთილი იცი?

— ვიცი, პატივცემულო, — იქნებ სიტყვაზე დამიჯეროს-მეთქი.

— აბა, გამოდი...

ცხელოდა, ხელებზე მიწისა და ფოთლების სუნის ამლიოდა, რადგან მთელი გზა გვირგვინი ვატარე.

ავდექი და გავედი. რას ვიზამდი.

— დაიწყე, რას უციდი?

მეც ხმადაბლა დავიწყე.

მასწავლებლის შვილმა თავი ასწია და დამაკვირდა.

წავბორძიკდი და გავჩერდი. მასწავლებელმა მიკარნახა. გავაგრძელე. ისევ დამავიწყდა, მასწავლებელმა ისევ მიკარნახა... მერე ვიგრძენი, ვილაცამ სახელოზე ხელი მომიკიდა, არც კი მივახედე, ხელი ისე გავაშვებინე... მასწავლებელს შევხვდე, მიღიმოდა. სრულიადაც არ ბრაზობდა, როგორც წინათ იცოდა ხოლმე. გავთამამდი და კითხვა გავაგრძელე. ის ლექსი მარტო ერთხელ მქონდა წაკითხული, საკვირველია, როგორ დამხსომებია! უცებ გამოვფხიზლდი. საფლავის ირგვლივ საოცარი სითამაზე ჰქონდა

პირველი დღე

ჩუმე ჩამოვარდნილიყო. მე ვიდექი და ლექსს ვკითხულობდი. მასწავლებელს ტუჩებზე ღიმილი შერჩენოდა. ღიმილს თაბაშირის თეთრ სიცივეშიაც კი გამოეყონა. მეგონა თოკზე გავდიოდი და ხალხი მიყურებდა. კითხვა რომ დავამთავრე, ხალხი გამოვარდნით და გამოვიქეცი. თვალი მოგკარი, ზოგი ჩემს დანახვაზე მხრებს იჩეჩავდა.

მეორედ ახლა ვკითხულობდი ლექსს, ასევე ჩემი სურვილით: „გაგონდება თუ არა კარალეთის დღეები...“ ვამბობდი ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულოდ და მიწას ჩავცქეროდი. მერე მივხვდი, თურმე ჭიანჭველას ვადევნებდი თვალს. იგი მტვერში მიცოცავდა და თან მხესუმზირის ჩენჩოს მიათრევდა.

ლექსის კითხვა რომ დავამთავრე, ნოდარმა მკითხა:

— გია, რა მოგივიდა?

— არაფერი, — მე თავი ავწიე, — არაფერი.

— ერთი ნატეხი შაქარი კიდევ დაგრჩა, — მითხრა ჯუმბერმა, — ის რილასთვის გინდა?

— ჰოო, — გავაგრძელე მე, — დამრჩა... წავიდეთ.

წამოვდექით და წავედით.

ყველაფრის ხალისი დამეკარგა. ხანდახან შეპარვით დოდოს გავხედავდი ხოლმე. დოდო თავისთვის იღიმებოდა. მე რომ შემომხედავდა, თითქოს მის თვალგზს მზის ჭავლი გასდიოდა.

ბედზე დეიდა ზინა სადაც მეგულეობდა, იქ დამხვდა.

— გამარჯობათ, დეიდა ზინა...

— გამარჯობათ, გია...

— ესენი ჩემი ამხანაგები არიან, დეიდა ზინა...

დეიდა ზინამ ყველას ხელი ჩამოართვა.

— მათ არ სჯერათ, რომ მე ჯოტოსთან შესვლა შემიძლია, — ვუთხარი დეიდა ზინას.

დეიდა ზინამ გაიღიმა:

— რატომ არ სჯერათ?

— რა ვიცი...

— ჯოტო გიას დიდი ხანია შეეჩვივა. — უთხრა დეიდა ზინამ ჩემს ამხანაგებს, — ისინი მეგობრები არიან...

ჯოტო პატარა მაიმუნს ერქვა, რომლის გალიის წინაც ახლა ვიდექი.

— შევიდე, დეიდა ზინა?

— შედი...

დეიდა ზინამ გალიის კარი გააღო, მე თავი დავღუნე და შევივერი.

— გამარჯობა, ჯოტო, — ვუთხარი მაიმუნს და შაქრის ნატეხი გავუწოდე. ჯოტომ შაქრის ნატეხი პირისკენ გააქანა, ახლოს მივედი და გვერდით ჩამოვუჯექი.

— მოკლავს, — მომესმა ნოდარის ხმა, — ნახე, რა მკლავები აქვს...

— არ მოკლავს, — გაიცინა დეიდა ზინამ, — მე და გიას არ გვერჩის...

სიგარეტი ამოვიღე, მოვუვიდე და ჯოტოს გავუწოდე. ჯოტომ სიგარეტი არ გამომართვა. მხარზე ხელი დამადო და გვერდზე გაიხედა. ჯოტო ცუდ ხასიათზე იყო.

— ჯოტო, რა მოგივიდა? — გავაჯავრე ნოდარის ხმას.

— არაფერი, არაფერი, — ვთქვი ისეთივე კილოთი, როგორიცაა წელან ნოდარს ვუბასუხე.

ჯოტომ ისეთი სევდიანი თვლებით შემომხედა, კინალამ გული ჩამწყდა. სულ ამას ვფიქრობ, რატომ აქვთ მხეცებს ასეთი სევდიანი თვლები.

— აი, რას მოესწარი, როგორი შთამომავალი გყავს, — ვუთხარი ჯოტოს. ბიჭები სიცილით იგულდებოდნენ.

— არავის არ უყვარს, — განვაგრძე მე.

დოდოს შევხედე, დოდო არ იცინოდა, ფართოდ გახელილი თვლებით მიყურებდა და თითქოს რასაც ვფიქრობდი, ესმოდა. ბიჭები იცინოდნენ:

— გამოცხადებული მაიმუნია ეს უღმერთო.

— დედა, მოვკვდი, მეტი აღარ შემიძლია.

მე კი დოდოს თვალს აღარ ვაშორებდი და ვამბობდი:

— სულ არავის არ უყვარს, ჯოტო, სულ არავის...

ჩემს სიტყვებზე მე თვითონ გული ამომიჯდა, მეგონა, ყველანი წავიდოდნენ და მე აქ, ჯოტოსთან ერთად დავრ-

ჩებოდი, მაიმუნის უაზრო სევდის ანაბარა.

— იქნებ ვინმე ვიყვარს, ჯოტო, თქვი, ნუ გეშინია.

— გაი, გეყოფა, — მომესმა დეიდა ზინას ხმა, — გამოდი.

— გეყოფა მაიმუნობა, — დამიძახა ჯუმბერმაც.

შევხედე, დოდოსაც ცრემლი მოსდგომოდა. ცრემლს მისი თვალები ღრუბელივით გაეჟღინთა და გაედიდებინა.

— გამოდი, გაი.

ნუთუ დეიდა ზინაც მიმიხვდა?

გალიიდან რომ გამოვდიოდი, დოდომ

ხელი გამომიწოდა, ალბათ, მოხმარებულხაროდა. კინაღამ ხელზე ვაკოცე. მეც ვიყავი მეკოცნა მაინც. ყველა ხუმრობას ჩამომართმევდა და ჩემს გაწითლებას აღარ შეამჩნევდა. ნოდარმა გვერდზე გამიყვანა:

— გაი, დოდო...

ვიგრძენი, ცუდი რამის თქმას აბი-რებდა, აღარ მოვუსმინე, წამოვედი და დეიდა ზინასთან მივედი:

— გამდლობთ, დეიდა ზინა...

აქანაგებმაც მადლობა გადაუხადეს, დოდო მივიდა და ლოყაზე აკოცა.

2. კარუსელი

მაგიდიდან თოფი უსინათლოსავით ხელის ფათურით ავიღე, გადავხსენი და ლულაში ფუნჯი ჩავდე.

— გაი კარგად ისვრის, — თქვა ჯუმბერმა, — გაი ყველაზე კარგად ისვრის.

თოკზე ჩამოკიდებულ რეზინის ბატს დავეშინე. ვისროლე, არც შემიხედია, მოვარტყი თუ არა.

— არის! — თქვა ნოდარმა.

— ხომ ვთქვი...

— ახლა კურდღელს ესროლე, — მიაჩხრა დოდომ.

„ერთი საწყალი ყურცქვიტა...“ მგონი, რომელიღაც ლექსი იწყებოდა ასე.

— არის! — თქვა ისევ ნოდარმა.

— მე კი ვერც ერთს ვერ მოვარტყი, — თქვა დოდომ.

— აბა, ამ თოფით სცადეთ, — ვუთხარი დოდოს და თოფი გავუცვალე. დოდომ თოფი გამომართვა, ლულა ვერაფრით გადახსნა, მივენმარე.

— გამდლობთ, — მითხრა დოდომ.

თვალი ავარიდე.

— მასწავლეთ, როგორ უმიზნებთ, — მითხრა დოდომ.

ახლოს მივედი, მკლავი დავუჭირე:

— კონდახი მაგრად მიიდეთ მხარზე, უფრო მაგრად, ჩახმახს რომ გამოსწევთ, არ ისუნთქოთ...

მისი თმა ლოყაზე მეხებოდა, თავბრუს მახვევდა. გრილი მკლავი ჰქონდა. ისეთი ნაზი და უმწეო მომეჩვენა, შე-

საძლებელი რომ ყოფილიყო. სულ არ გავუშვებდი ხელს.

— ისროლეთ...

— ავაცდინე, — დოდომ გაიცინა. მისი სიცილიც თავბრუდამხვევი იყო.

— ქალიშვილო, ცოტა მალლა და მარცხნივ დაუჭირეთ, — უთხრა ტირის გამგემ.

— არ შემიძლია, — დოდო იცინოდა. — არ შემიძლია...

ნოდარმა ყურში ჩამჩურჩულა:

— ხელი გაუშვი...

მე ისე უცებ გავუშვი ხელი, რომ დოდო შეკრთა, მაგრამ არ შემოუხედავს. გარეთ გავედი, კართან გავჩერდი და სიგარეტს მოვუკიდე. გზაზე დანაყილი აგური იყო მოყრილი. ჰადრები მზეს დაბლა არ უშვებდნენ. გახურებული, ოქროსფერი თავები მალლა აეწიათ და გარინდებულლებივით იღგნენ. მერე ჩემი თავი დავინახე ამ გზაზე მიმავალი. თითქოს სიზმარი იყო და ჩემს თავს შორიდან ვუყურებდი. ხელში თოფი მეჭირა და ტოტებზე ჩამოკიდებულ შუშის სათამაშოებს ვესროდი. სათამაშოები სმაურით ტყდებოდა და მათი ბრჭყვიალა ნამსხვრევები თავზე მეყრებოდა. ასე მეგონა, გზაფხულის ბრჭყვიალა წვიმა მოდიოდა. მერე ხის კიბეზე ავედი და კარზე დავაკაკუნე.

თამაზ ჭილაძე

პირველი დღე



კარი მოხუცმა კაცმა გამოიღო. მოხუცი ჩემი ამხანაგის სალომეს პაპა იყო. — სალომე გელოდებდა, — მითხრა პაპა ანდუყაფარმა.

პოლიომიელიტის მერე სალომე ლოგინიდან აღარ ამდგარა. აგერ უკვე ორი წელიწადი ხდებოდა, რაც ის გარეთ არ გამოსულა.

სალომე ფანჯარასთან ახლოს იწვა, ოქროსფერი თმა ბალიშზე გაეშალა, დიდი, ლურჯი თვალებით მიყურებდა. მივედი და საწოლთან, სკამზე ჩამოვჯექი. მაშინ პატარა ვიყავი, მეექვსე კლასში ვსწავლობდი.

— გია, — თქვა სალომემ და თეთრი, სიფრიფანა ხელი ხელზე დამადო.

მე ტირილი დავიწყე, ასე ვტიროდი მუდამ, როცა სალომესთან მივიდოდი. სალომე იღიმებოდა, თითქოს უხაროდა, რომ ვტიროდი.

— გია, — მითხრა სალომემ, — წვიმა მოდის...

ჰო-მეთქი, — თავი დავუქნიე...

— რა რიცხვია დღეს? — მკითხა სალომემ.

— თექვსმეტი მაისია, — ვუთხარა მე.

— მზე პირს იბანს, — თქვა ჩუმიად სალომემ.

შხაპუნა წვიმა მოდიოდა. ფანჯარაზე ფარდები ისე ირხეოდნენ, თითქოს წვიმას სახლში ეპატიყებოდნენ.

— ლამაზად წვიმს, გია?

— ძალიან ლამაზად, სალომე... ტოტებზე თითქოს შუშის სათამაშოები ჰკიდა, შენ თოფს ესვრი და მათი ბრწყვილა ნამსხვრევები თავზე გეყარება.

არ ვიცი, ეს რატომ გამახსენდა. დოლო სალომეს სრულიად არ ჰგავდა. მას ჩამოქნილი, ლამაზი ფეხები ჰქონდა და სოფლელი გოგოს სითამამით დადიოდა. მერე სალომე მოკვდა. ისე უეცრად გაქრა, თითქოს ამქვეყნად სტუმრად იყო მოსული. ახლაც არ მჯერა, რომ ის უკუიის სასაფლაოზე, კვიპაროსის ძირას ასვენია. თითქოს ისეთივე სიზმარი იყო, როგორსაც მერე თითქმის ყოველდამე ვხედავდი.

— „დღეს რა დღეა, გია?“

— „თექვსმეტი მაისია, სალომე იქნებ სასწაული მოხდა, იქნებ სიზმარი ამხნდა და დოდო სახეშეცვლილი სალომეა, თამამი და მხიარული სალომე?“

— დოდომ ბატს მოახვედრა, — მითხრა ჯუმბერმა და მხარზე ხელი დამადო. — რაზე ფიქრობ?

— არაფერზე...

თითქოს მართლაც არაფერზე არ ვფიქრობდი.

„ეჰ, ჯუმბერ, ჯუმბერ...“

— ჩემს სიცოცხლეში მიზანს პირველად მოვახვედრე, — თქვა დოდომ.

დოდოს თვალბუმში შევხედე, ცოტახანს ვუყურე და თავი ჩავლუნე. დოდოს ისეთი ღრმა თვალები ჰქონდა, რომ მათში ყველაფერი ეტეოდა: მზეც, ოქროსფერი ჰადრებიც, ცაც. მერე დოდო ნაყინზე დავაპატიყეთ, მერე მტკვრის პირას ჩავედით და რიყეზე ჩამოვსხედით. აქ ისეთი სიწყნარე იდგა, თითქოს წყალი ჩაფიქრებულყოფილად გრილოდა კიდეც. ჩუმიად ვისხედით და მდინარეს ვუყურებდით.

— თითქოს მეც სადღაც მივდივარ, — თქვა დოდომ მეც შემომხედა.

მდლობა მინდოდა მეთქვა, მაინცადამაინც მე რომ მითხრა ეს სიტყვები. მაგრამ ბიჭების შემრცხვა. მეც შეგონა. სადღაც მივდიოდი, უფრო მეტი. ვგრძნობდი, დედამიწა რომ ბრუნავდა. კარგი ბიჭი იყავი და ეს ხმამაღლა გეთქვა!

ახლოს პატარა ბიჭები პლანერებს უშვებდნენ. მსუბუქი, თეთრი თვითმფრინავები ცაში ლამაზ წრეებს ხახავდნენ და მიწაზე ეცემოდნენ.

— თვითმფრინავები, ნახეთ, თვითმფრინავები! — დაიძახა დოდომ. მის თვალებში, როგორც მდინარეზე, ათასი პაწაწინა მზე ბრწყინავდა.

— დოდო დღეს მიფრინავს, — თქვა ნოდარმა.

— რა? — ჰკითხა ჯუმბერმა.

— დოდო დღეს მიფრინავს, — გაიმეორა ნოდარმა.

„მიფრინავს.“

მიფრინავს,
მიფრინავს,
დოდო
დღეს
მიფრინავს“.

მხოლოდ ახლა მივხვდი ნოდარის ნათქვამს. ხმა არ ამომიღია, წამოვდექი, ქვა ავიღე და მდინარისკენ ვისროლე, ქვა წყალზე გასრიალდა. ერთი-ორჯერ მზეში გაიელვა და გაქრა.

ასეც ვიცოდი, დოდო თუ წავიდოდა, უსათუოდ უნდა გაფრენილიყო, რომ ჩქარა წასულიყო, ძალიან ჩქარა.

„წადი, წადი, გაფრინდი, თუ გინდა, ახლავე გაფრინდი, არავინ არ გაკავებს. გაფრინდი, რაღას უყურებ...“

— სად მიფრინავს? — იკითხა ჯუმბერმა.

პატარა დაღმართი ჩავივრბინე და მდინარესთან მივედი. არ მინდოდა გამეგო, სად მიფრინავდა დოდო. დავიხარე, წყალი პეშვით ავიღე და სახეზე შევისხი. წყალი ჭუჭყიანი იყო და რატომღაც გოგირდის სუნი ჰქონდა. მერე ნელანელა ნაპირს გავუყევი, თითქოს მდინარეს გვერდით მივყვებოდი.

— გეტყინა? — მკითხა წყალმა.

— ჰო, — ვუპასუხე. — ძალიან მეტყინა.

— სად მიდის?

— არ ვიცი, არ გამიგია...

მერე წყალმა ფეხს აუჩქარა და გამასწრო.

— არავის არ უთხრა, რომ ვტிரოდო, — შევეხვეწე წყალს.

— არ ვეტყვი... ოღონდ წარამარა ნუ ტირი, — დამიბარა წყალმა და გაქრა.

— შეხედეთ, გია ლოცულობს, — მომესმა ნოდარის ხმა.

შემოვტრიალდი, დოდო ფეხზე იდგა, მუხლისთავები მოუჩანდა, ხელები ჩემკენ ჰქონდა გამომშვერილი და იცინოდა.

მეც გავიცინე, ხმამალლა, ნაძალადევადა:

— ვლოცულობ, ვლოცულობ...

მერე უცებ ტანსაცმელი გავიხადე და მდინარეში შევვარდი. წყალი ძალიან ცივი იყო.

„კარგია, რომ ცივია.. კარგია, რომ ცივია...“

რატომღაც გაყინული მდინარის წყალში მოვიდგინე და ზედ ჩემი თავი, ყინვისაგან გათეთრებული და გათოშილი. ზურგზე გავწექი და ცას ავხედე, ცა ლურჯი იყო, პატარა ღრუბლის ნაფლეთიც კი არსად მოჩანდა. წყალს შორს მივქონდი. ჯერ როგორმე იქითა ნაპირზე უნდა გავსულიყავი, ასე გადავწვივებდი. ფიქრის დრო არ იყო. თანაც მჯეროდა, იქითა ნაპირზე რომ ავიდოდი, სხვა ვიქნებოდი, გამოცვლილი და ჭკუანასწავლი. თუმცა მტკვარი ბევრჯერ გადამიცურავს, ახლა რატომღაც გამიჭირდა. ჩქარა მოდიოდა, კამჩივით მაწვებოდა და მიმათრევდა. როგორც იქნა, იქითა ნაპირზე ავფოფხდი. აქ ახალ სანაპიროს ჯებირს აშენებდნენ და ნაპირთან ვეება ლოდება ეყარა. ლოდზე შემოვჯექი და ხელები მუხლებზე შემოვიხვიე. თვალი წყალს გავუშტერე, თითქოს ველოდებოდი, როდის გაილვიძებდა ჩემში ის მეორე — გამოცვლილი და ჭკუანასწავლი კაცი, როდის იტყოდა რამეს. პირველ სიტყვას, რომელიც მე ვთქვი, სიტყვიანისა არაფერი ეტყობოდა:

— უუ... მცივა...

მერე ამხანაგების ხმა შემომესმა:

— გია! გია-ა!

მე კი ვიჯექი და ველოდი. თითქოს ვგრძნობდი, რომ ის, რასაც დაკაცება ერქვა, ახლა უნდა მწვეოდა. ვიცოდი, რომ უცებ ყველაფერი შეიცვლებოდა. ნუთუ ასე აღარ გავიცინებდი, ნუთუ ცურვა აღარ მეყვარებოდა, ნუთუ... და რაც ყველაზე უფრო მიყვარდა, მასზე ახლა განგებ არ ვფიქრობდი, რათა „დაკაცებისათვის“ დამემალნა და იმ გამოუცნობ ხანაში თან გადამეტანა. კარგა-ხანს ვიჯექი ასე და ვუტდიდი. მერე ავდექი და წყალში გადავხტი. წყლიდან რომ ამოვედი, უკვე ვიცოდი, რაც უნდა გამეკეთებინა. ხშირად არის ხოლმე, გგონია არაფერზე არ ფიქრობ, მაგრამ

თამაზ ჭილაძე
პირველი დღე

უცებ გამოერკვევი და იმ კითხვაზე, რომელიც დიდხანია გაწუხებს — პასუხი მზადა გაქვს.

ტანისამოსი პირდაპირ სველ ტანზე ჩაიცვი. ჯობიდან სიგარეტი ამოვიღე. სიგარეტი მაშინვე დასველდა, ცეცხლი ძლივს მოეუკიდე, კვამლი ამოვისუნთქე და ვთქვი:

— შინ მივდივარ...

გამოვტრიალდი და წამოვედი, მაგრამ სწორედ მაშინ მოხდა ის, რასაც ყველაზე ნაკლებ ველოდი. ვიღაცამ მკლავზე ხელი მომიკიდა და შემაჩერა. ვიგრძენი, დოდო იყო. ერთ ადგილას ვავშეშდი.

— გია, — თქვა დოდომ.

ხმა ვერ ამოვიღე.

— გია...

ნელა მოვტრიალდი და დოდოს შევხედე. შემეშინდა, დოდო ყველაფერს მიხვედრილა-მეთქი. თუ მომეჩვენა?

— რა გინდა? — ვკითხე.

— დარჩი, გია, — მიპასუხა იმანაც შენობით.

ბაღში რომ ამოვედი, დოდომ ისევ ნაყინი მოითხოვა. შარვლის პატარა ჯაბეში ორი თითი ჩავიყავი, დიდი წვალებით რაღაც ქაღალდი ამოვაძვრინე და ხელისგულზე გავშალე, სასწაული: მანეთიანი აღმოჩნდა! ეს სხვების შეუძინევლად გავაკეთე, ფული რომ დავიგულე, წავედი და დოდოს „ესკიმო“ ვუყიდე. დიდის ამბით მივუტანე და მივართვი.

— პირველად ვნახე, გიამ გოგო რომ ლაპატიუა, — გაიკვირვა ნოდარმა.

ნოდარის ასეთი ხებრული წამოძახილი, რა თქმა უნდა, არ მესიამოვნა. ერთი კი შევუბღვირე, თქმით კი ვერაფერი ვუთხარი. გაგიგონია! — ვერც კი მიხვდა. მიხვდა კი არა, კიდევ უფრო ჩააბნელა:

— არა და გია გოგოების პირველი მტერია...

„ყოჩაღ, ძმაო, ყოჩაღ, შენც ექიმი უნდა გამოხვიდე და ავადმყოფი უნდა მოარჩინო“, — გავიფიქრე.

— დღესასწაულია, დღესასწაული! — არ იშლიდა თავისას ნოდარი. მერე ტა-

ში შემოკრა: — ცეკვა, ცეკვა! და დოდოს შეხედა.

და უცებ დოდომ ცეკვა დაიწყო! ახკვისი არ მორიდებია, არ დაუმორცხვია, იქვე, ხალხით სავსე ხეივანში აცეკვდა. თურმე რა კარგი ცეკვა! სცოდნია! თანაც უქუსლო ფეხსაცმელი ხელს არ უშლიდა. „ჩარლსტონს“ ცეკვავდა. ეს ცეკვა მე წინათაც მინახავს, ერთი ჩემი ამხანაგის დაბადების დღეზე. მაშინ მაინცდამაინც არ მომწონებია, ცოტა გავიპარნავე კიდევაც. რომ მკითხეს, მოგეწონაო? ისე რა-მეთქი, ახლა კი ნამდვილად მომწონდა. გოცეხული შეეყურებდი, ცეკვა ისე უხდებოდა, კიდევ უფრო ვალამაზებულაყო. მეც ტაშის დაკვრა დავიწყე. ცეკვა რომ მცოდნოდა, უსათუოდ ავყვებოდი. მაგრამ არ ვიცოდი და გული მწყდებოდა. ახლა ვნანობდი, რატომ თავის დროზე არ ვისწავლე-მეთქი. ჩვენი ბიჭები და გოგოები ცეკვის გაკვეთილებზე რომ დადიოდნენ, დავცინოდი და „ბიჭონებს“ ვეძახდი. მერე ისინი სულ ცეკვავდნენ და მე კი სფინქსივით გაშტერებული ვიჯექი. იმას კი ვერ ვმალავდი, რომ ცეკვის ყურება ძალიან მსიამოვნებდა. ახლა მინდოდა ყველას დაენახა მოცეკვავე დოდო. ტაშს ვუკრავდი და თან ცნობისმოყვარე გამვლელებს თვლებში შევცქეროდი, თითქოს მათგან თანხმობას ველოდი, მართალი ხარ, ნამდვილად კარგად ცეკვავსო. ვატყობდი, მათაც მოსწონდათ. არ ვიცი, ნამდვილად მოსწონდათ, თუ მე მინდოდა, რომ მოსწონებოდათ. რას გაიგებ, ზოგს „ჩარლსტონი“ სალანძღავი სიტყვა ჰგონია. წინათ ჯაზიც ასე ეგონათ. ზანგების საცოდაობაზე ცრემლს აფრქვევდნენ. იმათ სიმღერებს კი ახალგაზრდობის ავადმყოფობად თვლიდნენ. მამაჩემმა ერთხელ ასეთი ამბავი მომიყვა: ომი უკვე თავდებოდა, რომელიღაც გერმანულ ქალაქში რომ შესულან თურმე. შუალამე ყოფილა. ქალაქი ცარიელი დახვედრიათ. მათი ათეული ფანჯრებჩაღწევილ სახლში დაბინავებულა. ერთი ჯარისკაცს შემთხვევით პატეფონი და ფირფიტები უპოვნია. გახარებიათ, მა-



შინვე სანთლები აუწთიათ, პატეფონი მოუმართავთ და ცეკვა დაუწყით. ამდენხანს სანგრებში ნაწოლი, გაუპარსავი ჯარისკაცები დილამდე ფოქსტროტს ცეკვავდნენ თურმე! მაშინ ფოქსტროტი იყო, ახლა კი — ჩარლსტონი, ძალიან ლამაზი ცეკვაო, — იტყვის ხოლმე მამა. ასე მგონია, სანამ კაცს ცეკვა და სიმღერა უხარია, მისი დამარცხება არავის არ შეუძლია.

დოდოს რომ ვუყურებდი, მეგონა, სხეულიდან ამოფრენილი ჩემი სულა ცეკვავდა. ძალიან ლამაზი იყო და მიხაროდა. მართალი უთქვამს ძია ანტონს, ყველაზე დიდი და ლამაზი ადამიანის სული ყოფილა. აი, თუ დამცალდა და მართლა დავკაციდი, მართო კარგი საქმეები უნდა გავაკეთო, რომ ყველას უხაროდეს და ტაშს მიკრავდეს. ამას ვფიქრობდი, მილიციელის სასტვენის ხმა რომ გავიგონე, დოდო უცებ გაჩერდა, შემხედა და გაიღიმა. მილიციელი რომ მოვიდა, კინაღამ მივეარდი და გადავკოცნე.

— რა ამბავია? — გვკითხა მილიციელმა.

თითქმის ჩვენი ხნის ბიჭი იყო, თავი კი ისე ეჭირა, ბოდიში და, უბატონოდ ვერ დაელაპარაკებოდი.

— არაფერი, ვცეკვავთ, — უპასუხა ერთმა ხანშიშესულმა კაცმა ჩვენს მაგივრად.

— ცეკვავთ? — მილიციელმა ხალხს გადახედა.

— დიახ, — უპასუხა ისევ იმ კაცმა.

— თქვენც ცეკვავთ? — მილიციელი ცოტა დაიბნა.

— დიახ, მეც ვცეკვავ.

მილიციელმა კიდევ ერთხელ გადაგვხედა და გვითხრა:

— კარგი, ბატონო, იცეკვეთ...

და წავიდა, თან უკან-უკან იხედებოდა. ცოტა რომ დაგვეძაღვებინა, ალბათ, თვითონაც სიამოვნებით იცეკვებდა.

მერე დოდომ კარუსელი დაიწახა. ახლა კარუსელზე დაჯდომა მიონდომა. ნოდარი გაუწყრა, პატარა ხომ არა ხარო. პატარა არა ვარ, მაგრამ კარუსელზე დაჯდომა მინდა. თანაც ხომ დამ-

პირდით. წამო, კინოში შევიდეთო. არა, გინდა თუ არა, კარუსელზე უნდა დაჯდეთო. იცოდე, ყველაფერს დედამსწერს მოუყევი. მოუყევი, ოღონდ ახლა კარუსელზე დამსვიო. წავედი და ერთი ბილეთი ავიღე. ვიცოდი, ბიჭები მაინც არ დაჯდებოდნენ კარუსელზე, მართლა ბავშვები ხომ არ ვიყავით! ბილეთი დოდოს მივუტანე: აჰა, დაჯექი-მეთქი. დოდომ ბილეთი ხელიდან გამომგლიჯა და კარუსელისკენ გაიქცა. კარუსელი ნელა ტრიალებდა, ხის ცხენებზე სულ ბავშვები ისხდნენ. დოდო მოუთმენლად ელოდა, როდის გაჩერდებოდა კარუსელი. ჩვენ კი ცოტა მოშორებით ვიდექით, ბიჭებს მეტი თავდაჭერილობა გვმართებდა. კარუსელი გაჩერდა და დოდო ცხენზე შესეკუბდა. ლობესთან ახლოს მივედი და იქ დავდექი, სადაც ბავშვების მშობლები იყვნენ გაჩერებული. კარუსელი ნელა დაიძრა, მერე თითქოს ბავშვების ყიჟინას აპყვავდა და სვლას მოუმატა.

— ნეტავი როგორ ბრუნავს? — იკითხა ერთმა ქალმა.

— დედამიწა ბრუნავს და ეს გიკვიროთ? — უპასუხა ბილეთების მომხეცმა კაცმა.

დედამიწა მართლა ბრუნავდა. ფოლადის ბურთივით ჰაერში ბრწყინავდა და ბრუნავდა. მის გლუვ და პრიალა ზედაპირზე ფეხს ვერ ვიკიდებდი. და ამ კარუსელს ვეკიდე, რომ არ ჩამოვცურებულობო. დოდომ რამდენჯერაც ჩამიარა, იმდენჯერ ხელი დამიქნია. თვალს ვარიდებდი, თითქოს ვერ ვხედავდი.

— ნანა, ხელი მაგრად მოჰკიდე!

— გურამ, არ გადმოვარდე!

— ფრთხილად, ლია, ფრთხილად!

ეძახდნენ ქალები ბავშვებს. დოდოც ახლა ბავშვივით იყო, ბავშვივით უმწეო მეჩვენებოდა. მეც მინდოდა, დამეძახა. დოდო, არ გადმოვარდე-მეთქი, მაგრამ მრცხვენოდა. ამიტომაც ვარიდებდი თვალს. ისე კი, რამდენს ახლოს ჩამივ-

თამაშ ჰქილაძე
პირველი დღე

ლიდა, გული გადამიქანდებოდა ხოლმე. თითქოს პატარა ბავშვი იყო, მე კი მისი მშობელი. უცნაურია, არა? ჰო, ნამდვილად უცნაურია. რა ნექნა?

ვილაცამ ხელი მომკიდა, მოვიხედე, ნოდარი იყო.

— გია, დოდო დღეს მიფრინავს, — მითხრა და თვალებში შემხვდა.

უცებ ვერ მივხვდი, ამას რატომ მეუბნებოდა.

— ვიცი, ხომ მითხარი...

— დღეს მიფრინავს, ორი წელი თბილისში აღარ ჩამოვა...

„ორი წელი? ორი წელი? რა ამბავია?“

— მამას მიჰყვება...

„კი მაგრამ, რატომ მაინცდამაინც ორი წლით?“

— დოდოს მამა იმ გემის კაპიტანია, ვეშაპებს რომ იჭერს...

„ორი წელი... ერთი... ორი... თანაც წელიწადი... არა, წელი, წელიწადი უფრო გრძელია...“

— დოდო თან მიჰყავს...

— დოდოს გემზე რა უნდა, რა უნდა გააკეთოს?

— დოდო იქ ლაბორატორიაში იმუშავებს...

— რომელ ლაბორატორიაში, რა ლაბორატორიაა ამისთანა?

— არ ვიცი, ლაბორატორიაა თუ სხვა რაღაც, მაგრამ დოდო იქ სამუშაოდ მიდის...

„სამუშაოდ... დოდო გემზე სამუშაოდ მიდის...“

— მერე?

— მერე ჩამოვა და უნივერსიტეტში გამოცდებს ჩააბარებს...

— მაგას არ გეკითხები...

— აბა?

— მაგას მე რატომ მიყვები?

— რა ვიცი, — ნოდარი დაიბნა, — მეგონა, გაინტერესებდა...

— არა, არ მაინტერესებს...

— მე კი...

— ახლა აქედან წადი, თორემ ისეთს გფერთხავ...

— იპ...

ნოდარი გატრიალდა და წავიდა. დოდომ ხელი ისევ დამიქნია.

რატომ მიქნევ ხელს-მეთქი, მაინც დღეს მიდიხარ, ორი წლით მიდიხარ-მეთქი. წადი, წადი, არავინ არ გაკავებს, ვეშაპები დაიჭირე-მეთქი. შე დავრჩები, შენზე სრულიადაც არ ვიფიქრებ-მეთქი.

კარუსელი ბრუნავდა, დოდო იცინოდა და ხელს მიქნევდა. მეგონა, ამ მწარე-მწარე სიტყვებს ვეუბნებოდი, თურმე არ გადმოვარდე-მეთქი, — დამიძახია.

— ნუ გეშინია, არ ჩამოვარდება, — მითხრა ჯუმბერმა.

ის ჩემს გვერდით გაჩერებულიყო და იცინოდა.

— რა გინდათ, ძმაო. ჩემგან? — ვკითხე ჯუმბერს.

— მე არაფერი არ მინდა. შენ რა დაგეშარათა? — გამიცინა ისევ ჯუმბერმა.

— არაფერიც არ დამეშართა. რას ჩამაცივდით?

— ბოდიში, ხმას აღარ ამოვიღებ...

— რას ჩამაცივდით, რას?

ხმა ამიკანკალდა და თვალზე ცრემლი მომადგა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს რაღაცაში დამიჭირეს, რაღაცას ვმალავდი და — გამიგეს. თითქოს ჩემს ფიქრებს კითხულობდნენ. ისინი ყველაფერს ხედავდნენ, მე მათ სახეებსაც ვერ ვხედავდი, რადგან თვალი ცრემლით მქონდა სავსე. ცრემლი ისე იზრდებოდა და იბურთებოდა, თითქოს შიგნიდან ვილაც გამდნარ შუშასავით ბერავდა. მერე ცრემლი მართლაც შუშასავით დაიმსხვრა და ყველაფერი დავინახე. ბიჭები ცოტა მოშორებით გაჩერებულიყვნენ, დოდოც მათთან იყო. რაღაცას ლაპარაკობდნენ და თან ჩემსკენ იყურებოდნენ.

ჯუმბერი მომიახლოვდა და მითხრა, მაპატიეო. საოცარი იყო, ისე ვიყავი დაღლილი და მოთენთილი, თითქოს დიდხნის ცურვის მერე აუზიდან ამოვსულიყავი.

უნიათოდ გავეუღიმე:

— კარგი ერთი...

— აბა, წავიდეთ...

— დიდი მადლობა, — მითხრა დო-
ლომ.

გაკვირვებით შევხედე რისთვის-
მეთქი?

— კარუსელისთვის, ძალიან კარგა
იყო...

რა იქნებოდა, ის ორი წელი უკვე
გავლილი ყოფილიყო? აქამდე წლები
არადადეგებითა და სემესტრებით ისე
იყო დაყოფილი, რომ მათ გაუთავებ-
ლობას ვერ ვგრძნობდი. ჩემთვის წელი
ზაფხულში თავდებოდა და ახალი წელი
სექტემბერში იწყებოდა. დრო საცურაო
აუზს მაგონებდა. ერთ ბოლოში მი-
ვიდოდი, მოვტრიალდებოდი, კედელს
ფეხს მივარტყამდი და ახალ წელში
შევცურდებოდი. აქამდე მხოლოდ გაკ-
ვეთილებითა და თამაშობით ვზომავდი
დროს. ექვსი გაკვეთილი — ექვსი საა-
თი, ფეხბურთი — ორმოცდახუთ-ორ-
მოცდახუთი წუთი, ცურვა — ორი საა-
თი, კიდევ? ჰო, თეატრი — ორ საათ-
ნახევარი, დრო კი თურმე დიდი მოლო-
დინი ყოფილა!

ამხანაგებს ჩუმაღ მივყვებოდი. გული
მწყდებოდა, ყურადღებას რომ არ
მაქცივდნენ, მეგონა, ყველამ მიმატოვა-
მეთქი. დინამოს სტადიონს რომ გავუს-
წორდით, ერთმა პატარა ბიჭმა ველოსი-
პედით ჩამოგვიქროლა. პირდაპირ ტრო-
ტუარზე მოდიოდა, არც გამვლელებს
ერიდებოდა, პირიქით, გამვლელები
უთმობდნენ გზას. ველოსიპედი უხე-
ლოდ მოჰყავდა, გულხელი დაეკრიფა
და რაღაც ავარულ სიმღერას მღეროდა.
ეს ბიჭი თავიდანვე არ მომეწონა, მერე
ვიფიქრე, ჩვენ რას გვიშლის, იაროს-
მეთქი. არა და, თურმე ჩვენ გვერჩოდა.
მეორედ რომ ჩავვიქროლა, დოდოს
მხარზე ხელი დაარტყა. — რა გო-
გაო! — დაიძახა. ცეცხლი მომეკიდა:
უჰ, შე ლაწირაკო-მეთქი. ამ დროს ვი-
ლაცამ შემომატრიალა, ლაწირაკი ვინ
არისო და პირდაპირ სახეში მხეთქა,
თურმე იქვე ბიჭები მდგარიყვნენ, ვერ
შევაგანინე. გავგვიდო, ხელი მოვიქნე,
მეც სახეში შემოვკარი. წაბარბაცდა,
მეორე მინდოდა გამერტყა, რომ ახლა
სხვამ გამარტყა. თვალთ დაამინელდა.

ცხვირიდან სისხლი წამსკდა, მერე
დოს კივილი მომესმა:

— ხულიგნებო! ხულიგნებო!

ვილაცას საკინძეში ვწვდი და ხალათი
ჩამოვახიე, კიდევ გამარტყეს, კიდევ-
წავიქეცი. ვილაცამ წიხლი ჩამარტყა.

— გაა, გავიქეთ, გაა! — ჩამესმა
დოდოს ხმა.

„გავიქეთ კი არა...“ წამოვდექი,
თუმცა ვერაფერს ვხედავდი, ხელბს
მინც ვიქნევიდი, ვინმე რომ მომხეღე-
ბინა, ალბათ, დავახრჩობდი. კიდევ გა-
მარტყეს, ჩავიჩოქე. ისე მეტყინა, კინა-
ლამ ტირილი დავიწყე. უცებ დოდო და-
ვინახე, ვილაც ბიჭს თმაში ჩაფრენოდა
და უყვიროდა:

— დანა გადააგდე! დანა!
დოდოსთან მივვარდი და ხელი მოვ-
კიდე:

— წამო, დოდო!

გამოვიქეცი და თუმცა არავინ გა-
მოგვიკიდებია, ქუჩის ბოლომდე ვირბი-
ნეთ.

— დავიღალე, — დოდო ძლივს სუნ-
თქავდა.

— ბიჭები სად არიან? — მეც ძლივს
ვსუნთქავდი.

— სისხლი მოიწმინდე, — დოდომ
ცხვირსახოცი გამომიწოდა.

— არ მინდა, მეცა მაქვს. ბიჭები სად
არიან.

— ჯუმბერი იქ იყო.

— ნოდარი?

— ნოდარი...

— გაიქცა?

— აქაც მოიწმინდე, — დოდომ თავი-
სი ცხვირსახოცი თოყიდან სისხლი
მომწმინდა.

— გაიქცა, ხომ?

— გტყავ? — მკითხა დოდომ.

— უნდა დავბრუნდე, — ვთქვი მე.

— რატომ, რატომ უნდა დაბრუნდე?

— ჯუმბერი იქ დავტოვეთ, უნდა
დავბრუნდე.

— ჯუმბერიც გამოიქცეოდა. ნუ გე-
შინია.

თამაზ ჭილაძე
პირველი დღე

— არა, მაინც უნდა დავბრუნდე, —
გავგაოტრი.

ამ დროს ჯუმბერი დავინახე. თავაწე-
ული, რაღაც საცოდავად მოდიოდა.

— ჯუმბერ! — დავუძახე.

თავი ჩვენკენ მოატრიალა, სათვალე
არ ეკეთა.

— სათვალე რა უყავი?

— ეჰ, — ჯუმბერმა ხელი ჩაიქნია.

ტუჩი გახეთქოდა, წარბს ზვეითაც
სისხლის წვეთი უბრწყინავდა. თუ ვინ-
მემ თქვა, სათვალეებიანი ბიჭები მშიშ-
რები არიანო, გაულახავი არ გადაშირ-
ჩება.

— ჯუმბერ, რა მოგივიდა? — ჰკითხა
დოდომ.

— არაფერი, მცემეს...

შევატყვე, ცოტათი ამყობდა კიდევც,
რომ იჩხუბა და სცემეს.

— ისე კი, — ჯუმბერი მე მომიტრი-
აღდა, — სულ შენი ბრალი იყო...

გაოცებისაგან პირი დავალე:

— რა?

— არ უნდა აპყოლოდი. ხულიგნებს
როგორ აფყევი?

— არ უნდა აფყოლოდი? აბა, ეცე-
მათ და ჩვენ ისე ვმდგარიყავით?

— ჯუმბერი მართალია, — დოდო
ახლა ჯუმბერს სწამებდა სისხლს, —
არ უნდა აპყოლოდი...

საშინლად დამწყდა გული. ხმა ვერ
ამოვიღე, მივტრიალდი და მათ ზურვი
შევაქციე. არ უნდა აპყოლოდი!.. არ
აფყოლოდი კი არა, რომ შემძლებოდა,
ცხვირ-პირი უნდა დამეჩეჩქვა. აბა, ქუ-
ჩაში გავლა უნდა გეშინოდეს! სულ იმას
უნდა ფიქრობდე, დანას როდის გამოიყ-
რიანო? ცხვირ-პირი უნდა დაუჩეჩქო:
ცხვირ-პირი! აქამდე თუ რაზმელად ქუ-
ჩაში გასვლას ვერიდებოდი, წითელი
ლენტის მკლავზე შებმა არ მინდოდა,
ახლა მტკიცედ გადავწყვიტე, მუდმივ
რაზმელად უნდა ჩავეწერო-მეთქი. დო-
დო და ჯუმბერი კი მე მასამართლებ-
დნენ. მათი საუბარი მესმოდა და ბრაზი
მერეოდა. არა, ამას არ შევარჩენ, რო-
გორ შევარჩინო, როგორ...

— ახლა რა ვქნათ? — იკითხა დო-
დომ.

— შინ უნდა წავიდე, ვერაფერს ვხე-
დავ, — თქვა ჯუმბერმა.

— გია, შენ რას იზამ? — ჰკითხა დო-
დომ.

— დავრჩები.

— აქ რა გინდა?

— არაფერი... შენ წადი, ჯუმბერ,
წადი!

— კიდევ უნდა იჩხუბო?

— არა... წადი. შენც წადი, დოდო...

— სისულელეს თავი დაანებე, შინ
წამოდი, — მითხრა ჯუმბერმა.

— არა...

უცებ ცარიელი ტაქსი დავინახე, გა-
ვიქეცი და გავაჩერე. მერე დოდოს და
ჯუმბერს დავუძახე, მოდიო, ჩასხედით-
მეთქი.

ჯუმბერი და დოდო მოვიდნენ.

— მაშ, შენ არ მოდიხარ?

— არა, არ მოვდივარ.

— იცოდე, აღარ იჩხუბო.

— არა, არ ვიჩხუბებ.

„დოდოც მიდის... ნუთუ მართლა
წავა...“

ჯუმბერი და დოდო ტაქსში ჩას-
დნენ.

— ნახვამდის, — ვთქვი მე.

„ნუთუ მართლა მიდის...“

— ნახვამდის, გია, — მითხრა დო-
დომ.

ტაქსი დაიძრა და მე მარტო დავრჩი.

გულზე ვიყავი გამსკდარი, მაგრამ რა
უნდა მექნა, სად უნდა წავსულიყავი?
თანაც არსად არ მინდოდა წასვლა, აქ
მინდოდა ვმდგარიყავი. ასე უძრავად
ვმდგარიყავი, ოღონდ არავის ყურადღე-
ბა არ მოექცია, არაფერი ეთქვა.

„დამანებეთ თავი, ხომ ხედავთ არა-
ფერს ვაშავებ, ჩემთვის ვდგავარ... ისიც
მეყოფა, ისიც მეყოფა, რომ დოდო წა-
ვიდა...“

არავინ არაფერს არ მეკითხებოდა.
ვის ველაპარაკებოდი, ვის ვებრძოდი?
მერე ვილაც კაცი მოვიდა ჩემთან, დაი-
ხარა, თუ შეიძლება ცეცხლი მომიკიდე-
თო, თურმე სივარტის ვეწოდი, არც
კი შემიმჩნევია. მოუუკიდე, გმადლობთო.
ერთი წამით შემომამტერდა და წავიდა.
რა გინდა-მეთქი, რა? ხომ ხედავ, არა-



ფერს ვაშავებ, ჩემთვის ვდგავარ და სიგარეტს ვეწევი-მეთქი. კაცმა მხრები აიჩეჩა, არაფერი არ მინდა, რამდენიც გინდა, იმდენხანს იდექი, რა ჩემი საქმეაო. მე ასანთის კოლოფი ამოვიღე, გინდა თუ არა, წაიღეთ-მეთქი. შემრცხვა, უხეშად რომ დაველაპარაკე. არ მინდაო. როგორ არ გინდათ, დაგჭირდებათ-მეთქი. არა, არ მინდაო. წაიღეთ, მეწყინება, მე არ გჭირდება-მეთქი. თუ არ გჭირდებათ, წავიღებ. გამომართვა და წავიდა. გულზე ცოტა მომეშვა.

„რა კარგი კაცი იყო... შევეცოდე...“
 ახლა ჩემი თავი მე თვითონ შემეცოდა. ცხნად ვიგრძენი, რაც დამემართა — დოდო წავიდა, თვითონ გავუჩერე ტაქსი, ჩაჯექი და წადი-მეთქი. ჩაჯდა და წავიდა. ახლა როდისღა ვნახავდი. ქვეყანა ძალიან დიდი იყო და ვინმე თუ დაგეკარგებოდა, ველარ იზოვიდი. ერთხელ მამას სტადიონზე დავეკარგე. მაშინ პატარა ვიყავი, შვიდი წლისა. ტირილი დავიწყე. მერე ვილაცამ მხარზე შემისვა, აბა, მამას ხმამალა დაუძახეო. მეც დავიყვირე: მამა! მამა! მაინც ვერ ვიპოვე. ახლა მხარზე ვინ შემისვამდა? ახლაც ასე მეგონა, სტადიონზე უამრავ ხალხში ატირებული მივცოცავდი და ჩემი ძახილი: დოდო! დოდო! არავის ესმოდა.

გული ისე გამებერა, მეგონა, გამისკდებოდა. თურმე ყველაზე ძნელი სიპარტოვე ყოფილა. არა, უფრო ძნელი, კინმე რომ დაგეკარგება, ის არისო, — თითქოს ვილაცამ ყურში ჩამძახა. განა ერთი და იგივე არ არის-მეთქი? პასუხი არ გამიგია, იმიტომ რომ დოდოს ხმა მომესმა: — გია! გია!

ქუჩის იქითა მხარეს მანქანა დავინახე. დოდოს კარი გაეღო და ხელს მიქნევდა. რატომღაც არ გამკვირვებია, თითქოს სულის სიღრმეში ველოდი, ასე რომ იქნებოდა. ქუჩა გადავირბინე და მანქანაში ჩავჯექი.

— მეგონა, აღარ დაიცდიდი, — მითხრა დოდომ. თითქოს შეთანხმებულები ვიყავით, აი, ჯუშუმერს ტაქსით შინ მივიყვან და დავბრუნდებიო.

— დოდო... — ხმა ამიკანკალდა.

„ეს ხმის კანკალი რაღაა?“
 სიგარეტი ამოვიღე. გამახსენდა ასანთი რომ აღარ მქონდა და ტაქსის შოფერს ვთხოვე. შოფერმა ასანთის კოლოფი გადმომაწოდა, ჩამოვართვი, მაგრამ სიგარეტისთვის აღარ მომიკიდებია, რადგან დოდოს ხელი ვერ გავუშვი.

— სად წავიდეთ? — გვკითხა შოფერმა.

— პირდაპირ, — ვუპასუხე.
 „— დღეს რა რიცხვია, გია?
 — თექვსმეტი მაისია, სალომე...
 — წვიმს?
 — ჰო, წვიმს, სალომე...“
 — ახლა სად წავიდეთ? — გვკითხა ისევ შოფერმა.

— ახლა მარჯვნივ...
 მარჯვნივ გრძელი ქუჩა იწყებოდა.
 — შენ რას აკეთებ, გია?
 ჯერ ვერ მივხვდი, რაზე მეკითხებოდა, მერე ვუპასუხე:
 — ვმუშაობ...
 — სად მუშაობ?
 — თეატრში... სცენის გამნაებლად...
 — აჰა...

მე სცენის გამნაებლად უნდა მემუშავნა, დოდოს კი ვეშაპები უნდა დაჭირა!

— ასანთი თუ არ გჭირდება, მოპეცი, — მითხრა შოფერმა.

შოფერი კარგი ბიჭი იყო, მე მგონი, ყველაფერს ხედებოდა. ასანთის კოლოფი გადავაწოდე, სიგარეტს მოუკიდა და კოლოფი ისევ უკან დამიბრუნა.

— სალამოობით რას აკეთებ ხელმე? — მკითხა დოდომ.

— სალამოობით თეატრში ვარ...
 — სანამ თეატრში მუშაობას დაიწყებდი, მანამდე რას აკეთებდი?
 ცოტახანს დავფიქრდი: მანამდე?

— ჰო...
 — კინოში დავდიოდი...

დაუფიქრებლად შემეძლო მეპასუხა, რადგან კინოს გარდა სად უნდა წავსულიყავი? არსად არაფერი არ იყო. კაფე-

თამაზ ჭილაძე
 პირველი დღე

ში თერთმეტ საათამდე შეიძლებოდა ჯდომა. მე იქ შესვლა არ მიყვარდა, რადგან იქ ბიჭები კონიაკს სვამდნენ, თანაც ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს ამბობდნენ. მე კი სმა არ მიყვარდა. გამოსაშვებ საღამოზე ცოტა ღვინო დავლიე და ცუდად გავხდი. მე კი მინდოდა, რომ კაფეში ბევრი სინათლე და სითბო ყოფილიყო, ამ სინათლეში და სითბოში ვმჯდარიყავი და მეცქირა, ბიჭები და გოგოები როგორ ცეკვავენ. მინდოდა, რომ დიდხანს ეცეკვათ და ძალიან ხმამაღლა ეცინათ. მიყვარს, როცა ხმამაღლა იცინიან. მაგრამ რას იზამ, კაფეში არავინ არ ცეკვავს. იქ რომ გოგო შემოვა, ისე ზის, თითქოს სურათს უღებენო. ხანდახან, როცა წვიმდა, ბიჭები მაინც კაფეში შევდიოდით ხოლმე. იქ სითბო მაინც იყო. ცოტახანს ვიჯექით, რადგან თერთმეტის ნახევარზე წამოგვყრიდნენ ხოლმე. მერე კარისთვის თავი რომ გერტყათ, არავინ შიგ ადარ შეგიშვებდა. კიდევ კარგი, თეატრში დავიწყე მუშაობა. ვფიქრობდი, აი, მე ვერთობი, ჩვენი ბიჭები კი რას აკეთებენ-მეთქი. მართლა, სულ წიგნებს ხომ არ იკითხავ, ან სულ კინოს ხომ არ უყურებ? კიდევ რაღაცა ვინდა... ვიდექი ჩემთვის მეორე იარუსის წინ, კუთხეში და პროექტორით სცენას ვანათებდი. მიყვარდა, როცა ჩაბნელებულ სცენაზე ადამიანის ძებნას დაიწყებდი ხოლმე. ისიც მე მელოდებოდა. გავანათებდი თუ არა, ლაპარაკს დაიწყებდა. ისეთ რამეს იტყოდა, ხალხს ჟრუანტელი დაუვლიდა ხოლმე. მეც ჟრუანტელი მივლიდა. მიხაროდა, ჩემგან მიშუქებული სინათლე რაღაცას რომ აკეთებდა. ასე ვფიქრობდი და დავიჯერე კიდევ: ადამიანს სინათლეს თუ მიანათებ, უსათუოდ კარგ სიტყვას იტყვის, კარგ საქმეს გააკეთებს! ამიტომ მას ყოველთვის ვიღაცამ სინათლე უნდა მიანათოს. ადამიანი ყველაზე ლამაზი თურმე სინათლეში ყოფილა!

— თოვლივით თეთრ სუდარაში ჩვენ იგი გამოვხვებით, ლამაზ ყვავილებით მოვრთეთ და უხვად ცრემლი ვაფრქვიეთ...

— რას ამბობ? — მკითხა დოდო.
— ეგ რა ლექსია?

— არაფერი, — ვუპასუხე მე.
— ფერი...

— მითხარი, — მთხოვა დოდომ. — „თოვლივით თეთრ სუდარაში...“

— ოფელისა სიმღერაა, — ვუპასუხე. — „ჩვენ იგი გამოვხვებით...“

— კარგია, — თქვა შოფერმა. — ეგ ჰამლეტის საყვარელია, არა?

— ჰო... ჰამლეტის...

ძალიან გამიხარდა, მასაც რომ მოეწონა. ისე, მართალი რომ გითხრათ, არც კი ვიცი, რატომ მომაგონდა ეს ლექსი. უცებ გამახსენდა, ფული რომ არ მქონდა. დოდოს ხომ არ გადავხდებინებდი ტაქსის ფულს? შეუძნელოდ წამოვიწიე და მრიცხველს შევხედე: ორი მანეთი უკვე ეწერა. რა უნდა მექნა, ფული სად უნდა მეშოვნა? შოფერი კარგი ბიჭი იყო, ლექსებიც უყვარდა, მაგრამ ფულს მაინც გამომართმევდა. ან უფულოდ რად უნდა ვეტარებინე?

— სულ ასე პირდაპირ იარე, — ვუთხარი შოფერს.

გადავწყვიტე, მამასთან მივსულიყავი და ფული გამომერთმია.

— შემეშინდა, მეგონა, იჩხუბებდი, — მითხრა დოდომ.

ხმა არ გავეცი, იმას ვფიქრობდი, მამასთვის რა მეთქვა.

— და იმიტომ დავბრუნდი...

კიდევ რომ არ გავეცი ხმა, მკითხა:

— ახლა სად მივიღივარ?

— მამასთან მინდა მივიდე, თუ არ გეჩქარება...

• — არ მეჩქარება. მამა სად მუშაობს?

— ქარხანაში... ავტოსარემონტო ქარხანაში... აქვია...

— კი, წავიდეო.

მამაჩემისთვის რა უნდა მეთქვა, რისთვის მჭირდება ფული-მეთქი? არაფერსაც არ ვეტყოდი, ისედაც გამიგებდა. ფულს იშვიათად ვთხოვდი. ხანდახან თვითონ მეტყოდა ხოლმე, ფული ხომ არ გინდაო. კინოს ფულს დედა მაძლევდა, ერთი კოლოფი სიგარეტა-

ორ დღეს მყოფნადა, თანაც იმის ყიდვას რა უნდოდა. სხვა რაში უნდა დამპირებოდა ფული? არაფერში. ერთხელ ამხანაგები დავპატიყვე კოკტეილზე. ისეთი უცემური იყო. ჭიქები ლერწმის ლეროების ხათრით დავცალეთ. ეს იყო და ეს. თანაც ახლა ჯამაგირი მქონდა. მართალია, ცოტა იყო, მაგრამ მაინც...

— დაცდილი მაქვს, თუ ერთი შექნიშანი ჩაკეტილი დამხვდა, მერე სულ ჩაკეტილია და ჩაკეტილი. — თქვა შოფერმა.

— ცხელა, — თქვა დოდომ.

— მანქანაში ცხელა, — უპასუხა შოფერმა.

— აი, აქ გააჩერე, — ვუთხარი შოფერს.

— თუ ძმა ხარ, მალე გამოდი.

— ახლავე... დოდო, შენ...

— წამოგყვები, — მითხრა დოდომ, თითქოს წაყოლას ვთხოვდი.

მართალი გითხრათ, დოდოს ქარხანაში შეყვანა ცოტა მრცხვენოდა. იქ ყველა მიცნობდა, გოგოსთან რომ დამინახვდნენ, წავიღოდა! ბიჭების ამბავი არ იცით? რა მექნა, ხომ არ ვეტყოდი, ნუ წამოხვალ-მეთქი?

ღარაჯმა, ბიძია სარდიონმა, მკერდზე ხელი მიიღო და თავი ისე დამიკრა:

— ღრმა პატივისცემით... მობრძანდით...

„დაიწყო...“

ბიძია სარდიონი ხუმარა კაცი იყო. სარდიონის გვერდით მილიციელი იდგა, მსუქანი, ჭალარა კაცი. იმ მილიციელს რომ შევხედე, ისევ ის ძველი ამბავი გამახსენდა — სტადიონზე რომ დავიკარგე. მაშინ ბევრი ძებებს მამაჩემი, რადიოთიც დაუძახეს. მამას გარეთ დაუწყია ჩემი ძებნა, სტადიონზე აღარც კი შესულიყო. შინ მილიციელმა წამიყვანა, კიდევ კარგი მისამართი მახსოვდა. მილიციელი მსუქანი იყო, ღიპიანი, მძიმე-მძიმედ სუნთქავდა. ტრამვაიში ავედით. დაჯდა თუ არა, მაშინვე ჩათვლიმა. ჩემთვის ხელი კი არ გაუშვია. მერე თვალი გაახილა, შემხვდა და გამიღიმა, რამდენი წლისა ხარო? — მკითხა. შეიღისა-

მეთქი, — ვუპასუხე. ოპო? — გაიკვირდა და ისევ ჩათვლიმა. ტრამვიდან რომ ჩამოვედი, ლუდის ფარდულთან მიმდინარე ვანა, ერთი ტოლჩა ლუდი ჩამოასხმევინა, ლუდის ქაფს სული შეუბერა და დალია. სვამდა და თან მე მიყურებდა. ტოლჩა რომ გამოცალა, გამყიდველს უთხრა, ბავშვს ტკბილი წყალი დაუსხიო. ისე გამიხარდა, ის სიხარული დღესაც მახსოვს. მაშ, შვიდი წლისა ხარო? დიახ-მეთქი. იქვე ბოშა ქალი გასაბერ, ფერად ბურთებს ჰყიდდა. წითელი ბურთი ამომირჩია და მიყიდა. ბაღში შემიყვანა და სკამზე დამსვა. თვითონ ბურთის გაბერვა დაიწყო. ისე გაწითლდა, მეგონა, გასკდებოდა. უღვაშებზე ლუდის ქაფი ჰქონდა შერჩენილი. ვერ ვუთხარი, მოიშორეთ-მეთქი, მომერიდა. ბურთი რომ გაბერა, ბოლო მოუგრიხა და ასე დაიჭირეო, მითხრა. ჯიბიდან კანაფი ამოიღო და ბურთს მოუჭირა. მერე სკამზე გადაწვა, საკინძე გაიხსნა და ცხვირსასოცით კეფა მოიწმინდა. მერე ავედეთ და წავედით. მე ბურთი მიმქონდა, ის კი უკან მომყვებოდა. სახლთან რომ მივედით, აქა ვცხოვრობ-მეთქი, ვუთხარი. სახლის ნომერს რამდენჯერმე შეხედა, მერე მითხრა, კარგი, წაღიო. კიბეზე რომ ავედიოდი, მოვტრიალდი: იდგა და მიყურებდა. ეს ამბავი რომ გამახსენდება, ვფიქრობ, ნეტა ყველა მილიციელი ასეთი იყოს-მეთქი. იმ დღეს ერთმა კინალამ ხალათი ჩამომახია. სპორტის სასახლეში შევდიოდი, ბევრი ხალხი იყო. „გაიარე, მოქალაქე, გაიარეო“. ეს ისე მითხრა, თითქოს თვითონ მოქალაქე არ ყოფილიყოს. უკან დასახვეი ადგილი არ მქონდა, საკინძეში ჩამაფრინდა და სულ ხულიგანო მიძახა. ისე მეწყინა, გული ჩამწყდა. ამას ჯობდა, ვინმეს სილა გაერთყა ჩემთვის, ხელს მაინც შევეუბრუნებდი. მილიციელს კი ვერაფერს ეტყვი.

ეზოში რომ შევედით, სარდიონმა დამაწია: მამა სასადილოში საუზმობსო.

თამაზ ჭილაძე
პირველი დღე

ვატყობდი, დოდოს ყველაფერი აოცებდა, აქეთ-იქით იხედებოდა. მე ცოტათი წინ მივიდიოდი, ბიჭებს რომ დავენახეთ, ვითომ დოდოსთან ერთად არ ვიყავი. სასადილო ეზოს ბოლოში იყო. რომ მივუახლოვდით, დოდოს ვუთხარი, აქ დამიცადე-მეთქი და სასადილოში შევედი. ნათელი, დიდი დარბაზი ხალხით გატყედილიყო. მამა ფანჯარასთან კუთხეში იჯდა. მივედი. მაგიდას ოთხნი უსხდნენ. ჭამაში ისე იყვნენ გართულნი, ჩემი მისვლა არ შეუმჩნევიათ. მამასთან მივედი და მხარზე ხელი დავადე, თავი ასწია, შემხედა, გამიღიმა კიდეც, მაგრამ უცებ ღიმილი ტუჩებზე შეეყინა.

— რა მოგივიდა?

ვერ მივხვდი, რატომ მეკითხებოდა. ქარხანაში ჩემი მოსვლა არ გაუკვირდებოდა, რადგან წინათაც ბევრჯერ მოვსულვარ.

— არაფერი...

-- რა მოგივიდა-მეთქი?

წამოდგა, ჯიბიდან სათვალე ამოიღო და ახლა სათვალეთი შემხედა.

— რა უნდა მომსვლოდა? შენთან მოვედი...

— აბა, წამოდი. — კერძი მიატოვა და გარეთ გამოიყვანა. — ვინ გაგარტყა?

— არავინ. ვის უნდა გაერტყა?

— ვისთან იჩხუბე?

ეტყობა, ყველაფერი სახეზე მეწერა.

„დოდომ ვერ გამაფრთხილა?“

თავი ჩავლუნე. ნეტავ მამამ არ მიყვიროს, — ფიქრობდი გულში. დოდო იქვე იდგა და გვიყურებდა.

— ასე უღმერთოდ ვინა გცემა?

რა უნდა მეთქვა, ვინ მცემა-მეთქი? ხულიგნებმა მცემესო, რომ მეთქვა, ტყუილი ეგონებოდა, მაინც სიმართლე ვუთხარი:

— ხულიგნებმა მცემეს...

მეხის გასკდომას ველოდი, მამა კი რატომღაც გაჩუმდა. მერე ნიკაბი ამიწვია:

— შემხედე!

თვალეებში შევხედე. ყოველთვის ასე იცოდა. სხვას ჩემზე რაც არ უნდა ეთქ-

ვა, მამა არ გამიჯავრდებოდა. თუ თვალს გავუწვროვდი.

— კარგად უცემიხარ... შენს ჩვეულებას გქონდა? აკი სპორტსმენი ვარო?

— ბევრი იყვნენ, — მომესმა დოდოს ხმა. დოდოსკენ არ გამიხედია, მამას შევყურებდი თვალეებში.

— ეს დოდოა, — ვუთხარი მამას ხმადაბლა და გავწითლდი. დოდო ახლოს მოვიდა, მამამ ხელი გაუწოლა:

— თქვენც იქ იყავით?

— დიახ. ვიამ ჩემი გულისთვის იჩხუბა.

ცეცხლი უფრო წამეკიდა.

„ამაყობს, მისი გულისთვის რომ ვიჩხუბე...“

მამამ გაიღიმა:

— თქვენი გულისთვის იჩხუბა?

— მე გამომექომაგა. ისინი კი ბევრნი იყვნენ.

— ეგ რა ადგილას მოხდა? — მკითხა მამამ.

— აქვე, სტადიონთან, — უპასუხა ჩემს მაგივრად დოდომ.

— დიდიხანია?

— ოცი წუთი იქნება...

„აბა, თუ დამაცალო...“

— წავიდეთ, — თქვა მამამ.

— სად? — გული გადამიქანდა. პატარა ხომ არ ვიყავი, ბიჭებთან მამა მიმეყვანა?

— სტადიონთან...

— წასულები იქნებიან, იქ რა გააჩერებდათ...

— მაინც წავიდეთ, ვცადოთ, იქნება ვნახოთ.

„ნამდვილად იქ იქნებიან. იმათ ასე იციან, მთელი დღე ქუჩაში ერთ ადგილას დგანან“.

— მე მგონი, მივუსწრებთ, — თქვა დოდომ.

„ესლა მაკლდა...“

— წავიდეთ, რაღას ვდგავართ. შენ თუ გინდა დარჩი, მე და დოდო წავალთ.

ამ დროს სასადილოდან მამას ვილაყამ დაუძახა:

— გიორგი, არ მოდიხარ, კაცო?

— არა, მიტო. მოდი აქ ერთი წუთით.

მიტო კი არა, გამოცხადებული ჯოლუისი იყო. მზეზე გარუჯული, ჩაფსკენილი, თმაგადაპარსული. მიტო ადრე ქარხანაში არ მენახა, პირველად ვხედავდი.

— ეს ჩემი ბიჭია, — უთხრა მამამ მიტოს, — ეს კი დოდოა.

— ვაჰ, რამოდენა ბიჭი გყოლია?

მიტომ მე და დოდოს ხელი ჩამოგვართვა.

— მიტო ჩვენი ახალი ინჟინერია, — გვითხრა მამამ.

მე კი შოფერი მეგონა, ისე ზანტად ლაპარაკობდა.

— ახლა წავიდეთ, მიტო, მე მალე დავბრუნდები...

— არ მეტყვი, სად მიდიხარ, კაცო?

— ხულიგნებს გია ვაუღახავთ.

— გია ვაუღახავთ? არა მჯერა, არა მჯერა...

ისე გულიანად გადაიხარხარა, მეც გამელიძა.

— რა გაცივებთ, — დოდოს სახე შეიცვალა, — რა არის სასაცილო?

— არა მჯერა, ამოდენა ვაჟკაცი ვის უნდა ეცემა?

— წავიდეთ, — გვითხრა მამამ და აჩქარებული ნაბიჯით ჭიშკრისკენ გაემართა.

— გიორგი, დაიცა, კაცო, დაიცა, ასე როგორ შეიძლება...

მამა გაჩერდა.

— ასე როგორ შეიძლება, — გაავრძელა მიტომ, — ბიჭი ვალახონ და მამა წაიყვანოს, მშობელთა კრება ხომ არ არის? მეც მოვდივარ...

— არა, მიტო...

— ვაჰ, ვითომ რა, არ გამოკადგებით? ქალიშვილო, თქვენი სახელი?

— დოდო.

— ჰოდა, წავიდეთ, მართალია არა ვარ, დოდო?

ტაქსის შოფერი მანქანიდან გადმოსულიყო და, იქვე ხეს მიყარდნობილი, გველოდებოდა.

— სადა ხართ, კაცო, აქამდე, ვიფიქრე, დავავიწყდით-მეთქი...

ხელები გავშალე, ვერაფერი კი ვერ ვუთხარი. მანქანაში ჩავსხდით და დოდო წინ, შოფრის გვერდით დავსვი. მანქანა დაიძრა თუ არა, მოტრიალდა:

— ძია გიორგი, იმ ბიჭებს რა უნდა უყოთ?

— ჰო, მართლა, — თქვა მიტომ, — გიორგი, შვილს გაფიცებ, შენ თუ გამოჩნდე! მე და გიაც ვეყოფით...

— მიტო, შენ გგონია, მართლა იმათ საცემრად მოვდივარ?

— აბა?

— ახლა დავდგები და ვილაც ხულიგნებს ქუჩაში ცემას დავუწყებ...

— მაშ, რისთვის მივდივართ! მივიდეთ და ვუთხრათ, ძვირფასებო, მეორეჯერ ამ ჩვენს ბიჭს არ სცემოთ?

— არა.

— თქვი რას აპირებ!

— ვინ ვინა სცემა? — დაინტერესდა შოფერი.

— არავის არავინ არ უცემია, პატარა წარტყეს ერთმანეთს, — უპასუხა მიტომ.

— მე რას მიმალავთ, თქვენი არა ვარ? — ეწყინა შოფერს.

— ჩვენი ხარ, მაშ, ვისი უნდა იყო, — მიტომ მხარზე ხელი დაკრა.

— შენა გცემეს? — შოფერი არ მოტრიალებულა, მაგრამ მივხვდი, მე მეკითხებოდა.

— ჰო.

— მერე?

— რა მერე?

— მერე მე ვერ მითხარი?

ვერ ვუპასუხე, გავჩუმდი.

— ვერ მითხარი-მეთქი, — ხმა აუწია შოფერმა, — მე აქ არ ვიყავი, სხვაგან სად გარბოდი?

ხმას ვერ ვიღებდი, შოფერი კი განაგრძობდა:

— მერე მე მცემენ და შენ ვერ გეტყვი, მომერიდებ. ერთმანეთს რომ არ ვიცნობთ, უტახონი კი არა ვართ, კაცი კაცითაა, ძმაო.

— მართალი ხარ, მართალი...

თამაზ ჭილაძე
პირველი დღე

— ერთმანეთს უნდა მივეხმაროთ.
ძმაო...

— აი, აქ გააჩერე!

მამამ ფული ამოიღო. შოფერმა ხურ-
და დაუბრუნა. მანქანიდან გადმოვე-
დით. შოფერიც გადმოგვეყვა.

— ჩვენც მოვერევი. — გაუცინა მი-
ტომ.

— შორიასლო დავდგები, თქვენ რა
გინდათ, პატარა შესვენება მაქვს.

გავიხედ-გამოვიხედე, იმ ბიჭებს ვე-
რაფინ ვერ მივამსგავსე.

— დოდო, თქვენ შინ წადით, — უთხ-
რა მამამ დოდოს.

დოდომ მე შემომხედა.

„დოდო, არ წახვიდე. არ წახვიდე,
რა!“

„სად უნდა წავიდე, არსად არ წა-
ვალ...“

— აქ არ ისხდნენ? — თქვა დოდომ
ხმამაღლა.

— ჰო, აქ ისხდნენ.

— თუ — ცოტა ქვევით?

— ჰო, ცოტა ქვევით.

ამ დროს ისინიც დავინახე. ორნილა
დარჩენილიყვენ. სტადიონის ბილეთე-
ბის სალაროს წინ რკინის ღობეზე
ისხდნენ, ფეხებს ჰაერში აქანებ-
დნენ. ერთი ჩემი ტოლი იქნებოდა, მე-
ორე კი — უფროსი. ასე ოცდაათი.
ოცდაათი წლისა. მას ყვითელი სვიტე-
რი ეცვა, ფეხზე — შავი. თეთრზოლე-
ბიანი წინდები. პირში პაპიროსი ჰქონ-
და გაჩრილი.

— აი, ისინი არიან. — ვუთხარი მამას
და წინ წავედი.

— მოიცა, — მიტომ მკლავზე ხელი
მომკიდა. — მე მაცალეთ.

ახლა მიტო წავიდა წინ, ჩვენ ცოტა-
თი ჩამოვრჩით.

— გამარჯობათ, ბიჭებო, — უთხრა
მიტომ ბიჭებს.

ბიჭებმა მიტოს შეხედეს, ხმა არ გა-
უციათ. უფროსმა მხრები აჩეჩა მხო-
ლოდ.

— გამარჯობათ-მეთქი...

— გაგიმარჯოს, — უპასუხა უმც-
როსმა. — პირველი მაისია?

— პირველი მაისი? — მიტომ ვაი-
ლიძა.

— რა ვიცი, სულ გამარჯობას უთხ-
ხი. ბილეთი გინდა?

— ბილეთებიც გაქვთ?

— რამდენი გინდა? — შეეკითხა უფ-
როსი და პაპიროსი წკიპურტით შორს
გადააგდო.

— ბილეთი არა, მინდა ხელი ჩამო-
გართვათ...

— უფასოდ?

— რა მოგკეთ?

— თითო ჩამორთმევა, თითო მანეთი-
გურჯაანიდანა ხარ?

— მოიტათ ხელები!

მიტო ისევ იღიმოდა, ოღონდ ხმა
გაუცივდა. რას აპირებდა, არ ვიცო-
დით. უფროსმა ხელი გაუწოდა:

— აჰა, გიგლა, გიგლა არა გქვია?

— შენც მოიტა ხელი, — უთხრა მი-
ტომ უმცროსს.

— ამდენი ხელი — ფესტივალია?

— ჰო, ფესტივალია.

მიტომ ბიჭების ხელები თავის ვეება
თათში მოიქცია. ბიჭებმა ჯერ გაკვირ-
ვებულებმა შეხედეს, მერე სახე შეეც-
ვალათ, მერე დაიღმაჰნენ, ღობიდან ჩა-
მოსვლა იკადრეს:

— ხელი გამიშვი.

— ხელი გამიშვი, შენი...

მერე უშნოდ დაიკლაკნენ, მიტოს ფე-
ხიც მოუქნიეს, ვერ მიწვდნენ, დაიგ-
რიხნენ, თითქოს დაპატარავდნენ, მუხ-
ლებში გაწყდნენ და ჩაიჩოქეს. მიტო
ახლა ოღონდ მოხრილი ადგათ თავს.

— ან ბიჭს იცნობთ? — მიტომ ჩემზე
აჩვენა.

— არა, არ ვიცნობთ!

— იცნობთ-მეთქი?

— ვიცნობთ, ვიცნობთ, ვაიმე...

— რატომ სცემეთ?

— ვაიმე, არ გვიცემია.

— ხელი გამიშვი, მოგვკვდი.

— მაშ, არ გვიცემიათ?

— ვცემეთ, გამიშვი ხელი, გამიშვი...

— აბა, წამოდი...

— გვაპატიე, აღარ ვიზამთ, გვაპა-
ტიე... უთხარი რა, გვაპატიოს, — ისე



შემომბლავლეს, რომ მიტოსთან მივედი:

— ძია მიტო, ეყოფათ.
— მოიცა.

— ეყოფა, მიტო! — მამაჩემი უხერხულად ილიმებოდა.

მიტომ ხელი გაუშვა:
— ადექით!

ბიჭები წამოდგნენ, ნატკენი ხელები მაშინვე ილიაში ამოიდეს.

— ხელი მაჩვენე, — უთხრა მიტომ უფროსს.

ბიჭმა ხელი გაუწოდა. მიტომ ზედ ხელი გადაუსვა და თითები გაუწია:

— დიდი არაფერი, უცებ გაგივლის, კარგი გიგლა ვარ, არა?

ბიჭმა ხმა არ გასცა.
— აბა, ახლა წამომყევით!

ბიჭები ბატკნებივით გაჰყვნენ. ქუჩაში ასფალტს აგებდნენ. ამ ადგილას გაზის მილები ჩაეყარათ და ახლა ქუჩას ასწორებდნენ. მიტომ ბიჭები ასფალტის სატკეპნ მანქანასთან მიიყვანა:

— ახლა ერთ კარგ რამეს გასწავლით, მადლობელი დამრჩებით.

მერე ერთ მუშას ნიჩაბი გამოართვა და უფროს ბიჭს მიაჩეჩა:

— აი, ამ ადგილას ასფალტი მოაყარე.

სატკეპნი მანქანის წინ ქალი მოდიოდა და ჩვარს მანქანის ბორბლის პრიანლა ზედაპირს მალიმალ უსვამდა. ჩვარი რომ გაშრებოდა, იქვე კასრში ასველებდა.

— შენ კი ჩვარი დაიჭირე და იმ ქალს ხომ ხედავ, ისე გააკეთე, ხელი გტკივა?

— არა, — ჩაიბუზღუნა ბიჭმა.

— შენ ვინა ხარ, რომ უფროსობ? — გადმოსძახა მანქანის შოფერმა მიტოს.

— ესენი პრაქტიკაზე მყვანან, თუ ძმა ხარ, მიმიხედე, ერთი-ორი საათი კარგად იმუშაონ, არ იზარმაცონ, წასასვლელი ვარ...

— შენ გიშველოს ღმერთმა, დამხმარე ვიშვოვ და გავუშვა? — გაიცინა შოფერმა.

რომ გამოვბრუნდით, დოდომ მიტოს:

— ძია მიტო, რა ხელი გქონიათ?

— ამ ხელს ჯერ ურო ეჭირა, ადრე სამკედლოში შეგირდად ვმუშაობდი, მერე ხუთი წელიწადი — თოფი. მერე კარგახანს — ფანქარი და სახაზავი. ფანქარს მოვერიე და ამით ვერ მოვერეოდ!

— გაიცინა მიტომ.

— ერთხელ მიტომ ხელით მანქანა გააჩერა, — თქვა მამამ.

— მანქანა გააჩერა? როგორ?
— როგორ და... მე და მიტო ხომ ფრონტზე ერთად ვიყავით. იქ ერთი გერმანული მანქანა ჩაგვივარდა ხელში, ჩვენი „ზაპოროჟეცი“ რომ არის, იმაზე ცოტა დიდი. მიტო ბიჭებს დაენიძლავა, მანქანა დასძარიო, მე კი ხელით გავაჩერებო. მოიგო კიდევ სანაძლეო...

— სანაძლეო მოვიგე, მაშ, მერე რა სანაძლეო...

— რა იყო, აღარც მახსოვს? — ჰკითხა მამამ.

— რა იყო და კედლის საათი. თორმეტი რომ შესრულდებოდა, გუგული გამოხტებოდა და გუგუს დაიძახებდა.

ისინი ლაპარაკში გაერთვნენ. ამ დროს ჩვენი ტაქსის შოფერი მოვიდა.

— ძალიან კი მოგვეხმარე, აი, — შეეხუმრა მიტო.

— რა ვნახე, კანდელაკი ყოფილხარ, ძმაო!

— კანდელაკი ვარ, მაშ, კანდელაკი!
— ტაქსი ხომ არ გჭირდებათ?

— არა, ტრამვით წავალთ, — უპასუხა მამამ.

მერე მამას და მიტოს დავემშვიდობეთ. ათი ნაბიჯიც არ გვქონდა გავლილი, რომ რატომღაც უკან მოვიხედე, მიტო ფარდულთან წყალს სვამდა, მამა იდგა და გვიყურებდა. ვიგრძენი — უნდოდა მივსულიყავი.

— დოდო, ახლავე მოვალ...

მამასთან მივედი და წინ დავუდექი. ცოტახანს მიყურა, მერე მხარზე ხელი დამარტყა და გამიღიმა.

თამაზ ჭილაძე
პირველი დღე

— იქნებ გეჩქარება? — ვკითხე დო-
დოს. — თუ გეჩქარება, ნუ წავალთ.

— არ მეჩქარება, თვითმფრინავი ლა-
მით მიფრინავს.

— მაშ მიღიხარ?

რატომღაც ველოდი, მეტყოდა —
არაო.

— მიფრინავ. შენ ვინ ვითხრა?

— არავინ.

— აბა, საიდან იცი, რომ მიფრინავ?

— ვიცი.

— ჰო, მიფრინავ.

— ორი წლით მიღიხარ?

— ესეც იცი?

ტროლეიბუსიდან რუსთაველის პროს-
პექტზე ჩამოვედი. ახლა გადასას-
ვლელთან ვიდექით, აქედან თეატრი
რამდენიმე ნაბიჯზე იყო.

— თეატრში შევიდეთ, ხომ დამპირ-
დი, — მითხრა დოდომ.

— კი, — თავი დავუქნიე, — შევი-
დეთ.

— არასოდეს სცენაზე არ ავსულვარ.
ხომ ამიყვან სცენაზე?

— კი.

მინდოდა მეტქვა, მოდი, ამაღამ ნუ
წახვალ-მეთქი, მაგრამ თავი დროზე შე-
ვიკავე.

„სისულელეა“.

ნაბიჯი უნდა გადამედგა, რომ ვიღაც
კაცმა მკლავში ხელი წამავლო:

— ბიძიკო?

— ბატონო?

— ბიძიკო, გეჩქარება?

დავიბენი, ხმა ვერ ამოვიღე და დო-
დოს შევხედე.

— ხოდა, თუ არ გეჩქარება, ეს ჩან-
თა ცოტახანს დამიჭირე, ამ წუთში მო-
ვალ...

ხელში „ბორჯომის“ ცარიელი ბოთ-
ლებით საესე ჩანთა შემაჩეჩა. აღარა-
ფერი უთქვამს, გატრიალდა და წავიდა.

მე და დოდო ერთმანეთს გაშტერე-
ბული შევეყურებდით, მერე დოდოს სი-
ცილი წასკდა:

— ბიძიკო...

ჩანთა მაღლა ავწიე:

— დაედო ქუჩაში, ვინ მოიპარავდა?

ასეთებიც არიან, სიცილ-სიცილით
ისე დავასაქმებენ, შენი მოწონებული.
ამას წინათ სტადიონზე ვიყავი. ჩვენი
„დინამო“ მოსკოვის „სპარტაკს“ ეთა-
მაშებოდა. თუ რა ძნელია ბილეთის
შოვნა, თქვენც კარგად მოგვხსენებთ.
ბიძაჩემთან გავიარე, ისე, ყოველშემ-
თხვევისთვის, იმედი კი არ მქონდა. ბი-
ძაჩემი ფეხბურთის გულისთვის ჭკუას
კარგავს. იმ დღეს სასწაული დავიჯე-
რე. სადარბაზო შესასვლელ კართან
ბიძაჩემს შევეფეთე, ისე გამობოდა,
კინაღამ წამაქცია. რომ დამინახა, თვა-
ლები გაუბრწყინდა, რა დროზე მოხვე-
დი, ბილეთი ჩემს პარიკმახერთან მიმ-
ქონდაო. თქვენ არ მიღიხართ-მეთქი?
არა, არ მივდივარო. რატომ, რა მოხ-
და-მეთქი? საღამოს სპექტაკლი მაქვსო.
მერე რა, მოასწრებთ-მეთქი. არა, გული
ცუდად გამიხდება და ველარ ვითამა-
შებო. ასეთი კაცია ბიძაჩემი, ფეხბურთს
რომ უყურებს, გული ცუდად უხდება.
სულ ფრენა-ფრენით წამოვედი. სტა-
დიონთან რომ მივედი ბილეთს მაშინ
დავხედე. თვალს არ დავუჯერე: მეორე
იარუსი, პირველი რიგი, ოთხმოცდაე-
შვიდე ადგილი! წარმოგიდგენიათ? მარ-
ტო სიზმარში თუ შეიძლება ასეთი ბი-
ლეთის ნახვა! თამაშის დაწყებას ნახე-
ვარი საათი აკლდა, ჩემს ადგილზე რომ
დავჯექი. ადგილები აქა-იქ ჯერ კიდევ
ცარიელი იყო. მერე ერთი მსუქანი კა-
ცი მომიჯდა გვერდით. ხელში ქალა-
ღში შეხვეული კამფეტები ეჭირა. კარ-
გი ნახევარი კილო კი იქნებოდა. გვერ-
დით მომიჯდა თუ არა, მაშინვე გამო-
მიწოდა, მიირთვითო. პიტნის საზიზლა-
რი კამფეტი იყო. არ მინდა-მეთქი. ვინ-
და თუ არა, აიღეთო. ავიღე. გმად-
ლობთ-მეთქი. მერე სახელი მკითხა.
ვუთხარი. მაშინვე ისევ გამომიწოდა,
გია, კამფეტი კიდევ მიირთვითო. ვკამ-
დი ამ კამფეტებს და ვფიქრობდი, რა
უნდა, ნეტავ რატომ მაძალებს-მეთქი.
იარუსი ნელ-ნელა ხალხით გაივსო, მე-

რე გაიჭედა. აბა, აბა, ჩავეწითოთ, იძახდა მსუქანი ბიძა და თან ყველას უცინოდა: ფეხბურთიაო, ჩვენი მოიგებენო, გინდა მომკალითო, აგერ ნახავთ, ყველანი აქ ვიქნებითო. შევატყვე, საქმე ცუდად იყო — იმ ბიძას ბილეთი არ ჰქონდა. ისე, ყველას ეგონა, რომ უბილეთო მე ვიყავი, ხმას არ მცემდნენ. ეგონათ, იმ ბიძას ვახლდი, სულ დაბღვერილები მიყურებდნენ. ხალხი რომ კიდევ მოგვემატა, იქ დარჩენა უკვე შეუძლებელი გახდა, ერთ-ერთი უნდა ავმდგარიყავით. ავდექი. უფროსი იყო, რა შექნა! რომ მივდიოდი, მისი ხმა მომესმა: ეჰ, ახლანდელი ახალგაზრდები, მე რომ ახალგაზრდა ვიყავიო... კიბეზე დავჯექი, გოზეთის ნახევი ვადმომაწოდა, ქვეშ დაიფინე, ქვაზე ზინარ და არ გაცივდესო. მინდოდა დამეყვირა: არ მინდა შენი კამფეტო-მეთქი, რომ ამ დროს მილიციელი მოვიდა და ამაყენა, აქ ხალხმა უნდა გაიაროს, სად დამჯდარხარ, როგორ არა გრცხვენიაო.

— ბიძიკო, ჩანთა დაბლა დაუშვი, — მითხრა დოდო.

ახლა მეც გამეცინა:

— რა ვქნათ?

— რა უნდა ვქნათ, დავუცადოთ. ხომ უთხარი, არსად არ მიჩქარებო.

— არ მითქვამს...

— უთხარი.

— არა-მეთქი, დედას გეფიცები.

— აბა, ის კაცი ვიყი იყო?

— საცაა მოვა, აბა, რას იზამს?

— მოსვლით კი მოვა, ამ ბოთლებს ხელში ხომ არ ჩამატოვებს!

ამ დროს ის კაციც მოვიდა. ჩანთა ისე გამომგლიჯა, თითქოს ეშინოდა, არ წამართვანო.

— მაღლობთ, ბიძიკო, — უთხრა დოდომ ცივი ხმით.

კაცმა დოდოს შეხედა, ხელი ისე აიქნია, თითქოს უთხრა — არაფრისო.

— ესეც შენ!

— რას იზამ!

მერე ქუჩა გადავჭერით და თეატრში შევედით. დარაჯი დოდოს დააკვირდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მე კარგად მიცნობდა. თეატრში ნახევრად ბნელო-

და, გრილოდა კიდევ. კიბე ისე ავიარეთ, არავინ შეგვხვებდრია. იარუსისკარი უნდა 'ძემელო, რომ ვილაცამ დამეცნაო.

— გაა!

მივიხედე და თამაზ სანებლიძე დავინახე, ჩვენკენ გაჩქარებული მოდიოდა.

„ახლა დაიწყება“.

თამაზი შუბლშეკრული მოგვიახლოვდა. გავუღიმე, მაგრამ არ გასჭრა, შუბლი არ გაუხსნია.

— გაა, რას ჰგავს ეს?

მხრები ავიჩეჩე, დოდომ გაკვირვებით შემხედა.

— რას ჰგავს-მეთქი ეს, შენ გეკითხები.

თამაზს თეატრალური ინსტიტუტი ახალი დამთავრებული ჰქონდა, ჩემზე არც ისე უფროსი იყო, რომ ასეთი კილოთი მოემართნა.

— რა იყო, თამაზ, გენაცვალე?

„გენაცვალეზე“ გადაიროა, თუმცა წინდაწინ ვიცოდი, ასე დამემართებოდა. განგებ ვუთხარი, მეც კარგი ტოროლა ვარ.

— თეატრში რას აკეთებ? — მკითხა. დავინახე ტუჩები აუკანკალდა.

— მატარებელს ველოდები.

დოდომ ისე ხმამაღლა გაიცინა, თამაზი ცოტათი შემეცოდა კიდევ.

— ამ დროს თეატრში რას აკეთებ-მეთქი.

— ხომ ვითხარი.

— მე არ ვხუმრობ.

— თამაზ, გაიცანი — დოდო...

თამაზს დოდოსკენ არც კი გაუხედავს, მხოლოდ თავი მოწყვეტით დაიქნია, ცირკში ცხენები რომ ხალხს ესალმებოდა — ისე.

— ხომ იცი, რომ აქ უცხოს შემოყვანა არ შეიძლება?

— განა დოდო უცხოა? — თავი მოვისულელე.

— ეს სასტიკად აკრძალულია, სასტიკად!

— ერთი გვაპატიე.

— კარგი, — უცებ დამეთანხმა თა-

თამაზ ჭილაძე
პირველი დღე

მაზი, ესიამოვნა, მამატიე-მეთქი, რომ ვუთხარი. გატრიალდა და წავიდა.

— ვინ იყო? — დოდო სიცილს ძლივს იმაგრებდა.

— თამაზ სანებლიძე.

— რას აკეთებს?

— ჩვენი ადგილკომის წევრია.

ვერ ვუთხარი მსახიობია-მეთქი. ჩვენი თეატრის მსახიობები ისეთი კარგი ბიჭები არიან, რომ მათი მომერია. თამაზ სანებლიძე კი ნამდვილად მსახიობად მუშაობდა თეატრში. ადგილკომის წევრიც ნამდვილად იყო. კედლის გაზეთსაც ის უშვებდა. სტადიონის ბილეთებიც იმას მოჰქონდა და ანაწილებდა, მოხალისე მეხანძრეთა რაზმის უფროსიც იყო, ურთიერთდამხმარე სალაროსაც ის განაგებდა. მეტყვიით, თუ ამდენ რამეს აკეთებს, რას ერჩიო. იმას ვერჩი, რომ მსახიობი არ იყო. სხვაგან რომ ემუშავნა, ალბათ, რამე გამოუვიდოდა, აქ იტანჯებოდა, თავი მსახიობი ეგონა, არავინ კი არ აქებდა. მსახიობი კი, თუ არ აქე, აბა ისე რაა? ერთხელ რეპეტიციაზე შევესწარი. არ ვიცი, რატომ შევედი, მგონი დირექტორმა ვიდაცის დაძახება მთხოვა. რეჟისორს ყელსახვევი მოეხსნა, საყელო გაეღედა და ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. თამაზი შუა ოთახში იდგა და მწარედ იღიმებოდა.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, მოტრი-ალდები და ტაშს შემოჰკრავ, — რეჟისორს ხმა ჩახრინწოდა.

თამაზი დაიძრა, თან თავისთვის ითვლიდა: ერთი, ორი, სამი...

— არა, ასე არა, თავიდან.

დანარჩენი მსახიობები შეწუხებულები ჩანდნენ. ჩუმად კარნახობდნენ კიდევ: ერთი, ორი, სამი, ოთხი, მოტრი-ალდები და ტაშს შემოჰკრავ.

რა უნდა ველაპარაკო! ერთხელ მე და მეხანძრე სიკო გამოგვიკირა და შექსპირზე დაგვიწყო ლაპარაკი. „ჰამლეტის“ მთავარი გმირი ხელმწიფეაო. რადგან ხელმწიფე იყო, მთავარი გმირი, ალბათ, იმიტომ ეგონა.

— პიესას რომ „ჰამლეტი“ ჰქვია? — შევაპარე ჩუმად.

— ჰმ...

ისეთი თვალებით მიყურებდასაუფლო-ნათლებელი აშკარად ვეცოდებოდი. ერთხელ კარგი ოინი გავუკეთე. თეატრის ბუფეტში ვიჯექი და ვსაუზმობდი. ამ დროს თამაზი შემოვიდა. ხელების ფშვნეხით სამზარეულოსთან მივიდა, შეიქვირტა: დეიდა მარო, ექვსი კვერცხი ჩახალეო. ლუკმა ყელზე დამადგა, ხელოვანი კაცი ექვს კვერცხს ერთად რომ შეჭამს, რა უნდა იყოს! დეიდა მარომ ეროკვერცხი უცებ შეუწვა. თამაზმა თეფში ორივე ხელში დაიჭირა და მაგიდისკენ წამოვიდა. ისე მოდიოდა, თითქოს სიარულის დროს წერილს კითხულობდა. მე ხმადავალი დავიწყე: ერთი, ორი, სამი, ოთხი... თამაზს ჯერ არაფერი უთქვამს, თეფში მაგიდაზე დადო, გვერდით დანა-ჩანგალი მოუწყო, მაგიდას მიუჯდა და მხოლოდ მაშინ შემხედა. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ცოტახანს ასე ჩუმად ვუყურებდით ერთმანეთს, მერე თამაზმა კბილებში გამოსცრა:

— გველის წიწილო...

ისე, ცოტა კი მეცოდება. ვინმე პატრონი რომ ჰყოლოდა, ეტყოდა, მსახიობობა შენი საქმე არ არისო. ნიჩაბს მისცემდა ხელში და რამე სამუშაოზე დააყენებდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ზოგს მსახიობი მუშაზე უკეთესი ჰგონია. არაფერი! მამაჩემი თამაზისთანა ხუთას ორმოცდაათ მსახიობს მაინც აჯობებს. მე კი ვიცი, ჩემგან მსახიობი რომ არ დადგება, მაგრამ ამას ჯერ არ ვამხელ, დედა მომკლავს.

— რა გაცინებს? — მკითხა დოდომ. თუმცა თვითონაც იცინოდა.

— ვიცი კი არა...

ახლა მართლა გულიანად გადავიხარხარე. კარი გამოვალე, წელში მოვიხარე და ხელი გავშალე:

— მობრძანდით, გრაფი მონტე-კრისტო დიდი ხანია გელოდებთ.

დოდომ თავი მალა ასწია, ქედმაღლურად გადმომხედა:

— ჩემს მსახურთან მიდით, ოქროს გაჩუქებთ.

იარუსზე შევედით და კუთხეში იმ

ადგილას მივედით, სადაც ჩემი პროექტორი იდგა.

— კმაყოფილი ხართ თქვენი ხედვის, სენიორ?

დოდომ შეიფერა, თამაშს განაგრძობდა, ეტყობა, თეატრმა იმოქმედა.

— კმაყოფილი ვარ, ჩემო ლამაზო ქალბატონო.

ეს ისე ნაზად გამომივიდა, რომ დოდოს სახე შეეცვალა, მეც თავი დავხარე. ამ სიბნელეში დოდო სცენიდან იარუსზე, ჩემთან ამოსული ქალბატონი მეგონა.

— „მეც მჯეროდა თქვენი სიყვარული“, — ვთქვი ჩუმიად.

— რა? — ჩამეკითხა დოდო, — რა თქვი?

— არაფერი, ამას ოფელია ჰამლეტს ეუბნება.

— რა კარგი რამეები იცი, გია!

— აქა ვსწავლობ.

— გაიმეორე რა? — მთხოვა დოდომ.

— „მეც მჯეროდა თქვენი სიყვარული“.

— რა კარგია არა? „მეც მჯეროდა თქვენი სიყვარული“.

— აბა თუ იცი, „ჰამლეტის“ მთავარი გმირი ვინ არის?

დოდომ ღიმილზე შემატყო, რაღაცას ვეშმაკობდი.

— ოფელია, — მიპასუხა ისეთივე ღიმილით.

„აი, ძმაო, გოგო!“

უეცრად მომეჩვენა, რომ დარბაზი სავსე იყო და ხალხი ჩვენ გვიყურებდა. შეეკრთი, მოგტრიალდი და დარბაზში ჩავიხედე. დარბაზში ბნელოდა. სავარძლებისთვის თეთრი ტილოს სარჩული გადაეფარებინათ და სიბნელეში თოვლივით მოჩანდა. არა, ნამდვილად ვილაც გვიყურებდა, გვიყურებდა თუ გვისმენდა. ნუთუ ეს სმენას დაჩვეული, ცარიელი დარბაზი გვისმენდა?

— ახლა სცენაზე ამიყვანე, — მითხრა დოდომ. — სცენაზე არასოდეს არ ვმდგარვარ...

წინათ სცენაზე არც მე ვმდგარვარ. ბავშვობაში პიონერთა სასახლეში ერთ-

თი-ორჯერ ლექსი წამაკითხეს, ეს არც

და ეს. საერთოდ არ მიყვარს, ^{ბავშვებს} რომ გამოიყვანენ და მისთვის ^{მეფისთვის} წაიკითხა.

რბელ ლექსს წააკითხებენ. ისეთი სახე აქვს, თითქოს სკოლაში ჩასაბარებელ

ჯართს მიათრევს. ერთხელ საქალაქო ოლიმპიადაზე ვიყავი. სცენაზე ერთი

ბუთხუზა ბიჭი გამოვიდა. ყელზე უშველზელი ბანტი ეკეთა, ოთახის ფინი-

ებს რომ უკეთიათ ხოლმე. მოულოდნელად „ფაუსტიდან“ მეფისტოფელის

მონოლოგის კითხვა არ დაიწყო?! თან ხელებს შლიდა, ვითომ ქესტებს იშვე-

ლიებდა. ახალი დაწყებული ჰქონდა, რომ უეცრად გაჩერდა, თვალები გაუ-

დიდდა, ხელები გამლილი დარჩა — მოკლედ, დაავიწყდა. დარბაზში ისეთი

სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ბავშვი უფრო დაიბნა. ერთი კი წაიბურტყუნა: ეეო

და ტირილი დაიწყო. ისე გულწრფელად ტირიდა, ათ ლექსს ჯობდა. ნამ-

დვილი ბავშვი იყო, ძმაო. ტაში დავუკარი. შემომხედეს — ვინ არის ეს უზრ-

დელიო. მე ვიცი, იმ ბიჭს თავს რაც დაატყდებოდა: მასწავლებელი გაებუ-

ტებოდა, დედა იტირებდა, მამა წაარტყამდა — შე უნიჭო, შენაო. რა მოხ-

და, ლექსი დაავიწყდა! ბავშვს თუ ლექსი არ დაავიწყდა, რის ბავშვია! აბა, მა-

მამისი თუ იტყოდა ბოლომდე მეფის-

ტოფელის მონოლოგს?

იარუსიდან ჩამოვედით. ბედად სცენაზე არავინ შემხვედრია. მე მგონი,

არც გამოჯავრდებოდნენ, ისეთს რას ვაკეთებდი? სცენაზე კიდევ უფრო ბნე-

ლოდა. დოდოს ხელი ჩაკვიდე და ხელის ფათურით შუაში გავედით. ხელის

ფათურით იმიტომ, რომ მეგონა, სცენაზე დეკორაციები იქნებოდა. მერე დოდოს ხელი გავუშვი.

— მეშინია, — თქვა იმწამსვე დოდომ.

— ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს, — ვუთხარი მე.

— გია, სადა ხარ?

— აქა ვარ, ნუ გეშინია.

— ასე ბნელში უნდა ვიდგეთ?

თამაზ ჭილაძე
პირველი დღე

— ბნელში? — იმწამსვე თავში ერთ-
მა აზრმა გამიელვა.

— დოდო, მე ახლავე მოვალ.

— არ წახვიდე, გია, არ წახვიდე,
მეშინია.

— ნუ გეშინია, ამ წუთას მოვალ.

წამოვედი. ვიციოდი ფარდა როგორ
უნდა გამეხსნა. ფარდის გასასხნელი
სიბნელეში ძლივს მოვძებნე და სახე-
ლური ჩამოვწიე. მერე შრიალი მო-
მესმა, თითქოს სიბნელეში დიდმა
ფრინველმა გაიფრინა, მივხვდი, ფარ-
და გაიხსნა.

— გია!

— ახლავე მოვალ.

გამოვიქციე, იარუსზე ავევარდი და
სცენას შევხედე. სცენაზე ბნელოდა,
დოდოს ლანდი მაინც გავარჩიე.

— გია, გია, — თქვა ჩურჩულით
დოდომ. ამ ჩურჩულმა სიბნელე გაავ-
სო.

ვიგრძენი, დარბაზი როგორ დაიძაბა.

პროექტორი ჩავრთე და სცენას მი-
ვანათე. სინათლეს დოდოს განგებ ვარი-
დებდი, თითქოს დავეძებდი. დოდოს
ბნელში რომ დავეძებდი, მიხაროდა.
ალბათ, ისიც მელოდა, როდის ვიბოვ-
ნიდი, გავანათებდი. ვიფიქრე ჩვენი ამ-
ბავი ვილაცამ სცენაზე გაიტანა და ქვე-
ყანა გვიყურებს-მეთქი. დასამალი არა-
ფერი არ მქონდა. ნეტავი, მართლა ყვე-
ლას გაეგო, როგორი ბიჭი ვიყავი, ან
დოდო რომ მიყვარდა. არა, ვისთვის
რა საინტერესო იყო. რამდენს უყვარს
ვინმე, მაგრამ იმ სიყვარულზე პიესებს
კი არ წერენ. არა, სხვა რაღაც უნდა
გააქეთო კიდევ. სხვა? არა, თუნდაც
ისე უნდა ვიყვარდეს, რომ ყველა უნდა
ფიქრობდეს, ნეტავი მეც ასე შემეძლო-
სო. ჩვენს პიესებში კარგ გოგოს უსა-
თუოდ ცუდი ბიჭი უყვარს. მერე ის გო-
გო ბიჭს გამოასწორებს, საზოგადოებაც
დაეხმარება, ერთმანეთს ხელს ჩაჰკიდებ-
ნენ და თავს დაგიკრავენ. განა არ შე-
იძლება ორივე კარგი იყოს, შრომაში
ჩამორჩენაზე არ ებუტებოდნენ ერთმა-
ნეთს, სცენაზე არ ყვიროდნენ, შემოგ-
ვხედეთ, რანაირი არაჩვეულებრივები
ვართო. კაცი თეატრში რომ მიდის, მას

უნდა, იქ თავისი თავი დაინახოს. განა
ცხოვრებაში, ვინც მართლა საკმის
აქეთებს, „შემომხედეთ, შემომხედეთ“
თავს ვაბეზრებთ? იქნებ მართლაც შე-
იძლებოდეს, ჩვენი ამბავი რომ სცენაზე
დაიდგას? იქნება მართლა, ჰა?

— გია!

შუქი მივანათე. დოდო თავაწეული
იღგა, უცებ გაიღიმა, თუმცა, ალბათ.
ვერ მხედავდა, ვიციოდი, რომ მე მილი-
მოდა. მერე თავზე ხელები შემოიჭლო
და ასე თავაწეულმა სცენაზე წრე და-
არტყა. ისეთი ლამაზი იყო, კინალამ
ტირილი დავიწყე. სულ ასე მემართე-
ბა: თუ კარგი რამე ვნახე ან მოვისმინე-
გული ამომიჯდება ხოლმე. რატომ, არ
ვიცი. ასე კია და...

— რა კარგია, — მომესმა დოდოს
ხმა. — ღმერთო!

დოდო იღგა და იღიმებოდა. ასე გო-
გები იმ დროს იღიმებიან ხოლმე.
ზღვიდან რომ ამოვლენ, თავზე ხელებს
შემოიჭლობენ და ცას უყურებენ.

„რა ფერია ზღვა, გია?“

„ლურჯია, სალომე...“

დოდო ახლა სცენაზე დიდ წრეებს
არტყამდა. კი არ დადიოდა, ცეკვავდა.
თან ამბობდა:

— ორი წლის მერე ოცის გავხდები.
თითქოს უკვე ოცი წლისა ვარ. ასე
მგონია, ყოველ წამს თითო წელი მემა-
ტება...

დარბაზი რომ მართლა სავსე ყოფი-
ლიყო, ტაში უნდა დაეკრა. მე მინდოდა
ტაშის დაკვრა, მაგრამ ამ დროს ვილა-
ცამ მხარზე ხელი დამარტყა. მოვიხე-
დე, სანებლიძე შემრჩა ხელში. რა გიხ-
და-მეთქი? დიდი ხანია გიყურებთო. მე-
რე რა-მეთქი, რა მოხდა? გეყოფათ ახ-
ლა ეგ მასხრობაო. კინალამ გავუშალე.
მაგრამ არ ღირდა. კარგი-მეთქი, წა-
ვალთ.

თეატრიდან რომ გამოვედით, მზემ
თვალი მოგვჭრა.

— ახლა კი წავალ, — თქვა დო-
დომ. — შინ, ალბათ, დიდი ხანია მელო-
დებიან.

— გაგაცილებ, — ვუთხარი მე.

— კარგი, გამაცილე.

უცნაურია, თეატრში უფრო თამამად ველაპარაკებოდი, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით. ახლა კი ენა წამერთვა, დავიბენი.

მინდოდა ისეთი რამე მეტქვა, რომ დამახსოვრებოდა. ვერაფერი კი ვერ ვუთხარი. ჩვენი ბიჭები იტყოდნენ ხოლმე, გოგოს დაბმავზე ადვილი რა არის, მთავარია ილაპარაკო, სულ ერთია, რაზეც არ უნდა იყო, ოღონდ ილაპარაკეო. საქმე ის იყო, რომ მე ეს არ მინდოდა. თუმცა თვითონ არ ვიცოდი, რა მინდოდა! დაღმართზე ჩავუხვიეთ და ბალის კიდეს ჩავყვეით.

— აქ ერთი წუთით უნდა შევიდე.

უცებ ფიქრისაგან გამოვერკვიე:

— სად?

— აგერ იქ, — დოდომ ხელი გაიშვირა, — მესაათესთან...

— მესაათესთან?

— ჰო, საათი უნდა წამოვიღო, დილით დავუტოვე.

ქუჩის მეორე მხარეს გადავედით. მესაათეს სახელოსნო სარდაფში ჰქონდა. კიბის სამი საფეხური უნდა ჩაგვევლო. კარი რომ შევადეთ, ზარმა დარეკა — კინოებში რომ არის, ისე. მესაათეს პატარა ოთახი ეჭირა. კედლებზე სულ საათები ეკიდა, საათები მაგიდებზეც ეწყო. თვითონ მესაათე უცებ ვერც კი დავინახე, მაგიდაზე დახვავებულ საათებში არც კი ჩანდა, კედლის საათები ელავა მაგიდაზე, მერე თავი ასწია, თვალზე მიმაგრებული პაწია ჭოგრიტი მოიხსნა და კარგად აგვათვალა — ჩავვათვალა. კარგახანს გვიყურა, თითქოს რწმუნდებოდა, რომ ნამდვილად ადამიანები ვიყავით და არა საათები, მერე ჩაახველა და თქვა:

— აჰა...

ეს, ალბათ, იმას ნიშნავდა, რომ დოდო იცნო.

— დაბრძანდით.

ეს ისე, ზრდილობისთვის ნათქვამი სიტყვა იყო. ოთახში ერთი სკამი იდგა და იმაზეც თვითონ იჯდა.

— მზად არ არის? — ჰკითხა დოდომ.

დოდოს ხმაში გაუბედაობა ეტყობოდა. რატომ არის, რომ მეკრავებთან და მესაათებთან სითამამე ვამაყობოდა ხოლმე?

— ახლავე მზად იქნება.

მთლად გათვრებული თმა თითქმის მხრებამდე სწვდებოდა. თავზე შავი ატლასის პატარა ქუდი ეხურა.

„პაველ ბურე“.

მაგიდას ხელით ჩამოვეყრდენი და ოთახი მოვათვალა. უცებ საათებში ჩამალული გალია დავინახე. გალიაში ყვითელი ჩიტი დახტოდა — იადონი. დოდოს თვალით ვანიშნე, შეხედე-მეთქი. დოდომ შეხედა და თავი დამიქნია. ვერ მივხვდი, თავი რატომ დამიქნია. თვალებით ვკითხე, რა-მეთქი? დოდომ ისევ დამიქნია თავი, მერე ახლოს მოიწია და მიჩურჩულა:

— იადონია.

ორივენი იადონს ვუყურებდით. როგორ ჰგავდა გალიაში გამომწყვდეული ჩიტი საათს! საათებშიც იადონები სხედან, დახტიან, გალობენ. მერე? მერე კედლებიან და პაველ ბურე შიგ ახალ იადონებს სვამს. ნეტა რამდენი იადონი ეყოფა ორი წლის ლოდინს?

— მზად არის, — თქვა პაველ ბურემ.

„ახალი იადონი“.

— გმადლობთ, — უთხრა დოდომ და ფული გაუწოდა.

— მეც მადლობთ, შვილო.

ადამიანებს საქმის დროს სხვა ხმა აქვთ, საქმეს რომ მორჩებიან სხვა. დოდომ საათი მაჯაზე ქუჩაში შეიბა. გაუჭირდა, კბილებიც მიაშველა. მივხმარე. მაჯაზე ხელი რომ მოვკიდე, უცებ ძარღვის ფეთქვა ვიგრძენი, რატომღაც თავბრუ დამეხვა.

— გია!

ჩემი სახელი ძალიან შორიდან მომესმა.

— გია.

დოდო უცებ დაიხარა და ლოყაზე მაკოცა. მერე ადგილიდან მოწყდა და გაიქცა. წავიდა. მეგონა ქალაქში სულ თამაზ ჭილაძე

პირველი დღე

მარტო დავრჩი. ჯერ მინდოდა, უკან დავედევნებოდი.

„წავალ, ვთხოვ მამამისს, მეც წამიყვანოს გემზე. ცუდად ვიმუშავებ თუ?“
მერე ორჯერ ხმამალლა დავიძახე:

— დოდო! დოდო!

იქვე ახლოს ტაქსი გაჩერდა. მიანქანიდან ჭალარა ქალი გადმოვიდა. იმ ქალმა შორიდანვე გამიღიმა, მერე ჩემკენ წამოვიდა:

— გაა!

უცებ ბურუსი გაიფანტა, თითქოს წყლიდან ამოკვყინთე, თვალეზზე ხელი მოვისვი.

— რა დავემართა?

ჰო, ნამდვილად ბიცოლაჩემი იყო. არც შემიმჩნევია, ბიძაჩემის სახლის წინ ვმდგარვარ.

— არაფერი, ქეთო ბიცოლა, რა უნდა მომსვლოდა.

— ჩვენთან მოდიხარ?

— დიახ.

— ქუჩაში რატომ დგახარ, ვინმეს ხომ არ უცდი?

— არა.

— მაშ წავიდეთ.

ბიცოლაჩემს ჩანთა ჩამოვართვი. კიდევ კარგი ეს მაინც მოვაფიქრე, ისეთგამოშტერებული ვიყავი. ბიცოლაჩემი ძალიან კარგი ქალია. ჩვენ ყველანი ვუყვარვართ. ის და ბიძაჩემი ისე დაბერდნენ, შვილი არ ეყოლათ. ვიცო, ამას ძალიან დარდობენ, თუმცა ხმამალლა კი არ ამბობენ. ერთი რამე მიკვირს, ბიცოლაჩემს სულ არ უყვარს თეატრი. თეატრში არ დადის, მგონი. სულაც არ ყოფილა იქ. ოღონდ შინიდან ნუ გამოიყვან, რა თქმა უნდა, ბაზარში წასვლის გარდა, მთელი დღე სამზარეულოში აფუსფუსე, მეტი არაფერი უნდა. გაზეთში ბიძაჩემის ქებას რომ წაიკითხავს, გაიღიმებს ხოლმე, ეს არის და ეს.

ბიძაჩემი თავის ოთახში დაგვზვდა. სარკის წინ მონოლოგს კითხულობდა. ვიცოდი, ამ საღამოს ჰამლეტის როლი უნდა ეთამაშა, განა ცუდად ეთამაშობს, მაგრამ ხანშიშესულ კაცს ჰამლეტის როლი რაღაც არ უხდება. არ ვიცი, თქვენ როგორ ფიქრობთ, მე კი ასე

მგონია და... კითხვა არ შეუწყვეტია. ხელით მანიშნა—დაჯექიო. იგივეა დიდი სავარძელი ედგა, შიგნით მჯდომები, ჩაიკარგებოდი. იმაში ჩაჯექი. ვიცოდი, უყვარდა, როცა ვუსმენდი. ისეთი სახე მივიღე, თითქოს სძენად ვიქეცი. სულ სხვა რამეზე მინდოდა მეფიქრა. სიტყვები კანტიკუნტად მესმოდა. ჩემდა უნებურად, მართლა მივუგდე ყური. მერე გავოცდი, ბიძაჩემმა იცოდა, დღეს რაც შემემთხვა და ახლა შექსპირის ლექსს განვებ კითხულობდა. ეს ხომ ჩემი ამბავი იყო, ჩემი სათქმელი სიტყვები! ვიჯექი და შურით ვსკდებოდი: ნუთუ შეიძლება ასე ზუსტად გამოთქვა ის, რასაც შეყვარებული კაცი ფიქრობს? მე კი... თუნდაც ერთი ასეთი სიტყვა რომ მეთქვა დოდოსთვის... ბიძაჩემს ვუსმენდი და თან რატომღაც შექსპირზე ვფიქრობდი: ნეტა, რანაირი კაცი იყო-მეთქი. რანაირი გარეგნობა ჰქონდა. ვერავის ვერ მივამსგავსე, ვერც ნაცნობებს. ვერც მსახიობებს, ვერც მწერლებს. თითქმის ყველა მწერლის სურათი კედელზე მაქვს გაკრული. შუაში რუსთაველის სურათი მიკიდიო. იმიტომ, რომ ამ ქვეყანაზე ყველა მწერალს ის მირჩევნია. რუსთაველის მერე შექსპირი მიყვარს. გაგეცინებათ, ამ ღლაპს ვერ უყურებთ, რეებს ლაპარაკობსო, მაგრამ ნამდვილად ასეა. რაც დაუწერია, იმის მესამედიც არ მექნება წაკითხული, მაგრამ მაინც მიყვარს. ისეთ სიტყვას იტყვის, გული ამევსება ხოლმე. მერე მაცდური ფიქრი შემეპარა: იქნებ შექსპირი მე გავადა-მეთქი. ნუ გაგეცინებათ, სწორედ ასე ვიფიქრე. იქნებ ჩემსავით აწოწილი იყო, ჩემსავით მარტო სიარული უყვარდა-მეთქი. მერე ვიგრძენი ძია ანტონი რომ მეუბნებოდა: ყველაფერზე დიდი ადამიანის სულიაო, აი, ისეთი დიდი და მაღალი სული მქონდა. სამრეკლოსავით ენთო და შიგ ზარებს რეკავდნენ.

— ამ ბიქს რა დაემართა? — ნომეს-მა უცებ ბიძაჩემის ხმა.

შევკრთი. ბიძაჩემი თავზე დამდგომოდა.

— შეყვარებული ხომ არა ხარ, ბიჭო?

„ვაიმე, დედა!“

მეორე ოთახში ბიცოლაჩემმა გაიცინა:

— უთუოდ შეყვარებული იქნება.

ამ ქვეყანაზე თურმე ვერაფერს ვერ დამალავ. ჩვენი ბიჭებისგან გამიგონია, თუ სიყვარულს მალავ, ნამდვილად გამოჰქერილი ხარო. ვიჯექი ახლა კურდღელივით გამოჰქერილი და უმწეოდ ვიღიმებოდი:

— შეყვარებული კი არა...

თან ვატყობდი, ბიძაჩემს ერთი სული ჰქონდა, სანამ მკითხავდა — ჩემი წაკითხული მონოლოგი თუ მოგეწონაო. ქება ბავშვივით უხაროდა. ისე, ჩემი მოკლე ჰკუთით, მგონი, ქება უფრო კარგ საქმეს აკეთებს, ვიდრე დაწუნება. ქება წახალისებასავით არის. რა თქმა უნდა, თუ სულელი არა ხარ, რომ შეგაქებენ, კიდევ უფრო კარგი გინდა რომ იყო. დღიურში სამიანს რომ ნახავდა, დედა ერთ ამბავს ატეხდა ხოლმე, მამა კი იტყოდა, არა უშავს, ვია კარგი ბიჭია, გამოასწორებსო.

ეს ქება ისე მიხაროდა, რომ მიწოდოდა ძალიან კარგი ბიჭი ვყოფილიყავი. არ ვიცი, თქვენ ჩემზე რა აზრისა ხართ, ცუდი ბიჭი კი ნამდვილად არა ვარ.

— მოგეწონა? — ვითომ არაფერიო, ისე მკითხა ბიძაჩემმა. თან მე არ მიყურებდა, წიგნს ფურცლავდა.

— ძალიან.

და უცებ ჩემდაუნებურად წამომცდა:

— ძია სანდრო, მე თეატრში მუშაობა აღარ მინდა.

ძია სანდრომ სათვალე მოიხსნა:

— რა თქვი?

— თეატრში მუშაობა აღარ მინდა-მეთქი.

— რატომ?

— რატომ და... იმიტომ, რომ მსახიობი არა ვარ, ვერც ვერასოდეს გავხდები.

— ეს როდის გადაწყვიტე, თუ ვინმემ გითხრა, მსახიობი არა ხარო?

— არავის არ უთქვამს...

— ჯერ არა ხარ, მაგრამ ^{განდგინა} ასე კი არ არის.

— არა, ძია სანდრო, ვერ ^{გაგაფრებოდა}

— მაშ, ჩემი არა გჯერა! ხომ გითხარი, ნიჭიერი ბიჭი ხარ-მეთქი.

— თქვენი როგორ არა მჯერა, მაგრამ...

ამ დროს ბიცოლაჩემიც შემოვიდა. ეტყობა, გვისმენდა.

— რას ჩააცვიდით, იქნებ არ უნდა მსახიობობა... გამიგონია?

— მაშ რა უნდა გააკეთოს?

— ვიმუშავებ.

— სად?

— სად? სად და...

— ჰო, სად იმუშავებ?

— სად და ენგურტპისის მშენებლობაზე წავალ...

ენგურტპისი საიდან გამახსენდა, არ ვიცი. რომ ამენებდნენ, ვახუთში მქონდა წაკითხული, ჩვენი ბიჭებიც ლაპარაკობდნენ ხანდახან.

— მაშ, მუშა გინდა გამოხვიდე.

— ჰო, ერთ-ორ წელიწადს ვიმუშავებ, მანამდე ააშენებენ კიდევ. მერე უმაღლეს სასწავლებელში გამოცდებს ჩავაბარებ, მერე ინჟინერი გავხდები, ცუდია?

— ცუდი კი არა, ძალიან კარგია, — დამიმოწმა ბიცოლაჩემმა.

— ხომ იცი, ვია, ახალგაზრდა კაცმა გზა სწორად უნდა აირჩიოს, მერე გვიან იქნება. ჯერ იფიქრე, ასე უცებ ნუ გადაწყვიტ.

— უკვე ვიფიქრე და გადაწყვიტე. ვტყულობ. ამაზე არასოდეს მიფიქრია, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ ახლა ეს მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი.

— თქვენებმა იციან?

— არა.

— თქვენებს მე ვეტყვი, — დამპირდა ბიცოლაჩემი.

— მოიცა, ქალო, შენ რა გიხარია?

— ხომ იცი, სანდრო, ვია მე შვილივით მიყვარს.

— მერე?

— მეტი არაფერი.

თამაზ კილაძე

პირველი დღე

აი, ბიცოლაჩემი ასეთი ქალია.
— დღესვე ხომ არ აპირებ თეატრი-
დან წასვლას? — მკითხა ბიძაჩემმა.
— არა, დღესვე არა.
— აბა, ერთად ვისადილოთ და მე-
რე თეატრში წავიდეთ.

შინ დავბრუნე, ტელეფონის ყურმილი
ჩემმა დამ აიღო:
— გისმენთ.

ისეთი გაპარანჭული ხმა ჰქონდა, კი-
ნაღამ გამეცინა.

— ჯინას თხოვეთ.
— ვის?
— ჯინას.
— სად რეკავთ?
— უკაცრავად, ეს ჯინა ლოლობრი-
ჯიდას ბინა არ არის?
— გია ხარ?

— ჰო, მოიცა, მოიცა, არ დაკიდო.
ეკა, მე ძია სანდროსთან ვისადილებ,
თეატრშიც აქედან წავალ, ჩვენებს
უთხარი.

— კარგი.
მერე სავარძელში ჩავვუქეი, მაგრამ
მაშინვე წამოვხტი, რადგან დოდო გა-
მასხენდა. ფანჯარასთან მივედი და
ფარდა გადავწიე. ფანჯარა ბაღს გა-
დაჰყურებდა. ბაღში გარინდებულ
თელები იდგნენ. ხის ძირას პატარა გო-
გონა დახტოდა, ხელში დიდი, წითელი
ბურთი ეჭირა. იმ ბურთს რატომღაც
თვალი ვერ მოვაშორე.

— არა, ეს ბიჭი ნამდვილად შეყვ-
არებულია, — მომესმა ბიძაჩემის ხმა.
— გათავდა, — ვთქვი ხმამაღლა.
— რა?
— ენგურპისის მშენებლობაზე მივ-
დივარ.

წამით გაჩაღებული ხეობები, ქალა-
ქები და სოფლები წარმოვიდგინე:
— გათავდა!

ისევ ფანჯრისკენ მივტრიალდი და
თვალები დავხუჭე. სიბნელე მერე იმ
ღამეს მივამსგავსე, ჩემი ხელით რომ
გავანათებდი.

ასე თვალდახუჭული ვიდექი და
ვფიქრობდი. იქვე ძია სანდრო და ბი-
ცოლა ქეთევანი საუბრობდნენ, მათი

ლაპარაკი არ მესმოდა. უცებ ბიძა-
ჩემმა ხმას აუწია:
— შექსპირი სინათლეს
ქალო, სინათლეს!
„შევეკრით.“
„შექსპირიც სინათლეს ანთებდა, სი-
ნათლეს!“

თეატრში რომ მივედი, ბიძაჩემმა
მხარზე ხელი დამკრა და მითხრა:

— აბა, შენ იცი, როგორ გამანათებ!
ამას სხვებიც მეუბნებოდნენ ხოლმე.
მისაროდა, ხალხი რომ სპექტაკლს
ტაშს უკრავდა, საქმეში მეც ვერიე-
ყველაფერი ერთმანეთზე ყოფილა
თურმე გადაბმული. აი, მაგალითად.
მსახიობი: თუ მკერავმა კარგი ტანსაც-
მელი არ შეუქერა, მუშამ კარგი დე-
კორაცია არ დაუდგა, გრიმის წამსმელ-
მა კარგად არ მოხატა და თუ მე კარ-
გად არ გავანათე, რა გამოვა? რა გა-
მოვა და არაფერი. პიესა რომ დამთავ-
რდება და მსახიობები, ხელჩაკიდებულ-
ნი, ხალხს თავს უკრავენ, იცით კიდეც
რამდენ ვინმეს უნდა ჩაჰკიდონ მათ
ხელი? ხარაზს, მკერავს, ბილეთის მომ-
ხევეს, დამის დარაჯს, ხელოსანს, დამ-
ლაგებელს, კიდეც მრავალს და მრავალს.
ჰოდა, მეც მათ შორისა ვარ. რა
თქვა დღეს იმ შოფერმა: კაცი კაცი-
თაო? კარგი ნათქვამია, ძმაო, ნამდვი-
ლად კარგი ნათქვამია.

მარტო დავჩინი, იარუსზე ავედი და
ჩემი პროექტორი გავსინჯე. ერთი კი
გავიფიქრე, იქნებ ვტყუვდები, თეატ-
რიდან რომ მივიღვიარ-მეთქი. აქ ისეთი
კარგი ხალხი იყო, ცოტათი გულიც
მწყდებოდა კიდეც. მაგრამ რა მექნა.
ვიცოდი, მსახიობად მე არ გამოვდგე-
ბოდი. მარტო ჩემი თავი რომ მომე-
ტყუებინა, კიდეც ჯანდაბას, სხვაც ხომ
უნდა გამემწარებინა. მერე ჩემთვისაც
დაეთვალათ: ერთი, ორი, სამი, ოთხიო?
არა, ძმაო, არ მინდა. მე ჩემი საქმე
მაქვს, მგონი, იქ კი ნამდვილად გამი-
მართლებს. ასე ვიცი, თუ რამე გადავ-
წყვიტე, ვერაფერი ველარ გადამათქმე-
ვინებს. ებრაზობ, ვინმე რომ შემომტი-
რებს ხოლმე, ნეტავ შენისთანა სპორტ-
სმენი ვიყო, ინსტიტუტში სპორტსმე-
ნებს ადვილად იღებენო. რატომ უნდა



მიმიღონ ადვილად. შეღავათი რატომ უნდა გამიწონ, მათხოვარი კი არა ვარ. იქ სასურაოდ ხომ არ შევდივარ, სხვებივით უნდა ვისწავლო. ადვილად თუ მიმიღებენ, ახლოსაც არ გავეკარები. წარმოდგენა რომ დაიწყო, დაღლილობა მხოლოდ მაშინ ვიგრძენი. ფეხზე ძლივს ვიდექი. ეტყობა, შემატყეს, რადგან ჩემთან თვითონ დირექტორი ამოვიდა. გია, რა მოგივიდაო? ვერ დავუმაღლე და ვუთხარი, თავბრუ მეხვევა-მეთქი. ახლა რა ვქნათ, შემცვლელი რომ არა გვყავსო? მაგას ნუ ფიქრობთ, პატივცემულო, ბოლომდე დავრჩები-მეთქი. არა, მასე არ ივარგებსო. წავიდა, ცოტახნის მერე მოტრიალდა, ვილაც ჩემოდენა ბიჭი ახლდა.

— გია, გაიცანი, ამას ვაჟა ჰქვია, ჩვენი თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტია, — მითხრა დირექტორმა, — აუხსენი, იქნებ დღეს როგორმე შეგცვალსო.

გამეცინა:

— ამას რა ახსნა უნდა...

— როგორ არ უნდა ახსნა, აბა, ერთი აჩვენე.

— კი, ბატონო.

ვაჟა კარგი ბიჭი ჩანდა. არაფერი არ უკითხავს, რასაც ვუხსნიდი, ეტყობა, იმახსოვრებდა. ზოგი დირექტორის დასანახად განგებ დაინტერესდებოდა, ათჯერ ჩამეკითხებოდა, ამას და ამას რა ჰქვია, ეს ზონარი სად უნდა შევაერთოო. ვითომ მნახეთ, როგორი მონდომებული ვარო.

თეატრიდან რომ წამოვედი, გზაზე სულ იმას ვფიქრობდი, ნეტა ვაჟა რას იზამს, სცენას როგორ გაანათებს-მეთქი. ჩემი საქმე თურმე მყვარებია, არც კი ვიცოდი. ხუმრობა ხომ არ იყო, ახლა მოწაფეც გამიჩნდა.

შინ დედა დამხვდა, სამზარეულოში რაღაცას აკეთებდა. ოთახში შევედი და საწოლზე გაუხდელად მივწექი. როდის დამეძინა, არ მახსოვს. მერე სიზმარი ვნახე: ბაღში ბნელოდა. კაციშვილი არ ჩანდა. ისეთი სიჩუმე იდგა, შეგეშინებდა. მერე კარუსელი დავინახე და

მისკენ წავედი. ახლოს რომ მივედი, კარუსელზე ლანდი შევნიშნე. კარგად რომ დავაკვირდი, პატარა, თმაფილონი გოგონა გავარჩიე. სულ მთლად ცარიელ კარუსელზე იჯდა, კარუსელი ნელა ტრიალებდა. თუმცა ღამე იყო, ცაზე ღიდი, ყვითელი მზე მოჩანდა. მეტყვით — მთვარე იქნებოდაო. არა, მზე იყო, ნამდვილად — მზე! კარუსელი სწორედ იმ მზის შუქის წრეში ტრიალებდა. ეს შუქი კი იმ შუქსა ჰგავდა, მე რომ სცენას ვანათებ ხოლმე. მივუახლოვდი, სალომე ვიცანი. სალომე, აქ რას აკეთებ-მეთქი? არ მიპასუხა. ხელი ხის ცხენის კისერზე შემოეხვია, მეორე კი მოეჩრდილა და იმ ყვითელ მზეს უყურებდა. მერე თვითონ დამიძახა: გია, აქ მოდიო. მივედი. ჩემთვის არც კი შემოუხედავს, სულ იმ მზეს უყურებდა. მერე როდის-როდის მკითხა:

— გია, ცაზე გავლა თუ შეიძლება?

— შეიძლება, სალომე.

ცა თითქოს იქვე, იმ სინათლის წრის იქით იწყებოდა. ავდექი და ცაზე ნაბიჯი გადავდგი.

მერე უცებ ეს ყველაფერი გაქრა. კარუსელიც, სალომეც და მზეც. ახლა თითქოს ხალხთან ერთად ფრანის თოკს დავსდევდი დასაჭერად. ვინ არ მობოდა ჩემთან ერთად: ჯუმბერი, ნოდარი, თამაზი, ტაქსის შოფერი, ეკა; ჩვენი სახლის წინ ლულს რომ ჰყიდის — ისიც იქ იყო. ფრანის თოკი მიწაზე ეთრეოდა, თითქოს აქვე იყო, ხელს გაიშვერდი და მისწვდებოდი, მაგრამ მაინც ვერა, ვერაფრით დავიჭირე. ვერც სხვა მისწვდა. საკირველია, ვიცოდი, რომ ეს ფრანი კი არ იყო, არამედ დოღო დაფრინავდა ცაში. მე რომ დოღოს ვეძახდი, სხვები — ფრანი, ფრანიო! მერე ვილაცამ თოკი დაიჭირა, ჩემთან მოვიდა და გამომიწოდა: აპაო! შევხედე, მამა არ ყოფილა! ისე გამეხარდა, კინაღამ გადავკოცნე.

კიდეც რა დამესიზმრა? მეტი არაფერი. ჰო, ეს იყო, დედამ მკითხა: გია, რა

თამაზ ჭილაძე

პირველი დღე




მოგივიდაო? და ისიც სიზმარი მეგონა. არ ვიცი, იქნებ მართლაც სიზმარი იყო, რადგან თვალი რომ გავახილე, ოთახში მარტო ვიყავი. ოთახში შუქი ენთო. „არა, დედა არ დამსიზმრებია, შუქსაც სიზმარში ხომ არ აანთებდა?“

მერე ჩემს პირდაპირ კედელს დავაკვირდი. კედელზე ბაბუასა და მამას სურათები ეკიდა. ეს სურათები მამამ ერთმანეთის გვერდით განგებ დააკიდინა: ბაბუა დეპოს მუშა ყოფილა, მამაჩემიც ხომ მუშაა!

— ეს ერთადერთი დინასტიაა, რომლის დამხობაც შეუძლებელიაო, — იტყვის ხოლმე მამა ხუმრობით.

ახლა ამ სურათებს ისე ვუყურებ, თითქოს პირველად ვხედავდი. ვუყურებდი და ასე ვფიქრობდი: მერე ამ სურათების გვერდით ჩემი და ჩემი შვილის სურათებიც გაჩნდება-მეთქი. მე და ჩემი შვილი, რაც არ უნდა გამოვიდეთ — ინჟინრები, პოეტები თუ მფრინავები. მაინც მუშებად დავრჩებით, რადგან გვარში ასე მოგვდგამს-მეთქი. ალბათ, იტყვიან: ეს რას მიედ-მოედება, რადროს მაგის შვილზე ლაპარაკიაო. მართალიც იქნებით. მე თვითონაც მიკვირს. არასოდეს ასე არ მიფიქრია, დღეს რა დამემართა, არ ვიცი!



შვიდონ ხალხში

სხვა არაფერი...

სხვა არაფერი არ მინატრია
პატარა ოდის და ეზოს გარდა.
როცა აკვანი ირწევა კართან,
როცა სიცოცხლეს მათა და ბართა
ადამიანის ყოფნა ატყვია.

სხვა არაფერი არ მინატრია
მოხნული მიწის სურნელის გარდა,
გზისპირას ჩუმი ჩქაფანი ღართა,
სადაც მრავალი დღე დაგიღამდა
და მაინც თითქო დღე არ გაკლია.

სხვა არაფერი არ მინატრია
ტკბილი, ალალი საღამოს გარდა,
ღიმილი ღიმილს რომ გადაადნა
და სიყვარული იმგვარი დადგა,
რომ ერთი კოცნა არჩენს, ნატყვიარს.

სხვა არაფერი არ მინატრია
უჩადრო ქალის თვალების გარდა,
და იყო, სატრფო, თუ დედა მყავდა.
მისი ახალი დღე შემყვარდა,
დღე რომ გაუძღვა ჩემს ბედისტრიალს.

სხვა არაფერი არ მინატრია
ჩემს მთაგორებში სიცოცხლის გარდა,
ხევში რომ ცელით ლეშს მიმობალთავ,
დადღილი სახლში ქალთან და ბავშვთან
ნაღველსაც ამხელ, მაგრამ ხათრია..

სხვა არაფერი არ მინატრია
ერთი ლამაზი სიმღერის გარდა,
რომელშიც ჩადგა ხმა ყველა ლართა
და, ზოგჯერ, სული თუ გამიმწარდა,
სიმღერამ დარდი რომ დაანგრია.



მდინარეები

მდინარეები ჩადიან ზღვაში....
თუ რომელიმე შუა გზას დაშრა,
მიიღია და ქვიშაში დარჩა,
მას ხომ მდინარე არ ჰქვია მაშინ.

მდინარეები ჩადიან ზღვაში...
მოაქვთ სუნი და ფერი ქედების,
მე რა ვიქნები, სამშობლოვ, მაშინ,
თუ მოვდივარ და არ გიერთდები!



მონეტა

მოთხრობა

მურმან ფაფარანელი ერთბაშად შედგა, ხავსიან ლოდზე ჩამოჯდა, მარცხენა ხელი მოოქრული ბუნიკით ქეიშას დაყრდნობილ მძიმე ხმლის ტარზე ჩამოდო, მარჯვენა მუხლზე დაიბჯინა და მაღლა აიხედა.

მიზგიტის გუმბათივით გადმომსობოდა ცარგვალი გარემოს. სპარსული უხალთუნებივით გაფანტულიყვნენ ზედ ცნობისმოყვარედ მოჭიატე ვარსკვლავები, ხოლო მათ შორის შიშველი იატაკანივით ეკიდა მთვარის ნალევი.

ერთ ხანს გაბრწყინებული თვალით გასცქეროდა სამხრეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით გადაჭიმული „ირმის ნახტომის“ ნისლოვან კუდს, მერე ხშირი წარბები შეყარა, მძიმედ ამოიოხრა და ქვევით გაიხედა.

ძნელად გასაჭვრეტ ბურუსში ძლივს მოჩანდა ჩანტაჯინტაპის ველზე დაცემულ კარავთა თეთრი წვეროები, ნახევარკალად რომ შემორტყმოდა ეხაზის პირქუში ხეობის კლდოვან თხემზე აღმართულ ციხეს.

ყულან-დაღის მთებიდან მონაბერ ნი-

ავს ყრუდ მოჰქონდა მდინარის ოხვრა და ოდნავ არხევდა ჰამადანურ მუზარადზე გარჭობილ სირაქლემას ფრთებს.

ციხის ღამეული ჩრდილი დასწოლოდა სპარსელთა ბანაკს. იგი ისე მიყუჩებულყო, თითქოს დღეს წვეთი სისხლი არ დაღვრილიყო და ჩრდილო კოშკის გალაგანს უშედეგოდ არ შელეწოდა მაჰმადის წმინდა ათასეული.

მხოლოდ ციხის გოდოლებიდან ისმოდა ფხიზელ გუშაგთა გამყივანი ძახილი და სადღაც ქონგურზე ჩამომჯდარი ჭოტის ავის მომასწავებელი კივილი.

უეცრად ფრთხილი ფეხის ხმა გაისმა. თურმანი შეკრთა, ხმლის ვადა მაგრად ჩაბღუჯა, გამჭვალავი მზერა პირშელმა მომაგალს დაასო, მაგრამ იცნო თავისი თანაშემწე, ხელი კვლავ მუხლზე დაიბჯინა და განგებნისად გაიკვირვა.

— ნუთუ ტყვე ქალთა თვალებმა ასე მალე დაატოვებინეს მამაც მინაზს თეთრი კარავი?

— ბისმალაჰ! — გაოცდა მოსული, — განა მალუნ-გიშლარი თავის ხმაღს ყოველთვის იქ არ იქნევს, სადაც გურჯი მძვინვარებს?



— სრული ჭეშმარიტებაა, პირველი მე გაეუბოზა ორად ენას იმ ღვარძლიანს, ვინც შენს სიმხდალეზე კრინტს დასძრავს. მაგრამ, მაინც რამ ამოიყვანა ამ დროს ავლანთა რისხვა ამ ფრიალოზე?

— იმან, რამაც შენ. ხოლო მრისხანე გურჯი ყოველთვის უარს რატომ ამბობს მშვენიერზე — თუნდაც ნაალაფარზე? იქნებ ფიცი აქვს დაღებული, უცხო ტომის ქალს არ მიეკაროს? ნუთუ ცეკვის დროს მაინც არ აღელვებს ლამაზის თეძოთა გამომწვევი რხევა?

თურმანმა ძლივს დამალა ზიზღი და წყნარად უთხრა:

— შევარცხვინე ის ქართველი, რომელიც სპარსელს რამეში დაუფარდება, მაგრამ გვიჯობს ახლა ხელი საჭურველზე იდოს, ვიდრე ქალწულის სავსე მკერდზე. თუმცა სამწუხაროა, რომ ამ მხრივ ქრისტე მაჰმადივით გულუხვი არაა.

მინაშმა ირიბი თვალეზი ეშმაკურად მოწყურა და ჰინით შეღებილი თხელი წვერი სიამოვნებით მოიქეჩა:

— ვინ იტყვის, რომ გიაურებს თავიანთი ღმერთი არ უყვარდეთ, მაგრამ ფიციაც თორმეტი იმამის საფლავს, მან-გეშლარის მახვილ თვალს არ შეუნიშნავს, რომ გურჯს რომელიმე ღმერთის სიყვარულით შეეწუხებინოს თავი.

— ეჰ, მეომარო, განა ღმერთებს კი უყვარს, როდესაც ზეღმეტად აწუხებენ? ისინი უჩემოდაც კარგად მიდიან იოლას. ხოლო ფიქრი მათზე უფრო მახლობელისაქენ ილტვის, შორს, მთებსა და უდაბნოთა მიღმა; იქ, სადაც ჩემი მოხეტიალე სული დარჩა და მუდამ თავს დასტრიალებს მტკვრისა და არაგვის ქალებს.

— ფიცაც მექას წმინდა ქვას, ვერავინ იტყვის იმას, რომ გურჯისტანი ამქვეყნიური ნეტარების სავანე არ იყოს. მაგრამ ნუთუ თავზეხელაღებულ სარდალსა და ბაღდადის მესამე კარის შემოსურელს, გარდა ერანისა, სხვა სამშობლო კიდევ გააჩნია?

გურჯმა ჯიქურ შეხედა თანაშემწესა და მოღუშვით თქვა:

— ამ შემთხვევაში მართალი ხარ, სპარსელო. თუმცა მხოლოდ უწყის, ნამდვილად რა ჯურისა და სადაური ხარ. ერთ დროს ბუხარის ამირას ემსახურებოდი, შემდეგ ერთბაშად აღმოჩნდი უზბეკთა მოღალატე ხანთან, რომელიც ძლევაშოსილმა ერანის ლომმა, ღლეგრძელჰყოს ალაჰმა საქმენი მისნი, დაამარცხა. მას შემდეგ შაჰ-ინ-შაჰს მიერთვი და დღეს, თუ საჭიროდ სცანი, ინდოთა მთავარს ეახლები, ხოლო ხვალ თურქეთის სულთან აჰმედის იანიჩართა რაზმს წამოუძღვები აცვავებულ ერანისაკენ.

სპარსელმა ცბიერად მოჰუტა წვრილი თვალეზი და თავი გაიქნია:

— თურქული ხმალი შაითნის წარბია, ერანული კი — ისლამის მახვილი. დაე, ალაჰმა ისურვოს და ათას ბაირამსაც ნუ ჩაეცვენება მზე ერანის ლომისა. უდაბნოში კი მწყურვალი მგზავრი მაშინ ხარობს, როდესაც დიდი ხნის ნანანატრ ოაზისს წაადგება.

— განა ერთი ოაზისი მოუკლავს წყურვილს მოგზაურს, რომელსაც უდაბნოში გრძელი გზა უდევს? ან იქნებ მამაც მეუდაბნოეს ყვითელი ლითონის მაცდური ბრწყინვა ხიზლავს, რომელიც ისლამის მახვილზე უფრო მჭრელია?

— ფიცაც ალაჰის მოწყალე კალთას, რომ არც ერთ გონიერს უარი არ უთქვამს, აელო იმაზე მეტი, რაც ეკუთვნოდა. და კუთვნილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. განა ფეხი უფრო არ მსუბუქდება, როცა თავი ამ ლითონზე ფიქრით არის დამძიმებული, ქისა კი — ოქროთი? განა მაშინ გრილ სათრიაქოში ფერადი ყალიონების ბოლი უფრო ნაზად არ მიიკლავება მაღლა და ჩაარ-ბაღის წალკოტში განსვენება უფრო სანეტარო არ არის? ოქრო ამქვეყნად უდიდესი სიამეა და როცა ის ბევრია, გული მაშინ მახანდერანის ლერწმის შაქარზე უფრო დამტკბარია, თვალი კი ისე ბრწყინავს, როგორც ჩეხალ-სოთუნის მეჩეთის გუმბათი ისპაჰანის მზეზე.

სარდალმა შეხედა მინაშის მუზარადზე შემოხვეულ აბრეშუმის დობანდს, რომლითაც შაჰმა დააჯილდოვა

ოსმალთა ნახევარმთვარისათვის ბაღდა-
დის წამგლეჯი საუკეთესო მხედართ-
მთავრები და დანაწებით წაილაპარაკა:

— სამწუხარო ქეშმარიტებაა, სპარ-
სელო. სამწუხარო ქეშმარიტება და შენ
კარგად იცი მისი ფასიც. იგი ერთნაირი
ღირებულებისაა, ვისი ხელიდანაც არ
უნდა მიიღო.

— ვფიცავ წინასწარმეტყველის წვერს,
შორსმჭვრეტელი გურჯი სცდება. ერა-
ნის ლომის ერთგულებას ეს ლითონი
ვერ გადასძალავს.

თურმანმა დამცინავად შეაგლო თვალი
თანამებრძოლის სახის მკაცრ ნაოქებს
და წყნარად თქვა:

— ოქრო მძიმეა, მაუნ-გიშლარ... ოქ-
რო მძიმეა და მხარი იქით იხრება, რო-
მელ მუქშიაც მეტს ჩასდებენ.

სპარსელმა ნიკაბი მხიარულად მოის-
რისა და ლოდზე ჩამომჯდარს მხარზე
ხელი მეგობრულად მოუთათუნა:

— გურჯი მელასავით ცბიერია და
გველივით ბრძენი. მაჰარაჯას ოქრო
ქისისათვის იგივეა, რაც თვალისათვის
ბენგალური ცეცხლი. ხოლო შაჰ-ინ-შა-
ჰის უძლეველ ლაშქარში უბრალო სარ-
ბაზობას ვარჩევდი, სულთნის მუსტეშა-
რად ყოფნას სტამბოლის კარზე. ან გა-
ნა დიდი გურჯი სარდალი სხვა მინბა-
შებზე ნაკლებად სწყალობს მაუნ-გიშ-
ლარს?

— შრისხანე მოურავმა იცის ფასი
მძლავრი მეომრისა. ამიტომაც დატოვა
მამაცი მინბაში ინდოელთა ამ მიუდგო-
მელი ბუდის შესამუსრად.

სპარსელმა უეცრად წარბი შეიკრა
და თვალი შეაგლო მკრთალ ღამეში
აღანდულ ციხეს.

— ამაო ძებნის შემდეგ დღესაც მო-
ქანცულნი დაბრუნდნენ ონბაშები.
მთელ აღაჯზე მოვაჩხრეკინე ციხის სა-
ნახები და კლდე-ფერდობები, მაგრამ
წყაროს სათავეს ვერ მიაკვლიეს. წყეუ-
ლი ბრაჰმინები! ციხეში ისე შეკეტილან,
როგორც ჭაობის კუ თავის ჯავშანში,
მაგრამ ვფიცავ მაჰმადის სარტყელს, ამ
შაითნის ბუდეს შევმუსრავ და მის ნან-
გრევებში გავსრეს ყველას. ციხისთავის
მოკვეთილ თავს სააკაძე-ხანს მივართმევ

საჩუქრად, ხოლო მის ქალს, სიღამა-
ზით სამოთხის ჰურიას რომ უტყულებდა,
მაუნ-გიშლარის კარავში ვაიძულე და
ძინებას.

მცხუნვარე ტალღად დაუარა სისხლ-
მა ლოდზე ჩამომჯდარს. — რაო? ცი-
ხისთავის ქალს კარავში წავეყვანო? ყუ-
რი ხომ არ ატყუებს? მაგრამ, არა, ეს
მისი თანაშემწეა და წვრილი, შავი ულ-
ვაში ვერ ფარავს ბოროტ ღიმილს. ჰეი,
მინბაშო! ცუდად გივარაუდია! იქნებ
კარგად ვერ იცნობ თურმან ფაფარა-
ნელს?! ხომ არ დაგავიწყდა კვეტბაი-
შინის ზეგანი და ლორალიას ვიწრო
ხეობა? ან იმ ღამეს რა დაგავიწყებს,
შურით რომ დაიხოცნენ სხვა მინბაშე-
ბი, როდესაც ერანის ლომმა შაჰის
ლხინზე მიიწვია დავლეთხანეში ბაღ-
დადის ადების დროს გამოჩენილი მამა-
ცობისათვის, რასაც ბევრი მოკვდავი
ვერ ეღირსება?

ათრთოლებული ხელი უნებურად გა-
ცურდა ხანჯლისაკენ, მაგრამ „მძვინვა-
რე გურჯი“ მალე მოეგო გონსა და ვეე-
ბა მარჯვენა ოფლიან შუბლზე მძიმედ
გადაისვა.

განა ამ ხმლის პირმა იცის მისი გუ-
ლისნადები? განა ის ნაზი ფერია, რო-
მელმაც უცხოეთში გადმოხვეწილი ქარ-
თველის გული ძლივს გააღხო, ამ ვე-
ლურის ცხოველური ვენების მსხვერპლი
უნდა გახდეს? არა, მაუნ-გიშლარ! შენ
შეგიძლია თავზედი ციხისთავი ნაჭერ-
ნაჭერ აკუწული მიიტანო დიდ მოუ-
რავთან, მის ასულს კი, ვიდრე თურმანს
მკლავი ერჩის, შენს მურდალ გულის-
თქმას არ ამსხვერპლებს.

გაახსენდა ელჩად მოსვლა ისპაჰანს
ურჩი ციხისთავისა, იგი გვერდიდან არ
იცილებდა თავის ერთადერთ უსაყვარ-
ლეს ქალიშვილს. გაახსენდა ქალწულ-
თან ფარული შეხვედრა ჩრდილოვან
ხეივანში ღამით და გული სიამით აუჩ-
ქროლდა.

სპარსელი შემობრუნდა და წაიხი-
ხინა:

ლადო მრელაშვილი
მოღალატე

— ვერც მამაცობით გავაღეთ კარიბჭე და ვერც ოქროთი. მე ახლა წავალ, გუშაგებს გამოცვლი, ხვალ კი თვით წარუშდევები მათ წყაროს სათავის საძებნელად. იქ, სადაც ლომობა არ გადის, მელაობით უნდა გაიტანო!

ლოდზე ჩამომჯდარმა ყური ცქვიტა: ოჰო! მაშ ოქრო უკვე უცდია ცბიერ სპარსელს? შაბაშ, მინბაშო! მაგრამ ათსაგზის შაბაშ, რომ ციხეში გამცემი არ აღმოჩნდა! თურმანი მუხლს იყრის მათ წინაშე, ვისაც ყველაფერზე მაღლა სამშობლოს სიყვარული დაუყენებია!

სამშობლო!

საბრალო საქართველო! სამი მხრიდან გიღრენენ ვეშაპნი ჩასანთქმელად და ისე ბორგავ მთებს შორის, როგორც ვეფხვი გალიაში: ერთ კარს ჩაკეტავ — მეორეს ლეწავენ, მეორეს იცავ — მესამეს მუსრავენ და ასე მიდის ხმალშიშველი ქართველის სიცოცხლე. შინააშლილობა უარესად ფიტავს შენს ძალებს, ხოლო ერანს გადმოხვეწილი სააკაძის ხმალი უცხო ტომის ძვლებზე ცვდება, რათა უძღებ შაჰს (ქეიბურიმც დასძგერებია გულისკოვზზე ამ სისხლიან სპარსელს) ოქრო მოუხვეჭოს. თურმანი კი ერთგულია დიდი მოურავისა და სწამს, რომ, რაც უფრო სცილდება საქართველოს საზღვრებს, მით უფრო უახლოვდება თბილისს... ნეტავ სად არის ახლა გიორგი? — ეს ერთი ხანია, რაც სარდლობა მიუბოძა ფაფარანელს და ათი-ათასი რჩეული სარბაზით დატოვა აქ, ვინაიდან აულებელი ციხის ზურგში დატოვება საფრთხეს შეუქმნიდა ლაშქარს, ხოლო თვითონ მთავარი ძალებით წინ გასწია, რადგან დაყოვნება არ უყვარს. ვინ იცის, უკვე გადალახა სულეიმანის პირქუში მთები, პენჯაბის ნაყოფიერ ველზე დაეშვა და არაბული ცხენები ჰინდის წყალს სვამენ? მუდამ წინ მიიწევს სააკაძის ხმალი, ხოლო თურმანი მერვე დღეა ციხეს დასტრიალებს... და განა მარტო ციხეს? ფიქრი მისი ლახავს ჰილმენდისა და ლარას ხეობებს, სერჰედის მთებში გადადის, და ხორასნის გზით მტკვრის ხეობისა-

კენ მიისწრაფვის. იქ, თბილისის ნაპირიან მაიდანზე და ნოსტეს ვრცელსანახებში დარჩა ახალგაზრდობა, ხოლო არაგვის ლამაზ ჭალებში — ბავშვობა და ყრმობა.

სარდალს ახსენდება, როგორ გადაარჩინა სააკაძემ თავხედი გუდამაყრელი. მან პირისპირ შებმა გაუბედა მრისხანე ერისთავს, როდესაც ნუგზარმა ცეცხლისა და ფოლადის შეტანა სცადა შავი არაგვის ხეობაში. სულგრძელმა მოურავმა ტყვეს თავი მხრებზე შეუნარჩუნა, ხოლო ამაყმა ზურაბმა, ნიშნად შორსმჭვრეტელი სიძის სიყვარულისა, ნება დართო, თუ სურდა, უგუნური ნოსტეს წაეყვანა: და თურმანმა სიკვდილამდე ერთგულება შეჰფიცა ვაჟორგის...

ახლა იგი უკვე გამოჩენილი მეომარია, დიდი მოურავის უსაყვარლესი რაზმელი, მადლიერი შაჰ-აბასის მიერ დიდი მამულით დაჯილდოებული. მის ბაღში გრილი შადრევნებია, ხოლო სახლში — არაბული ავეჯი, ქირმანშაჰის ფერადი აბრეშუმი და ხორასნის რბილი ხალები.

კიდევ რა უნდა თავმოყვარე და ამაყ ქართველს? არაფერი. არაფერი, სამშობლოს გარდა. ოჰ, ტკბილო საქართველო! სად დახეტიალობენ და ვისთვის ღლიან ძალოვან მარჯვენას შენი რძენაწოვნი? როგორ სიზმრად ექცათ საყვარელი მთებისა და ველ-მინდვრების ნახვა უცხოთა კარად გადმოხვეწილებს! ვინ იცის, ვის მიწაზე დაეცემა სამშობლოს სევდით მათი თვალიდან გადმონაჟონი ობოლი ცრემლი და ვის მიწაში ჩაიყრება ათას ქარიშხალში გამოვლილი მათი დაღლილი ძვლები. ჰოი, მშობელო მიწავ, გესმის თუ არა მათი ტანჯული გულის კვნესა და მდულარე სულის დაღადი? ნეტავი წუთით შეგახედა შორიდან: ღიმილი გამქრალა ბაგიდან, შუბლი ნაოჭებს დაუფარავს, ხოლო საფეთქლები ნაადრევ ჭალარას შეუფიფქია...

მეომარს დაგუბებული ოხვრა აღმოხდა, კვლავ მაღლა ახედა და ნაღვლიანი მზერა გააყოლა „ირმის ნახტომს“.

სადღაც ბენგალიაში რომ იწყება და კავკასიონზე თავდება.

უცებ ფეხზე წამოდგა და მიიხედ-მოიხედა. გაუკვირდა: როგორ წავიდა მოსაუბრე, რომ ვერ შევამჩნიეო. მცირე ხანს იღგა ასე, მერე თავქვე დაეშვა და ფრთხილად მიუახლოვდა ციხეს.

ისევ გაპყიოდნენ გუშავნი დროდა-დრო ციხის გოდოლებზე. ისევ ავის მო-მასწავებლად კიოდა ჭოტი სადღაც ქონგურზე. ისევ ხვნეშოდა წყალი ეხა-ბის ხეობაში. სარდალი ქონგურებსა და გაღავანს დააკვირდა. ერთი ხანია, რაც თეთრსამოსიანი ციხის ფერია გამოდის და გაღავნის დერეფნებზე დადის. სარ-ბაზები ირწმუნებიან: ეს თვით შაითა-ნია, ინდოელთ ეხმარება ციხის გამაგ-რებაშიო.

მხოლოდ ცბიერმა მაუნ-გიშლარმა და „მრისხანე გურჯმა“ იციან „შაით-ნის“ საიდუმლოება და ახლა თურმანი სიყვარულით ავლებს ორბის თვალს ცი-ხეს ჩარდახიდან ბალავარამდის.

მშვენიერია ციხისთავის ასული, ვით დილის ცვარი ხასხასა მოლზე. დღეს თუ ხვალ სიმაგრეს გასტეხენ, მოთავ-დება ეს დაუსრულებელი ლაშქრობანი უცხოთა საამებლად და გუდამაყრიდან კადმოხვეწილი მოხეტიალე მეომარი უსაყვარლეს ქალს სამშობლოში წაიყ-ვანს.

უეცრად ახლოს ისარმა გაიზუზუნა და ქვიშაში ჩახანით გაერია. უშიშარი მზვერავი შეკრთა და გაიფიქრა. განა სისულელე არ არის მთვარიან ღამეში ასე ახლოდან ციხის თვალთვალი? განა ასე არ დაიღუპა გულოვანი ზერამი, მეციხოვნეებმა ერთადერთ საღ თვალში რომ გაუყარეს ქონგურიდან ნატყორცნი ბოძალი?

წასვლა დააპირა, მაგრამ თეთრ სა-მოსს მოჰკრა თვალი, გაღავანს იქით რომ მიეფარა და შეჩერდა. მწარედ უჩხვლიტა გულში, სათაყვანებელმა ქალწულმა სასიკვდილოდ რომ გაიმე-ტა.

შემობრუნდა და თავქვე დაეშვა კარ-ვებისაკენ. ორიოდ ნაბიჯის შემდეგ

ისევ მოტრიალდა. ნასროლი ქვიშაში აიღო და ბოლოს დააკვირდა: ნაცვამა თვალმა იცნო არწივის მხრებზე აკლუ-ჯილი ფრთები, წვერად ინდური ფო-ლადი ეკეთა.

ის იყო კაპარტში უნდა ჩაედო, რომ შუაზე დახვეულმა ქალადმა გააოცა. გაშალა და წმინდა სპარსულით ნაწერი წაიკითხა:

„სამი დღით დამწყურვალე ჯორი და მერე ციხის ჩრდილოეთ ფერდობზე ბრაჰმასთვის შეწირული ტყისაკენ გა-იმძღვარე. სადაც ჯორი შედგება და სისველეს ნახავ, წყაროს სათავეც იქ იქნება. შენს ფეხქვეშ აფენს ციხისთა-ვის ერთადერთი ასული თავის გულსა და მიუვალ ციხეს“.

მას შემდეგ, რაც ჯორმა „წყურვილი მოიკლა“, გურჯს უცნაური ზნე დასჩემ-და: აღრავის იკარებს ახლოს. გაქვავე-ბულ სახეზე არც ერთი კუნთი არ ერხე-ვა, შუბლზე ნაოჭმა იმრავლა, ხოლო საფეთქლები ერთბაშად გაუთეთრდა. დღისით უშიზნოდ დახეტიალობს, ღამ-ღამობით კი, უფრო ხშირად, ბნელ კა-რავშია, იმ კარავს ნიადაგ ხმალზე ხელ-დადებული ორი პირქუში ქართველი იცავს.

მეთე დღეა არ გახსენებია გაღავანი და ციხისთავის თეთრი ასული. მხოლოდ თანაშემწე ონბაშები და იუზბაშები იღიმებიან ცბიერად და დღედღეზე ელი-ან წყარომოწყვეტილი და წყურვილისა-გან დამაშვრალი ციხის დაცემას. მხიარ-ულობენ სარბაზები, რადგან ახლოვ-დება მთავარ ლაშქართან შეერთებუ-ს ქამი. ციხიდან კი დამორჩილების არაგ-თარი ნიშანი არ ჩანს. უკვე იღრინებიან აქამდე მოღიმარი მინბაშები და იუზბა-შები. იწყებლებიან მხიარულებამოშლი-ლი ონბაშები და სარბაზები. ციხე კი დგას ცასა და კლდეთ შორის შეუღწევი და ზვიადი. ორჯერ მიუზვანეს ელჩები და შეჰპირდნენ: თუ იარაღს დაყრიდნენ და დანებდებოდნენ, ციხისთავსა და მის ასულს სიცოცხლეს აჩუქებდნენ, ხოლო თუ უარს იტყოდნენ, ძალით მიანიც გას-

ლადო მრელაშვილი
მოღალატე

ტეხდნენ და შეუბრალებლად გაჟღერდნენ ყველას.

ციხიონთ ელჩებს ჯერ მოუსმინეს, ხოლო შემდეგ თავები დასჭრეს და გაღვინდნენ გადმოყარეს. მესამედ კიდევ გაგზავნეს კაცი და შეუთვალეს: დამორჩილების შემთხვევაში იარაღს აპყრიდნენ და დაატყვევებდნენ ყველას. ციხისთავმა მიგზავნილი გულად ამოაღებინა და ციხის ჩარდახზე თავდაყირა დააკრძებინა სპარსელთა „სასიამოდ“. ღმერთით ეძგერნენ გააფთრებული სარბაზები დახშულ ქიშკარს, მაგრამ ქონგურებიდან დაშენილმა ისართა წვიმამ და საგორაგმა უკანვე გააბრუნა მოიერიშენი.

... ნათელმა ღამემ ბოლოს მაინც გაიტყუა მოალყე ჯარის სარდალი. ციხის ჩრდილო-დასავლეთ გაღვინის კედელს მიუახლოვდა. დიდხანს უთვალთვალებდა ქონგურებს ისრის სასროლი მანძილიდან.

დიდხანს შრიალებდა ქვიშა მძიმე ნაბიჯების ქვეშ. და როდესაც შუაღამე გადავიდა, ქონგურებს შუა გაკრთა თეთრი სამოსი და ოციოდე ნაბიჯზე დაეცა მოყურადის წინ ბასრი ისარი.

„ხეალ, ღამით, როდესაც „ხომლი“ ყულან-დაღის ორკაბა მწვერვალს სამი შუბის ტარზე ასცილდება, ციხოვანნი სამხრეთის კარიბჭეს გააღებენ, თავს დაგესხმიან მძინარეთ, გზას ხმლით გაიკაფავენ და გაგეცლებიან. მტერიმც ფენილა გასარესილი შენი თეთრი ცხენის ფლოქებებქვეშ, უბადლო მეომარო! მხოლოდ შენთვის ცოცხლობს ჯიუტი ციხისთავის ერთადერთი ასული“.

უკან შემობრუნებული, დადუმებული გურჯი ერთბაშად ამეტყველდა. ქეშიკს სარდლები გააღვიძებინა და თავის კარავში ახმოინა.

ნაუცხადვე თათბირზე გააცნო მინბაშებსა და იუზბაშებს მარჯვე გეგმა და უბრძანა, ეხაბის ფრიალო და თვალუწვდენ კლდესთან მხოლოდ გუშავთა რაზმი დარჩენილიყო. სამხრეთით, შორს, კარვებს უკან, ფარული სანგრები გაეხარათ და შიგ ღამლამობით ნახევარი ღამქარი დამალულიყო. ჩრდილო-დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან იმგავ-

რად წაეწიათ ალყა, რომ გაღვინიდან გამოსულ მეციხოვნეთა უკან ^{არა მხოლოდ} სასწრაფოდ დაეკავებინათ. ^{სამსხრებლად} გარღვევაზე გამოსული მტერი სასიკვდილო რკალში უნდა მოქცეულიყო.

მოწინააღმდეგის თვალის ასახვევად ბანაკი თავის ადვილზე რჩებოდა. მოთათბირეთ სასწრაფოდ დატოვეს კარავი. მაშინვე დააღვიძეს ონბაშები და გათენებამდე თხრიდნენ სანგრებს მდუმარე სარბაზები.

მეორე დღეს სიამოვნებით ისევამდა წვერზე ხელს „თეთრი ჰურიის“ თითქმის უკვე მფლობელი მაუნ-გიშლარი და წინასწარ ტკპებოდა მოსალოდნელი ნეტარებით.

მთელი დღე გურჯს კარვიდან ფეხი არ გამოუდგამს.

ღამით, როდესაც სპარსელთა ბანაკს ღრმა ძილით ეძინა და ყულანდაღის მწვერვალს ასცილდა „ხომლი“, გაღვინის სამხრეთით წყნარად გაიღო ქიშკარი და ფლოქებზე ქეჩაშემოკრულ ცხენებზე ამხედრებული ციხიონნი გამოვიდნენ. ფრთხილად ჩაუარეს კარვებთან მიყრილ-მიძინებულ გუშაგებს, გასცდნენ ბანაკს და გულში უკვე შეიმობდნენ სასწაულებრივ გადარჩენას, რომ უეცრად თითქოს მიწიდან ამოძვრნენ მხედრები და ჩანტაჯინტაბის ველი სარბაზთა შემზარავმა ყვირილმა დაფარა. უკან შემობრუნებულთ გზა მოჭრილი დახვდათ. მაშინ განწირულთ გამოიღეს ხელი და მოიერიშეთ კბილთა ღრჭენით ეკვეთნენ. სირიულ ჯავშანზე იმსხვრეოდა რაჯაბუტანური შუბი და პენჯაბური ხანჯალა. ინდური ჩუგლუგის ცემას ვერ უძლებდა ბაღდადური აზჯარი.

აჩეხილი მხედრები, შუბგაყრილი ცხენები, ერთმანეთში არეული ქვიშა და ხორცი, გმინვა და ქიხვინი, საჭურვლას ნამსხვრევი და განწირულთა კვიილი ზარავდა მიდამოს. მაგრამ განზე, თეთრ ცხენთან უძრავად მდგომ სარდალს, ზურგში ორი გაქვავებული ქართველი რომ მოსდგომოდა, კუნთიც არ შეტოკებია პირქუშ სახეზე.

ბრძოლა თითქმის დამთავრებული იყო. რჩებოდა მხოლოდ ციხისთავი ოციოდე

მამაცი მეომრით. მჭიდრო რკალად შემო-
რტყმული სპარსელები უკიჟინებდნენ,
დაგვენბდით. ყურები დახშოდა ციხის-
თავსა და მხეცქმინილი მარჯვნივ და მარ-
ცხნივ ჩეხავდა მტერს. ხოლო სარბაზე-
ბი, რაკი სასტიკი სარდლის ბრძანება
ახსოვდათ, ზოგავდნენ და ცდილობდნენ
ცოცხლად ეგდოთ ხელთ ურჩი.

რკალი თანდათან ვიწროვდებოდა. აკუ-
წულნი ეცემოდნენ უდრეკი წინამძღო-
ლის გვერდით ინდოელი მეომრები...

იუზუბაშეშმა თურმანს ბრძანებისა-
მებრ თეთრსამოსიანი ქალი მიპგვარეს.
თავი აიქნია სარდალმა და იუზუბაშეშმა
ხუთი ნაბიჯით უკან დაიხიეს. ქალი გაიქ-
ცა და გახევებული მეომრის ფერხთით
დაეცა. თურმანი წუთით უმოძრაოდ
დარჩა, მერე დაიხარა, მხარში ხელი დააუ-
ლო და ძირს დაცემული წამოაყენა. ქალ-
მა თავი აიღო და პირისპირ შეხედა.
ენით უთქმელი მშვენიება უმზერდა
გურჯს.

— დიდებულ მეომარო, შენ არც
ინდოელს ჰგავხარ, არც სპარსელს და
არც ქაბულელს, შეიფარე ქალი, რომელ-
მაც კარგად არც კი იცის, ვისი მიწა
ზრდის ასეთ ვაჟკაცებს.

ათრთოლებული ქალი სათაყვანებელი
მეომრის წინ ჩაიკეცა. ონბაშეშმა შე-
პურობილი ციხისთავი მოიყვანეს. ორი
სარბაზი ძლივს იმაგრებდა ინდოელის
ფიცხსა და აქოჩრილ ულაცს. ციხისთავ-
მა რომ თავისი ასული მტრის ფეხებთან
დაცემული დანახა, ერთი მწარედ ამო-
ივინა და თავი ჩაჰკიდა. თურმანმა ანიშ-
ნა და ტყვეს უკან გაკრული ხელები გაუხ-
სნეს. ტყვემ გაკვირვებით შეატოკა მკლა-
ვები და ირგვლივ ამაყად მოავლო თვალი.

უსაზღვრო ზიზღი იგრძნობოდა მის
მზერაში მომხედურთა მიმართ. სარდალ-
მა ერთ ხანს მდუმარედ უცქირა ძირს და-
ცემულ ქალს, მერე უეცრად ასწია თავი
და ინდოელს შეხედა ჯიქურ.

— შენი ციხე ღალატმა დასცა, მამა-
ცო ციხისთავო, ჯა ღალატმავე იმსხვერ-
პლა ლაშქარი შენი.

ინდოელმა ჯერ თითქოს ვერა გაივო
რა, მერე უეცრად მიხვდა ნათქვამს
აზრს, შეკრთა და გაშტერდა. ბოლოს

პირი იბრუნა, შეხედა თეთრ ცხენთან
მდგომსა და ძლივს ამოიხრიალდა.

— ვაგლახ, მართალს უნდა
დე, სისხლიანი შახის წყეულო მონაგ!
გურჯს თვალთან პატარა ნაოჭი შეუ-
ტოკდა.

— რა სასჯელს იტყოდი მოღალატის
მიმართ, ხელთ რომ გყოლოდა, თქვი,
ციხისთავო!

ინდოელის თვალბში ცეცხლმა იელ-
ვა:

— ვფიცავ განგის წმინდა სათავეს,
ვინც უნდა ყოფილიყო ის, ჩემი ცხენის
ძუაზე მივაბმენებდი და ამ თვალწუწ-
დნელი ქვიშის უდაბნოში დავაფლეთი-
ნებდი.

სარდალი მხოლოდ წუთით დარჩა
უმოძრაოდ, მერე ერთი ნაბიჯით უკან
დაიხია, თავის ფეხებთან დაცემულზე
ანიშნა და ბრძანა:

— წაიყვანეთ და მიაგეთ მას და-
ნიშნული სასჯელი.

არავინ დაძრულა ადგილიდან. გურჯ-
მა გააგებული თვალი მიაპყრო იუზ-
ბაშეშს.

— მე ჩემი მხრით ვფიცავ არაგვის
არანაკლებ წმინდა სათავეს, რომ საკუ-
თარი ხელით გავჩეხ, ვინც ბრძანებას არ
შეასრულებს.

გონს მოსული ქალი უეცრად ფეხზე
მოეხვია იქვე მდგომსა და დახშული
ხმით შეევედრა:

— დიდებულ სარდალო, უბადლო
მეომარო! პირველი დანახვისთანავე შე-
მიყვარდი. ყველაფერი შენი სიყვარუ-
ლით მოვიმოქმედე. ჩვენი გამარჯვების
შემთხვევაში ჩემთვის დიდად საძულ-
ველ კაცზე მიპირებდნენ გათხოვებას,
ხოლო შენ კი გკარგავდი სამუდამოდ.

იუზუბაშეშმა ქალი „მრისხანე გურჯს“
მოაშორეს და ბრძანების შესრულებას
შეუდგნენ. გაშტერებული იდგა ციხის-
თავი, უაზროდ აცეცებდა თვალს და ბუ-
რანში მყოფივით არ უწყოდა, რა ხდე-
ბოდა ირგვლივ.

— ქალი შენი მოღალატეა, ციხისთა-
ვო, აი საბუთი!

ლადო მრელაშვილი
მოღალატე

სარდალმა კაპარჭიდან ორი ქეიბური ამოიღო და ინდოელს გაუწოდა. — ისრებს ბოლოზე არწივის ფრთები ჰქონდა დაკრული, ხოლო წვერად ინდური ფოლადი ეკეთა.

ინდოელმა ანგარიშმიუცემლად ჩამოართვა. ერთ ხანს ასე ეჭირა, მერე დახედა, ზედ დახვეული წერილები მოჩხრიკა და ნაწერს დააკვირდა. ერთბაშად გაშრა, ნელ-ნელა ცახცახი აუტყდა, მოდუნებული თითები თანდათან გაიშალა და მუჭიდან დაცვივებული ისრები ქვიშაზე დაიბნა. ერთ ხანს ასე იდგა გაოგნებული, თითქოს რაღაცას იგონებს და ხეირიანად ვერ მოუგონიაო, მერე აკანკალებული ხელები ცისკენ ადაპყრო და გახევდა. სარდალმა ტყვის ხმალი მოითხოვა, სინანულით დახედა ძვირფასი თვლებით მოჭედებულ ქარქაშში ჩასვენებულ ფოლადს, მერე ორივე ხელზე დაიდო და პატრონს გაუწოდა:

— შენ უბედური ხარ, ინდოელო, როგორც მამა, ხოლო ბედნიერი — როგორც მეომარი. აიღე ეს ხმალი და შენი ქვეყნის დაცვაშიაც გაცვეთია იგი ყუამდე.

ინდოელი მობრუნდა, თავისი ხმალი აიტაცა და გააშიშვლა. ორმა ქართველმა ელვის უმალ იძრო მახვილი და სარდალს წინ ჩამოეფარა. მაუნ-გიშლარმა იატაკანი მოხიდა.

ინდოელის მიერ მოქნეულმა ხმალმა შხუილით გააპო პაერი, გადაჭრა ცხენის ძვირფასი სადავე, წვერით მიწას ეძგერა, ქვიშა წყლის შეხეფებით აქეთ-იქით მიმოფანტა, მერე წრე მოხაზა და ყუათ

დაეცა ლამაზ გავაზე ციხისთავის საყვარელ ულაცს. შეშინებული სარდალმა განზე გაცვივდნენ. გადარეული ცხენი უდაბნოში გაენტო და საჩოთირო ტვირთიც თან გაიტაცა.

მხოლოდ ერთხელ გაჰკვეთა შედედებული დუმილი განწირულის გულგამგმირავმა კვიღმა და ბოლოს ისიც ცხენის ფლოქვთაგან ავარდნილ მტვერში დაინთქა.

გურჯს საფეთქელთან მიყრილი ნაოჭი შეუთრთოლდა, თავი ოდნავ, შეუმჩნევლად დახარა ძირს და თვალები მაგრად დახსუტა.

ინდოელი ერთ ხანს იდგა გამშრალი და უგრძნობელი, მერე მუხლმა უმტყყუნა, ხმალი ხელიდან გაუვარდა, იქვე ჩაიჩოქა და ქვიშაზე პირქვე წაიქცა.

კარგა ხანს ეგდო ასე. მერე მძიმეუ აიწია, წამოდგა, ნელ-ნელა შემობრუნდა და იქით გაიხედა, საითაც მისი ცხენი გაიჭრა. შემდეგ ისევ ჩაქინდრა მწუხარებისაგან მთლად გათეთრებული თავი, ორივე ხელი თვალეზე აიფარა და მტვერის კუდს ბარბაცით აედევნა.

შემადრწუნებელი სიჩუმე იდგა ჩანტაჯინტაპის ქვიშიან ველზე. მხოლოდ წელგაწურული წყალი ოხრავდა ეხაბრს ვიწრო ხეობაში. მხოლოდ ჭოტი კიოდა საბრალოდ შორეული ქონგურებიდან. მხოლოდ დაცარიელებული ციხის ჩრდილი დასწოლოდა სიცოცხლის ნამუსრევს და სადღაც უდაბნოდან მონაბერი რუხ-მტვერშერეული ნიავი ოდნავ არხევდა ჰამადანურ მუხარადზე გარჭობილ სირაქლემას ფრთებს.



ბონერო კაპელავა

წვიმიანი ზამთრდგომა

წვიმით დაიწყო ეს სექტემბერი
და ისევ ქარსხმით გათენდა დილა.
მთას მოსავს მწუხრი ცით მონაბერი,
ჰაერში ჩიტიც არ აფრენილა.

სახლიდან მინდვრად გასვლა არ მინდა,
ოთახში ყოფნით გული მძიმდება.
ფიქრები საღი, სათნო და წმინდა,
წუთიდან წუთში გაგიფრინდება.

უმწიკვლო ოფლით მორწყული ზვარი.
ყანა, ხეხილი უხვად მოსხმული,
რომ ისუსხება წვიმით და ქარით,
გერევა ბრაზი ყელზე მოსული.

თუ არ იდარა, თუკი როგორმე
არ მოირეცხა ღრუბელმა გული,
ვერ მოისვენებ და იწრიალებ,
უწყვეტი წვიმით შემფოთებული.

გაწვალებს, გწიწკნის, გაბამს და
გტანჯავს.
ამ თვეს თუ შერჩა ამინდი მკაცრი,
როცა საეჭვო გახდება გარჯა,
გარჯა მშრომელი ქალის და კაცის.

მეწადა მზისთვის აუგი მეთქვა,
მაგრამ ვერ ვკადრე მზეს სამდურგი.

უცებ ჩავიცვი საადრო ჩექმა
და შევიხვიე ბაშლიყით თავი.

ჩაფიქრებული ზეცას გავცქერი,
და მენატრება ღარზე-ღარები.
ღმუის, ღრიალებს მღვრიე ჩანჩქერი,
მე მზეს ეზოდან ვემუღარები:

— ჯერ შემოდგომა ისევ წინ არი,
მზეო! მოგვალხენს შენი მშვენება.
ნუ გაგვიძვირდი შუქმომცინარი,
ახლა სჭირია ხალხს მიშველება.



ქუთაისს

აქ სტუმრობა და გავლა მახარებს,
მაგონებს წასულ ყმაწვილკაცობას.
როცა დავტოვე ჩემი ლაფარე,
და ფრთებს მასხამდა შენთან გაცნობა.

რამდენი დღე და რამდენი ღამე,
რამდენი თვე და რამდენი წელი,
ყრმამ ოცნებაში აქ გაუატარე
და არ გამიშვი ფერშეუცვლელი.

შეგეჩვიე და ვერ შეგეღიე,
თან სხვა ფიქრი და ოცნება მწვავედა.
ნუ მიწყუნ, ან რა დასამალია,
შენთან. დღეებიც კი გამიმწარდა.

დაგშორდი, მაგრამ მე მეთქმის განა?
შენს მიმართ ვიყო ცივი ან წყნარი...
ჩემი ცხოვრების ის ერთი ხანა
მარად დარჩება დაუვიწყარი.

საყვარელია ეს ცა კრიალა,
შენი მსუსხავი ქარიც, ავდარიც.
დღეს ერთმა ფიქრმა ამაწრიალა,
რომ არ ვარ შენი მე ბინადარი...

ვადიშეა ღუმოსკოი

სკვინჩა ამღერდა

ამღერდა სკვინჩა სადღაც არყნარში
და ხნულებიდან ქრისტესისხლა ამოდის
ღინჯად.

ან ვარ სიზმარში, ანდა ზღაპარში
და როგორც ერთ დროს, ბავშვობისას,
ამღერდა სკვინჩა.

ბედნიერი ვარ, მფარველობს ზენა —
ჩვენებურ აპრილს ისევ ვეღირსე,
ისევ ვიხილავ ჩიტების ფრენას
მიტოვებული ბუდეებისკენ.

ისევ მოვისმენ წყაროთა ჰანგებს,
გამთანგავს არყის სურნელი მძაფრი
და გავიხსენებ, ბავშვობის აქეთ,
როგორ უხმობდნენ სკვინჩები აპრილს.

დავიბადები ყოველ გაზაფხულს
და ყოველ კვირტში ჩასახული მარად ვიქნები...
და ჩემი სულის მიტოვებულ ბუდეებისკენ
მიბრუნდებიან ჩიტებივით ჩემი ფიქრები.

მზისა და მიწის შევხარე ამბორს
და ჟრჟოლას მკიდებს მათი ჩურჩული,
— კვლავ ცოცხალი ვარ, — იღუმალ ამბობს
ნაზამთრალ მიწის ყველა კუნჭული.

ქვეყნად სიცოცხლეს არ უჩანს ბოლო
და ყოველ ხიდან დამყურებს ყინჩად...
არყის ქალები ნისლებში ბოლავს
და როგორც ერთ დროს, ბავშვობაში,
ამღერდა სკვინჩა.

ა. ა. სტრეპიხევეს

გულო ტიალო,
ამოფრინდი ჩიტივით მარჯვედ
და სადაც ღამეს
მთვარე თეთრი რქით ერჩოლება,
ვაით და ვიშით შეეხალე მეგობრის ფანჯრებს
და დაიტირე უმძიმესი ეს განშორება.
იქ ყვაფილები ეხვევიან
ტირილით ღობეს...
იქ ყვაფილები სიკვდილის ჟამს წინასწარ
გრძნობენ

სალამოობით
მასპინძელი გარეთ გამოდის
და იხიბლება
სალამოთი
და მიდამოთი.
ხელების ქნევით
პროფესორი შეხვდება სტუმრებს,
ამბებს კითხულობს,
მხიარულობს,
ჯორხობებს,
ხუმრობს.

ყველას ანცვიფრებს მისი ცნობისმოყვარეობა.
მერე
ფეხბურთის რეპორტაჟი
იპყრობს ხეობას.
ადამიანის
ვინ შეიცნო სული მაღალი?
მეგობრობის და სიყვარულის
სიღრმე ახალი?
ზღაპრულ მხარეში ღცხოვრობთ, მაგრამ,
რომ ვთქვათ მართალი,
ზღაპრები როდი გაგვაჩნია
სულის ნადალი!

ო, მეგობრობის
და სიკეთის
დიდო ზღაპარო,
ცხოვრების გზაზე. გთხოვ, მილამაპრო,
ო, შენი ხსოვნა
ზღაპრულია და ჯადოსნური.
გულშემატკივრად
მიწის ბურთის
იყავ მოსული!
იყავი ზღაპრის გოლიათი
ცხადში ნახული

და სულით ღამაზს
გული გქონდა მართლა ბაღღური.

ასეთი კაცი
აღარ უნდა იყოს ცოცხალი?

კაცი
ციმბირის მამონტივით უზარმაზარი!
ეს ზღაპარია,
სიცრუეა გასაოცარი,
ამ გახსენებამ
ღამის არის დამცეს თავზარი!

გაუღიმებდი გოგონებს და
თავს აყვარებდი,
აპრილში
ხელის შეხებითაც
ხეს აყვავებდი.

რომ ბავშვთა ძილი
უშუოთველი იყოს მარადის,
რომ იქმნებოდეს
ხომალდები,
გზები,
ხედები,
ბევრი გვჭირდება ბუმბერაზი და გოლიათი
სამარადისოდ მომხვეჭელნი
ჩვენი დიდების.

თურმე ნუ იტყვით, ყველა გოლიათს
ჩვეულბერივი,
ჩვენნაირი
გული ჰქონია!
კეთილი გული,
მეგობრობის ცეცხლით გამთზარი,
გული დაღლილი,
ავადმყოფი და ნაჯაფარი.

თურმე ნუ იტყვით,
გოლიათის პაწია გულში
თრთიან ვნებანი გოლიათური.
ამოიფრქვევა ვულკანივით ოცნება ურჩი
სამყაროს წვდომის —
ვარსკლავეთის გზებს მონატრული.

გულში აზრები იზრდებიან ბუმბერაზული,
რათა გონებამ არ იცოდეს
რაა ბორკილი,
რათა არ იყოს ბოროტება წრეგადასული,
რათა სიკეთე
უთვალავი გვქონდეს მომკილი.
ერთხელ
ვოლგაზე

☆ ღამაზი ☆
☆ ლეონიდასი ☆

სასიეროდ იყავ წასული,
წაიქეცი და
ჩაგეძინა თეთრი ვერხვის ქვეშ.
ბუმბერაზს
ძილიც გყვარებია ბუმბერაზული,
შენს გაღვიძებას
ვერ იქნა და ველარ ველირსეთ.
იძინე, ძმაო,
გოლიათის უძღები ძილით...
შენისთანებთან
უფრო მეტი სიმარჯვით ვივლით!

თქვენ კი, ძვირფასო,
ვინც მიჰყვებით მის ნაფეხურებს,
მხიარულ სტუმრებს
და მეგობრებს
მისებრ ეხუმრეთ,
მისებრ უბადლო თავდადებით
ხალხს ემსახურეთ
და ამ ცხოვრებით მისებრ გქონდეთ
გული უძღები,
გოლიათებად გაიზარდეთ
და გაზაფხულებს
გოლიათური ნაბიჯებით შემოუძეხით.

და ამ მიწიერ სიხარულზე
თქვით თქვენი სიტყვა —
თუ როგორ ახდა
ბუმბერაზთა ყველა სიზმარი
და წეროების სიხარული
ჩმინეთ ციდან,
და ქალთა სუნთქვა
შესვით
ვნებით ნათილისმარი.

და როცა მთვარე
წამოაგებს თეთრ რქაზე ღამეს,
გულო ტიალო,
ამოფრინდი მკერდიდან მარჯვედ,
ჩიტვივით გასჰერ სივრცე და ჟამი
და ამ ტირილით
შეეხალე მეგობრის ფანჯრებს...

☆ —————

კონდოს ტბა

წითელი კარტივით
ცვივიან ფოთლები
და ტბა ეჭიდება
ნაპირებს მოთმენით.

კონდოს ტბა —

თრთოლვად და ჩურჩულად ქცეული.

კონდოს ტბა —

ცისფერი სული და სხეული.

აგზავნის თეთრი ზღვა

წეროთა ქარავნებს,

მათ ჩრდილებს შავი ზღვა

ჯგროდ მიაქანავებს.

და გადი-გამოდის

სიმღერა მარადი

პირველ გაფრენიდან

სამარის კარამდი.

მიჰქრიან წერონი

დაქსაქსულ გუნდებად,

ზოგი იღუპება

და ველარ ბრუნდება.

სადღაც წამოუშენს

და სადღაც იელვებს

და გული უსკდებათ

საცოდავ ფრინველებს.

რა ბედი ეწვევათ,

რა გზები მოელით?

სამხრეთის თბილ ზეცას

მიადწევს რომელი?

რაღაც წინაგრძნობა

და სიზმრის ჩვენება

წეროებს უკარგავს

ძილს და მოსვენებას...

ძირს სქელი ტყე მოჩანს,

ვით ღამე უკუნნი,

სავსეა ტყის სიღრმე

იდუმალ გუგუნით.

რაც სუნთქავს და რაც დულს

მიწაში სიცოცხლედ,

მშვენიერ ნაყოფად

ტყე გამოგვიწოდებს.

არ გამოკვირდება

ტყის გავერანება,

სულაც რომ გადახმეს

ფესვები თავნება.

მაგრამ არ დაშრება

კონდოს ტბა დიადი —

ტყის გული მთრთოლვარე,

როგორც განთიადი,


რადგან ცა და ხმელი

ამ გულში ეტივა

და ბაძავს სიცოცხლეს

ტალღების შეტივა.

☆
 ლექსები
 ☆
 ლუგოვსკოი
 ☆
 ვლადიმერ



ჩიზენი

თავი მითართმობი

მეორე დილას რიჩარდ გორდონი ფრედის ბარში მისულიყო ამბის გასაგებად, ბანკი რანაირად გაძარცვესო, და ახლა შინ ბრუნდებოდა. ველოსიპედით ჩაუქროლა ჭრელთვალა, ძორძობა დედაკაცს, რომელსაც ბერიკაცის ფეტრის ქუდიდან ოქროსფრად შეღებილი თმა გამოსჩროდა. ტირილისაგან თვალეზღა-წითლებული ქალი აჩქარებული ნაბიჯით ჰკვეთდა ქუჩას. ერთი ამ ძროხას შეხედე, გაიფიქრა მან. რაზე უნდა ფიქრობდეს ახლა ამისთანა დედაკაცი? რა გუნებაზე უნდა დადგეს მაგისი ქმარი, ამოდენა ქალს რომ შეუწვევა?! ვისთან დადის ნეტა ამ ქალაქში? რა საშინელი სანახავია! ნამდვილი კრეისერია. მტრისას!

უკვე სახლს იყო მიახლოებული. ვე-

ლოსიპედი პარმალთან დატოვა, ვესტიბიულში შევიდა და ტერმიტებისაგან ერთიანად დაკრკილულ-დაჩვრეტილი კარი მიიხურა.

— რაო, ღიკ? რა გაიგე? — გამოსძახა ცოლმა სამზარეულოდან.

— ნუ მელაპარაკები, — უპასუხა მან, — უნდა ვიმუშაო. ყველაფერი მოფიქრებული მაქვს.

— მაგას რა სჯობია, — უთხრა ცოლმა, — ხელს აღარ შეგიშლი.

კაცი დიდ მაგიდას მიუჯდა წინა ოთახში. რომანსა წერდა საფიქრო ფაბრიკაში გაფიცვის შესახებ. დღევანდელ თავში ის ძორძობა, ტირილისაგან თვალეზღაწითლებული ქალი უნდა გამოეყვანა, ამ დილით ქუჩაში რომ ნახა. საღამოობით სამსახურიდან შინ მოსული

ქმარი ვერ იტანს ამ ქალს, ვერ იტანს მის გასიებულსა და მოშვებულ სხეულს, შედეგად თმას, გადმოშვებულ მკერდს. ამას ისიც ემატება, რომ ცოლი არავითარ ინტერესს არ იჩენს ქმრის პროფკავშირული მუშაობის მიმართ. უნებურად მკვირივძულებიან და ტურნებასე ებრაელის გოგოს ადარებს, რომელიც იმ საღამოს სიტყვით გამოვიდა კრებაზე. კარგი გამოვა, გასაგვიყებელი რამე იქნება, არც ძნელია და თან სიმართლეს არის. ერთბაშად გონების თვალი გადაავლო ამნაირი ქალის მთელ შინაგან ცხოვრებას.

თავი მეთორმეტი

ფრედი უოლდისის კარჭაპი „დედოფალი კონია“, სიგრძით ოცდაათობეტი ფუტი, რომელსაც ნიშანი „V-ტამპა“ ედო, თეთრად იყო შეღებილი. წინა გემბანი ეგრეთ წოდებულ „მხიარულ“ მწვანედ შეედებათ და კოკპიტის შიგნითა მხარეს ასევე „მხიარული“ მწვანე იყო. კიჩოზე შავი ასობით ეწერა კარჭაპის სახელწოდება და ნავსადგომი — კი-უესტი, ფლორიდა. აუტრიკერი და ანძები არა ჰქონია კარჭაპს. მინის ქარსაფრები ჰქონდა, და ერთ-ერთი წინა ქარსაფარი ჩამტვრეული იყო. ახალშედებილი კარჭაპის კორპუსს რამდენიმე ადგილას ატკეჩილი ნახვრეტი აჩნდა. ნახვრეტებიც სულ ახალი იყო. კარჭაპის ორივე ფერდზე შენიშნავდით ამ ნახვრეტებს, უფრო ქიმისკენ, პლანშირს დაბლა, ასე ერთ ფუტზე. რამდენიმე ასეთი ნახვრეტი კიჩოს მხარესკენაც აჩნდა კორპუსს, მარჯვნივ, ზედ წყალხაზთან, იმ პილერისს პირდაპირ, რაზედაც საჭის ტენტი იყო დამაგრებული. სულ ქვემოთა ნახვრეტიდან გამოყოფილი რაღაც მუქი წებოვანი სითხე ახალშედებულ კორპუსის ფერდს მისცებოდა.

კარჭაპი ათამდე მილით გაეტაცებინა დინებას ტანკერების სამარშრუტო ხაზიდან და, ჩრდილოეთის სუსტი ნიავისაკენ ფერდშექცეული, თავისი თეთრი და მწვანე ფერით გოლფსტრიმის მუქად ჩალურჯებულ ტალღების ფონზე თვა-

ქმრის ალერსის მიმართ თავიდანვე გულგრილობა, დედობისა და უმარტოვანი ცხოვრების დაუცხრომელი წყურვილი, ქმრის მისწრაფებებით სრული დაუინტერესებლობა, უზადრუკი ცდა იმისა, რომ მოჩვენებითი სექსუალური მგზნებარება გამოამყდვენოს, რაც, ბოლოს და ბოლოს, მასვე ურევს გულს... მართლაც რომ ღიდებული თავი გამოვა.

ქალი, რომელიც მან ქუჩაში ნახა ამ დილით, მარია იყო, ჰარი მორგანის ცოლი. შერიფთან ყოფილიყო და შინ ბრუნდებოდა.

ლისმომჭრელად ელავდა. მზისაგან გამოყვითლებული წყალმცენარეები ბლუჯა-ბლუჯად ფარფატებდნენ კარჭაპის მახლობლად, წყლის ზედაპირზე, ნელა მიატურებდა მათ დინება ჩრდილო-დასავლეთით, თვით ნავს კი ქარი სულ უფრო და უფრო გოლფსტრიმისაკენ მიატანებდა. სიცოცხლის ნიშანწყალი არ იგრძნობოდა კარჭაპზე, მიუხედავად იმისა, რომ პლანშირთან, ბენზინის ავზის გასწვრივ, ოდნავ შესიებული კაცის სხეული ჩანდა საწოლზე. ხოლო მარჯვნივ, ზედ ძვიდესთან მდგარ გრძელი სკამიდან მეორე კაცი გადაყუდებულიყო და ხელი პირდაპირ წყალში ჩაეშვა. თავი და ბეჭები მზისთვის მიეფიცებებინა ამ კაცს და იმ ადგილას, საცა მისი თითები ოდნავ ეხებოდა წყალს, წვრილი თევზების მთელი ქარავანი მოსულიყო. ოვალური მოყვანილობისა იყო ეს თევზები, ასე ორიოდ გოჯი სიგრძისა, ოქროსფერ ქეცედზე მოწითალო ზოლები დაპკრავდათ; წყალმცენარეებიდან გამომძვრალიყვენ და დინებას მინდობილ მოფარფატე ნავის ჩრდილისათვის შეეფარებინათ თავი; შენიშნავდნენ თუ არა წყალში ჩავარდნილ მუქ წვეთს, ჯგროდ მიესეოდნენ და ხელადვე გააქრობდნენ. ორი მორუხო კობრი, ასე თვრამეტი გოჯი სიგრძისა, ირგვლივ უვლდა კარჭაპს, ჩრდილის გაყოლებაზე სრიალებდნენ, წარამარა აღებდნენ პირს, მაგრამ, ეტყო-

ბოდა, ალღო ვერ აეღოთ, რა სიხშირით ეცემოდა ზღვაში ის მუქი წვეთი, რასაც წვრილი თევზები სანსლავდნენ, და ამიტომ, წვეთის ჩაშვების დროს, უფრო ხშირად კარჭაპის მეორე მხარეს აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. დიდი ხანია გამოეწოვათ უფრო ქვეითა ნახვრეტებიდან წყალში ზოლად ჩამოდენილი ლეკერტა, მოწითალო სითხე, და, რამდენს გადაყლაპავდნენ, უშნოდ შეიქნევდნენ მახინჯ თავსა და წაწვრილებულ გრძელ ბოლოს. აღარ ეთმობოდათ ეს ადგილი, საცა, აგერ, სრულიად მოულოდნელად მშვენივრად გამოძენ.

კოკბიტშიაც იყო ბარე სამი კაცი. ერთი ზედ საჭესთან გაშხლართულიყო პირადმა, უსულოდ. ეტყობოდა, საჭის სკამიდან ჩამოცურდა. მეორე, ასევე სულგაცხებული, ტენტის ბოძთან ეგდო მოკრუნჩხული. მესამე კი — ჯერ ისევ ცოცხალი, მაგრამ ცნობამიხილი — ცალ გვერდზე დაწოლილიყო და თავი მკლავეზე დაეყენებია.

ნავის ორმაგ ძირზე სულ ბენზინი ესხა და რწვევის დროს ტყლაშუნი გაპქონდა. ამ კაცს, ჰარი მორგანს, ერვენებოდა, თითქოს ტყლაშუნი მისი საკუთარი მუცლიდან მოდიოდა, ტბად წარმოედგინა თავისი მუცელი, რომლის ორივე ნაპირს წყალი ერთდროულად ეტყლაშუნებოდა. ასე იმიტომ ერვენებოდა, რომ ახლა ზურგზე გადაბრუნებულიყო, თავი უკან გადაეგდო, მუხლები კი მოეხარა. ტბის წყალი, ესე იგი მისი საკუთარი მუცელი, ყინულივით ცივი იყო. ისეთი ცივი, რომ, როცა ფეხი შედგა ტბაში, თითები სულ წაეყინა, გულგვამიც ერთიანად გაულიგვდა და პირში ბენზინის გემო გაუჩნდა, თითქოს ავზიდან რეზინით ბენზინს ქაჩავსო. იცოდა, რომ არავითარი ავზი არ იყო, თუმცა პირში მაინც გრძნობდა ცივ, დიდ რე-

ზინს, რომელიც ღრმად შეიჭრა, დამსხვილდა, დამძიმდა და მთელს გულს გვამში გაეჩხირა. რამდენს შეისუნთქავდა, ეს რეზინი უფრო და უფრო ცივდებოდა და მკვრივდებოდა, სულ ქვეით ჩაიწია და ახლა იგი დიდ, სრიალა გველად წარმოუდგა, რომელიც იგრინებოდა და ტბაში ტყლაშუნობდა. საშინლად ეშინოდა ამ გველისა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ შივ გულგვამში ჰყავდა გაჩხერილი, მაინც სადღაც გადაკარგულში ერვენებოდა და ახლა სიცვიდა აწუხებდა.

სიცვიემ აიტანა, გამჭოლავმა სიცვიემ, რომელიც არა და არ ეშვებოდა, და იგი გაუნძრევლად იწვა, ამ სიცვიეს გრძნობდა. ერთი პირობა იფიქრა, წამოწევა თუ ჰოვახერხე, ვავთები, თითქოს საბანი დამეხუროსო. მოეჩვენა, თითქოს წამოიწია კიდეც და მართლაც შეთბა. მაგრამ ეს სითბო სინამდვილეში სისხლისდენა იყო, რაც მუხლის მოხრამ გამოიწვია. სითბომ რომ გაიარა, მაშინდა მიხვდა, რომ წამოწევა არასდიდებია არ შეიძლებოდა, და, საერთოდ, საშველი არ იყო, უნდა შეჭკუებოდა სიცვიეს. იწვა და გამწარებით ცდილობდა, კიდეც დიდხანს არ მომკვდარიყო მას შემდეგ, როცა ფიქრი შეუწყდებოდა. ტალღებმა ნავი შემოატრიალეს და ახლა ჩრდილში მოხვდა. სულ უფრო და უფრო სციოდა.

ღამის ათი საათიდან მოკიდებული, ნავი სულ დინებას მიჰყავდა, ახლა კი აგერ შუადღე გადასულიყო. ირგვლივ, მთელი გოლფსტრიმის დინებაზე, არაფერი არ ჩანდა, გარდა წყალმცენარეებისა, წყლის ზედაპირზე ამოტივტივებულ რამდენიმე გაბერილ მედუზისა და შორეული კვამლის სვეტისა, რაც ტამპიკოდან ჩრდილოეთისკენ მიმავალ მაგრად დატვირთულ ტანკერიდან ამოდიოდა.

თავი მცამეხი

— ჰა? — უთხრა რიჩარდ გორდონმა ცოლს.

— პერანგზე პომადა გცხია, — მიუგო ცოლმა, — ყურზედაც.

— ამაზე რას მეტყვი?

— რაზე?

— რაზე და, იმ ლოთთან ერთად რომ განახეს გაშხლართული ტახტზე!

ერნესტ ჰემინგუეი

ჰარი მორგანი

— ტყუილია.
 — მე თვითონ არ გნახეთ?!
 — ჩვენ ხომ ვისხედით!
 — სიბნელეში.
 — შენ სადღა იყავი?
 — ბრედლისთან.
 — დიახ, — თქვა ქალმა, — ვიცი. არ მომეკარო. იმ დედაკაცის სუნი აგდის.
 — შენ ვიღას სუნი აგდის?
 — არავისი. მე ისე ვიჯექი, მეგობარს ველაპარაკებოდი.
 — არ გიკოცნია?
 — არა.
 — არც იმას უკოცნია?
 — მერე რა, მსიამოვნებდა.
 — ძუკნა ხარ!
 — კიდევ თუ დაგცდენია მაგისთანა სიტყვა, იცოდე, მიგატოვებ.
 — ძუკნა.

— აგრე იყოს, — თქვა ქალმა, — მაინც გათავებულია ყველაფერი. შენ რომ ასე თავდაჯერებული არ ყოფილიყავი და მეც რომ არ შემცოდებოდი, აქამდე მიხვდებოდი ამას.

— ძუკნა ხარ.

— არა, — შესძახა ქალმა, — არა ვარ მე ძუკნა. სულ იმას ვცდილობდი, კარგი ცოლი ვყოფილიყავი, მაგრამ შენ ხომ მამალივით გაბღენძილი ხარ, შენი თავის მეტი არაფერი გახსოვს. სულ ასე გაპყვივი — „აბა, ერთი ნახეთ, რა გავაკეთე. ნახე, რა ბედს შეგყარე! სულ ირგვლივ უნდა მირბინო და იკაკანო“. რა ბედს შემყარე! ყელში ამომიხვედი. მეყო ამდენი კაკანი.

— ნეტა რას კაკანობ! რა შეგიქმნია, რომ მოსდგე და იკაკანო?!

— ვისი ბრალია, მერე? არ მინდოდა მე ბავშვები? მაგრამ მაგისი თავი არა გვაქვსო. კაბ დანტიბებსში საცურაოდ წასვლის თავი ხომ გექონდა?! შვეიცარიისში წასვლისა და თხილამურებზე სრიალის თავი ხომ გექონდა?! აგერ, კი-უესტში ჩამოსვლის თავი ხომ გექონდა?! ყელში ამომიხვედი. დასანახადაც ვე-ღარ გიტან. ეს ბრედლი კიდევ უკანას-კნელი წვეთი გამოდგა.

— მაგ ქალს მოეშვი.

— სულ პომადით წათხიანილი მოზ-

რძანდა! დაგებანა მაინც! აგერ ^{შუბალ-}ზეც კი გაცხია.

— იმ ლოთ არამზადას ღრმუნდა!

— არაფერიც. ნეტა. მცოდნოდა, რას აკეთებდი და მაშინ კი ნამდვილად ვა-კოცებდი.

— რატომ აკოცინე?

— შენზე ვიყავი გაცოფებული. გიცა-დეთ, გიცადეთ, გული გადაგველია. ჩემ-თან მოსვლაც არ მოგაფიქრდა. იმ დე-დაკაცთან წაბრძანდი და მთელი დღე მასთან გაატარე. ჯონმა მომაცილა შინ.

— აჰ, ჯონმა?

— დიახ, ჯონმა. ჯონმა. ჯონმა.

— გვარი? თომასი?

— არა, მაკ-უოლსი.

— როგორ იწერება — ერთად თუ ცალ-ცალკე?

— არ ვიცი, — თქვა ქალმა და გაი-ცინა. მაგრამ ეს გაცილება უკანასკნელი იყო, — რაკი გავიცინე, არ გეგონოს, რომ ყველაფერმა გადამიარა, — თქვა მან და თვალეში სრემლები მოადგა, ტუჩები აუთრთოლდა, — არა, სულაც არ გადა-უვლია. უბრალო წაჩხუბება არ გეგო-ნოს. ყველაფერი გათავდა. კი არ მძულ-ხარ. არა, მეზოილები. ვეღარ გიტან; ყელში ამომიხვედი.

— აგრე იყოს, — მიუგო კაცმა.

— აგრე იყოს, რას ქვია! ყველაფერი უნდა გათავდეს. გესმის?

— ვხვდები, მგონი.

— „მგონი“ არ კმარა.

— მაგ მელოდრამებს მოეშვი, ელენ.

— ჰა, მე მელოდრამებს ვთამაშობ? აგერ ნახავ. თვალითაც ვეღარ დამლან-ღავ.

— არსადაც არ წახვალ.

— მეტს აღარ გავიმეორებ.

— მაინც რას აპირებ?

— ჯერ არ მიფიქრია. იქნებ მაკ-უოლსის გავყვე.

— შენ მაგას არ იზამ.

— თუ მომეგუნება, დიახაც ვიზამ.

— ის არ შეგირთავს.

— არხეინად ბრძანდებოდე, დღეს მთხოვა სწორედ ცოლობა.

რიჩარდ გორდონს აღარაფერი უთ-ქვამს. გულის ადგილას, მკერდში, ერთ-

ბაშად ცარიელი სივრცე გაუჩნდა, და რასაც ისმენდა, ან თვითონ ლაპარაკობდა, თითქოს ერთხელ უკვე მოესმინოს.

— რა მიხოვავ? — სადღაც შორიდან მოისმა მისი ხმა.

— ცოლობა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ვუყვარვარ. იმიტომ, რომ ჩემთან ყოფნა უნდა. ფულს კარგა ბლომად აკეთებს, კარგად შემინახავს.

— შენ რომ ჩემი ცოლი ხარ!

— ნამდვილი ცოლი არა მქვია. ჯვარი არ დაგვიწერია ეკლესიაში. ჯვარს დაწერა არ ინებე და, შენც ხომ იცი, რომ ამან გაუხეტქა დედაჩემს გული. მე კიდე ისე ნაზად მიყვარდი, ვისაც არ უნდა გახეტქოდა გული, შენთვის ყველაფერს მოვითმენდი. ღმერთო, რა სულელი ვიყავი. მე თვითონაც გავიხეტქე გული. გავიხეტქე და მორჩა, აღარც შემრჩა. ყველაფერი, რისი რწმენაც მქონდა და რაც კი მიმაჩნდა რადმე, შენ გამო დავთმე. რადგან შენ ისე გაგიჟებით და ისე საოცრად გიყვარდი, რომ ამ სიყვარულის მეტი მე არც არაფერი მინდოდა. სიყვარულის მეტი არც არსებობდა რამე. არა, განა? სიყვარული ისეთი რამე იყო, რაც მხოლოდ ჩვენა გვქონდა — სხვას არც ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა. შენ გენიოსი იყავი, მე კი — მთელი შენი სიცოცხლე. შენი უღელის გამწვევი ვიყავი, შენი პატარა შავი ყვავილი. რა ბავშვობაა! სიყვარულიც ბინძური ტყუილია. სიყვარული ერგოაპიოლის პილულებია, რასაც წამდაუწუმ ვყლაპავდი ხოლმე, რადგან შენ ბავშვისა გეშინოდა. სიყვარული ქინაა, ქინა, ქინა და მეტი არაფერი, მანამ სულ არ დამაყრუა ამ ქინამ. სიყვარული აბორტის ბინძური საშინელებაა, რაც შენგან არასოდეს არ დამკლებია. სიყვარული ჩემი გულგვამის დაგლეჯადაქუცმაცებაა; სანახევროდ კათეტერი და სანახევროდ შიგნეულში შადრევნის დატრიალებაა; ვიცი, რაც არის ეგ სიყვარული. სააბაზანოს კარზე ჰკიდია ხოლმე სიყვარული. ლიზოლეუმის სუნი ასდის. ჯანდაბას ეგ სიყვარული. იცი რა არის

სიყვარული — შენ რომ ბედს შემყარე და ღამღამობით პირდაპირილს გძინავს, მე კი ვწევარ მთელი ღამე ძილგამკრთალი და ლოცვა ვერ გამიბედავს; რადგან ვიცი, რომ აღარა მაქვს ამის უფლება. სიყვარული პატარ-პატარა ბინძური თინებია, მე შენგან ვისწავლე, შენ კი ალბათ წიგნებში ამოგიკითხავს. ასეა. შენც ყელში ამომიხვედი და ეგ შენი სიყვარულიც. შენი ბილწი სიყვარული. შენც მწერალი ხარ!

— შენ კი წუნკალი ძუკნა ხარ.

— ნუ იგინები, თორემ შენი სახელიც ვიცი.

— კარგი, კარგი.

— კარგი კი არა, სულ უარესი და უარესი. კარგი მწერალი რომ იყო, შეიძლება კიდეც მომეთმინა, მაგრამ ხომ გნახე, რა შვილიც ბრძანდები — ღვარძლიანი, შურიანი, პოლიტიკურ შეხედულებებს მოდაზე იცვლი, პირში ელაქუცები ხალხს, ზურგს უკან — ჭორავ. ისე გაგიცანი, რომ ყელში ამომიხვედი. ახლა კიდეც ეს ფულიანი ბინძური დედაკაცი, ეს ძაღლისგადებული ბრედლი! ო, ყელში ამომიხვედი. სულ იმას ცვდილობდი, კარგად მომეგლო შენთვის, ხასიათი შემეწყო, საჭმელი დროზე მომეშაადებინა, შენს სურვილზე გაგწუმებულებიყავი, შენს სურვილზე მემხიარულა, ენა არ შემეზრუნებინა, თავი მუდამ ბედნიერად მომეჩვენებინა, შენი ცოფიანი ხასიათი, სიბილწე და ეჭვიანობა მომეთმინა... მაგრამ მორჩა, აღარ შემიძლია.

— მაშ, იმ ღოთ პროფესორთან გინდა ახალი ცხოვრება დაიწყო?

— ის პროფესორი კაცური კაცია. კეთილი; გულმომწყალე. მასთან რომ ხარ, თავისუფლად გრძნობ თავს, თან ერთი წრიდანაც ვართ, ისეთი რამეები გვაქვს საერთო, რასაც შენ შენს დღეში ვერ ეღირსები. მამაჩემისნაირი კაცია.

— ლოთია.

— სვამს, მართალია. მამაჩემიც სვამდა. მამაჩემიც შალის წინდებს იცვამდა, შეაწყობდა წინდებიან ფეხებს სკამ -

ერნესტ ჰემინგუეი
პარი მორგანი

ზე და გაზეთს კითხულობდა ხოლმე საღამოობით. წითელა რომ შეგვეყრებოდა, თვითონ გვევლიდა. მექვაბე იყო და ხელები სულ დახეთქილი ჰქონდა. ჩხუბი იცოდა, როცა დათვრებოდა, თუმცა ფხიზელსაც შეეძლო ჩხუბი. ეკლესიაში დადიოდა იმიტომ, რომ დედაჩემს უნდოდა ასე; სააღდგომო დღესასწაულსაც იხდიდა დედაჩემისა და ღმერთის ხათრით, უფრო დედაჩემის ხათრით, პროფკავშირშიაც მუშაობდა, და ზოგჯერ სხვა ქალთან თუ მივიდოდა, დედაჩემი ამას თავის დღეში ვერ გაიგებდა.

— სანაძლეოს ჩამოვალ, რომ სულ ქალებში იყო.

— შეიძლება, არ შეგედავები. მაგრამ მღვდელს გაანდობდა ხოლმე ამას, დედაჩემს თავის დღეში არ ეტყოდა. თუ დადიოდა, იმიტომ დადიოდა, რომ სხვანაირად არ შეეძლო. მერე წუხდა და ნანობდა. დროს სატარებლად კი არ დადიოდა, არც მამლაყინწური ამპარტაგნობის გამო, არც იმისთვის, რომ მერე ცოლთან ტრახახს მოჰყოლოდა, რამხელა კაცი ვარო. ამას თუ გააკეთებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ დედაჩემი მთელი ზაფხული ზაფხვებთან იყო ცალკე. ის კი სულ ამხანაგებში ტრიალებდა და სვამდა. კაცი იყო.

— ბარემ მწერლობა დაიწყე და ააწერე მისი ცხოვრება.

— შენზე კარგი მწერალი მაინც ვიქნებოდი. ჯონ მაკ-უოლსიც კაცური კაცია. შენ — არა. ვერც გახდები. პოლიტიკურ შეხედულებებსა და რელიგიაში არ არის საქმე.

— არავითარი რელიგია არა მწამს.

— არც მე. მაგრამ იყო დრო, მწამდა, და კიდევ ვიწამებ. ვეღარ წამართმევ. ყველაფერს რომ მართმედი ხოლმე.

— არა.

— დიახ. ახლა მიბრძანდი და ვინმე ფულიან დედაკაცს შეუგორდი ლოგინში, ელენ ბრედლისთანა ქალს. მოეწონე მაინც? რაო, კარგი ხარო?

რიჩარდ გორდონი შეჰყურებდა ქალის სევდიან, ცრემლებისაგან გაღამაზებულ, გაბუსხულ სახეს, ნაწვიმარი კვირტები-

ვით დაბერილ ტუჩებს, სახეზე ჩამოშლილ შავ, კულულა თმას, და გრძნობდა, რომ მეტად ვეღარ დააკავებდა.

— აღარ გიყვარვარ?

— მაგ სიტყვის გაგონებაც კი აღარ მინდა.

— ავრე იყოს, — უთხრა კაცმა და უცებ შიგ სახეში გაუშალა გამეტებით.

ქალმა მაგიდაზე ჩარგო თავი და ტირილი წასკდა, არა გაბრაზებით, არამედ ტკივილის გამო.

— ეს რაღად გჭირდებოდა! — თქვა ქალმა.

— მჭირდებოდა, — მიუგო კაცმა — მჭირდებოდა. შენ ძალიან ბევრი რამ იცი ქვეყნად, მაგრამ ამას კი ვერ მიხვდარხარ, როგორ მჭირდებოდა ახლა ეს.

იმ საღამოს კარი ისე გაიღო, რომ ქალს კაცი არ დაუნახავს. მან დაინახა მხოლოდ თეთრი ჰერი, ზედ კუხიდიონის გამოსახულებები, მტრედები და არქიტექტორული ორნამენტები. რაც შედეგილი კარიდან ერთბაშად შემოჭრილ სინათლეზე მკაფიოდ გამოისახა.

რიჩარდ გორდონმა თავი მოაბრუნა და ზედ კარის ზღურბლზე მდგარი ზორზოხა, წვერიანი კაცი დაინახა.

— რას გაჩერდი! — უთხრა ელენმა, — რა მოგივიდა?! — მისი ქერა თმა ბალიშზე გადაფენილიყო.

მაგრამ გახევებული რიჩარდ გორდონი კვლავ იმ კაცს მიშტერებოდა.

— ნეტაი შენ. სად იყურები?! რაში გენადვლება! ახლა სხვა რამეზე ფიქრი გავონილა! — გამწარებით ჩასციებოდა ქალი.

წვერიანმა ნელა მიხურა კარი. იგი იღიმებოდა.

— რა მოგივიდა, ჩემო ძვირფასო! — ჰკითხა ელენ ბრედლიმ ახლა, როცა კვლავ სიბნელე ჩამოეფა ოთახში.

— უნდა წავიდე.

— ახლა წასვლა გავონილა?!

— ის კაცი...

— ეს ხომ ტომია, — უთხრა ელენმა, — მაგან ყველაფერი იცის. შენ ეგ ნუ შეგაწუხებს. მოდი. ჩემო კარგო. ჰე, გეხეწები.

— არ შემიძლია.

— როგორ თუ არ შეგიძლია! — იწყინა ელენმა. კაცი გრძნობდა, როგორ ცახცახებდა ქალი, როგორ უკანკალებდა თავი, —ღმერთო ჩემო! რა მოგივიდა? ნუთუ არაფერი არ გესმის?! ქალს არაფრად არ ავდებ?!

— უნდა წავიდე, — არ იშლიდა რიჩარდ გორდონი.

სიბნელეში მან იგრძნო, როგორ გააწუნეს სილა და როგორ გაიკვესა თვალეში ნაპერწკალმა.

მორიდაც გაარტყა ქალმა, ოღონდ ამჯერად ტუჩებში.

— სულ ეგ არის შენი ვაჟკაცობა, — უთხრა ქალმა, — მე შენ კაცი მეგონე. ახლავე აიბარე! ეს იმ საღამოს მოხდა. ასე დამთავრდა ბრედლისთან შეხვედრა.

ახლა კი აგერ მისი ცოლი მაგიდას უზის, სახე ხელეებში ჩაურგავს და ორივენი სდუმან. რიჩარდ გორდონს საათის ტიკტიკი ესმის და გულში ისეთივე სი-ცარიელეს გრძნობს, რა სიმშვიდეც ოთახში სუფევს. ცოტა ხნის შემდეგ ცოლმა დაიწყო, ისე რომ ქმრისთვის არც შეუხედავს:

— მწყინს, რომ ასე მოხდა. მაგრამ შენც ხომ ხედავ, ყველაფერი გათავდა!

— ჰო, თუ მართლა ისეა, როგორც შენ ამბობ.

— თავიდან არ ყოფილა ასე, მაგრამ ახლა უკვე კარგახანია ასეა.

— მაპატიე, რომ გაგარტყი.

— არაფერია. განა მაგის გამო... ეს გამოთხოვებდასავით იყო.

— ნულარ ლაპარაკობ!

— უნდა მოვემზადო, — დაღლილი ხმით თქვა ქალმა, — ალბათ, დიდი ჩემოდნის წაღება მომიწევს.

— დილით ჩაალაგე, — უთხრა კაცმა, — დილითაც მოასწრებ.

— ბარემ ჩავალაგებ, დიკ, გულსაც გადავაცოლებ. მაგრამ ისე დავიქანცე... საშინლად დამალა ყველაფერმა, თავიც ამტკივდა.

— შენ იცი.

— ო, ღმერთო, — თქვა ქალმა. —

ნეტა ასე არ მომხდარიყო. მაგრამ რას იზამ. შენც დაგილაგებ ყველაფერს. ვინმე უნდა აიყვანო, მოგივლის. ამდენი რამე რომ არ მეთქვა ახლა და შენც რომ არ გაგერტყა, ვინ იცის, იქნებ ისევ შეერიგებულყავით.

— არა, მანამდე გათავდა ყველაფერი.

— მეცოდები, დიკ.

— ნუ შემიცოდებ, თორემ კიდე გაგარტყამ.

— მგონი, უფრო კარგად გავხედებო,

თუ გამარტყამ, — თქვა ქალმა. მეცოდები
არაფერი
შემეცოდება

— ჯანდაბა შენს თავს!

— ახლა ვნანობ, ის რომ გითხარი, კაცობა რომ დაგიწუნე. შენ გგონია, რამე გამეგება მაგისი! ალბათ, დიდებუ-ლი ხარ.

— არც შენ ხარ ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი.

ქალი კვლავ ატირდა.

— ეს გარტყმაზე უარესი იყო.

— შენ რაღა მითხარი?

— არ ვიცი. აღარ მახსოვს, ისე გულ-მოსული ვიყავი... შენც აიღე და ისე გა-მარტყი!

— ხომ ყველაფერი გათავდა! გული რაღას მოგდის?

— არ მინდა, რომ ყველაფერი გა-თავდეს, მაგრამ რას იზამ, აღარაფერი ეშველება.

— გყავდეს ის შენი ღოთი პროფე-სორი.

— კარგი, გეყოფა, — უთხრა ქალ-მა, — არ შეიძლება, რომ გავჩუმდეთ და აღარაფერი ვთქვათ?

— რატომაც არა.

— მართლა?

— რატომაც არა.

— აქვე დავიძინებ.

— არა. ლოგინში ჩაწევი. ჰო, ჰო. მე ცოტა ხნით გავივლი.

— ნუ წახვალ.

— საქმე მაქვს.

— ნახვამდის, — კაცმა შეხედა ქა-ლის სახეს, რაც მას ყოველთვის გაგიჟე-ბით უყვარდა, და რასაც ცრემლები ვე-რაფერს აკლებდა; მის შავ კულულებს, მაგიდაზე მიყრდნობილ, სტიტილით და-ფარულ მკვრივ, პატარა ძუძუებს... სხვა რამე კი, რაც მას ასე გაგიჟებთ უყვარ-და და თითქოს ხიბლავდა კიდეც, თუმცა, ალბათ, ვერაფერი სიკეთე იყო, არ დაუ-ნახავს, მაგიდა ფარავდა. ოთახიდან რომ გადიოდა, ქალმა მაგიდიდან გახედა. ნიკაბი კვლავ ხელეებზე ჰქონდა დაყრდნო-ბილი და ტიროდა.

ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ

ღაზროსი კაღანდამი

ხმათა პოეზია

თუ ოდესმე ტყეში გზა აგზნევით და შეშფოთებულს მერე კაცის ხმა გაგიგონიათ, უეჭველად იგრძნობდით ხმის რაღაც განსაკუთრებულ ძალას. უთვალავნაირია ხმები — ქვეყნიურ კავშირთა ეს უღვევი ძაფები. ხმათა შეზავებისაგან შემთხვევით როდი იბადება ყველაზე უმშვენიერესი რამ ამქვეყნად — მუსიკა.

ვის გულს არ უგრძნვია წარმტაცი პოეზია ხმათა, იღუმალთა და არაიდუმალთა, იმ ხმათაც, ანაზღად რომ აღმოცენდებიან სადღაც სივრცეში და თითქოს რაღაც დიდი საიდუმლოებისაგან გიწვევენ.

მოდით, ყური მივუგდოთ აი ამ ხმებსაც, შვიდზე მეტი საუკუნის წინათ რომ აღმომხდარან ბრძენი მგოსანის ბაგეთაგან და დღეს ხელახლა რომ შობილან თანამედროვე პოეტის სულში.

რა საოცრად შორეულიც და რა საოცრად ახლობელიცაა ეს ხმები!

ერთი სასწაულმოქმედება პოეზიისა იმაშიც არის, რომ მას ძალუძს უშორესი გადააქსოვოს უახლოესს.

რა ხმებია ეს ხმები?

ძახილია, განდობაა, ღაღადისია. ვედრებაა, აღსარებაა?

„ნუ, ნუ შემრისხავ... მე აქ ვდგავარ, მე აქ მოველი, სადაც გიზგიზებს სუნთქვა შენი და შენეული“; „მე აზრი ვიყავ... ბედი კაცთა მე არ მებარა, — ჩემად ნუგეზად, ჩემად ტანჯვად მე ეს მეყოფის...“ „შენგან განდგომა, ო,

ჯვარცმულო, მე რად დამბრალდა“; „ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ, შენ ჩვენო ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ“; „დამამზობელმან მე საწუთრომ დამამხო, თამარ!“

ძველი, ნაცადი ნაკეთობაა ლექსისა? ჰო, ესეც არის. ბევრი რამ არის მემკვიდრეობითი და ტრადიციული ამ „ხმათა“ პოეტურ აღნაგობასა და ხასიათში. მეტწილად უეჭველად ბარათაშვილის კითხვები, მიმართვები, იღუმალთქმანი, შეღალადებანი, პაუზები მოგაგონდებათ. მაგრამ განა დღეს ნაკლები კითხვები აღელვებენ გონებას? განა დღეს არ მოითხოვს ჩვენი სული შევღალადოთ ქვეყნიერების დიად ძალებს, თაყვანი ვცეთ მშვენიერსა და ჭეშმარიტს, დავგმობთ, დავწყევლოთ მავნე და ბოროტი, გულის კარი გავუღოთ სიხარულსაც და სევდასაც, აღტაცებასაც და მწუხარებასაც... ან რად უნდა დაიშრიტოს თავდაპირველი სინედლე ჩვენი სულისა? რად უნდა მოაკლდეს მას ექსტაზის ძალა.

ჩვენ ყოველთვის როდი ვფიქრობთ იმაზე, თუ რა უსასრულოდ მრავალფეროვანი შეიძლება იყოს ადამიანთა სულიერი კავშირი ქვეყნიერებასთან. შეიძლება ითქვას, რამდენი ადამიანიცაა, იმდენი განსხვავებული და თავისებური ძაფია გაბმული სამყაროსთან. და იქნებ, სწორედ ამაშიც იყოს სიცოცხლის სიბრძნეც და სიმშვენიერეც. კაცმა რომ ითქვას, ადამიანთა მოღვმის მი-

ლიონთა და მილიონთა არსებობას რა აზრი ექნებოდა, თუ ყველას და ყველაფერს ერთი დაიტევდა. ასეა თუ ისე, თუ გწამთ ადამიანი, კიდევაც უნდა გწამდეთ მის ნამდვილ ადამიანურ ნიჭთა ყოველი პიროვნული გამოსხივების შესაძლებლობაც, უფლებამოსილებაც, სრულფასოვნებაც.

...პოეზიაც, — მე ასე მგონია, — ადამიანურისა და ადამიანურობის დაუღვევლი საგანძურის მარადიული ძიებაა სიამეთა და ტკივილთა დაუსრულებელ გზებზე.

მითქვამს და კვლავაც ვიტყვი: არ მჯერა არავითარი ნოვატორობა პოეზიაში (საერთოდ ხელოვნებაში), თუ იგი ამავე დროს არ მოასწავებს ადამიანურობის რაიმე ახალი კუთხის, ახალი ნაკადის მიგნებას.

თანაც, იქნებ, დღეს, ვიდრე ოდესმე, გემართებს უფრო მახვილი თვალი და ყური გვქონდეს ადამიანურ ტკივილთა მიმართ.

გვაქვს ამის საფუძველიც.

უბრალოდ რომ ვთქვათ, ადამიანმა თავისი არსებობის მთელ მანძილზე საკმაოდ ბევრი იტანჯა და ეწეა, წვალებებისა და მწუხარების საკმაოდ დიდი გამოცდილება დააგროვა იმისათვის, რომ დღეს განსაკუთრებით მგრძნობიარე იყოს ყოველ ადამიანურ ტკივილთა მიმართ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ადამიანობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა ძალით არის დამუხტული ჩვენი სული ადამიანური ტკივილებით. მით უმეტეს, ვერას იტყვის პოეტმა ახალსა და აღმაფრთოვანებელს, თუ მას სულში არ ტკივა თავისი დრო, თავისი ქვეყანა, თუ სულში არ ტკივა ადამიანი.

აი, ჩვენი დროის ქართველი პოეტიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, უბრალოდ პოეტურ-ტურისტული თუ პოეტურ-სპორტული ყინით რომ დადგომოდა რუსთაველის ნაკვალევს, შესაძლოა, კიდევაც გავერთეთ და გავხალისებინეთ თავისი საღალბო ლექსებით, რადგან „ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად“. მაგრამ ვეჭვ, რომ

შევეყვანეთ საგულისხმო პოეტურ-ტურთა და გრძნობათა სამყაროში.

მინც რამ დააყენა პოეტურ-რუსთაველის ნაკვალევზე? წმინდა პოეტურმა ინტერესმა? მაშინ, რაღად ჩასვამდა ლექსში უბრალოს, მაგრამ ბევრისმთქმელ სტრიქონებს:

უგულოდ ბნელა,
ცა უტყვი,
მიწა ბრმა არი..

ო, უგულობაც,
ულმერთობა
შენთან რა არი!

მსოფლიოს ყველა ხალხის და ყველა ეპოქის ჰუმანისტთა შორის ერთ-ერთი უდიდესი ჰუმანისტის, ქართული პოეტური აზროვნების მამამთავრის, დიდი ეროვნული გენიის — რუსთაველის ნაკვალევის ძებნა თავისთავად უკვე მრავალსიმეტყველი პოეტური ლაშქრობაა ხალხის ისტორიული ბედის ნაკვალავ თუ უკვალავ გზებზე.

დიდი ისტორიული გადასასვლელებისა და გარდაქმნების ქაშა ხალხი თავისი საარსებო ძალებისა და სულის სიმტკიცის სამაგრეებს ხშირად თავისი დიდი წინაპრების ცხოვრებასა და მოღვაწეობაშიც ეძებს, ხშირად იწვევს შორეული წარსულიდან დიდი თავკაცების აჩრდილებს, რომ თავისი ისტორიული ბედის წარმართვაში მოიშველიოს.

დღეს ჩვენ უჩვეულო და უმაგალითო გზებით მივემართებით მომავლისაკენ. და ისე, როგორც ცხოვრების განუცდელო დიდ ცვლილებათა მომლოდინე ყოველი ადამიანი, დიდ საზოგადოებრივ გარდაქმნათა გზაზე დამდგარი ხალხიც, ალბათ, ყველაზე მძაფრად თავისი ისტორიული ბედის საკითხს განიცდის. ვფიქრობ, სადღაც აქ არის სათავე იმ ფიქრთა და განწყობილებათა, რომელთა თავისებურ ლირიკულ უკუფენას წარმოადგენს პოეტური ციკ-

ლაფროსი კალანდაძე
ხმათა პოეზია

ლი „რუსთაველის ნაკვალევზე“. შემთხვევით როდი მიიჩნევს პოეტი თავის პოეტურ ძიებას ვალად სამშობლოს წინაშე, ხოლო თავის პოეტურ არსებას — მესხთა ძახილად, მესხთა წუხილად.

შენ აქ ხარ,
აქ ხარ...
დასრულდა კვალი,
მშობელი მიწის
ეს მეღო ვალი;
აქ შენი მშვიდი,
ნაბიჯი შეწყდა,
აქ დაწდა ცრემლი,
ხმელეთს რომ რეცხდა;
ვღვაჯარ შენს სახლთან,
შენს ჩამქრალ ცეცხლთან,
წუხილი მესხთა,
ძახილი მესხთა.

და ამ პოეტურ ძიებათა გზაზე ყველაზე მნიშვნელოვანი და საგულისხმო მიიჩნევა რუსთაველის ხმათა მიკვლევაა. მართლაც, უკვე თავისთავად, რა კარგი, რა ლამაზი, რა შთაგონებული ხილვაა: სადღაც შორეული პალესტინის სანახებში, კიდევ უფრო შორეული წარსულიდან — შვიდი საუკუნის გადაღმიდან გაიგონოთ დროისა და სივრცის უხილავ ნაკეცებში შენახული ხმა დიდი წინაპრისა, ხმა იმდენად მშობლიური და იმდენად ადამიანური გზნებითა და ტკივილებით სავსე, რომ შეიძლება მთელი თაობის აღსარებადაც კი აქღერდეს.

იყო თუ არ იყო შოთა რუსთაველი პალესტინაში — ეს ისტორიული კვლევის საგანია, პოეტმა კი თავისი პოეტური ამოცანისათვის აირჩია (და ამის სრული უფლებაც ჰქონდა) ვადმოცემისა თუ ლეგენდის ფაბულა. მსტოვანი შოთა იერუსალიმის ჯვარის მონასტერს შეეკედლაო.

მაგრამ ნუთუ ამქვეყნიურ, საზრუნავსა და საფიქრალს გაექცა, ადამიანებს განერიდა ადამიანობისა და ადამიანის გონების უდიდესი ქომაგი და მონასტერში ჩაიკეტა ცოდვათა მოსანანიებლად იმის გამო, რომ მას უღმერთობას, ქრისტესაგან განდგომას სწამებ-

დნენ? ო, რა უღონო და უგონო გადაწყვეტა იქნებოდა პოეტური ამოცანისა! არა, იგი აქ — ქრისტეს ამ სწავლებით მოვიდა სწორედ ღმერთთან საკამათოდ, ადამიანისა და ადამიანურობის დასაცავად. და ამაში არის რუსთაველის ღრმა პოეტური გავება. ყოველი „ხმა“ არსებითად დავაა ღმერთთან, დავაა იმ ძალასთან, რომელიც ესწრაფვის ადამიანის ძალთა შებოჭვას და მათ მიქცევას მხოლოდ ერთი ვნების, ერთი გზნების სადინარში.

თუ არა ადამიანთა გულის ბრძენმა მესაიდუმლემ — შოთა რუსთაველმა, აბა ვინდა იცოდა, რომ ადამიანის ბუნება მრავალფეროვან ადამიანურ ვნებათა რთული შენადნობია. და ამიტომაც ყოველ დროში და ყოველ ვითარებაში ყოველივე ადამიანური, მათ შორის, რწმენაც მხოლოდ მაშინ არის წრფელი და ჭეშმარიტი, როცა იგი ამ შენადნობის სიღრმეშია წარმოშობილი.

ბრმად ვერაფერს იწამებდა რუსთაველი. ბრმა რწმენა რწმენაც არ არის! საკმარისია, სულს აეხსნას ძალადობის ბორკილი, რომ გამქდავენდეს მთელი მისი სიყალბე.

რწმენა რუსთაველისა უღრმესი და უნათლესია.

„ხმა ჯვარის მონასტრის გაღვანთან“ — ხმა შორს მიშავალი ასოციაციებით. აქ არც ერთ სტრიქონში არ თავდება თქმული თუ სათქმელი. გვაჯერებს, გვალეღვებს ჩივილი დიდი რუსთაველისა, რომ უნდობლობა ეცხადების კაცის მალალ გონებას, მის ღრმა და ჭეშმარიტ რწმენას, გვალეღვებს, რადგან ეს ყოველი დროის მოძალადისა და ძალადობის თვისებაა. რუსთაველი ედავება უზენაესის სწორედ ამ ძალადობას, ედავება ადამიანის გონების სიდიადისა და სრულფასოვნების პოზიციიდან

მე ჩემს გონებას,
ცნობას ველოდი
ჩემს დიდ საუწყედ,
რადგან არსთაგანს
მე მეგობა

ეს საბოძველი, —

შენ მთხოვდი
თაყვანს,
თაყვანს განუსჯელს,
მე მხოლოდ განსჯის,
მხოლოდ განსჯის
ვიყავ მლოცველი.

ღმერთთან კამათის ეს რენესანსული მოტივი გრძნობათა და აზრთა დიდ ხვეულებში გადადის: რაა სიკეთე, რაა სათნოება, რაა სიყვარული, თუ მათი სახელით ადამიანები წარღვნისა და მეორედმოსვლის, განსჯა-განკითხვისა და ჯოჯოხეთის მუდმივ მოლოდინში იქნებიან? არა! ადამიანები კი არ უნდა იბადებოდნენ აღთქმებისა და მცნებებისათვის, მცნებები და აღთქმები უნდა იქმნებოდეს ადამიანებისათვის. ადამიანურ ვენებათა მოვარდნილი ნიაღვრების ბრძენმა მკვლევარმა — რუსთველმა, რასაკვირველია, ყველაზე უკეთ იცოდა, რომ იქ, სადაც ადამიანებს ცივი და გაქვავებული მცნებები ნთქავენ, შეიძლება თვით უმაღლესი ღვთაებრივი მოძღვრებაც კი, მოძღვრება ბოროტთა ძლევისა, მტერთა შემუსვრისა, კეთილთა მეუფებისა, მოყვასთა აღზევებისა, იქცეს ადამიანთა უმძიმეს ბორკილად.

მხოლოდ ძალადობამ, უზენაესთა ძალადობამ, პირდაპირმა თუ არაპირდაპირმა, მიაჩვიეს ადამიანები გულის დახურვას, ბნელმეტყველებას!

შენ, „მაღალ მწვერვალთა სალოცავო, ხატო ნაპრალოთა“, შენ, „ძლეულთ ნუგეშო, დავრდომილთა თავშესაფარო“, მოითხოვ ჩემგან უგონო ერთგულებას, განუსჯელ მორჩილებასა და თაყვანისცემას! მაშასადამე, შენ არ გწამს სრულფასოვნება ჩემი ადამიანური არსებისა, არ ენდობი ჩემს გონებას, არ ენდობი ჩემს სიტყვას. მაშ, რაღა შეგაკავებს იმისაგან, რომ იძალადო ჩემზე და მცნებათა შენთა ლანდად მაქციო, გამძარცვო ვნებათაგან, წამართვა სული, წამართვა ენა!

ვიკით: ღმერთთა და კაცთა ძალადობამ საუკუნეები წარსტაცა ადამიანთა გონებას, თორემ, ვინ იცის, რა უხსოვარ ჟამს ვიქნებოდით მიღწეული სამყაროს მესამე ვალაქტიკამდე.

ამიტომაც გვესმის ის სულიერი ცრევილები, რომლებითაც სავესტა რუსთველის საყვედური შემოქმედისაგან
თუ განმაცაცო,
თუ დამადგი
თვალი სრულქმნელის,
თუ მომეც ძალი
ხან ფრთაშესხმის,
ხან დაღონების,
მე მწაღდა შენგან
სიტყბოც ცნობის თავისუფლების.
მე მწაღდა შენგან
სიხარულიც
განხმულ გონების.

ვინ დასდო ბრალი ადამიანს იმის გამო, რომ მას სწადია, გული მისი თავისუფლად და დაუბრკოლებლად ასრულებდეს თავის საქმეს — მიმოაქცევდეს სისხლს მის სხეულში? რად უნდა დაედოს ბრალი ადამიანს იმის გამო, რომ მას სწადია, გონება მისი თავისუფლად და დაუბრკოლებლად ასრულებდეს თავის საქმეს — აზრებით ავსებდეს მის ადამიანურ არსებას?

ეს უაღრესად ბუნებრივი სასიცოხლო წადილია ადამიანისა. „და თუ შენ მაინც ცოდვად მითვლი ამ ჩემს საწადელს, — ედავება ღმერთს რუსთველი, — ცოდვა არცოდვის ჭეშმარიტი სად ძევს სამძღვარი?“

აქ, ამ პოეტურ განააზრში, ეს კითხვა იმ მწვავე, ანუ, როგორც ილია იტყოდა ხოლმე, იმ წყევლა-კრულვიან საკითხთა რკალში ექცევა, თითქმის მუდამ თან რომ სდევს კაცთა ცხოვრებას, მაგრამ ყოველ ახალ ვითარებაში ახალი შინაარსით ივსებიან. მაგალითად, დიდმა ტრაგიკულმა გენიამ — დოსტოევსკიმ მხოლოდ ერთხელ წამოაძახებინა თავის პერსონაჟს — „რად ტირის ბავშვი?“. მაგრამ ვინ იცის, როდის მოხსნის ამ კითხვას ადამიანი? ასევე, ვინ იცის, სად ექნება ბოლო კითხვას: „ცოდვა არცოდვის ჭეშმარიტი სად ძევს სამზღვარი?“.

კითხვები, კითხვები — პირგახსნილი ჭრილობები ჩვენი სულისა!

ლავროსი კალანდაძე
ხმათა პოეზია

„ხმა ჯვარის მონასტერში“ — განაცალმხრივი გზნებით შეპყრობილი, ბედთან შერიგებული მოხუცის სასომიხდილი ხმა არის ეს? მაგრამ ვინა თქვა, პოეტის სულის შერიგება მონასტრის ბინდიან თაღებზევე დავანებულ სიჩუმესთან! არა, ეს არის შეუთრგებელი მაღალი გონების შეშფოთებული კითხვები! ეს კვლავ დავაა ადამიანის სულის შემბოჭავ ძალასთან!

ვის უნდა თავდახრილი, ქედმოღრეკილი ადამიანი? მხოლოდ მოძალადეებს!

ყოველი კითხვიდან თითქოს კაცთა ბედის თვალი იცქირება, ყოველი კითხვის უკან მწვავე სულიერი ტკივილი იმალება.

მე დავიკარგე...
დავიკარგე,
თუ ღღეს აღმოვჩნდი?
დავთრგუნე სული,
თუ ეს სული
მე ღღეს გავწმინდე?
ვარ სამშვიდობოს,
ვარ აღმართზე
თუ თავდაღმართში?
რა უნდა ერქვას
ჩემს აქ ყოფას,
სუნთქვას აწინდელს?
მე გარდვისახე?
ძველი ჩემი
გახმა ყვავილი?
კვლავ ახალ ვარდთა
უფრო კარგთა
ღღეს ვარ მფლობელი?
კვლავ ვფარავ სულში,
თუ გულმართლად
დავთმე ყოველი?
დავთმე?
და, იქნებ,
არც რამ მქონდა დასათმობელი?

ვით ასცდებოდა რუსთველს ხვედრი იმისა, ვინაც საუკუნე გაიგო, მაგრამ ვისაც საუკუნემ ვერ გაუგო.

ბედის რა მკვეთრი შეტრიალება, სულის რა მწვავე ტკივილი უნდა განეცადა მას, ვისაც ყველაზე უკეთ ესმოდა, თუ როდის იკარგება ადამიანი ამქვეყნად, რომ ეკითხნა: დავიკარგე, თუ ღღეს აღმოვჩნდიო. რა ბურუსი უნდა იდგეს გარეთ, რა გრივალი უნდა ბობოქრობდეს შიგნით, რომ არც კი იცოდე, აღმართში ხარ თუ თავდაღმართში?

მაგრამ განა მართო ბურუსში იკარგება ადამიანი?

ვინ იცოდა, თუ არა რუსთველმა ადამიანი ამქვეყნად იკარგება მაშინ, როდესაც თავისი ადამიანური ძალები უმოქმედოდ მიაქვს სამარის კარამდე და უნაყოფოდ გადააქვს არყოფნის უსასრულობაში. ადამიანი მოდის ამქვეყნად მხოლოდ იმისათვის, რომ ამქვეყნად და ქვეყნისათვის დაიხარჯოს. და თუ ისე ვადის წუთისოფლიდან, რომ ერთ ნაპერწკალსაც ვერ უმატებს ქვეყნიერებას, დაკარგულია სამუდამოდ. მაგრამ ერთ ცოდვას სჩადის ის, ვინც თავისთავად იკარგება (თუმცა იკარგება კი ვინმე თავისთავად?) და ათასს ის, ვინც იმდენად ბოროტად ადამიანს, რომ საშუალებას არ აძლევს დაიხარჯოს ქვეყნისათვის...

ვინ შემატა ქვეყნას უფრო მეტი სიბრძნე და სილამაზე, ვიდრე რუსთველმა... და მაინც იგი „უკვე სამარის კარს მიმდგარი, დაღამებული“ — მტანჯველი ეჭვით შეპყრობილი ეკითხება განმგებელს:

მარქვი, სად ვტყუი,
სად კარ მცდარი,
სად ვარ მართალი?

აქაც ეს მტანჯველი ეჭვი დავაა და არა შერიგება.

არა, არც ისე ცალპირად არის ნაქსოვი კაცის სული, არც ისე მარტივი და ნათელია ყოველივე, როგორც ეს დემოტებს სურთ და ჰგონიათ. სურთ და ჰგონიათ... და აქედან წარმოსდგება მათი უნდობლობაც კაცთადმი.

რუსთველმა იცის, რუსთველი ხედავს, რომ კაცთათვის გაუცხოებულ და კაცთაგან განცალკევებულ უზენაეს ძალას არ შესწევს უნარი სამართლიანად გაანაწილოს ქვეყნად ბედნიერება — სიკეთე და სიყვარული, ღიმილი და სილამაზე.

„ხმა ზეთისხილის ბაღში“ — შესანიშნავი პოეტური მიკვლევაა რუსთველის ღრმა რენესანსული ჰუმანიზმისა და ასევე ღრმა რენესანსული პატრიოტიზმის განუყოფელი ერთიანობისა. შორს,

ძალიან შორს იტყორცნება შუქი ამ მინაკვლევისა: არ შეიძლება იყოს ხალხის (ადამიანის) მეგობარი და მოჭირნაზულე და არ ნდობდეთ, არ ცნობდეთ მის ბუნებითს სახიერებას, მის სამშობლოს. სამშობლო განუყოფელი ნაწილია ხალხის (ადამიანის) სიცოცხლისა, იგი, უწინარეს ყოვლისა, ხალხის (ადამიანის) უახლოეს სასიცოცხლო კავშირთა ქსელია.

მხოლოდ უღრმეს ჰუმანისტსა და უღრმეს პატრიოტს შეეძლო ასე ერთნაირის ძალით, ერთნაირი გულმხურვალებით გამოეხატა სულ სხვადასხვა ტომის ადამიანები, ეთქვა მათი ადამიანური მეგობრობისა და ძმობის ისეთი მშვენიერი ჰიმნი, როგორც „ვეფხისტყაოსანია“. ცრუ და ყალბია ჰუმანიზმის ადამიანთა ძმობის ყოველგვარი ქადაგება იქ, სადაც არსებითად უკუგდებული და უარყოფილია სხვადასხვა ტომთა თანასწორობა და ტოლფასოვნება.

გვაჯერებს პოეტი, რომ რუსთველი ვერ მიიღებდა ვერც აღთქმულ სამოთხეს, ვერც აღთქმულ სულის უკვდავებას, თუ მათ სანაცვლოდ სამშობლო წაერთმეოდა. ეტყოდა, უეჭველად ეტყოდა თავის ვედრებაში რუსთველი ქრისტეს: მწამხარ იმდენად, რამდენადაც ძალგის ენუგეშო ჩემს ხალხს, ჩემს სამშობლოსო.

შემინდე, ღმერთო,
მამულის წინ ყოვლის დათმობა;
მნათობი შენი
საქართველოს მწამდა მნათობად...

ო. პალესტინაე,
პალესტინაე!
ყოვლის მომცველის.
ყოვლის მფლობელის
მწამდა შენი
სიტყვის, ცხოვლისა,
მავრამ უადრეს,
უწინარეს,
უმალ ყოვლისა,
მე სამშობლოსთვის,
სამშობლოსთვის
ვიყავ მლოცველი .

„ხმა სამრეკლოსთან“ — ვედრებაა, მავრამ შიგ ნატამალიც არ არის იმქვეყნიურის ჰერტიკისა. უსასო ღვთისმოსა-

ვობა ასეთ ხმას ვერ შობს, ხმას, სადაც ამქვეყნიური ფიქრითა და ზრუნვით, სამშობლოს ბედის უმძაფრესი განცლით აქაც, ისე როგორც „ხმათა“ მთელ ციკლში, ლოცვა, ვედრება მხოლოდ გარსია იმ დიდი შინაგანი დრამატიზმისა, რომელშიაც ნამდვილად იკითხება რუსთველის გული, გული, ცეცხლოვებული სამშობლოსათვის. სწორედ ამ მძაფრი დრამატიზმით გვაღელვებენ დღეს ჩვენ ის კითხვებიც, რომლებიც შორეული წარსულის მონღოლთა ბატონობის შავი დღეების მთახლოების წინაგარძნობას გამოხატავენ:

რად მეჩვენება
ჟამი ჰიროთა მოახლოების.
რისხვა განგების
შემოწყრომა მაღალ სამართლის.
რატომ ჩანს შავად
უსაზღვრობა აღმოსავლეთის,
რად მესმის გლოვა
შორი ქართლის სამრეკლოების.

„ხმა კატამონთან“ — ეს არის მგზნებარე გულის თრთოლვაზე აწყობილი სადიდებელი დედაენისა. ამ სადიდებლის ყოველ პოეტურ ნაკვთში თითქოს სკულპტურულად არის ჩამოსხმული ღრმა აზრი, ღრმა გრძნობა. თუ არა ქართული სიტყვის უპირველეს ჯადოქარს, აბა, ვის, ვის მართებდა ეთქვა ყოველთა უწინარეს გულში ჩამწვდომი დიდება დედაენისა. ამიტომაც ვუჯერებთ ჩვენი დროის პოეტს, რომ მის სულში ნაშობი სტრიქონები ნამდვილად არის ხმა რუსთველისა — საშვილიშვილოდ გამოჭრილი შორეულ საუკუნიდან. ამიტომაც აქვს ალბათ თვით ლექსსაც საშვილიშვილოდ გაჭრის პოეტური ძალა.

დაეცეს, იქნებ, სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
დააკედეს აზრი საპოვნის პოვნას,
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედვას ფეხი;
მხოლოდ შენ, უჭკობს,
შენ, ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს
შენს უკვდავ სხეულს?

ღაგროსი კალანდაძე
ხმათა პოეზია



„ხმა თეთრ სენაკში“, „ხმა ჯვარის მონასტრის ბინდში“ — აღსარებაა აყვანილი უღრმესი სულიერი ტანჯვის დიდებულ პოეტურ სახიერებამდე. სიყვარული აგვამალდებსო ეს ხომ რუსთველმა განუუმეორებელი პოეტური ძალით განასახა თავის უკვდავ პოემაში. სიყვარული იქ ხომ უდიდესი ადამიანური ძალაა, თავისი ბუნებით მოწოდებული იმისათვის, რომ შეაკავშიროს ადამიანები, გამოიხსნას მშვენიერება, აღდგინოს სიმართლე, შემუსროს ბოროტება. და უკვე ბუნებრივია, რომ აქ, ამ პირად აღსარებაში სიყვარული ჰკრავს და აერთიანებს რუსთველის მაღალ სულიერ მისწრაფებათა დიდ წრეს: ადამიანი, სამშობლო, სიყვარული. იქნებ, სწორედ ამ სამების ერთიანობამაც ცხად-ჰყო მისთვის ყველა სხვა სამების არარსებობა. არსებითად ყველა ზეციერს, ყველა ღმერთს ეტოქება ძალა იმ მიწიერი, ადამიანური სიყვარულისა, რომელიც გაცხადებულია ამ „ხმებში“. გვჯერა, რომ სწორედ ასე, სწორედ ასეთი ტიტანური თავგამეტებით შეიძლებოდა ყვარებოდა შოთას თამარი:

თუ ცოცხალ ვიყავ,
 თუ რამ ძალი
 მწამდა მოწყალის,
 თუ მწამდა ღვინის,
 მწამდა ცრემლი
 ნიაღვარული, —
 მე სიყვარულით,
 სიყვარულით
 ვიყავ ცოცხალი,
 ჩემს სუნთქვას ერქვა
 სიყვარული,
 გულს—სიყვარული.

პირადი აღსარება შესანიშნავ პოეტურ განზოგადობამდე აღის. მშვენიერებისა და ჭეშმარიტების სათავეს რუსთველი ღმერთში კი არ ხედავს, არამედ დიდ ადამიანურ სიყვარულში.

ჭეშმარიტების
 დასაფრენი,
 დასაბუღარი, —
 ჩემთვის სულ იყო
 სიყვარული,
 სულ სიყვარული.

ამ ყოველისმომცველ მიწიერ სიყვარულში, რომელიც მხოლოდ ადამიანთა

საკუთრებაა, საღდა რჩება ღმერთისათვის?

ნურც ერევა ის კაცთა გულის საქმეებში! მას — უფლებათა უფალს — შეუძლია მხოლოდ ჩააქროს სიყვარულის ნიჭი და უგულოდ დატოვოს კაცი.

ო, უგულობავ,
 უღმერთობა
 შენთან რა არი!

ბოლოს, შთავგონებული „უცნობი მინაწერი პალესტინის ქართულ პერგამენტზე“ — განსხვავებული „ხმათაგან“ თავისი მშვიდი ეპიკურ-სურათოვანი აღწავლით. თუ „ხმებში“ — მათი ღირსეულ-აღსარებითი ხასიათის შესატყვისად — მეტია არა ხილვადი, არამედ მძაფრი სულიერი მღელვარების სახეები. თუ მათ უღერაში ტიტანის სულის მოძრაობას ვეზიარებით, „უცნობ მინაწერში“ თვალნათლივ ვხედავთ ამ ტიტანის ხორციელ სახეს, ვხედავთ მის ღრმად დათოვლილ ღმრის ფაფარს, თეთრ საბურველად პირზე რომ ბურავს, ვხედავთ მის ოდნავ სველ მილულულ თვალებს, მის ღონიერ დაწვს, ჩამავალი მზის მკრთალი ნათელი რომ აფენია ...და, რაც მთავარია, ვხედავთ მძაფრი დრამატიზმით აღსავსე დიდებულ სურათს, თუ როგორ გადის წუთისოფლიდან „კვლავად ზვიადი, კვლავად უცვლელი“ ბრძენი პოეტი — დიდი მემბოზნე განუყოფელ უფლებათა მპყრობელი ძალის წინააღმდეგ.

მცირე პირადული გადახვევა:

გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ პირადად მე ამ ლექსში აღდგენილი პორტრეტი რუსთველისა გაცილებით უფრო მეტად მაჯერებს და მადღევებს, ვიდრე ის, ვილაც მომხატველს რომ მიუხატავს ჯვარის მონასტრის სვეტზე იერუსალიმში. ვერ იქნა და ვერა, ვერ შევეუთანხმე იმ ჩამქრალი მოხუცის პორტრეტი ჩემს წარმოდგენას შოთა რუსთველზე.

ირაკლი აბაშიძემ ლექსების ამ ციკლით ახალი ფურცელი გადაშალა არამარტო თავის პოეზიაში, არამედ მთელ თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

შაღვა კარიანი

კაპუკობის მომღერალი

ლადო ასათიანის „ჩჩულის“ გამოცემის გამო

მიუხედავად იმისა, რომ სრული ოც-დაშვიდი წლისა არც კი იყო ლადო ასათიანი, როდესაც შეწყდა მისი შესანიშნავი პოეტური სიმღერები, მაინც მან მცირე დროში ბევრის თქმა მოასწრო, მაინც საკმაო ღირსეული ნაწარმოებები დაგვიტოვა. მისი ლექსები მკითხველის გულს ეხებიან ღირსებით, ინტექტუალური სიღრმით, სიცოცხლის სიყვარულით და მხატვრული სრულყოფით.

აღიარებულია, რომ ლექსის ღირსება და მნიშვნელობა ყოველთვის განისაზღვრება იმით, თუ რამდენად გამოხატავს პოეტი მასში ხალხის სულისკვეთებას, ამჟღავნებს თავის ინდივიდუალობას, თავის ოცნებასა და მისწრაფებებს. ნამდვილი პოეტი იმით არის დიდი, რომ პირადს, კერძოს აქცევს საერთოდ, საზოგადოებრივად. ერთი სიტყვით, სამყაროს ახლებური ხედვა არის აუცილებელი თვისება ყოველი ჭეშმარიტი პოეტისა. ლადო ასათიანის შემოქმედებისათვის ნიშანდობლივია შეუწელებელი ძიება, დამოუკიდებელი ინტონაცია და გრძნობათა უშუალობა.

ლადო ასათიანის პირველივე ლექსებმა მიიქციეს პოეზიის მოყვარულთა ყურადღება, ჰპოვეს აღიარება მკითხველ საზოგადოებაში. ეს იმიტომ, რომ ამ ლექსებში მან გამოამჟღავნა თავისი ორიგინალური ხმა, ამასთანავე ნაწარმოებიდან ნაწარმოებამდე სრულყოფად

იგი თავის შემოქმედებას. ენერჯია, პარმონია, რიტმის ბუნებრივობა, თავისუფალი მოძრაობა სახისა ნათელყოფდნენ ახალგაზრდა პოეტის დიდ ნიჭიერებას და თავისებურებას.

პოეტი სიმონ ჩიქოვანი დიდი მოწიწებით და სიყვარულით იგონებს ლადო ასათიანის გამოჩენას ქართულ პოეზიაში: „ოცდაათიანი წლების მიწურულს თითქოს მოულოდნელად გაიღვია მწერალთა სასახლეში ლადო ასათიანმა და გამოჩენისთანავე მიიპყრო ჩვენი ყურადღება, თავისი უტყუარი ნიჭის ძალა მაშინვე გვაგრძნობინა და ჭლებით ანთებული სახე მწერალთა ოჯახში შემოანათა. ყოველთვის შთაგონებით გაბრწყინებული და მუდამ პოეტურ სიმღერას მოწადინებული მოგვევლინა იგი და ახალგაზრდული სიფიცხე შეიტანა ქართულ საბჭოთა პოეზიაში. მგალობელივით ყელადერებული და მხრებში ოდნავ მოხრილი შემოდიოდა იგი მწერალთა სასახლეში. ხელების მოწყვეტილ მოძრაობას გაბზარულ პოეტურ ხმას აყოლებდა და პოეზიის შეუწელებელი ცეცხლით იწვოდა...“ (ს. ჩიქოვანი — „ჩჩულის წერილები“, გვ. 475). ლადო ასათიანის გრძნობათა და აზრთა წრე თანდათან ფართოვდებოდა ახალ-ახალი შთაბეჭდილებებით, მდიდარი შინაგანი გამოცდილებით. მისი ღირსების გმირია ცოცხალი ადამიანი მდიდარი სულიერი სამყაროთი, რომელიც მთელი

უმუშალობით გრძნობს სილამაზეს, ბუნებას, ადამიანს. იგი ჩასწვდა ადამიანის სულს, მის ზრახვებს. მის ლექსებში გამოთქმულია თავისებური აღსარება გმირული თაობისა.

ლადო ასათიანი დაიბადა ქუთაისში 1917 წლის 14 იანვარს, მასწავლებლის მეჩი ასათიანის ოჯახში. მან წარჩინებით დაამთავრა ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. შემდეგ სწავლობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. მაგრამ მალე გადავიდა ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1938 წელს. ამავე ხანებში იგი საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში.

პირველად ლადო ასათიანის ლექსები გამოქვეყნდა 1936 წელს, ქუთაისში, ადგილობრივ გაზეთში. პოეტის მეგობარი იგონებს: „ლადო დიდხანს ფიქრობდა არჩეულ თემაზე. ლექსს ერთბაშად წერდა, მაგრამ ამუშავებდა: შეავსებდა, შეასწორებდა, მეგობრებს წაუკითხავდა, რამდენჯერმე გადაათეთრებდა“ (მ. ალავიძე, „ლადო ასათიანი“, უსურ. „რიონი“, 1961 წ. № 4). ეს იყო ჭეშმარიტი პოეტის შემოქმედებითი მუშაობისა და ძიების გზა.

პოეტის სიცოცხლეში ცალკე წიგნებად დაიბეჭდა რამდენიმე მცირე კრებული. მისი ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა 1940 წელს.

ლადო ასათიანი უწყვეტ მოძრაობაში, აღმავლობაში, ზრდაში იმყოფებოდა, მაგრამ სიკვდილმა მას კალამი მაშინ გააგდებინა ხელიდან, როცა იგი ახალი შემოქმედებითი ძიების გზაზე იდგა. იგი გარდაიცვალა თბილისში 1943 წლის 23 ივნისს. ამიტომ ბუნებრივია, რომ მისი ლექსების კითხვისას არ შეიძლება დავივიწყოთ თვითონ ავტორის ბედი, რაც კიდევ უფრო ამაღლებს ამ ნაწარმოებთა ღირსებასა და კეთილშობილებას. კიდევ რამდენი კარგის გაკეთება შეეძლო მას ქართული პოეზიისათვის!..

ლადო ასათიანი ბევრს წერდა პოეზიისა და პოეტის დანიშნულებაზე. ამ საქ-

მეში მას ჩვენი კლასიკოსების მოგონებაც ეხმარებოდა. მისთვის ცნაობა იყო, რომ შემოქმედებითი მუშაობა რთული პროცესია, რომელიც მოითხოვს პოეტის მთელ სიცოცხლეს, მის გულსა და სულს:

იხევენს ხალხი, პოეტი მარტო
ფიქრობს და იწვის ლექსის მშენებით.
და ვამბობ: ქვეყნად პოეტის გარდა
ყველას ჰქონია დღე დასვენების!

პოეტი ლექსის სტრიქონებს ებრძვის
უხილავს, ფარულს, ჯერ დაუსტამბავს,
მერე წავა და შრომადღეს ეტყვის
დასვენების და გართობის ამბავს.

გენიალურ ქართველ პოეტს ვაჟა-ფშაველას ლადო ასათიანი ალაპარაკებს პოეზიის ყოვლისშემძლეობაზე. „გველის მკამელის“ ავტორი იგონებს ბაბუას, რომელმაც გამააწრთო იგი, შთააგონა მას ბუნების საიდუმლოება, სიყვარული სამშობლოსადმი და რომ ლექსი არის „კაცის და ქვეყნის გულის ტკივილი“.

ვერც დედის ხელმა, ვერც სატრფოს
გშხმც

ვერ გამიყუჩა ჰაბუჯს იარა,
და ჩემი გულის გმირული კენესა
მარტოდენ ლექსმა გაიზიარა,

მეც მიტომ ვედავ არწიველ ყვილს,
როცა გულს ვაკრავს ცივი ნიაფი,
რომ ლექსი შევლის ყოველგვარ

ტკივილს
და ლექსი თვითონ არის ტკივილი.

ერთ-ერთ მოსაგონარში ლადო ასათიანი ილია ჭავჭავაძეს უწოდებს „ოქროსხელიან“ პოეტს, „მუშების ღმერთს“, „შუბლმალალ ოლიმპიელს“, რომელმაც „მოსტაცა დიდი სინათლე დღეს და პრომეთეს ცეცხლი მისცა უკუნეთს“. ი. ჭავჭავაძე ბევრჯერ აცრემლებულა სამშობლოს ბედით გულდათუთქული. დიდი ქართველი პოეტი ოცნებობდა მშობელი ქვეყნის აყვავებაზე. სიბრძნისა და სილამაზის მოყვარული შემოქმედი იქცა ხალხის ანბანად და გაიფანტა ერში. ახალგაზრდა პოეტი ასკვნის:

მეც ხომ ამ ლექსის ეშმა მიშველა
და პოეზიის ცეცხლში გამბანა.

დიად, ხალხის მოჭირნახულე პოეტის
შემოქმედების ძალა განუსაზღვრელია
ის დროშას წარმოადგენს ქვეყნის სამ-
სახურის შეგნებით გამსჭვალული მოღ-
ვაწისათვის, სულ ერთია იგი ახალგაზრ-
დაა, თუ ჰარმაგი.

ლექსი ლადო ასათიანს წარმოუდგენია
ადამიანის გარდამქმნელ ძალად:

როგორ გაგანდე, ჭირფასო, ჯავრი
და კაცი ლექსად როგორ ვიქციო...

ლექსად ქცეული ადამიანი ლადო ასა-
თიანს დახასიათებული ჰყავს, როგორც
თავისი ქვეყნისა და ხალხის მოსიყვარ-
ულე:

მე იგი მიყვარს, ვისაც უყვარდა
თავისი ქვეყნის ხალხი და მიწა,
ვისაც სახელი შორს გაუფარდა,
ვინც კაცი იყო და ლექსად იქცა.

ასე ორიგინალურად იყო გააზრებუ-
ლი ლადო ასათიანის შემოქმედებაში
პოეტის მნიშვნელობა.

ნიკოლოზ ბარათაშვილს ლადო ასა-
თიანი მიმართავს, როგორც „ლექსის
უნარის“ შთამაგონებელს, როგორც გა-
ნუმეორებელი აზრისა და სიტყვის ოს-
ტატს, რომლის ყოველი თქმა ხმალივით
ბასრია და საუკუნეებს გააღვიძებს, რო-
გორც პოეზიის უკვდავი ჰანგები:

შენი სტრიქონი, სააკაძის ხმალივით ბასრი,
წელთა ქროლვაში არასოდეს დაიყენება,
საუკუნეებს გააღვიძებს მარადი აზრი,
გადაქცეული პოეზიის უკვდავ ჰანგებად ...

არც ის არის შემთხვევითი, რომ ლა-
დო ასათიანის პოეზიაში გამოჩნდა შე-
სანიშნავი მხატვრის ნიკო ფიროსმანის
თავისებური სახე. ნიკო ფიროსმანი მას
ესახებოდა, როგორც ჰემმარტი შემოქ-
მედი, რომელიც მიუხედავად თავისი
არეულ-დარეული ცხოვრებისა, მატარე-
ბელი იყო ხელოვანის მძლავრი ცეცხ-
ლისა. შემქმნელი ფრიად ორიგინალური
ფერებისა.

ლადო ასათიანს აღეღებდა ადამი-
ანისა და ქვეყნის ბედი. იგი აღიღებდა
ადამიანის, კეთილშობილებას, მის გმი-

რობასა და ვაჟკაცობას, მის გამარჯვე-
ბას ბნელ ძალებზე. მას მთელი სისრულ-
ლით შეგნებული ჰქონდა, რომ ჰემმარტი
ტი პოეტი ყოველთვის ადამიანის მოსიყ-
ვარულე იყო:

ადამიანი, ბრძენი და გმირი,
მარად ანთებდა მგოსნებს — პოეტებს,
ადამიანზე წერდა შექსპირი,
ადამიანზე წერდა გოეთე.
ადამიანი — ეს შხის ამოსვლის
ყამს სიამაყო სახე ეღერა,
ადამიანი — მილონ მგოსნის
მილიონი ხმა და სიმღერა!

ამიტომ ადამიანს მიუძღვნა ლადო
ასათიანმა მთელი თავისი აზრები, განც-
დები. მისთვის განუყოფელია ადამიანი
და სამშობლო. შეიძლება ითქვას, რომ
მისი ლექსების უმეტესობა მიძღვნილია
სამშობლოსადმი, მისი ისტორიული წარ-
სულისადმი და აწმყოსადმი. აქ პოეტი
თავის სტიქიაშია. ამ ლექსებში გამოჩნ-
და უფრო მეტი სისრულით მისი შესა-
ნიშნავი ნიჭის ძალა. აქ არ გვაქვს შტამ-
პი, რომელიც ცვლის ოსტატობას, მყვი-
რალა სიტყვები, რომლებიც ფარავს
ადამიანის შინაგან განცდებს. ამ ლექ-
სებში მოსჩქედს განსაკვიფრებელი
გულწრფელობა, ბუნებრივობა, ყველა-
ფერი ვატარებულა პოეტის ცოცხალ
სულში, სადაც ბევრია რომანტიკა.

ლადო ასათიანს შეიღის გრძნობით
უყვარდა გმირული წარსული თავისი
ქვეყნისა, მშობლიური ისტორია და ის
ადამიანები, რომლებიც გამოხატავდნენ
განუსაზღვრელ სიყვარულს სამშობლო-
სადმი. იგი ყველაზე ეფექტურ პოეტურ
სახეებს პოულობდა სამშობლოს სადი-
დებლად, მისდამი დიდი სიყვარულის
გამოსამქვანებლად. „ჩემი სამშობლო“
ერთ-ერთი უძლიერესი ლექსია ახალ
ქართულ პოეზიაში პატრიოტულ თემაზე
დაწერილი, რა შთამბეჭდავად ეღერს ამ
ლექსის ყველა სტრიქონი, სადაც შესა-
ნიშნავ შედარებებში წარმოდგენილია
სამშობლოს სიდიადე:

შალვა რადიანი
ჭაბუკობის მომღერალი

ტკბილია, როგორც დედის რძით ბაღლი
ტუჩმუშუშრობელი,
ტკბილია, როგორც ცის ნამა, როგორც
ალერსი მშობლის,
ტკბილია, როგორც ველზე ჯიჯილის
მწვანე ფაფარი,
ტკბილია, როგორც ძილის პირს ძველი
ქართული ზღაპარი.

ჩემი სამშობლო ქვეყანა რა ლამაზია,
რა კარგი,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი,
ნაირფერებით ნაქარგი,
ტკბილია, როგორც რუსთველი, ტკბილია,
როგორც აკაკი,
ხალხი შრომაში გართული, ამღვრებული
ფანდური,
იადონების გალობა და ივენანა ქართული...

მშვენიერია ის ლექსები, რომლებშიც
ლადო ასათიანი ძლიერი მხატვრის ფუნ-
ჯით გვიხატავს სამშობლოს პანორამას,
სადაც ბუნებასთან ერთად პირველ
პლანზე ვხედავთ ადამიანებს. მის ლექ-
სებში გამოჩნდებიან გმირი თამარ ვაშ-
ლოვანელი, მიაი წყნეთელი, თინა წაე-
კისელი, ცხრა ძმა ხერხეულიძე, სამასი
არაგველი და საქართველოს სხვა თავ-
დადებული შვილები:

მათი ხმალი ცეცხლს აფრქვევდა,
მტერი თრთოდა ვერანი,
საქართველოს ცისფერს ჰგავდა ფერი
მათი მერანის,
მამულისთვის დაიღუპნენ ვაჟაკობის
მსახველნი,
საქართველო იყო მათი უწმინდესი
სახელი.

პატრიოტულ თემაზე დაწერილი ყვე-
ლა ლექსი დაკავშირებულია ერთმანეთ-
თან შინაარსით და სტილით, კეთილშო-
ბილური მისწრაფებით და ამბავებულ
განცდებით.

ამ ლექსებში არ გვაქვს გამოთქმული
თვითმიზნური გაიდევლება წარსულისა.
პოეტს წარსული ესაჭიროება იმისათვის,
რომ თავის თანამედროვე ადამიანებში,
ახალგაზრდებში აღძრას სიყვარული
მშობელი ქვეყნისადმი.

განსაკუთრებით პოეტურად იშლება
ლადო ასათიანის ლირიკული ნიჭი ლექ-
სებში ბუნებაზე. მან შეისუნთქა მშობ-
ლიური მთების, ტყეების და მინდვრე-
ბის სურნელება, მშობლიურ ბუნებას-

თან უშუალო ურთიერთობის სრული
სიხარული. მას არ აქვს უბრალო გვიხა-
ეური ჩანახატები, ან აბსტრაქტული
ჭკრეტა, არამედ მგზნებარე ფიქრი ადა-
მიანზე, რომელსაც შეუძლია იგრძნოს
და გაიგოს სამყაროს მშვენიერება.

ლადო ასათიანის ლექსები ერთგვა-
რად ავტობიოგრაფულ ხასიათსაც ატა-
რებენ. მათში პოეტის ცხოვრება ასა-
ხული, ამიტომ ისინი მისი ბიოგრაფიის
ნაწილია.

ლექსებში „უცნობი პოეტის რვეუ-
ლიდან“, „წარწერა ერთი სამარის ქვი-
სა“, „როგორ არ მინდა“, „აბასთუმანი“,
„ვიდრე სიკვდილი“, „ამ ხეივანში“ და
სხვ. იგი გამოხატავს შეუთრებლობას
თავისი ხვედრისადმი, ებრძვის მძიმე
ავადმყოფობას და მოახლოებულ სიკვ-
დილს. საბოლოოდ ლადო ასათიანის შე-
მოქმედებაში ვაჟაკობისა და მოუდ-
რეკობის მოტივები სძლევენ სევდის მო-
ტივებს.

პოეტი იცავს იმ აზრს, რომ სიცოცხ-
ლე უწყვეტია, შეიძლება ბრძოლაში და-
იღუპოს ადამიანი, მაგრამ მაშინაც კი
არ ტოვებს იგი სიცოცხლეს.

რადგან სიცოცხლე ასე ნაფარდობს,
სიკვდილის ყველა კარი დარაზთ
და იმ ბედნიერ ღღეს გაუმარჯოს,
როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!

ეს სიტყვები საუცხოვოდ გამოხატა-
ვენ სიცოცხლის აპოლოგიას, მარადი
უკვდავების აზრს. სწორედ ამიტომ ლა-
დო ასათიანის პოეზიის მიმზიდველი
თვისებაა სიყვარული სიცოცხლისადმი,
ახალგაზრდული უქცნობი ოპტიმიზმი.

ლადო ასათიანის ლირიკისათვის არ
იყო უცხო სატრფიალო მოტივი. თავისი
გატაცების სავანს იგი მიმართავდა
შეუფოთებული სიტყვებით, მთელი თავისი
გატაცებით და გრძნობებით:

მე შენთვის მინდა ეს საოცრება,
ეს სიჭაბუკე და სიყვარული.
ვიმღერებ მუდამ მე შენი ეშხით
და სიყვარულით განუკურნელი.

პოეტს თავისი სიყვარული წარმოდ-
გენილი აქვს ამამბავებულ განცდად,
რომელშიც ბევრია სინაზე, კდემამოსი-
ლება.

დავლევთ სიყვარულს, როგორც
ტკბილ ღვინოს,
გეტყვი, რაც დამაქვს გულში ფართლი,
მერე წავიდეთ, დავგვირგვინოთ
ეს სიჰაბუე და სიყვარული.

ლადო ასათიანის ლექსებში რომანტი-
ული იერით არის გაშუქებული საქართ-
ველოს ის კუთხე და მისი ბუნება, სა-
დაც მას გაუტარებია თავისი ბავშვობა.
„ლეჩხუმური შემოდგომის სურათები“,
„წისქვილი“, „ბარდნაღა“, „ცაგერის
ბაზრობა“, „ნამკაშურის წისქვილები“—
ყურადღებას იქცევენ არა მხოლოდ პო-
ეტურობით, არამედ როგორც ყოფისა
და ბუნების მიმზიდველი სახეები, ბავ-
შვობის დაუფიწყარი მოგონებები.

ყოველი ნიჰური პოეტის მნიშვნელო-
ვან ნაწარმოებში მკითხველმა უნდა ნა-
ხოს თავისებური, ინდივიდუალური.
პოეზია ვერ განვითარდება ძიების გა-
რეშე, მაგრამ მისი განვითარების გზა
განისაზღვრება უპირველეს ყოვლისა
იმით, თუ რა ახალი ნახა მხატვარმა
ცხოვრებაში, რამდენად ღრმად გახსნა
სასიცოცხლო პროცესები და ადამიანთა
ახსიათები. პოეტისათვის მხოლოდ ამ
გზაზეა შესაძლებელი ახლის აღმოჩენა.
პოეტურ სარბიელზე ლადო ასათიანი,
როგორც მართებულად მიუთითებენ,
„კარგად გავარჯიშებული კალმით გამო-
ვიდა“. ამიტომ პირველსავე ლექსებში
გამომქლავნა მან საკმაო ოსტატობა,
ფრაზის ორიგინალურად გამართვის ხე-
ლოვნება. მის ფრაზას ახსიათებს ენერ-
გია, სიმკვრივე, შინაგანი ბუნებრივობა,
პლასტიკა, სინათლე. ამავე დროს არ იქ-
ნება მართებული თუ არ აღვნიშნეთ,
რომ ახალგაზრდა პოეტი სწავლობდა
სხვებისგან, მაგრამ ისე, რომ არ კარ-
გავდა თავის დამოუკიდებელ სახეს. თა-
ვის შემოქმედებით ძიებებში იგი ემყა-
რებოდა წინამორბედთა გამოცდილებას.
მან ღრმად შეისუთნა მდიდარი ტრადი-
ციები, რაც შემდეგ განაახლა სამყა-
როს განუმეორებელი და თავისებური
ხილვით.

ლადო ასათიანი ლექსში არ მიხედვით/
დეტალების სიმრავლეს, იგი ყურადღებ-
ბას აქცევდა ერთ ან ორ დამახასიათებელ
დეტალს, რომლის მიხედვითაც შეიძლე-
ბა მთელი სურათის აღდგენა. დეტალებ-
ის შერჩევაში ლადო ასათიანი ხელმძღ-
ვანელობდა ზომიერების გრძნობით.
მხატვრული დეტალი მის ლექსებში გა-
მოდის არა როგორც ნატურალისტური
დაწვრილმანება, არამედ როგორც შინა-
არსის, მთელის ორგანული ნაწილი.

მის ლექსებს ახსიათებს ზუსტი და
გამომსახველობითი სახეები; ლაკონი-
ზმი არის მისი სტილის მნიშვნელო-
ვანი კომპონენტი. იგი მცირე ლირიული
ფორმების კომპოზიციის ოსტატია. მაგ-
რამ ზოგჯერ მას ლირიკაში გადააქვს
ეპიური პოეტის ჩვევები, თვისებები. მას
კარგად ესმოდა პოეტური სიტყვის ძა-
ლა. მისი ლექსების ძარღვიანი გამოთქ-
მები ემყარებოდა მდიდარ ხალხურ ენას,
მის ბგერით სისტემას. ამ ლექსებში
ვერ შეხვდებით ხელოვნურ, ნაძალადევ
ენობრივ ფორმებს, ყოველი სიტყვა,
ყოველი გამოთქმა გაშლილია ბუნებრი-
ვი სასაუბრო ფორმების მიხედვით. ამი-
ტომ ეს ლექსები უშუალოდ, პიდაპირ
მიდის მკითხველის გულთან.

ლადო ასათიანის პოეტური მემკვიდ-
რეობა არც თუ ისე დიდია. რაოდენო-
ბით და მოცულობით, მაგრამ ფრიად
ღირებულება თავისი ესთეტიკურ-მხატვ-
რული და ისტორიულ-ლიტერატურუ-
ლი მნიშვნელობით.

ოცი წლის წინათ უღროოდ გარდაიც-
ვალა ლადო ასათიანი. მისმა ლექსებმა
ქართველი საზოგადოების დიდი სიყვა-
რული დაიმსახურა. მისი ნაწარმოების
ყოველ ახალ გამოცემას მკითხველები
განსაკუთრებული ყურადღებით და ინ-
ტერესით ხვდებიან.

შალვა რადიანი
ჭაბუკობის მომღერალი



გიორგი ხუხაშვილი

სიუჟეტები, კონფლიქტები, აღმნიშვნები

როცა ედიშერ ყიფიანის მოთხრობების კრებულს „მწვანე ფარდა“-ს წაიკითხავ, თვალნათლივ დაინახავ ავტორის პრინციპებს, ხედვის სპეციფიურობას, ტრადიციულობასა და ორიგინალობას, მისთვის დამახასიათებელი კარგი თვისებებით თუ ნაკლოვანებებით.

ედიშერ ყიფიანის მოთხრობებზე მსჯელობისას ყურადღებას თავიდანვე მისი მოთხრობების სიუჟეტურ აღნაგობაზე ვამახვილებთ, რადგან მისი შემოქმედების ბევრი საინტერესო თუ სადაო თვისება სწორედ აქ იჩენს თავს.

ზოგიერთ ამ მოთხრობებში დაცულია პრინციპი — „ნურაფერს გამოიგონებ“ („ეკლიანი ვარდები“, „ჰობოი“), ზოგჯერ პირიქით, მწერალი გამოგონილს ამჯობინებს („მწვანე ფარდა“, „ხელეები“, „მუსიკალური მომენტი“). ხშირად სიუჟეტს თვით ცხოვრება აწვდის მწერალს. ამის კარგი მაგალითია მოთხრობა „ეკლიანი ვარდები“. დავაჟკაცებული ახალგაზრდები წლების შემდეგ თავის საკლასო ოთახში საყვარელ მასწავლებელთან იკრიბებიან, მერხებთან უხერხულად სხედან და შორეულ ბავშვობას იხსენებენ. აქ არსებული „დროის ფაქტორი“ აღამიანთა ცხოვრებას პოეტურ ელფერს ანიჭებს, უფრო მეტიც, ერთგვარ ფილოსოფიურ ასპექტსაც ქმნის. ედიშერ ყიფიანს დროის ცვალებადობაში შემჩნეული პოეზია, დღევანდელით გახარება და წარსულის მოგონების სევდა იზიდავს. აქ სიუჟეტის დრამატურგია ცხოვრების რთულ მოვლენათა შორის

გარკვეული პოეტური კანონზომიერების ამოცნობაზე, დაკვირვებასა და ნაპოვნის მხატვრულ ფიქსირებაზეა დამყარებული. აქ ყველა პერსონაჟი დამაჯერებლად და დახატული: ჭალარა, ვალმოხდილი მასწავლებელიც, დავაჟკაცებული ბავშვებიც და ის ფრონტზე დაღუპული ბიჭი, რომლის სევდიანი მეუღლეც ამ უცნაურ შუკრებაზე მოვიდა. შესაძლოა, აქ მხიარული და თალხი ფერები ცოტა არ იყოს ტენდენციურად იყოს დანაწილებული, შეიძლება იმ ერთი დაღუპული ბიჭის ცხოვრების გარდა, არც მისი თანაკლასელების ცხოვრებაში იყოს ყველაფერი ისე ჰარმონიული, როგორც ეს ავტორს ჰგონია და ცხოვრების „ეკლიანი ვარდების თაიფულად“ წარმოდგენაც ზედმეტად დამტკბარი სიმბოლიკის შთაბეჭდილებას ქმნიდეს, მაგრამ აქ მთავარი მაინც „არაჩვეულებრივი“ სიუჟეტია, რომლის საფუძველი ჩვეულებრივი ყოფა არის. მოძებნილია ავანსცენა, რომელზედაც თვალნათლივ ჩანან ცოცხალი აღამიანები, ჩვენი თანამედროვეები. ჩვენ გვჯერა მწერლისა, რომელიც თავის გმირებს, დავაჟკაცებულებს, ცხოვრებაში გამოცდილებსა და მომწიფებულებს შეხვდა და ბავშვობის დროინდელ ატმოსფეროში გაახსენა მათ შორეული წარსული. — აქ არის პოეზია, არის შინაგანი სიმართლე.

კიდევ უფრო ნიშანდობლივია „ჰობოის“ სიუჟეტი. თითქოს ყველასაგან დავიწყებულმა, სახლიდან ოპერის ორკეს-

ტრამდე ერთ და იმავე გზას შეჩვეულმა მუსიკოსმა ქუჩაში ერთხელ შემთხვევით გაიგონა, რომ მის გარეშე ოპერა „დაისს“ ვერ დაიწყებენ. ქუჩის ხმაურში ამოტივტივებულ და მუსიკოსის მიერ ამ შემთხვევით გაგონილ ფრაზას „შემთხვევის“ მაინც ვერ დაარქმევ. ამ ფრაზით, რომელსაც წინ ცხოვრებაში თითქოს მივიწყებული კაცის, ცოტა არ იყოს, განაწყენებული ფიქრები უძღვის, იწყება ხასიათის გამოკვეთა. ადამიანი შეიცვალა, უჩვეულო სიამაყე იგრძნო. იგი გამოეყო ქუჩის ერთსახოვანებას და ჩვენც გავყევით მას ოპერის ორკესტრამდე. გავიზიარეთ მისი უეცარი სიხარული და ხანდაზმულ მუსიკოსს იმ სადამოს ჰობოიზე ყალბად დაკვრაც ვაპატიეთ. ავტორი ამას დიდი სიყვარულით და გულწრფელობით გვიხატავს.

გი დე მოპასანს აქვს ერთი მოთხრობა უბედურ ჩინოვნიკზე, რომელმაც იცოდა რამდენი ნაბიჯი იყო მისი ოთახიდან სამსახურამდე. ერთხელ გზიდან გადაუხვია, სამიკიტნოში შევიდა, ორიოდე ჭიკა გადაჰკრა და პირველად დაფიქრდა, თავის უაზრო ცხოვრებაზე. დაფიქრდა და... იქვე ხეზე თავი ჩამოიხრჩო. „ჰობოის“ სიუჟეტის სქემა თითქოს ანალოგიურია, მაგრამ ნაწარმოების ფინალს და ხასიათს სრულიად სხვა სოციალური ქლერადობა აქვს. ამიტომ ამ მოთხრობის გმირი იმედია, ნათელი და ამაღლებულია. მოთხრობის სიუჟეტის მშვიდი ტონი, ერთი შეხედვით, ძალზე ნაცნობი გარემო უცებ იცვლება, მოსაწყენ თხრობაში უცებ მუსიკა იჭრება. ჩვეულებრივს არაჩვეულებრივი ელფერი ენიჭება და ადამიანებსაც ახალი, მოჭლოდნელი კუთხით ვხედავთ. კლასიკური ნოველის სიუჟეტურ სტრუქტურისათვის დამახასიათებელი „მოულოდნელობის ეფექტი“ აქ მენტალურად დატულია.

ახლა „მუსიკალური მომენტის“, „მწვანე ფარდის“ ან „ხელების“ სიუჟეტებს დავაკვირდეთ. ავტორის გამონაგონი ყოველთვის დამაჯერებელი უნდა იყოს. „მწვანე ფარდაში“ ედიშერ ყოფიანი ამას აღწევს. მაგნიტოფონის ფირს შემ-

თხვევით წაჭრილი, ცნობილი მსახიობის მიერ წარმოთქმული ერთი სიტყვა ქალაქის მონოლოგიდან — „ყოფნა“ მას ისეთ წერტილად მიაჩნია, რომლის გარშემო ფსიქოლოგიურ ძიებათა უსასრულო სპირალები შემოიხაზება. აქ შემთხვევითი ფაქტორი გაუგებრობათა ან უხერხულობათა სიუჟეტური კომპლექსისათვის არის მოგონილი. თვით ცნობილი მსახიობის ფსიქიკა კი სულ სხვა საშუალებების გამოყენებით იხსნება.

სიუჟეტური გამოგონებანი კიდევ უფრო მკაფიოდ იჩენს თავს „მუსიკალურ მომენტში“. აქ არის შემთხვევითი მოვლენების ისეთი დამთხვევები, ხაზების ისეთი თავმოყრა, რომელიც გამოგონების ეფექტს აძლიერებს. მაგრამ არის ერთი ვითარება: ხელოვნებაში ხშირად არარეალური, პირობითი სიტუაციებით რეალობის მხატვრულ არსს ეწვდებით. „მუსიკალურ მომენტში“ ამგვარი პირობითობა, პირიქით, შეცვლილია მოვლენათა კავშირის ფსიქოლოგიური არსის ამოხსნის ცდით. ჯერ კონსტრუქტორი დავით ბაციკაძე გადარჩება მის მიერ გამოგონებული მუხრუჭების წყალობით (ეს მუხრუჭები უდგას მანქანა „ვოლგას“, რომელსაც ბაციკაძის მეგობარი კომპოზიტორი კაიშაური მართავს). გამომგონებელი ავარიის დროს „ჰკარგავს“ ახალი კონსტრუქციის სქემას თუ ფორმულას. რა ხდება მერე? სადამოთი, როცა ის თავის სახლში მუსიკას ისმენს, გონებაში კვლავ აღდგება „დაკარგული ფიქრი“. კაიშაურის მუსიკამ მოხუც კონსტრუქტორს მისთვის სანუკვარი აზრი თუ ფორმულა აპოვნინა. აქ უნებურად გაიფიქრებთ — მეტისმეტი ზომ არ არის?! გამოგონილ სიუჟეტურ დამთხვევებს აქაც აქვს გარკვეული პოეტური აზრი; ესაა ადამიანთა შორის იდუმალად არსებული კავშირი, განსხვავებული პროფესიების ურთიერთხედავლენა, მაგრამ, ვფიქრობთ, ამგვარ ჩანაფიქრს თუ ქვე-

გიორგი ხუბაშვილი
სიუჟეტები, კონფლიქტები, ადამიანები

ტექსტის გამოხატვას არ უნდა ჰქონდეს ფსიქოლოგიური დასაბუთების ასეთი ფორმა. მსგავსი ამბავი პოეზიის სფეროს უფრო განეკუთვნება. ედიშერ ყიფიანის თხრობის ტონი, სიუჟეტის ყოფაცხოვრებითი დეტალიზაცია ამ უჩვეულო დამთხვევებს შემთხვევით ელფერს ანიჭებს.

რამდენადმე განსხვავებულია ნოველა „ხელები“. აქაც სიუჟეტის აგების პრინციპი არის მქსოველი ქალის ულამაზო სახე და ლამაზი ხელების კონტრასტი. საკმაოდ უტაქტო ოპერატორმა ლამაზი მქსოველი ქალიშვილის ცივას სახე გადილო, ხოლო მოძრავი, მარდი, გამრჯე ხელები ულამაზო მელანოსი ამჯობინა. და აი, მელანო ხედავს დოკუმენტურ კინოკადრებს. თავისი ხელები უჩვეულოდ ლამაზი ეჩვენება და უბრალო მქსოველი ქალი ფარული სიამაყით ივსება. ამ შემთხვევამ ულამაზო ადამიანში მოულოდნელად გააღვიძა მთვლემარე ქალურობა და მიძინებული გრძნობები აუფორიაქა. აქაც ექვს ბადებს მქსოველი ქალის „პიუგოსებური სიმახინჯე“, რამაც ოპერატორს უარი ათქმევინა მელანოს სახის გადაღებაზე. მაგრამ თუ ამ საქციელს ოპერატორის უდიერობას მივაწერთ, ავტორს ნულარ შევედავებით. მით უმეტეს, რომ მას მელანო უყვარს და მისი ხელების სილამაზეს სხვა ქალიშვილის უსულგულო გარეგნულ მშვენიერებას ბევრად ამჯობინებს. ავტორმა ქალის ულამაზობის გამო სინანული გვაგრძნობინა, მაგრამ მერე თავისი გმირის ადამიანური ღირსებები ისეთი შუქით შემოსა, რომ იგი ბუნების ნაბოძებ მშვენიერებას გაუტოლა. აქაც არის დაპირისპირება — ლამაზი და ულამაზო. რა თქმა უნდა, ადამიანის ზნეობრივი თვისება ხშირად ავსებს, ფარავს კიდევ მის ფიზიკურ ნაკლოვანებებს, მაგრამ აქაც ზომიერებაა საჭირო. ალბათ სწორედ ამიტომ ავტორმა მელანოს სულიერ ცხოვრებაში მგლოდრამატული წუხილის ნაცვლად მშრომელი ქალის შინაგანი რწმენა, გაღვიძებული ქალობა და მსუბუქი იუმორით გამთბარი იმედიანობა შეიტანა.

ამით მელანოს სახემ კონკრეტულად შეიძინა, მიწიერი, ჩვეულებრივი ვახტა და მოთხრობაში ნაგულისხმევი კონტრასტი სილამაზესა და ულამაზობას შორის რამდენადმე გაანეიტრალა. მონტიორ ვასოს ფარულ სიყვარულს, უბრალო ქალურ ოცნებებსა და ღიმილით გაფიქრებულ ფრაზას — „ჰო, ვასო... შენ გაქრი ბარემ“, მელანოს სულიერ ცხოვრებაში ჩვეულებრივი ყოფის ინტიმი შეაქვს და ამბავს დამაჯერებელს ხდის.

ზოგჯერ მწერალს გაიტაცებს რაიმე საინტერესო ფილოსოფიური თუ ეთიკური ხასიათის აზრი. ასეთია, მაგალითად, მოთხრობა „მსჯავრი მთებისა“. გლასეოლოგი უეცარმა ავდარმა მთის ნაპარალში გამოამწყვდია, სიკვდილის პირისპირ დააყენა. შემთხვევით ნაპოვნმა ჯიხვის ნაკვალევმა იგი თითქოს სამშვიდობოს გაიყვანა, მაგრამ ადამიანის უმადურობამ თავი იჩინა — მან თავისი დამხსნელი ჯიხვი სასიკვდილოდ გაიმეტა. მთამ შური იძია კაცის ბოროტებაზე და დალუბა იგი. ამნაირი ამბავის საფუძველი მითების და ლეგენდების სამყაროში დევს, სრულიად სხვა გარემოს, ყოფის ზნეობრივ ნორმებს, ჩვევებსა და ტრადიციებს გულისხმობს. დღევანდელი ყოფის სუსტი აღწერის გამო ამ ამბავმა არაბუნებრივი სახე მიიღო. იქნებ ფსიქოლოგიური მასალა ზუსტიც იყოს, მაგრამ მან ფილოსოფიური აზრი და ადამიანის ჩვეულებრივი ვნებები ბუნებრივად ვერ გააერთიანა, ვერც სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილს მისცა ჭეშმარიტი ტრავედის სახე. სწორედ ამიტომ საინტერესო აზრი ცაში გამოკიდებული დარჩა და დამაჯერებლობა თუ მომხიბვლელობა დაჰკარგა. ედიშერ ყიფიანი ამგვარ ნაკლოვანებათა გადალახვას ცდილობს. ეს თვით მისი მოთხრობების შინაარსითაც გამოიხატება და საკუთარ თავთან პოლემიკის იერი აქვს. („ოქროსფერი ანაფორები“, „გოგონა, რომელსაც ზღვა არ უნახავს“). რედაქციაში მოდის ახალგაზრდა მწერალი („ოქროსფერი ანაფორები“), მოაქვს მოთხრობა, რედაქტორი გრძნობს გამო-

უცდელი მწერლის სიყალბისკენ მიდრეკილებას. იმართება ლიტერატურული დიალოგი, ნათელი ხდება მოთხრობის გმირის გადახვევა სინამდვილის ცოცხალი ფაქტებიდან და იოლ გამოგონებათა ცთუნების სავალალო შედეგი.

...„პირველ გვერდზე ადწერილი იყო დიდი მოტოკროსი, დაბატული იყო შეჯიბრების ადგილმდებარეობა, ოღროჩოღრო გზები, ხელოვნური წინააღმდეგობანი, მაყურებლები, მათი ნაადრევი დასკვნები, საერთო მღელვარება და დაძაბულობა, შემდეგ მოთხრობაში ავტორს შემოჰყავდა მთავარი გმირი და მისი სპორტული მეტოქე. თავიდანვე იგრძნობოდა, რომ ამ ორთაგან ერთერთს უნდა აეღო პირველი ადგილი. გამარჯვებულს ქვეყნის ნაკრებში შეიყვანდნენ და საზღვარგარეთ გაგზავნიდნენ საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად... ვაჟების მეტოქეობა კი გასცილებოდა სპორტის საზღვრებს, რადგან საქმეში ქალი ერია. იგი ახლა მაყურებლებს შორის იდგა ადელევებული და ხელში ყვავილების თაიგული ეჭირა.

ეს იყო გაცვეთილი სიუჟეტი“... („ოქროსფერი ანაფორები“, გვ. 11). თვითონ მოთხრობა ამნაირ „გაცვეთილი სიუჟეტის“, „ხელოვნური წინააღმდეგობების“, „თავიდანვე ყველაფერი ნათელიას“ საპირისპირო ესთეტიკურ პრინციპებზეა დაწერილი. ახლა ნუ გამოვუდგებით იმას, თუ რამდენად ბუნებრივად ჟღერს ამ ნაწარმოებში ხიროსიმასა და მონანიების გზაზე დამდგარი ამერიკელი პილოტის თემა, ან ამასთან დაკავშირებული ქვეტექსტი. ამ შემთხვევაში მთავარია ავტორის მისწრაფება მხატვრული სიმართლისა და სიღრმისაკენ.

მოთხრობაში „გოგონა, რომელსაც ზღვა არ უნახავს“ ედიშერ ყიფიანი კვლავ სიმართლისა და სიყალბის მხატვრულ პრინციპებს უბრუნდება. აქ იგი ობიექტულურ წარმოდგენებს მსუბუქ, უდარდელ ცხოვრებაზე უპირისპირებს თავის დაკვირვებებსა და დრამატულ განცდებს, აქაც მოთხრობის ცენტრში

ახალგაზრდა მწერალი დგას, რომლის სევდიან ფიქრებს ერთ უბედურ ქალიშვილზე, ზღვაზე მიმავალი ბედნიერების ქალის ოპტიმიზმი და ხალისიანი განწყობილება უპირისპირდება.

მხიარული, ბედნიერი მეუღლე მწერალს ეუბნება: „რად გინდა ფრონტი, რად გინდა ეგ ავადმყოფობა, შეახვედრე ისინი სამჯერ კი არა ასჯერ, ათასჯერ, გააბედნიერე, შეაუღლე“. მაგრამ ხომ იყო ომი, გაჭირვება, ავადმყოფობა და ხომ მოკვდა ლამაზი არსება ისე, რომ ზღვა ვერ ნახა. ცხოვრების მრავალფეროვნებაში დანახვის რთული პრინციპი აქ არსებობდა სწორია. სხვა საქმეა ამბავში მელოდრამატული, სენტიმენტალური ინტონაციების შემოჭრა. ედიშერ ყიფიანი ზოგჯერ ჭარბად იგრძნობიარება, რაც ყოველთვის არ ნიშნავს გრძნობათა სიღრმესა და სირთულეს. იქნებ, ამიტომაც იწვევს ტუბერკულოზით დაავადებული ქალიშვილი ძველი, სევდიანი რომანების ასოციაციას? მელოდრამატიზმს თავისი თვისებები აქვს და ნაწარმოებშიც იჭრება მოჭარბებული სევდიანობა, პათეტიკური წამოძახილები და მამაკაცის ცრემლები. გენიალურ გოეთეს ლესინგი ურჩევდა— „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“ კომედიური ფინალით დაემთავრებინა. ამ რჩევაში იგრძნობოდა რაციონალური საუკუნის შვილის კანონზომიერი შიში; მას სძავდა გადაჭარბებული გრძნობელობა.

ედიშერ ყიფიანის მოთხრობის გმირი შემთხვევით როდი კითხულობს „ვერთერის ვნებას“ და მასთან მოსაუბრის პროტესტიც სამართლიანია: „ამბავი ძალიან საინტერესოა, შენს გმირებს ნამდვილად უყვართ ერთმანეთი, მაგრამ მე მგონი, „ვერტერის ვნებანი“ არ არის საჭირო, თითქოს ზედმეტია, არა, ლადო? თუ მაინცაღამაინც, მაშინ სხვა წიგნი იყოს რამე. სხვა, თორემ „ვერტერი“ უეცრად გახსენებულის შთაბე-

გიორგი ხუბაშვილი

სიუჟეტები, კონფლიქტები, ადამიანები

ქლილებას ტოვებს“. და მართლაც, ძველი რომანებიდან ნაცნობი ეს „უეცრად გახსენებული“ ავტორის სტილს ცვლის და თან მოაქვს ზოგიერთი ისეთი რამ, რაც დღევანდელი გემოვნებისათვის უზნეობრივი ნორმების სფეროში ვერ თავსდება.

ვრცელ მოთხრობაში „მეცხრე კარი“ ედიშერ ყიფიანი უკვე აღარ აღწერს „შემთხვევით ამბებს“. ახლა იგი ადამიანთა რთულ ურთიერთობებს ეპიური სიღინჯით აფასებს. აქ არის „მწვანე ფარდის“, „ჯარში გაწვეული მუსიკის“ თუ „პობოის“ ფსიქოლოგიური ასპექტიც, მოთხრობების კომპოზიციაც მისთვის დამახასიათებელი პრინციპითაა აგებული, მაგრამ ყველაზე მეტად იგრძნობა ადამიანთა ურთიერთობის მწყობრობა, „უეფექტო“ ფსიქოლოგიური ანალიზი. ავტორი ოთხი ადამიანის ბედზე მოგვითხრობს; მოვლენები ხან ქმრისაგან მოტყუებული ქალის თვალთ არის დანახული, ხან ქმრის თვალთ, ხან რთულ სიტუაციაში მოქცეული პატარა ბიჭი ექცევა ყურადღების ცენტრში. აქ უკვე ცხოვრებაში გამოცდილი ადამიანი გვესაუბრება ოდესღაც ბედნიერი, მაგრამ ახლა იმედგაცრუებული, შეურაცხყოფილი ქალის სულეერ ტკივილებზე. მერე მოულოდნელად იწყება მამაკაცის აღსარება. ბოლოს ტრადიციულ „სამკუთხედში“ ექცევა პატარა ბიჭი, რომელშიც დედის ღირსებისათვის თავგამოდება და გზაბნეულ მამისადმი სიყვარული იბრძვის. აქ უკვე ავტორი არავის არ ამართლებს და არ ამტყუნებს მზამზარეულ მორალურ პოზიციებიდან. ეს იმ ცხოვრების სირთულეა, სადაც უზნეობრივი ნორმების, ტრადიციის, მორალის გვერდით დაუწერელი კანონებიც მოქმედებს. ელენეს ვერ გაუგია, როდის გაჩნდა პირველი ბზარი მასა და ბაქარს შორის, როგორ გადაიქცა ეს ბზარი ამოუხსნებელ ნაპრადად. არც ბაქარმა იცის, რა ძალამ მოწყობა იგი ოჯახს და მიახთან ასე მძლავრად დააკავშირა. არის ბევრი რამ, რაც ძნელი გასარკვევია. მით უმეტეს, უჭირს გოგირტას დედ-მამის ურთიერთობაში გარკვე-

ვა და არც ავტორი იღებს მსაჯულების პოზიას. არის ძლიერი გრძნობები, რომელიც უკვე ცვლის ადამიანთა ცხოვრებაში გამეფებულ მყუდროებას, იწყება შეცდომათა რიგი, როგორი იქნება ფინალი, არავინ უწყის. მაგრამ გაიციხვა ძნელია. აქ იურისტი და მწერალი ერთ პოზიციაზე ვერ დადგებიან, ვერც მორალური კანონები და ძლიერი შინაგანი ვნებანი მოთავსდება ერთ სიბრტყეზე. ამგვარი შინაგანი სირთულე ქაოტიურ აზროვნებას ან პოზიციის უქონლობას როდი ნიშნავს. ედიშერ ყიფიანი თავის დამოკიდებულებას გმირებთან ყოველთვის ჯანსაღ მორალურ საფუძველზე აფუძნებს. იგი მორალისტია ამ სიტყვის ყველაზე კარგი გაგებით. მისთვის მთავარია ადამიანის პატივისცემა, მისი ხალასი სიყვარული, მისთვის თავგამოდება.

ნათელი სიყვარულით უყვარს მას თავისი მოხუცი დიმიტრი („პობოი“), გოჩა („ჯარში გაწვეული მუსიკა“), მელანო („ხელები“), სახელგანთქმული მსახიობი უჩა არგვეთელი, რომლის პროტოტიპია ლეგენდარული უშანგი ჩხეიძე („მწვანე ფარდა“), ხანდაზმული მასწავლებელი („ეკლიანი ვარდები“). ეს ადამიანები უმეტესად ქალაქის მკვიდრნი, იქნებ თვით ავტორის სკოლისა თუ ინსტიტუტის მეგობრები, ახლო ნაცნობები, მეზობლები არიან, რომელთაც რაღაცით მიიქცევს მწერლის ყურადღება და ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, მაგრამ საინტერესო თემები აპოვნივს. მათ საქციელში, გრძნობებში, ფიქრებსა თუ მოზღვავებულ სიხარულში ცხოვრების მღელვარება იგრძნობა. ედიშერ ყიფიანი ძირითადად ჩვენი ინტელიგენციის ცხოვრებას აგვიწერს, ქალაქურ გარემოს ასახავს.

ედიშერ ყიფიანის გმირებს ლაბორატორიებში, რკინიგზის სადგურზე, კინოთეატრებში, ტროლეიბუსსა თუ ავტომანქანაში, საცხოვრებელ ბინებსა და საქტო დარბაზებში ვხვდებით. მის მოთხრობებშიც პოზიტიური მოტივი ჭარბობს. შედარებით ფრთხილად და გაუბედავად ეხება მწერალი ადამიანთა ყო-

ფის ნეგატიურ მხარეს. ეს ცალმხრივობა მის შემოქმედებას ნაწილობრივ უკარგავს სიმამფრეს.

დავუბრუნდეთ „მეცხრე კარს“. ავტორს უძნელდება პასუხის გაცემა კითხვაზე: „ვინ არის დამნაშავე“? მართალია, იგი არ მიყვება გატყეპნილ გზას. თავისუფალ სიყვარულზე, ოჯახის წინაშე მოვალეობაზე, ქალურ ეგოიზმსა თუ მამაკაცურ თავმოყვარეობაზე მას საკუთარი შეხედულებები აქვს. მოთხრობის გმირები დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე თითქოს მართალი არიან, მაგრამ არსებობს ბავშვი, უდანაშაულო არსება, რომლის სულიერი ცხოვრება საშინელი ტკივილების უნებლიე ობიექტი ხდება. და ზოგჯერ ეს ადამიანების დაუქვირვებელი უხეშობის, ორთოდოქსალური მორალის ან თანდაყოლილი სისასტიკის ბრალია, ზოგჯერ კი გაცილებით რთული ვითარება იქმნება. ცნობილი ფრანგი რეჟისორი ქრისტიან ჟაკი ფილმში: „ოთხასი დარტყმა“ საოცარი ფსიქოლოგიური სიზუსტით ხატავს ადამიანთა (დედ-მამის) ცხოველური ეგოიზმის მსხვერპლის — პატარა ბიჭის ტრაგედიას. ქრისტიან ჟაკი პრიმიტიული მორალური ნორმების, დახავსებული პედაგოგიკისა და ადამიანთა დაჩლუნგებული მკრძნობელობის წინააღმდეგ იბრძვის, იგი ღრმა ანალიზს უკეთებს სოციალურ ატმოსფეროს და ბავშვების სულიერი სამყაროს და დამახინჯების წინააღმდეგ იბრძვის ხმას. ცოტა ხანი და ოთხასი დარტყმა შემატებს დღევანდელ საფრანგეთს კიდევ ერთ გაბრალებულ პიროვნებას, რომელიც „დაღუპულ თაობათა“ გზას გაყვება, ან მარსელ კარნეს „მატყუარებს“ და კაიატის დამნაშავე ახალგაზრდებს შეუერთდება. ედიშერ ყიფიანი სულ სხვა სოციალურ ვითარებაში აგვიწერს თავისი პატარა გმირის ცხოვრებას. მისი ტკივილები მამის შეცდომების შედეგია, მაგრამ გარემო და ადამიანები არ სპობენ ბავშვის იმედებსა და რწმენას. პირიქით, მასში მოქალაქის თვისებებს ზრდიან და მას აქტიურ პიროვნებად აყალიბებენ. ერთი შეხედვით პატარა გოგიტას მამის საქ-

ციელს თითქოს რაღაც ამართლებს; მას შეუყვარდა სხვა ქალი, ნებისყოფი ადამიანი და ეყო დაედლია გრძნობა და რწმენა და წავიდა. მწერალი თავის გმირს ხელალებით ვერ გაკიცხავს. უფრო მეტიც: ბაქარისა და მაიას სიყვარულში არის რაღაც რომანტიული, პოეტური. ისინი თითქოს ძლიერი ვნების მქონე ადამიანები არიან და სიმპათიასაც კი იმსახურებენ.

მოთხრობა ღრმად გვახედებს ადამიანთა სულიერ დრამაში. რაც შეეხება ფინალს, ბაქარის არაადამიანური სისასტიკე საბოლოოდ აშიშვლებს პატივმოყვარე მამაკაცის სულს და ავტორის ზნეობრივი პოზიციაც საბოლოოდ ცხადყოფს მიტოვებული ქალისა და პატარა ბიჭისადმი თანაგრძნობას. მოთხრობაში არის ერთი მომენტი, რომელიც არღვევს მის სტილსა და ეპიურ უღერადობას. მხედველობაში გვყავს მაიას ქმარი, ოდნავ დეტექტიური „ინკოგნიტო“ პიროვნება. მას ავტორმა გვერდი აუარა, მოთხრობის შუაგულზე „იდუმალებით მოსილი“ მიატოვა და მიგვაფიწყა. ნაკლებ დამაჯერებელია ისიც, თითქოს ქალს შეეძლოს ტელეფონში რამდენჯერმე გაგონილი ხმა იცნოს ხალხში და ამით დაადგინოს თავმომაბუზრებელი პიროვნების ვინაობა. მაგრამ ეს ცალკეული შეცდომებია. „მეცხრე კარი“ ედიშერ ყიფიანის ინტერესთა სფეროს გაფართოებისა და დაოსტატების მაუწყებელი ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობაა.

ედიშერ ყიფიანის წერის მანერა ტრადიციულია. მაგრამ აქაც იგი მთლიანად არ არის დამოკიდებული წინაპართა მხატვრულ არსენალზე. შინაგანი მონოლოგი, ფიქრი, მოქმედებათა შორის ჩართული ფსიქოლოგიური პაუზები ცხადყოფენ მწერლის მადრეკილებას ბელეტრისტული საშუალებების მრავალფეროვნებისაკენ. იგი გულწრფელად იყენებს ოსტატობას სფეროში დაგროვილ გამოცდილებას და თითქოს

გიორგი ხუხაშვილი

სიუჟეტები, კონფლიქტები, ადამიანები

არც ამჟღავნებს მისწრაფებას „სტილური სიახლეებისაკენ“. პორტრეტის აღწერა, პეიზაჟის ხატვა თუ დიალოგი ერთი შეხედვით მკაფიო ორიგინალობის დას არ ატარებს, მაგრამ მასალის ფაქტურის სიახლე და ფსიქოლოგიური ანალოზისაკენ მისწრაფება მის გამომსახველობით ხერხებს აძლიერებს.

ედიშერ ყიფიანი ფორმის სფეროში უადგილო ვარჯიშსა და უსაფუძვლო ექსპერიმენტებს ერიდება. იგი ენდობა თვით მასალის ხასიათს, სავანთა და მოვლენათა სიახლეს, რომელსაც თან მოყვება როგორც ფერწერული, ისე რიტმული და ინტონაციური თავისებურებანი. ამიტომ ემპირიულს, ძასალის ღრმად წვდომაზე და თვით სინამდვილიდან მომდინარე ინტონაციებზე მისი დაყრდნობა არსებითად სწორია. ედიშერ ყიფიანის გმირთა ფიქრება ის შინაგანი რიტმი აქვს, რომელიც ქალაქის მკვიდრი ადამიანის ყოველდღიურ ყოფას ახასიათებს. მისი გმირის — დიმიტრის ფიქრებაში („ჰობოი“) თითქოს ნაგულიანბნეია ოპერის ორკესტრში დაბადებული ხმების ჰარმონია, ხოლო მელანოს აკვატებული ეკვისა და ახმაურებული განცდების „აკომპანიმენტი“ მაქოს რიტმული დაგადუგია. ედიშერ ყიფიანმა იცის, რომ პროზის დამაჯერებლობა ფაქტურის დეტალურ შეაწავლაზე დამოკიდებული. იგი კარგად იცნობს ინჟინრების, მუსიკოსების, სტუდენტებისა თუ ინტელიგენტი მოხუცების ცხოვრებას. მას აქვს წმინდა ბიოგრაფიული და ჟურნალისტური გამოცდილება. მართალია, ზოგჯერ იგი წმინდა „ინფორმაციულ ცნობებს“ გვაწვდის, მოვლენის გარეგნულ კონტურებს ხატავს, მაგრამ მასალას თითქმის ყოველთვის კარგად ფლობს.

ავადმყოფი მსახიობი უჩა არგვეთელი ჩვენ მაშინ გავიცანით, როცა მისი შერყეული რწმენა უნდა აღდგეს და დაშრეტილი სულიერი ძალები ახალი ძალით აამოქმედოს („მწვანე ფარდა“). მთებში მარტო დარჩენილი ასლასა („მსჯავრა მთებისა“), ხევში ჩავარდნილი გუგუშა („ადამიანი, რკინა და ძალი“), ბაქარი

და გოგიტა („მეცხრე კარი“) ისეთ სიტუაციებში არიან ჩაყენებული, როცა საკუთარ ფიქრებში, ტყვიანობაში წინააღმდეგობებში გარკვევა აუცილებელია. ასეთ მომენტში იჭრება მწერალი თავისი გმირების სულიერ სამყაროში და მისი ფსიქოლოგიზმიც კანონზომიერია. ედიშერ ყიფიანს შემოქმედების აუცილებელ პირობად ცოცხალი მასალის დაუფლება მიაჩნია. ირონიულად გვიხატავს იგი იმ ინჟინერს, რომელმაც საქმე კარგად არ იცის, საკუთარი თავის ზედმეტად სჯერა და სამსახურის დაწყების პირველ დღეებში მრავალ უხერხულობას განიცდის („სათვალე“). ზოგჯერ კი ისეც ხდება, რომ მასალით, დეტალებით გატაცებული ავტორი გადაქარბებით ემპირიულია და წვრილმან თემას თავს ვერ აღწევს. იქნებ იმიტომ, რომ მისი წიგნის „ტოპოგრაფია“ რამდენადმე ღარიბია.

მხატვრული ასოციაციები საგნისა და მოვლენის განცდას აძლიერებს. მის მძაფრ შეგრძნობას იწვევს და ფერწერულს ხდის. ედიშერ ყიფიანის ასოციაციური აზროვნება „უმეტეს შემთხვევაში“ ზუსტია, მაგრამ ზოგჯერ მის მხატვრულ სახეებს ნაძალადევი და ტრაფარეტული ელფერი დაჰკრავს. „ფანქრის წვერები კოკორგაუშლილი ყვავილებივით იჭყიტებოდნენ ვაზიდან“. „ერთხელ კიდევ თვალწინ დაუდგა ბაბუასწვერასავით გამჭრალი ქალაქი, ასფალტისა და ბეტონის რიყე, კედელზე ლანდად მიორთქლილ ზარდაცემული ადამიანის გამოსახულება“... „იგი თვალს არ აცილებდა სავადმყოფოს თეთრ შენობას, რომელიც ღრუბელივით ახლოვდებოდა“, „მიღეულ ქანქარასავით ერხეოდა მელანში დათვრილი ხელი“... „ლეომ ბოლთის ცემა დაიწყო, უშანგი მაგნიტის ისარივით აყოლებდა თავს“. „მიუახლოვდა სავარძელში ჩრდილივით ჩაფენილ უშანგის“... „გაპარებული ჩურჩულით დაიწყო ლეომ“... „ისე იქნევდა საჩვენებელ თითს, თითქოს მისი წაწყვეტა უნდაო“. ეს შედარებები და ფრაზები გვხვდება მოთხრობაში „ოქროსფერი ანათორები“.

ზოგიერთი მათგანი ლოკალურ გარემოს ცილდება და ყურადღებას ფანტავს, ზოგიერთი კი „ხატოვანი ნათესაობის“ ნიშნებით არ არის ზუსტი, მაგრამ ამ ნაკლის გამოსწორება ძნელი არ არის, თუ ავტორი პრინციპულად არ იცავს ამგვარ სტილს.

შეიძლება ედიშერ ყიფიანის მოთხრობებზე საუბრისას ამაზე არაფერი გვეთქვას, ეს ნაკლი ბევრი თანამედროვე პროზაიკოსის შემოქმედებას საერთოდ რომ არ ახასიათებდეს.

ედიშერ ყიფიანის გმირების სულიერი ცხოვრება მძიმე წუთებშია, კი არ იტვირთება ავადმყოფური შეგრძნებებით და გარემოს პოეტური წარმოსახვა თითქოს ანელებს კიდევ მძაფრ ფიქრებსა და ტკივილებს. ბუნებისა და სიცოცხლის მშვენიერების ღრმად განცდილი სიყვარული მის გმირებს დიდ სულიერ ძლიერებას ანიჭებს და ყოფაცხოვრებაში წამოჭრილ სიძნელეთა გადალახვაში ეხმარება. ედიშერ ყიფიანის მოთხრობებს აქვს ერთი თვისება, მის მოთხრობებში დახატული ადამიანები შეყვარებულები არიან. სიყვარული, ამ სიტყვის ფართო თუ კონკრეტული გაგებით, შეჭრილია მისი გმირების სულში. ამ ადამიანებს, უპირველეს ყოვლისა, უყვართ სიცოცხლე, ბუნება და ყველაფერი ბუნებრივი! თუ ბუნებისმიერი. მერე მათ უყვართ თავისი პროფესია, საქმე, რომლითაც ისინი საზოგადოებასთან არიან დაკავშირებულნი. მოხუცი მუსიკოსიც, მეღანაც, გამოჩენილი მსახიობი, მქსოველი ქალი, კომპოზიტორი და მხატვარიც ამ სიყვარულით ცოცხლობენ და კეთილ საქმეს აკეთებენ. უეცრად დაწყებული სულიერი ბრძოლაც, შინაგან წინააღმდეგობათა დაძლევის იმპულსებიც ამ სიყვარულს ემყარება. და ბოლოს, ეს სიყვარული აღწევს თავის კეთილ მიზანს, სულიერ ცხოვრებაში სათუთად შენახული

გრძნობა კეთილშობილი ლითონის ექვარებას იძენს და თითქოს ჩვეულებრივად ადამიანებს უჩვეულო ნათელს ფენს.

სიყვარულის თემა (უფრო კონკრეტული გაგებით) ედიშერ ყიფიანის მოთხრობებში საბატიო ადგილს იჭერს. ქალისა და მამაკაცის სიყვარულში იგი ადამიანის სულიერ თვისებათა გამოვლინების მრავალმხრივ შესაძლებლობებს ხედავს. უფრო ზუსტად, ამ თემას თან ახლავს მორალურ-ეთიკური ხასიათის ისეთი პრობლემები, რომელთა ახსნა და პასუხის გაცემა მწერალს ყოველთვის აინტერესებს.

ედიშერ ყიფიანის მოთხრობებში ინტიმური დამოკიდებულებები არ იფარგლება ბანალური თუ ვიწრო სუბიექტური გრძნობებით. შეყვარებულებს ფართო სულიერი ინტერესები გააჩნიათ და სიყვარულის ამაღლებული განცდა ხშირად საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებთანაა დამოკიდებული.

ედიშერ ყიფიანის მოთხრობების წიგნს დიდი პოტენცია და შინაგანი ტევადობა აქვს. თავისთავად მწერლის პირველ მოთხრობებს ჯერ სიძველე არ დატყობია, მაგრამ მასშტაბურობის თუ მხატვრული მიგნებების მხრივ „ეკლან ვარდებსა“ და „მეცხრე კარს“ შორის საგრძნობი განსხვავებაა.

მოთხრობათა შორის წმინდა თემატურ თუ პრობლემატურ მიმართულებათა შიკ გამოსჭვივის უფრო ფართო მხატვრული დიაპაზონისაკენ ლტოლვა. მწერალი ერიდება ზედმეტ ლოკალურობას და ახალ გზებს ეძებს. და რადგან ნამდვილი შემოქმედება „უცნობ მხარეებში მოგზაურობაა“, ეს გზები ედიშერ ყიფიანს ჭეშმარიტი აღმოჩენის სიხარულს ბევრჯერ მიანიჭებს.

გიორგი ხუხაშვილი
სიუჟეტები, კონფლიქტები, ადამიანები



ჭუჭლიკის სტიკა

ნიკოლოზ ჯაში

ასახვის დენიური თეორია და ხელოვნება

ამ რამდენიმე ხნის წინათ იმპერიალიზმის სულიერმა აპოლოგეტებმა და მათმა დამქაშებმა — ყველა ჯურის რევიზიონისტებმა „ერთიანი ფრონტით“ სასტიკი შემოტევა წამოიწყეს საბჭოთა ხელოვნების სოციალისტური რეალიზმის მეთოდის, მისი ფუძემდებლური პრინციპების წინააღმდეგ, ყოველმხრივი ხოტბა შეასხეს „შემოქმედების თავისუფლების“ ყბადაღებულ ბურჟუაზიულ-ანარქისტულ ლოზუნგს, გაილაშქრეს ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ.

სამწუხაროდ, ჩვენი მხატვრული ინტელიგენციის რიგებში აღმოჩნდნენ ცალკეული ადამიანები, რომლებიც თავიანთი „ნოვატორობით“, „ნოვაციებით“ ბურჟუაზიული კრიტიკის ასკესს წამოეგნენ. ზოგიერთი შემოქმედებითი მუშაკი გამოვიდა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების ფუძემდებლურ პრინციპების — იდეურობის, პარტიულობის, ხალხურობის რევიზიის ცდით და ბურჟუაზიული იდეოლოგიის აშკარა გავლენაში მოექცა.

უკანასკნელ წლებში მთელ რიგ ჟურნალებსა და გაზეთებში გამოქვეყნდა ზოგიერთი ხელოვნებათმცოდნისა და კრიტიკოსის სტატიები, რომლებშიც ავტორები მოითხოვდნენ რაღაც „ერთიან თანამედროვე სტილს“ ხელოვნე-

ბაში. ისინი ქადაგებდნენ დასავლეთის ბურჟუაზიული მოდერნისტული ხელოვნების ცნობილ დებულებებს და ნებისთი თუ უნებლიეთ ფორმალიზმისა და მისი უკიდურესი მიმართულების — აბსტრაქციონიზმის პროპაგანდას ეწეოდნენ. თავიანთ წერილობით გამოსვლებში ასეთ შეხედულებებს იცავდნენ ხელოვნებათმცოდნეები: ა. კამენსკი, ნ. დმიტრიევა, ა. გასტევი, მხატვარი გ. ნისკი, მწერალი ი. ნაგიბინი და სხვები.

ამ შეხედულებათა კვინტენსენცია გამოთქმული იყო ლიტერატურული კრიტიკოსის ვ. ტურბინის წიგნში „ამხანაგი დრო და ამხანაგი ხელოვნება“, რომელიც 1961 წელს გამოიცა. ავტორის აზრით, ხელოვნება აშკარა, გაშიშვლებულ პირობითობას მოითხოვს, ფსიქოლოგიზმმა უნდა დატოვოს ხელოვნების სფერო, რადგან პიროვნების სულიერ სამყაროში შეჭრამ მხატვრულ გამომსახველობითი საშუალებებით უკვე დრო მოჰამა.

ეს თეორეტიკოსები ქებას ასხამდნენ ისეთ მხატვრების ტილოებს, რომლებშიც ადამიანები დახატული იყვნენ განგებ დამახინჯებულად. ეს ტილოები ადამიანებს უქმნიდნენ გულგატეხილობის, დარდისა და უსაშველობის განწყობილებას, გამოხატავდნენ სინამდვილეს მის შესახებ წინასწარ აკვიატებულ, დამახინჯებულ სუბიექტივისტური შე-

ხედულებით, გამონაგონი გამოფიტული სქემებით.

ასეთი თეორიული აბდაუბდა ადრეც შეიმჩნეოდა. ცნობილია, თუ რა დიდი ზიანი მიაყენა საბჭოთა ხელოვნების განვითარებას ვულგარიზატორულმა სტატიამ „საბჭოთა ლიტერატურის მკოდნეობაში ზოგიერთი შეცდომის შესახებ“ (ყურნალი „ოკტიაბრ“, № 2, 1950). ამ სტატიის ავტორმა, ახლადმოვლენილმა რაპელმა ა. ბელიკმა სცადა ბურჟუაზიული უპარტიობის გათანაბრება უპარტიო საბჭოთა მწერლების პოზიციასთან, იგი შეეცადა გაეთიშა პარტიული და უპარტიო მწერლები, დაამახინჯა ვ. ი. ლენინის სტატიის დებულებები და ცილი დასწამა საბჭოთა მწერლობას. ცნობილია აგრეთვე, რომ ბ. ნაზაროვმა და ო. გრიდნევამ სტატიაში — „დრამატურგიისა და თეატრის ჩამორჩენის საკითხისათვის“ (ყურნალი „ვოპროსი ფილოსოფიი“, № 5, 1956) — დამახინჯებულად, არასწორად განმარტეს კულტურის დარგების პარტიული ხელმძღვანელობის, შემოქმედებითი თავისუფლების საკითხები.

ხალხმა, პარტიამ, მისმა ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა მკაცრად და სამართლიანად დაგმეს ამ ვაიკრიტიკოსების „დებულებები“.

ესთეტიკაში თანამედროვე რევიზიონისტები: ხუ ფინი (ჩინეთი), გ. ლუჯაჩი (უნგრეთი), ი. ვიდმარი (იუგოსლავია), მ. ვერლი (შვეიცარია), თ. მანრო (აშშ), ა. ლეფევრი (საფრანგეთი) და ძმანი მათნი ილაშქრებდნენ საბჭოთა ხელოვნების ფილოსოფიური საფუძვლის — ასახვის ლენინური თეორიის წინააღმდეგ და ამ ლაშქრობას ზოგჯერ ფარადნენ ლაცობით იმის შესახებ, რომ ხელოვნებისათვის არ არის საჭირო რაიმე თეორია, იგი უნდა შეიცვალოს მოვლენებისა და ფაქტების უბრალო აღწერით, ემპირიზმით. რევიზიონისტების ჰაპანწყვეტა ჩვენთვის ნათელი და გასაგებია. საქმე ის არის, რომ ასახვის ლენინური თეორია ფილოსოფიურად ასაბუთებს რეალიზმს ხელოვნებაში, საზოგადოების განვითარების კანონ-

ზომიერებათა მართალ ასახვას, საზოგადოების აუცილებელ გარდაქმნას სოციალიზმის გზით. ასახვის ლენინური თეორიაზე რევიზიონისტების თავდასხმაში არ შეიძლება არ დავინახოთ მათი მისწრაფება, გაამართლონ ბურჟუაზიული, ფორმალისტური, აბსტრაქციონისტული ხელოვნება, დასახონ იგი თანამედროვე ხელოვნების განვითარების მთავარ გეზად, ააცილინონ მხატვრები სადღეისო პრობლემებს, ხალხისადმი სამსახურს. ეს გასაგებიც არის, თანამედროვე ბურჟუაზიული ხელოვნება, რომელიც იმპერიალიზმის რეაქციული იდეოლოგიის მატარებელია, დამახინჯებულად ასახავს სინამდვილეს. ემსახურება რა ბურჟუაზიული წრეების ინტერესებს, იგი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ მიაციინოს, მოშხამოს ადამიანის გონება, მოახდინოს ადამიანის დემორალიზაცია, მოუსპოს მას საკუთარი ღირსების გრძნობა, ჩაკლას ადამიანში ყოველივე ადამიანური და გამოაცოცხლოს მასში ყველაზე ქვედა ინსტინქტები.

თანამედროვე ფორმალისტურ, მოდერნისტულ ხელოვნებას, მის უკიდურეს რეაქციულ ფრთას, აბსტრაქციონიზმს წინამორბედები ჰყავდა სიმბოლისტების, იმპიანისტების, დეკადენტების და ყველა ჯურის ფორმალისტების სახით.

სიმბოლისტები თვლიდნენ, რომ არსებობს ორი სამყარო: რეალური სამყარო, რომელიც ჩვენს გარშემოა, და იდეალური სამყარო, რომელიც რეალური სამყაროს მიღმა იმყოფება. მათი აზრით, ეს იდეალური, ჩვენს მიღმა არსებული ჭეშმარიტი სამყაროა, ხოლო რეალური სამყარო იდეალური სამყაროს ზოგიერთი მხარის უზადრუკი ანარეკლია. სიმბოლისტები ლაპარაკობდნენ ადამიანის შემეცნების ორ გზაზე. პირველია — ლოგიკური, კაუზალური შემეცნების გზა, რომელსაც შეუძლია გამოიკვლიოს რეალური სამყაროს მხო-

ნიკოლოზ ჯაში

ასახვის ლენინური თეორია და ხელოვნება

ლოდ გარეგანი მოვლენები. მეორეა — ინტივიტუისტური შემეცნების გზა, რომელსაც უნარი შესწევს გამოიყვანოს ადამიანი სამი განზომილებიდან და შეიჭრას იდეალურ არსებათა სამყაროში. პირველი გზა მეცნიერული შემეცნების გზაა, მეორე კი — ხელოვნებისა. ამ მეორე გზას, სიმბოლისტების აზრით, შეუძლია ამოხსნას სამყაროს ნამდვილი დედაარსი.

ამ ე. წ. თეორეტიკოსების აზრით, სიმბოლო წარმოადგენს დამაკავშირებელ ხიდს ორ—რეალურ და იდეალურ, სამყაროს შორის. დეკადენტები ცდილობდნენ თავიანთ ნაწერებში გადმოეცათ ვიწრო, სუბიექტური განცდები და შთაბეჭდილებანი, ნაცვლად რეალური სინამდვილისა. სინამდვილე მათთვის წარმოადგენდა მეტად ცვალებად, არამდგრად სუბიექტურ შეგრძნებათა კომპლექსს. სიმბოლისტები ცდილობდნენ სხვადასხვა ხრიკებით შეეერთებინათ ფილოსოფია, ესთეტიკა და რელიგია. ამასთანავე ისწრაფვოდნენ დაემტკიცებინათ, რომ იდეალურ არსებათა სამყარო რელიგიურ იდეათა სამყაროა.

სიმბოლიზმის, დეკადენტობის ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენდნენ დასავლეთის სხვადასხვა რეაქციული ფილოსოფიური სისტემები, რომლებიც იშვინენ იმპერიალიზმის ეპოქაში, უპირველეს ყოვლისა, ნეოკანტიანობის ყოველგვარი სახეობანი — ემპირიოკრიტიციზმი, ბერკლიანობა, ემპირიოსიმბოლიზმი და ა. შ.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ამ ფილოსოფიური უწყმინდურობის განადგურების, მისი საბოლოო დასამარების კეთილშობილური ამოცანის შესრულებას ხელი მოჰკიდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა. 1909 წელს მან გამოაქვეყნა მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის კლასიკური ნაწარმოები „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. ვ. ი. ლენინმა გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბურჟუაზიული იდეალისტური ფილოსოფიის უანლესი ხრიკები, დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით განა-

ზოგადა ახალი აღმოჩენები ბუნებისმეტყველებაში, განსაკუთრებით ფიზიკაში, განავითარა და წინ წასწინა მარქსისტული ფილოსოფიური დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი.

თავის წიგნში ვ. ი. ლენინმა ცხადყო, რომ მან, ავენარიუსი და სხვა ბურჟუაზიული ფილოსოფოსები, გაჰყვიროდნენ რა ახალი ფილოსოფიური თეორიის „აღმოჩენაზე“, რომელიც თითქოსდა მატერიალიზმზე მაღლა დგას, ფაქტიურად ქექავდნენ დიდი ხნის მოძველებულ იდეალისტურ ნაგავს ახალი ფორნიშით. „ემპირიოკრიტიციზმის“ სახელობით ისინი ერთგვარი სახეცვლილებით აღადგენდნენ მე-18 საუკუნის ინგლისელი ეპისკოპოსის, ბნელეთის მოციქულობის თავგამოდებული დამცველის, ჯორჯ ბერკლის ფილოსოფიას. ვ. ი. ლენინმა ცხადყო, რომ ემპირიოკრიტიციზმის ფილოსოფიის ამოსავალი პუნქტია სუბიექტური იდეალიზმი, რომლის დედაარსი ის არის, რომ თითქოს საგნები არ არსებობენ ობიექტურად, ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, არამედ არსებობენ მხოლოდ ადამიანთა აღქმებში, შეგრძნებებში, რომ არ არსებობენ ბუნების ობიექტური კანონები და ა. შ.

„მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ ვ. ი. ლენინმა მოგვცა გენიალური განზოგადება ყოველივე მნიშვნელოვანისა და არსებითისა, რაც შექმნილ იქნა რევოლუციური ბრძოლისა და მეცნიერების განვითარების გამოცდილებით ენგელსის გარდაცვალებიდან ამ ნაშრომის გამოქვეყნებამდე განვიღო პერიოდში.

„ჩვენი შეგრძნებანი, ჩვენი ცნობიერება მხოლოდ ს ა ხ ე ა გარეგანი სამყაროსი, და თავისთავად გასაგებია, რომ ასახვას არ შეუძლია ასახულის დამოუკიდებლად იარსებოს, მაგრამ ასახული არსებობს ამსახველის დამოუკიდებლად“¹.

„მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა და

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 14. გვ. 75.



შემდგომ განავითარა მარქსისტული ფილოსოფიის ძირითადი საკითხები: სამყაროს მატერიალურობის, მისი ობიექტურობის, ე. ი. ადამიანის ცნობიერებადღე და მისგან დამოუკიდებლად სამყაროს არსებობის შესახებ, ბუნებისა და საზოგადოების კანონთა ობიექტური ხასიათის შესახებ, დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიის ძირითადი დებულებები: შემეცნების, როგორც ობიექტური მატერიალური სამყაროს ასახვის, ამ ასახვის კანონებისა და ფორმების, ობიექტური აბსოლუტური და შეფარდებითი ჭეშმარიტების შესახებ, პრაქტიკის, როგორც შემეცნების საფუძვლისა და ჭეშმარიტების კრიტერიუმის შესახებ და ა. შ.

ვ. ი. ლენინი წიგნში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს შემეცნების მარქსისტული თეორიის საკითხებს. ეს თეორია მან ჩამოაყალიბა და განავითარა ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად. სწორედ ამიტომ მას საერთოლიანად უწოდებენ ასახვის ლენინური თეორიას.

ვ. ი. ლენინმა გენიალურად ჩამოაყალიბა ჭეშმარიტების შემეცნების კლასიკური ფორმულა: „ცოცხალი ჭვრეტიდან აბსტრაქტული აზროვნებისაკენ და აქედან პრაქტიკისაკენ — ასეთია ჭეშმარიტების შემეცნების, ობიექტური რეალობის შემეცნების დიალექტიკური გზა“.¹

ასახვის ლენინური თეორია გვასწავლის დავინახოთ ხელოვნებაში ცხოვრების სწორი, მისი განვითარების მნიშვნელოვანი მხარეების, საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის ადამიანთა ხასიათების მრავალფეროვნება, მაგრამ შეცნობა პასიური აქტი როდია, ასახვა მექანიკური, მკვდარი ასახვაროდია.

„... (ადამიანის) ჭკუის მიდგომა ცალ-

კული ნივთისადმი მისი ტვიფროს (ცნობის) გადაღება არ არის უბრალოდ უშუალო, სარკისებრ-მკვდარული ტიპი, არამედ რთული, გაორებული, ზიგზაგისებური აქტია, რომელიც შეიცავს ცხოვრებისაგან ფანტაზიის გაფრენის შესაძლებლობას. ეს კიდევ ცოტაა: აბსტრაქტული ცნების, იდეის... ფანტაზიად გადაქცევის შესაძლებლობას“.¹

ხელოვნების საგანი მხატვრული ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის ობიექტური საფუძველია, მაგრამ ხელოვნების საგნისა და მისი იდეური შინაარსის გაიგივება არ შეიძლება. საქმე ის არის, რომ ხელოვნება, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, არ მოითხოვს ჩვეულოთ მისი ნაწარმოებები სინამდვილედ და ეს გამოწვეულია იმით, რომ ხელოვნებაში გამოხატული ცხოვრება წარმოადგენს ობიექტური რეალობის ასახვას, ხოლო მხატვრული ასახვა საჭიროა განვასხვაოთ სინამდვილისაგან, ამსახველი საგნისაგან. „საზოგადოებრივი ცხოვრება — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ასახავს საზოგადოებრივ ყოფიერებას, — აი რაში მდგომარეობს მარქსის მოძღვრება. ასახვა შეიძლება დაალოებით სწორი პირი იყოს ასახულისა, მაგრამ იგივეობაზე ლაპარაკი აქ უაზრობაა“.²

ხოცს ასხამს რაც ცხოვრებისეულ სიმართლეს, ხელოვნება მხატვრულ სახეებში განაზოგადებს რეალურ ცხოვრებისეულ მოვლენებს. ჭეშმარიტი მხატვარი სინამდვილის მოვლენების პირებს კი არ იღებს, არამედ შემეცნების მიზნად თავისი ნიჭის ხასიათის შესაბამისად ამ სინამდვილიდან არჩევს გარკვეულ მხა-

¹ იქვე, გვ. 370.

² ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 14, გვ. 411.

ნიკოლოზ ჯაში ასახვის ლენინური თეორია და ხელოვნება

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 38, გვ. 161. რუსული გამოცემა.

რეებს, რომლებზეც ამასვე
ლებს თავის ყურადღებას,
თავისი ფანტაზიის პრიზ-
მაში იდეურად გაიანჯრებს
და წარმოსახავს გრძნო-
ბად-კონკრეტულ ფორმაში.
ამიტომ ერთი და იგივე სა-
განი სხვადასხვა მხატვრის
შემოქმედებაში სხვადა-
სხვანაირ განსახიერებას
იღებს.

ასახვის ლენინური თეორია წარმოად-
გენს ფილოსოფიურ საფუძველს კულ-
ტურის ყველა დარგის, მათ შორის ხე-
ლოვნებისა და მხატვრული ლიტერატურის
გაგებისა და შესწავლისათვის. მას-
ში მოცემულია მარქსისტულ-ლენინური
ესთეტიკის იმ უმნიშვნელოვანესი დე-
ბულების დასაბუთება, რომლის თანახ-
მად ხელოვნების წყაროს სინამდვილე
წარმოადგენს, რომ ყოველი მხატვრუ-
ლი ნაწარმოები ცხოვრების მოვლენე-
ბის ასახვაა. ასახვის მატერიალისტური
თეორია წარმოადგენს ურყევ საძირ-
კველს, რომელზეც დამყარებულია სო-
ციალისტური რეალიზმის ხელოვნების
ყველა უმნიშვნელოვანესი პრინციპი.

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა
რეალიზმს განსაზღვრავს როგორც ტი-
პურ გარემოში ტიპური ხასიათების
წარმოსახვის სისწორეს. კ. ი. ლენინმა
ტიპურობის პრობლემა შესანიშნავად
მონიშნა ინესა არმანდისადმი გაგზავ-
ნილ წერილში (1915 წ.). იგი აღნიშნავ-
და, რომ ხელოვნებაში მთავარია „ინ-
დივიდუალური“ გარემოება, მო-
ცემული ტიპების ხასიათები-
სა და ფსიქიკის ანალიზი“. ასახვის ლე-
ნინური თეორია მეცნიერულად ასაბუ-
თებს ტიპურში საერთოსა და ინდივი-
დუალურის ერთიანობას. ტიპიზაცია
სამყაროს ათვისების სპეციფიკური მხა-
ტვრული საშუალებაა, რომელიც ობი-
ექტური შინაარსის განზოგადებისა და
ინდივიდუალიზაციის, აბსტრაგირებისა
და კონკრეტიზაციის განუყოფელ ერთი-
ანობას წარმოადგენს. სწორედ ამ სა-
ფუძველზეა შექმნილი მსოფლიო ხე-
ლოვნების კლასიკური მხატვრული სა-

ხეები. ტიპიზაცია არ არის მარტო გან-
ზოგადება ან ინდივიდუალიზაცია. ტი-
პიზაცია განზოგადებისა და ინდივიდუა-
ლიზაციის ერთიანობაა.

ასახვის ლენინური თეორია წარმოად-
გენს საფუძველს მხატვრული სახის
რაობის განსაზღვრისათვის, იმის გაგე-
ბისათვის, რომ რეალური სინამდვილე
ხელოვნებაში აისახება გრძნობად-კონ-
კრეტულ ფორმაში, რომ ზოგადი თავის
ზორცემესმას პოულობს ინდივიდუა-
ლურ ხასიათში ან მოვლენაში. ცხოვრე-
ბის შემოქმედებით გამოხატვის პრო-
ცესში მხატვარი სინამდვილეს ასახავს,
მაგრამ იგი აისახება მხატვრულ სახე-
ვებში.

ვ. ი. ლენინი კომენტარს უკეთებდა
ჰეგელის აზრს და აღნიშნავდა, რომ
ცხოვრების შემეცნების სიღრმე მოქცე-
ულია ისეთ საყოველთაოში, რომელიც
განასახიერებს განსაკუთრებულის, ინ-
დივიდუალურის, ცალკეულის სიმდიდ-
რეს, განსაკუთრებულისა და ცალკეუ-
ლის მთელ სიმდიდრეს.

„ზოგადი არსებობს, — აღნიშნავდა
ვ. ი. ლენინი, — მხოლოდ ცალკეულში,
ერთეულის მეშვეობით. ყოველივე
ცალკეული (ასე თუ ისე) არის ზოგადი.
ყოველივე ზოგადი არის ნაწილი (ან
მხარე, ანდა არსი) ცალკეულისა“.

„რეალისტური ხელოვნების ამოცანა
იმაში მდგომარეობს, — წერდა მ. გორ-
კი, რომ „ასახო... გამოხატო ცხოვრების
სურათები და წარმოსახო ჭეშმარიტება-
ნი სახეებში — ხასიათებში, ადამიანთა
ტიპებში“. ამრიგად, მხატვრული ტიპი
ხელოვნებისათვის ჭეშმარიტების გამო-
ხატვის სპეციფიკური ფორმაა. მხა-
ტვრულ სახეს აქვს უშუალოდ უპირა-
ტესობა. ემოცია მეცნიერული ჭეშმარი-
ტების ათვისების პროცესში უკანა
პლანზეა.

ბურჟუაზიული ესთეტიკის ერთ-ერთი
დამახასიათებელი თვისებაა მისწრა-
ფება — მოსწყვიტოს ხელოვნება ლი-
ტერატურა იდეოლოგიის სხვა ფორ-
მებს, პრინციპულად დაუპირისპიროს
ისინი ხელოვნებას. ჯერ კიდევ ი. კანტი
მშვენიერების დედაარსს იმაში ხედავდა,

რომ იგი უნდა მოგვეწონდეს ყოველგვარი ცნების გარეშე, და ამტკიცებდა, რომ გემოვნების საკითხი დამოუკიდებელი უნდა იყოს ყოველგვარი „პარტიული ინტერესისაგან“. რეაქციული ბურჟუაზიული ესთეტიკა ცდილობდა და ახლაც ცდილობს დაამტკიცოს, რომ მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელოვნებას არავითარი შემეცნებითი მომენტი არა სდევს თან, როდესაც ხელოვნება დაკავშირებული არ არის არავითარ მორალურ კრიტერიუმთან, იგი ხდება თითქოსდა ხელოვნებად „სიტყვის სრული მნიშვნელობით“.

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა გამომდინარეობს სამყაროს შეცნობადობის შესახებ დიალექტიკურ-მატერიალისტური გნოსეოლოგიის ძირითადი თეზისიდან. სინამდვილე ადამიანმა შეიძლება შეიცნოს სხვადასხვა მხრიდან და სხვადასხვაგვარი თვისებებით. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ უარყოფს ობიექტური კვშმარტების არსებობას. ამ დებულებაშია ჩაქსოვილი მეცნიერებისა და ხელოვნების შინაგანი ერთიანობის საფუძველი.

მაგრამ, როგორც ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა თავის წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, ადამიანის მიერ ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა უსასრულო სხვადასხვაობის შეცნობა ყველა თავის ფორმაში ემორჩილება შემეცნების ერთიან კანონებს, ასახვის ლენინური თეორიიდან გამომდინარეობენ მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის მთელი რიგი ფუძემდებლური დებულებები: კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, კულტურის კლასობრივი ხასიათის შესახებ, ხელოვნების პარტიულობის, ხალხურობის, ხელოვნების, როგორც ობიექტური სინამდვილის ასახვის გარკვეული ფორმის შესახებ, ხელოვნების უდიდესი შემეცნებითი, აღმზრდელი-ბით-აქტიური როლის შესახებ და სხვ. ასახვის მატერიალისტური თეორია მოიცავს შემოქმედების რეალისტური მეთოდის ფილოსოფიურ დასაბუთებას.

ვ. ი. ლენინის ცნობილი სტატიები ლ.

ტოლსტოიზე მათში ვარჩეული პირობელებისა და დაწერის დროის მხედვით უშუალოდ უკავშირდებიან გეგმა-ლურ ნაშრომს „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმს“. დიდი რუსი მწერლის შემოქმედების კონკრეტულ მაგალითებზე მოცემულია ხელოვნებაში ასახვის მატერიალისტური თეორიის გამოყენების უბაღლო ნიმუშები. ხელოვნების მოვლენებისადმი ლენინის შეხედულებათა თავისებურება გასაგები ხდება ასახვის თეორიის — შემეცნების მატერიალისტური თეორიის „სულისა და გულის“ მიხედვით.

„...თუ ჩვენს წინაშე მართლაც დიდი მხატვარია, — წერდა ვ. ი. ლენინი ლ. ტოლსტოის შესახებ, — მას თავის ნაწარმოებებში უნდა აესახა რევოლუციის თუნდაც ზოგიერთი არსებითი მხარე“¹. ამ დებულებას დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ასახვის თეორია ხელოვნების, მხატვრული ლიტერატურის საკითხებისადმი.

ახსიათებდა რა ლუნაჩარსკის ღვთისმშენებლობის დროინდელ ესთეტიკურ შეხედულებებს, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა ემპირიოკრიტიციზმის ფილოსოფიასთან მათ იდეურ ნათესაობაზე.

„ბრმა უნდა იყოს, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — რომ იდეური ნათესაობა ვერ დაინახოს ლუნაჩარსკისეულ „ადამიანის უმაღლესი პოტენციების გაღმერთებასა“ და ბოღდანოვისეულ მთელი ფიზიკური ბუნების ნაცვლად ფიქიკურის „საყოველთაო ჩასმას“ შორის. ეს ერთი და იგივე აზრია, ერთ შემთხვევაში უფრო ესთეტიკური თვალსაზრისით გამოხატული, ხოლო მეორეში — გნოსეოლოგიური“².

ვ. ი. ლენინს „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ მოჰყავს მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ ასა-

¹ ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 15, გვ. 236.

² ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 14, გვ. 441.

ნიკოლოზ ჯაში

ასახვის ლენინური თეორია და ხელოვნება

ხვის თეორიის მნიშვნელობას რეალიზმის ფილოსოფიური დასაბუთებისათვის. ამ პრობლემას უკავშირდება ლენინის გენიალური ნაშრომის ის ადგილები, სადაც მოცემულია ცნობილი მახსიტის იოსებ პეტროლდის შეხედულებათა კრიტიკა. ეს ცნობილი გერმანელი ემპირიოკრიტიკოსი დეკადენტური ესთეტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო თეორეტიკოსი იყო. იგი ისევე, როგორც მისი თანამედროვე რეაქციული ესთეტიკის აპოლოგეტები, აგრეთვე ჩვენი დროის მოდერნისტული, აბსტრაქციონისტული ხელოვნების დამცველები, უარყოფდა ხელოვნების კავშირს ცხოვრებასთან, მის შემეცნებით და აღმზრდელით ფუნქციას, იცავდა პოეტური ფანტაზიის სრულ თვითნებობას. ამტკიცებდა ხელოვნებაში სიმახინჯის იდეალიზაციის შესაძლებლობას, ამდენად აკნინებდა მშვენიერებას, ყოველგვარ ზღვარსა შლიდა კეთილსა და ბოროტს, მოწინავესა და ჩამორჩენილს, ქვეშაირსა და არაქვეშაირს შორის.

ი. პეტროლდი ნაშრომში „სამყაროს პრობლემა პოზიტივისტური თვალსაზრისით“ (1906) წერდა: „ხელოვნებას საქმე აქვს ადამიანის ესთეტიკურ მოთხოვნილებებთან. ისინი მხოლოდ და მხოლოდ ემსახურებიან ტკობის მოთხოვნილებას, ნახვისა და მოსმენის მოთხოვნილებას. შემეცნებითი მოღვაწეობა ამ შემთხვევაში ჩუმი წინაპირობაა და არა მიზანი: ხელოვნების ნაწარმოებების მიზანი როდია ასწავლოს ადამიანს... ვაგვაცნოს სამყარო, გააშუქოს საგნებისა და მოვლენების ლოგიკური და მიზეზობრივი კავშირი — ეს უხსოვარი დროიდან მხოლოდ მეცნიერების ამოცანაა. ხელოვნება ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებს მეცნიერებაზე ღრმად განჭვრიტოს სამყაროს ურთიერთდამოკიდებულების დედაარსი; წინააღმდეგ შემთხვევაში მან უარი უნდა თქვას თავის თავზე და გადააქცეს მეცნიერებად.“

ხელოვნების შემეცნებითი და აღმზრდელითი როლის უარყოფის კონცეფციაში პეტროლდიც და სხვა ემპირიო-

კრიტიკოსები იმეორებდნენ თავიანთ წინამორბედების, რეაქციულ-დეკადენტური ფილოსოფიის კერპებს, მათგან გოტლიბ ფიხტეს, არტურ შოპენჰაუერისა და ფრიდრიხ ნიცშეს შეხედულებებს.

ვ. ი. ლენინმა გამოაშკარავა ი. პეტროლდის სუბიექტივისტურ-იდეალისტური თეორია, რომელიც ავითარებდა ი. კანტის მიერ ხელოვნების, როგორც ყოველგვარ პრაქტიკულ მოტივს მოწყვეტილი მოვლენის თეზისს, უარყოფდა ყოველგვარ კანონზომიერებას, შემთხვევითობას, მიზეზობრიობას, აუცილებლობას საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ხელოვნებაში.

ცნობილია, რომ რეალიზმისათვის ხელოვნებაში დამახასიათებელია მისწრაფება — მოქმედოს სხვადასხვა ფაქტის კავშირურთიერთობა და განსაზღვროს მათი ადგილი, მნიშვნელობა მოვლენათა შორის, განაცალკევოს მნიშვნელოვანი შემთხვევითისაგან, ახალი ძველისაგან. იდეალისტური ესთეტიკის დამცველების აზრით, სამყარო წარმოადგენს ქაოსს, და ამდენად მოკლებულია კანონზომიერებას და ხელოვნების საშუალებით ადამიანს წესრიგი შეაქვს რეალურ სინამდვილეში.

ვ. ი. ლენინმა სასტიკად გააკრიტიკა ემპირიოკრიტიკოსები კარლ პირსონი და იოსებ პეტროლდი, რომლებიც ამართლებდნენ თვითნებობას ბუნებასა და ხელოვნებაში.

„პოეტებიცა და მატერიალისტებიც, — წერდა კ. პირსონი, — რომელიც ისე ლაპარაკობენ ბუნებაზე, თითქოს იგი ადამიანის ბატონი იყოს, ძალიან ხშირად ივიწყებენ, რომ მოვლენათა წესრიგი და სირთულე, რომელიც მათს აღტაცებას იწვევს, ადამიანის შემეცნებითი უნარის პროდუქტებია; ყოველ შემთხვევაში არანაკლებ, ვიდრე მისი საკუთარი მოგონებები და აზრები“¹. კ. პირსონი ამ დებულებით ცდილობდა დაემტკიცებინა დეკადენტების მიერ ცხოვრების სინამდვილის დამა-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 14, გვ. 196.

ხინჯების უფლებამოსილება ხელოვნებაში.

თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თეზისია ემპირიოკრიტიციზმის მიერ თავის დროზე „ჩამოყალიბებულ“ დებულება, რომლის თანახმად შეუძლებელია ხელოვნებაში მოიძებნოს რაიმე განსაზღვრული ობიექტური გამართლება გმირთა ხასიათებისა და მოქმედების განვითარებაში. ი. პეტროლდის აზრით, შეუძლებელია „ფსიქიკურ მოვლენათა ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრულობა“, რადგან შემოქმედებითი ფანტაზია მუდამ ინდივიდუალისტურია, ყოველთვის გამინაკლისებს ქმნის.

„შეიძლება ჩემს წინაშე დაიმომონ, — გადმოსცემს ვ. ი. ლენინი ამ იდეალისტის დებულებას, — ისტორიის მოვლენათა მოტივაცია ან ხასიათის განვითარება პოეზიის ნაწარმოებებში? თუ ჩვენ ყურადღებით დავაკვირდებით, დავინახავთ ერთმნიშვნელოვანობის უქონლობას. არ არსებობს არც ერთი ისტორიული მოვლენა და არც ერთი დრამა, სადაც ჩვენ არ შეგვეძლოს წარმოვიდგინოთ, რომ მისი მონაწილენი მოცემულ ფსიქიკურ პირობებში სხვაგვარად არ მოქმედებდნენ“¹.

ვ. ი. ლენინი აცამტკვერებს ი. პეტროლდის დებულებას მხატვრულ შემოქმედებაში შემთხვევითობისა და აუცილებლობის შესახებ და მას უკიდურესად რეაქციულს უწოდებს. ამ შეხედულების დედაარსი ბუნების ობიექტური კანონზომიერების უარყოფაში მდგომარეობს.

„მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმში“ ვ. ი. ლენინმა გამანადგურებელი ლაზვარი ჩასცა ე. წ. სიმბოლოების, იეროგლიფების თეორიას. როგორც ცნობილია, ამ თეორიის თანახმად, ადამიანის შეგვრძნებანი და წარმოდგენანი ნამდვილი საგნებისა და ბუნების პროცესების პირები, გამოსახულებანი კი არ არიან. არამედ პირობითი

ნიშნები, სიმბოლოები, იეროგლიფები, ამ თეორიის ერთ-ერთი დიდი წარმატებული მაღვენელი გახლდათ ფრანგი მწერლის მეტყველი ჰელმპოლცი.

ვ. ი. ლენინმა თავის წიგნში ასახვის მატერიალისტური თეორიის დასაბუთებისას ნათლად და დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ გამოხატულება აუცილებლად და გარდუვალად გულისხმობს „გამოხატვის“ ობიექტურ რეალობას. სიმბოლო, იეროგლიფი, „პირობითი ნიშანი“ ისეთი ცნებებია, რომელთაც შემეცნების თეორიაში აგნოსტიციზმის ელემენტი შემოაქვთ. თუ შეგვრძნებანი საგანთა გამოხატულებები კი არ არის, არამედ მხოლოდ მათი ნიშნები ან სიმბოლოებია, რომელთაც „არავითარი მსგავსება“ არა აქვთ მათთან, მაშინ გარეგანი საგნების არსებობა საეჭვო ხდება. ვინაიდან ნიშნები ანუ სიმბოლოები შეიძლება მოჩვენებითს საგნებსაც ეხებოდეს. იეროგლიფების თეორიის ლენინისეულ კრიტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე იეროგლიფიზმის, ისეთი თეორიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც თავგამოდებით ქადაგებს სემანტიკური და სხვა რეაქციული იმპერიალისტური ფილოსოფია და ესთეტიკა.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ სიმბოლოსა და ხელოვნებაში სიმბოლიზმის ცნებებს. ბუნებრივია, რომ ცნება სიმბოლო გაცილებით ფართოა, ვიდრე მიმდინარეობა „სიმბოლიზმი“ ხელოვნებაში. სიმბოლოებს გარკვეული ადგილი უჭირავთ ცხოვრების მხატვრულ ასახვაში. ზოგიერთი სიმბოლური სახე ხელოვნებაში დიდ ემოციურ შემოქმედებასაც კი აღწევს. მაგალითად, ბორკილმოსხნილი პრომეთე პ. შელისთან გამოხატავდა გათავისუფლებული კაცობრიობის სიმბოლოს, პარიზის ღვთისმშობ-

ნიკოლოზ ჯაში

ასახვის ლენინური თეორია და ხელოვნება

¹ ვ. ი. ლენინი, ოხზ. ტ. 14. გვ. 199—200.

ლის ტაძარი ვ. ჰიუგოსათვის წარმოადგენდა შუა საუკუნეების საფრანგეთის სიმბოლოს, მ. გორკის ქარიშხალა მომავალი რევოლუციის სიმბოლო იყო და ა. შ. განსაკუთრებული გამოყენება აქვთ სიმბოლურ სახეებსა და სიმბოლურ ემბლემებს მონუმენტურ ქანდაკებაში, ფერწერაში, პლაკატში, დეკორაციულ ხელოვნებაში. მაგალითად. მუშისა და კოლმეურნის სახეები ვ. მუხინას ქანდაკებაში განასახიერებენ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის იდეას, თეთრი მტრედის გამოსახულება წარმოადგენს მშვიდობის სიმბოლოს და ა. შ.

მაგრამ სულ სხვაა სიმბოლიზმი როგორც მიმდინარეობა ხელოვნებაში. ამ ანტირეალისტურმა, დეკადენტურმა, რეაქციულმა მიმდინარეობამ, რომელიც საფრანგეთში პარიზის კომუნის დაცემის შემდეგ აღმოცენდა (პოეტები პ. ვერლენი, ს. მალარმე და ა. შ.), ფართო გავრცელება პპოვა სხვა ქვეყნებშიც მეოცე საუკუნის დამდეგს.

ვ. ი. ლენინმა თავის ნაშრომით „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა სიმბოლიზმისა და დეკადენტობის ფილოსოფიურ საძირკველს, ქვა ქვაზე არ დატოვა ამ „უახლესი“ ფილოსოფიური სისტემიდან.

ვ. ი. ლენინი უარყოფდა სიმბოლოს, სუბიექტურ ნიშანს, იეროგლიფს, რომელიც ცვლიდა სამყაროს შემეცნებას და არაფერს გამოხატავდა. სიმბოლოს, — განმარტავდა ვ. ი. ლენინი, — შეუძლია აღნიშნოს არა მარტო არსებული საგნები, არამედ რელიგიური, პათოლოგიური წარმოდგენები, განცდები და ა. შ. შემთხვევითი როდია, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკის ერთ-ერთი გავრცელებული „თეორიის“, ე. წ. ნეოთომიზმის აზრით, რომლის მამამთავრად ფრანგი ბურჟუაზიული რეაქციონერი ფილოსოფოსი იდეალისტი, კათოლიკური ეკლესიის აქტიური მოღვაწე, ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები 81 წლის ეპ მარტიენი ითვლება, ხელოვნების

სურათები „ღვთაების სიმბოლოებს“ განასახიერებენ.

ვ. ი. ლენინმა განავითარა და დაიცვა მარქსისტული დებულება ფილოსოფიის, ხელოვნების ლიტერატურის, იდეოლოგიის პარტიულობის შესახებ. ასახვის ლენინური თეორია გვასწავლის დავინახოთ ხელოვნებაში ცხოვრების სწორი, მისი განვითარების მნიშვნელოვანი მხარეების, საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის, ადამიანთა ხასიათების მრავალფეროვნების შეცნობის მძლავრი საშუალება.

ადამიანის შეგნება არა მარტო ასახავს ობიექტურ სინამდვილეს, სამყაროს, არამედ ხელს უწყობს მის გარდაქმნას. დიალექტიკური მატერიალიზმი გულისხმობს პარტიულობას, გვაუბლებს ცხოვრების მოვლენების ყოველგვარი შეფასებისას აშკარად დავდგეთ გარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფის, კლასის პოზიციებზე. ამაში მდგომარეობს ხელოვნების კომუნისტური პარტიულობის ლენინური პრინციპის დედაარსი.

სიტყვებში იმის შესახებ, რომ არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობდე და საზოგადოებისაგან თავისუფალი იყო, რომ არ შეიძლება არსებობდეს ზეკლასობრივი, არაპარტიული ხელოვნება — მოცემულია ასახვის ლენინური თეორიის სისწორის კიდევ ერთი ბრწყინვალე დასაბუთება.

საბჭოთა ხელოვნების ყველა წარმატება, ხელოვნებისა, რომელმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურის საგანძურში, მოპოვებულია კომუნისტური პარტიის მუდმივი მზრუნველობის შედეგად. პარტია ყოველდღიურად ზრდის კულტურის მოღვაწეებს, უდიდესი გულისყურითა და ყურადღებით წარმართავს მათს მოღვაწეობას ხალხისადმი უანგარო სამსახურის სულისკვეთებით.

საბჭოთა კულტურის შემდგომი განვითარებისა და გაფორმებისათვის პარტიის მზრუნველობის კიდევ ერთ მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენენ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები:

„ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის“, „ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი წარმატებებისათვის“, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან 1963 წლის 8 მარტს, რომლებიც ხელოვნებაში ასახვის ლენინური თეორიის ოსტატური გამოყენების ბრწყინვალე ნიმუშებია. ამ პარტიულ დოკუმენტებში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მრავალეროვანი საბჭოთა ხელოვნების განვითარების გენერალური ხაზი, მისი შემდგომი აღმავლობის გაშლილი პროგრამა.

არ შეიძლება ერთმანეთს დაეუპირისპიროთ პარტიულობისა და ხალხურობის ცნებები. საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების ძალა კომუნისტური პარტიისა და ხალხის ერთიანობაშია. კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, რომელიც ხალხის ძირეულ ინტერესებს გამოხატავს, საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების სასიცოცხლო საფუძველს შეადგენს. ამიტომ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენს საბჭოთა პირობებში ისე შეიძლება ემსახურებოდეს ხალხს, რომ აქტიურად არ მონაწილეობდეს კომუნისტური პარტიის პოლიტიკის განხორციელებაში. შეუძლებელია გასურდეს ხალხთან ერთად იარო ისე, რომ არ იზიარებდეს პარტიის შეხედულებებს, მის პოლიტიკურ ხაზს. ვისაც სურს ხალხთან იყოს, იგი მუდამ იქნება პარტიასთან. ვინც მტკიცედ დგას პარტიის პოზიციებზე, ის მუდამ იქნება ხალხთან. ხელოვნების კომუნისტური პარტიულობა, როგორც გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, ხალხურობის უმაღლესი ფორმაა. პარტიულობაში მთელი ძალით იჩენს თავს ხელოვნების აქტიურ-გარდამქმნელი როლი. საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

კომუნისმის იდეალებისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლა საბჭოთა მხატვრის, საბჭოთა მწერლის მიზანს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ

ხალხსადმი სამსახური თავისუფლად, ძალდაუტანებლად, საკუთარი ნაწილით სულისა და გულის კარნახით ხელოვნის მოწოდებაა. ძალზე კარგად თქვა ამის შესახებ გამოჩენილმა საბჭოთა მწერალმა მ. შოლოხოვმა:

„ჩვენზე, საბჭოთა მწერლებზე, ავგული მტრები საზღვარგარეთ ამბობენ, რომ თითქოსდა ვწერთ ჩვენ პარტიის მინიშნებით. საქმე ცოტა სხვაგვარად არის. თვითეული ჩვენგანი წერს თავისი გულის მინიშნებით, ხოლო ჩვენი გულები ეკუთვნიან პარტიასა და მშობლიურ ხალხს, რომელთაც ვემსახურებით ჩვენი ხელოვნებით“.

ჩვენს ქვეყანაში, სოციალიზმის პირობებში, სადაც ხალხი ნამდვილად თავისუფალია, თავისი ბედის ნამდვილი ბატონ-პატრონია, ახალი ცხოვრების შემოქმედია,—ხელოვნებისათვის, რომელიც ერთგულად ემსახურება თავის ხალხს, არ არსებობს საკითხი იმის შესახებ, თავისუფალია იგი თუ არა თავის შემოქმედებაში. ასეთი ხელოვნებისათვის სინამდვილის მოვლენებისადმი მიდგომის საკითხი ნათელია: კომუნისტური პარტიულობის პოზიციებიდან ცხოვრების მართალი ასახვა მისი სულის მოთხოვნილებაა, იგი მტკიცედ დგას ამ პოზიციებზე, იცავს მათ თავის შემოქმედებაში.

საფუძველი ჩაუყარა რა ხელოვნების, ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს, ვ. ი. ლენინი ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ხელოვნება, ლიტერატურა ნაკლებად ემორჩილება მექანიკურ შეთანაბრებას, ნიველირებას, უმცირესობაზე უმრავლესობის ბატონობას, რომ ხელოვნებაში, ლიტერატურაში საჭიროა მეტი გასაქანი მიეცეს პირად ინიციატივას, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, გასაქანი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს.

ამჟამად, როცა საბჭოთა ხალხი სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადა-

ნიკოლოზ ჯაში ასახვის ლენინური თეორია და ხელოვნება




წყვეტილებებით შეიარაღებული და შთაგონებული ხორცს ასხამს კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდის გრანდიოზულ ამოცანებს, კიდევ უფრო იზრდება საბჭოთა ხელოვნების, საბჭოთა ლიტერატურის საზოგადოებრივ-გარდამქმნელი, აღმზრდელობით-აქტიური როლი.

ვ. ი. ლენინმა დაუსახა საბჭოთა ხელოვნებას განვითარების ძირითადი გზა — მჭიდრო კავშირი მუშათა კლასთან, მშრომელებთან, ხალხთან, მათ ცხოვრებასთან და ბრძოლასთან, ჩვენი დიადი სინამდვილის ღრმად შესწავლა, ცხოვრების მნიშვნელოვანი მხარეების მართალი ასახვა.

საბჭოთა კავშირის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხელოვნება, კაპიტა-

ლისტური ქვეყნების ხელოვნება ცხოვრების გარდაქმნის კეთილშობილ ამოცანებს ემსახურება, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მაღალკუმანურ მიზნებს გამოხატავს, მუდამ და ყოველთვის ასახავს ლენინური თეორიის გრანიტის საფუძველს ემყარება.

„მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“—ვ. ი. ლენინის ამ კლასიკურ ნაშრომში ჩამოყალიბებული და განვითარებული იდეები წარმოადგენენ მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის, მისი საპროგრამო პრინციპების — ცხოვრებისეული სიმართლის, კომუნისტური პარტიულობის, ხალხთან მჭიდრო კავშირის ფუძემდებლურ და ურყევ თეორიულ დებულებებს.



გრიგორ შუხიაძე

ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ბატონყმობასა
და საბატონო რეზორმისადმი

ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ ბატონყმობის ეპოქის „სამეურნეო სისტემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მიწის მეურნეობის მოცემული ერთეულის, ე. ი. მოცემული მამულის მთელი მიწა იყოფოდა საბატონო და საგლეხო მიწად; უკანასკნელი ნადელად ეძლეოდათ გლეხებს, რომლებიც (გარდა ამისა, იღებდნენ წარმოების სხვა საშუალებებსაც — მაგალითად, ხე-ტყეს, ზოგჯერ პირუტყვს და სხვ.) თავისი შრომით და ინვენტარით ამუშავებდნენ მას და იღებდნენ მისგან სარჩოს“¹.

„მემამულისათვის, — აღნიშნავს ლენინი, — ამუშავებდნენ (გლეხები — გ. ფ.) საბატონო მიწას, თავისთვის — თავის ნადელებს; მემამულისათვის მუშაობას ანდომებდნენ კვირის განმავლობაში განსაზღვრულ დღეებს, თავისთვის დანარჩენ დღეებს... გლეხთა „საკუთარი“ მეურნეობა თავიანთ ნადელზე მემამულური მეურნეობის პირობა იყო, მას მიწნად ჰქონდა არა გლეხების „უზრუნველყოფა“ საარსებო საშუალებებით, არამედ მემამულეთა — მუშა ხელით“², ამის შემდეგ

ლენინი ამბობს: „მეურნეობის სწორედ ამ სისტემას ვუწოდებთ ჩვენ საბატონო მეურნეობას. ცხადია, რომ ამ სისტემის გაბატონებული მდგომარეობა ჰგულისხმობდა შემდეგ აუცილებელ პირობებს: ჯერ ერთი, ნატურალური მეურნეობის ბატონობას“. მეორე პირობად მას მიაჩნია, რომ „უშუალო მწარმოებელი მიმაგრებული იყოს მიწაზე“, მესამედ — „გლეხის პირადი დამოკიდებულება მემამულისაგან“, ხოლო მეოთხე პირობად „ტექნიკის უკიდურესად დაბალი და რუტინული მდგომარეობა“¹.

საბატონო ანუ ბატონყმური მეურნეობის ეს კლასიკური დახასიათება ქართულ ბატონყმობაზეც ვრცელდება.

ბატონყმობა საქართველოში XII საუკუნისათვის „ხდება ქვეყნის სოციალურ ურთიერთობათა გაბატონებული ფორმა“. მომდევნო ხანაში ბატონყმობა განმტკიცდა XIV საუკუნის მეორე ნახევრისათვის. ფეოდალი 30 წლის მანძილზე არ კარგავს უფლებას ეძებოს და უკან დააბრუნოს გაქცეული ყმა.

შემდგომ პერიოდში ბატონყმური ურთიერთობა კვლავ იცვლება. XVIII

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტომი 3, 1948 წ., გვ. 204.

² იქვე, გვ. 207.

¹ იქვე, გვ. 208-209.

საუკუნის დასასრულისათვის გლახთა ექსპლოატაცია გაძლიერდა.

XIX საუკუნეში ბატონყმური ურთიერთობა საქართველოში კიდევ უფრო მძიმე გახდა. ეს გამოწვეული იყო საქართველოში დამკვიდრებული რუსეთის თვითმპყრობელური ხელისუფლების მიერ ისეთ ღონისძიებათა გატარებით, რომელსაც ქართული ბატონყმური ინსტიტუტი რუსეთში არსებული-სათვის უნდა დაექვემდებარებინა.

ერთი ასეთი ღონისძიება იყო ის, რომ:

1. 1832 წელს ქართველ მებატონეებს დამნაშავე ყმების კავკასიის ოლქის ფარგლებში საცხოვრებლად გადასახლების უფლება მიენიჭათ. მეფის ნაცვალის კავკასიაში მ. ვორონცოვი თავის პატაკში აღნიშნავდა, რომ მისი წინადადებით კავკასიის კომიტეტმა განიხილა გათავისუფლების მასობრივად მოთხოვნის საკითხი და 1849 წლის 28 აგვისტოს დებულებით დაადგინა: გაუქმებულ იქნას 1836 წლის კანონი, რომელიც საქართველოს ყოველ გლახს უფლებას ანიჭებს დაიწყოს თავისუფლების ძიება, თუ მის მფლობელობაზე მებატონეს არ მოეპოვება სათანადო აქტები.

2. მემამულეთა გლახს თავისუფლების მოსაპოვებლად მხოლოდ მაშინ შეუძლია აღძრას ძიება, როცა წინაპართა თავისუფლების დამადსტურებელ რაიმე საბუთს წარადგენს. ძიებანი გათავისუფლების შესახებ იმის გამო, რომ მემამულეს მფლობელობის საბუთი არა აქვს, საერთოდ არ იქნას დაშვებული;

3. ეს წესი ამიერკავკასიის საკრებულო ადგილებში დაკანონდეს იმ გლახების ძიების მიმართაც, რომელიც დაწყებულია, მაგრამ ჯერ არ არის დამთავრებული.

აღნიშნული და სხვა მსგავსი ღონისძიებანი ქართველი გლახობის ისედაც მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა. ამასთან, მეფის მთავრობამ ქართველი გლახობისათვის უჩვეულო და მძიმე გადასახადებიც შემოიღო.

ასე რომ, ადგილობრივ ფეოდალურ უღელს XIX საუკუნეში კერძო მფლობელური უღელიც დამატდა.

როგორი იყო საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების საერთო დონე და ხასიათი XIX საუკუნის 50-იანი წლების გასულსა და 60-იანი წლების დამდეგისთვის, როცა სამოღვაწეო ასპარეზზე ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძე გამოვიდა?

რუსეთთან შედარებით საქართველო ამ მხრივ უფრო დაბალ დონეზე იდგა. რაც მეფის მთავრობის კოლონიურმა პოლიტიკამ გამოიწვია. საქართველოში სოფლად მხოლოდ ისეთი დარგები ვითარდებოდა, რომელიც ნედლეულს დაუმზადებდა მეტროპოლისის (რუსეთის) მრეწველობას. საერთოდ, მთავრობა სოფლის მეურნეობის გარდაქმნას უფრო მთავრელობდა, ვიდრე მრეწველობის განვითარებას. ის შესაძლებლად თვლიდა მრეწველობის მხოლოდ იმ დარგების განვითარებას, რომელიც ზიანს ვერ მიაყენებდა მეტროპოლისის მრეწველობას. ასეთ დარგებს მიეკუთვნებოდა: კერამიკის წარმოება, ტყავის, სპანის, თამბაქოს, აბრეშუმისა და სხვათა დამზადება-დამუშავება. დანარჩენი სახის პროდუქციას საქართველოში ძირითადად შინამრეწველები და ხელოსნები ამზადებდნენ, ან სხვა ქვეყნებიდან, პირველ რიგში რუსეთიდან შემოჰქონდათ.

ამ დროისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში გარკვეული ცვლილებები მოხდა. ზოგიერთი მემამულისა და მსხვილი მოხელის მეურნეობებში გაუმჯობესებულ მანქანა-იარაღებს ხმარობდნენ. მათ მთავრობაც უწყვიდა დასმარებას, შეღავათიან პირობებში ან სრულიად უსასყიდლოდ აძლევდა სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, თესლს, პროდუქტიულ პირუტყვსა და სხვ. ასეთ მეურნეობებში აგროკულტურული ღონისძიებების გასავითარებლად ხელისუფლება აწყობდა საცდელ-საჩვენებელ ფერმებს. ..სასოფლო-სამეურნეო ... საზოგადოე-

ბეზს“, სასოფლო-სამეურნეო გამოფენებსა და სხვ.

მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში ან მსხვილ მოხელეთა ასეთი „სანიმუშო“ მეურნეობათა მოწყობა მხოლოდ მცირე გავლენას თუ ახდენდა ქართველი გლეხების მეურნეობის განვითარებაზე.

მრეწველობაში კი გაბატონებულ ფორმას შინამრეწველობა და ხელოსნობა წარმოადგენდა, მაგრამ მათ გვერდით გარკვეულ განვითარებას მიიღწია კაპიტალისტური ეკონომიკის ელემენტებმაც. განვითარდა მანუფაქტურული წარმოება და ნაწილობრივ (ძალზე მცირე მასშტაბით) საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა. ამგვარად, რეფორმამდელ პერიოდში საქართველოში დაიწყო ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების რღვევისა და კაპიტალისტური სისტემის ჩასახვა-განვითარების პროცესი.

რაც შეეხება რუსეთს, ჯერ კიდევ 30-50-იან წლებში იქ დიდი ცვლილებები მოხდა. მრეწველობაში ხელის ტექნიკის თანდათან მანქანური (კვლიდა, ხოლო მანუფაქტურას — ფაბრიკა. დაიწყო სამრეწველო გადატრიალება. მართალია, მაშინ ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი შედარებით მცირე იყო, მაგრამ საერთოდ, რუსეთის მრეწველობა საგრძნობლად განვითარდა.

დაიწყო რკინიგზის მშენებლობა და ნაოსნობის განვითარება: 1836 წელს აგებულ იქნა ცარსკოსელსკის, 1848 წელს ვარშავა-კინისა და 1851 წელს ნიკოლაევის რკინიგზები, ხოლო ნაოსნობა დაიწყო ვოლგაზე, დნებრზე, შვესა და კასპიის ზღვებზე.

ამასთან, სოფლის მეურნეობაშიც დაინერგა კაპიტალისტური ურთიერთობა.

ამრიგად, საერთო ეკონომიური განვითარების მხრივ რუსეთი რეფორმამდელ ხანაში შედარებით უფრო დაწინაურებული იყო, ვიდრე საქართველო.

ამის შემდეგ საჭიროა შევიხოთ გლეხთა მოძრაობის საკითხს. რიგობამდელ ხანაში (1801 — 1864 წწ.) სა-

ქართველოში გლეხთა მრავალი აჯანყება მოხდა. მეფის რუსეთის მთავრობის ბეგარა-გადასახადების სისტემამ და ადგილობრივ ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობაში წარმოქმნილმა ცვლილებებმა გლეხთა აჯანყებებს სათანადო მიმართულება და ხასიათი მისცა. აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა, XIX ს. პირველი ნახევრის გლეხთა აჯანყებები ასე დაახასიათა: „ქართველი გლეხობა იბრძოდა იმ შევიწროებათა წინააღმდეგ, ახალი ხელისუფლების დამყარებას რომ შემოეყვანებინა, იბრძოდა იმ უჩვეულო და მძიმე ბეგარა-გადასახადების წინააღმდეგ, ახალმა ხელისუფლებამ რომ დააკისრა მას... ავიღოთ თუნდაც ყველაზე ცნობილი, ყველაზე გრანდიოზული და ჩვენი ისტორიოგრაფიის მიერ ყველაზე უფრო ყურადღებამიქცეული კახეთის „გლეხთა აჯანყება“. არსებითად ეს აჯანყება ბატონყმობის წინააღმდეგ არც კი ყოფილა მიმართული. იქ არც ერთი მებატონე საკუთრივ მებატონეობისათვის არ დაურბევიათ, არამედ თუ ვინმე მათგანი დაარბიეს, ეს მხოლოდ ისინი დასაჯეს, ვინც მთავრობის ჯარს აჯანყებულთა წინააღმდეგ გვერდში უდგა (როგორც ეს იყო იმერეთის აჯანყების დროს 1819-1820 წელს). რა სოციალური ხასიათის ანტიბატონყმური მოთხოვნილება წამოაყენეს კახელმა გლეხებმა იმ მრავალრიცხოვან დოკუმენტებში, მათი სახელით რომ მიუვიდა რუსულ მართებლობას? — არავითარი. როგორი იყო ამ გლეხთა საჩივარ-მოთხოვნილება ხასიათი. სწორედ და მხოლოდ ისეთი, რაც ოდნავადაც არ ეწინააღმდეგებოდა მებატონეთა ინტერესებს (და საფუძვლიანი ჩანს ეჭვი, რომ ამ საჩივრების ტექსტის შემუშავებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ის ფეოდალები, რომელნიც ამ აჯანყებას

გრიგოლ ფურცელაძე

ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ბატონყმობასა და საგლეხო რეფორმისადმი

მოთავებდნენ... მაინცდამაინც აღექ-
სანდრე ჰავაჰაძის მოხსენება, იმ-
პერატორს რომ მიაართვა 1838 წელს,
მოლიანად მოიცავს აჯანყებულ გლეხ-
თა საჩივრებს).

მაშასადამე, XIX საუკუნის პირვე-
ლი ნახევრის, უფრო ზედმიწევნით —
პირველი მეოთხედის, საქართველოს
გლეხთა გამოსვლები მეტად მცირედ
შეიცავდნენ ისეთს, რაც მათ დაუპი-
რისპირებდა მემატონეებს“.

ამრიგად, XIX საუკუნის პირველი
პერიოდის გლეხთა აჯანყებანი ცარიზ-
მის მიერ საქართველოში შემოღებუ-
ლი მძიმე საბეგარო სისტემის წინააღ-
მდეგ იყო მიმართული, თუმცა ზოგ-
ჯერ (განსაკუთრებით გურიის 1841 წ.
გლეხთა აჯანყებაში) ბრძოლა ანტი-
ბატონყმურ ხასიათსაც იღებდა.

გლეხთა აჯანყებანი საქართველოში
შედარებით ფართო და დამაბულ ხა-
სიათს ატარებენ XIX საუკუნის ორ-
მოცდაათიანი წლების მეორე ნახევარ-
სა და სამოციანი წლების დამდეგს.
განაგრძობს რა მსჯელობას საქართვე-
ლოს გლეხთა აჯანყებებზე, აკადემიკო-
სი ნიკო ბერძენიშვილი ამბობს: „მარ-
ტო ის რად ღირს, როგორც მოწმობა,
რომ ამ ბოლომოუღებელ აჯანყებებ-
ში ერთი სიტყვაც ისეთი არ თქმულა,
რომელიც გლეხთა სოციალურ საკითხს
ითვალისწინებდეს, ბატონყმობისაგან
მათ განთავისუფლებას მოითხოვდეს.
მთელ ამ აჯანყებათა სიგრძეზე არ ჩანს
არც ერთი ვინმე, რომელიც გლეხთა
სოციალურ მიზნებს გამოსთქვამდეს.
არც ერთ აჯანყებას ასეთი საკითხიც
კი არ დაუსვამს (პირველად ასეთი
ლოზუნგი საქართველოში მართლაც და
პირველმა გლეხურმა აჯანყებამ—სამეგრ-
ელოს გლეხთა აჯანყებამ მოგვცა 1858
წელს. სამწუხაროდ, გურიის გლეხთა
აჯანყება 1841 წლისა ამ მხრივ საკმაოდ
შესწავლილი არაა)“.

1856—1857 წლების სამეგრელოს
გლეხთა აჯანყებას თავისი ხასიათითა
და მასშტაბით დიდი გამომხატურება
ქონდა მეფის რუსეთში. აჯანყებაში
ქონაწილეთა რიცხვი 15 ათასს აღემატე-

ბოდა. ამ მოძრაობას მკვეთრად გამოხატ-
ული ანტიბატონყმური ხასიათი აქონ-
და. გლეხებმა წოდებრივი თანასწორობა
გამოაცხადეს და უარი თქვეს მემატონე-
თა ვალდებულებების შესრულებაზე.
აჯანყებულებმა შესძლეს მთელი ძალა-
უფლების ხელში აღება. მაგრამ მეფის
ხელისუფლებამ შესძლო სამეგრელოს
გლეხთა აჯანყების ჩაქრობა სამხედრო
ნაწილების, პოლიციისა და ადგილობ-
რივი თავადაზნაურობის დახმარებით.

1857 წელს იმერეთში საბატონო
გლეხთა სერიოზული მღელვარება დაი-
წყო (სოფ. ამალეზა, დიმი, ბაღდადი,
უხუთი და სხვა). აჯანყებულმა გლე-
ხებმა უარი განაცხადეს ვალდებულე-
ბათა შესრულებაზე მემატონეთა სა-
სარგებლოდ. სამხედრო ნაწილებმა ქუ-
თაისის გუბერნატორის მითითებით
შესძლეს გლეხთა მღელვარების ლიკ-
ვიდაცია. ეს აჯანყება, ისევე როგორც
საქართველოს სხვადასხვა კუთხის გლე-
ხების მომდევნო აჯანყებები, უმთავ-
რესად ბატონყმობის წინააღმდეგ იყო
მიმართული. 1857 წლის იმერეთის
გლეხთა აჯანყება, მართალია, ამხელდა
მემატონეთა თვითნებობას, რომელიც
გლეხებს სასტიკად ავიწროვებდნენ,
მაგრამ ამ აჯანყებამ მაინც ვერ მოახ-
დინა გავლენა მემატონეთა თვითნებო-
ბასა და აღვირახსნილობაზე.

XIX საუკუნის 60-იანი წლების პირ-
ველ ნახევარში აღსანიშნავია გურიის
გლეხთა 1862 წლის აჯანყება მემატო-
ნეთა: გურაელის, ნაკაშიძისა და მაჭუ-
ტაძის წინააღმდეგ. მომდევნო 1863
წელს ანალოგიური აჯანყება მოხდა
სამეგრელოში მემატონე ჩიქოვანების
წინააღმდეგ.

1863 წელს აღმოსავლეთ საქართვე-
ლოს რიგ რაიონებში გლეხები მემა-
ტონეთა წინააღმდეგ გამოვიდნენ: ქსნის
ხეობაში ერისთავების, სურამის რაიონ-
ში სუმბათაშვილებისა და სოფელ ერ-
თისში გაბაშვილის წინააღმდეგ.

გლეხთა დასახლებულ გამოსვლებს
ლოკალური ხასიათი ჰქონდა და ამდენ-
ად მათი როლიც შედარებით უმნიშ-
ვნელო იყო.



გლახთა ცალკეული გამოსვლები და მღელვარებანი, რომლებიც მიმართული იყო ბატონყმობისა და ცარიზმის პოლიციური რეჟიმის წინააღმდეგ, მოხდა 1864 წელს თბილისისა და თიანეთის მაზრებშიც.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ყველა ანტიბატონყმური აჯანყება იმავე დროს ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლასაც გულისხმობდა, რადგან მებატონეთა ინტერესებს საქართველოში ცარიზმის ხელისუფლება განახორციელებდა. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, გლახთა აჯანყებანი ცარიზმის მიერ საქართველოში შემოღებული მძიმე ბეგარა-გადასახადების სისტემის წინააღმდეგ, არ შეიძლება ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლად ჩაითვალოს. ორივე სახის ბრძოლამ კი საბოლოო ანგარიშში ცარიზმის შემფოთება გამოიწვია.

როგორი სახე და ხასიათი ჰქონდა გლახთა მოძრაობას თვით რუსეთში?

ჯერ კიდევ 1830-იანი წლების დამდეგს რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში დაიწყო გლახთა მასობრივი მღელვარება. 1830 წელს ხოლერის ეპიდემიის წინააღმდეგ საკარანტინო ღონისძიებებით გამოწვეული ძალადობის საპასუხოდ გლახებმა და ქალაქის ღარიბებმა დაარბიეს პოლიციის სამმართველო და სახაზინო საავადმყოფოები. ზოგ ქალაქში, მაგალითად ტამბოვში, შეუძლებელი აღმოჩნდა ამ გამოსვლების ჩახშობა, რადგან გარნიზონის ათასეულმა არ შეასრულა ბრძანება—ცეცხლი დაეშინა უიარაღო ხალხისათვის. პოლიციელები მიიმაღნენ, ხოლო გუბერნატორი გაიქცა... 1831 წლის ივნისში კი ღარიბთა მასობრივი გამოსვლა თვით პეტერბურგში დაიწყო. სამი კვირის შემდეგ მოძრაობაში ჩაებნენ ნოვგოროდის გუბერნიის სამხედრო დასახლებანი. აჯანყებულებმა გაელიტეს ოფიცრები და მოხილეები, განაიარაღეს პოლიცია, შექმნეს საარჩევნო კომიტეტები და დაიკავეს ქალაქი სტარაია რუსა. სამხედრო დასახლებათა კვალდაკვალ აჯანყდნენ მახლობელ მებატონეთა ყმა გლახები. სასახლის წრე-

ები და პეტერბურგის წარჩინებულნი პანიკამ მოიცვა.

აღნიშნული სახალხო მღელვარება, რომელიც ოფიციალურ დოკუმენტებში „ხოლერის ჯანყის“ სახელითაა ცნობილი, არსებითად გამოხატავდა ხალხის მასების სტიქიურ პროტესტს ბატონყმობის წინააღმდეგ.

ბატონყმური ურთიერთობის სიმწვავეს რუსეთში კარგად გამოხატავდა ეანდარმთა შეფის ბენკენდორფის 1839 წლის მოხსენება იმპერატორ ნიკოლოზ პირველისადმი: ის რჩევას აძლევდა იმპერატორს, გარკვეული ღონისძიებანი გაეტარებინა გლახთა გამწვავებული კლასობრივი წინააღმდეგობის შესასუსტებლად.

მეფის ხელისუფლება დაკმაყოფილდა 1842 წელს გამოცემული კანონით „ვალდებულ გლახთა შესახებ“. ამ კანონით მებატონეებს უფლება ენიჭებოდა სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე გლახებისათვის მიეცათ მიწის ნაკვეთები. მებატონის მიწა გლახს ეძლეოდა შთამომავლობით, ის ფაქტიურად მებატონისაგან დამოკიდებული რჩებოდა. მაგრამ მეფის იმედი არ გამართლდა, რადგან შემამუღეთაგან ძალზე ცოტამ მოისურვა აღნიშნული კანონით სარგებლობა: 13 წლის მანძილზე „ვალდებულ გლახთა“ თანრიგში 10 მილიონი გლახიდან გადაყვანილ იქნა მხოლოდ 24 ათასი სული.

40-იან წლებში რუსეთში იზრდებოდა გლახთა მასობრივი მოძრაობა და გლახთა გამოსვლები უკვე აღარ იფარგლებოდა ერთი სოფლით. 1849 წლის შემოდგომაზე კურსკის გუბერნიის პუტილოვის მაზრაში ერთბაშად აჯანყდა 10 ათასამდე გლახი. აჯანყებულ გლახთა წინააღმდეგ ხელისუფლებამ რეგულარული კავალერიის ოთხი ესკადრონი გაგზავნა.

მასობრივი მოძრაობა ბატონყმური

კრიგოლ ფურცელაძე
ილია ჩაგვაგაძის დამოკიდებულება ბატონყმობასა და საგლახო რეფორმისადმი

ინსტიტუტის წინააღმდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა XIX საუკუნის 50-იან წლებში. იმდენად გამწვავდა კონფლიქტი საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის, ხოლო კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი იმდენად გაიზარდა, რომ ფეოდალიზმსა და მეურნეობის ძველ სისტემას საფუძველი შეერყა. სწორედ ამან გამოიწვია ფეოდალიზმის კრახი, რევოლუციური ხასიათის კრიზისის წარმოშობა და ახალ — კაპიტალისტური წარმოების წესზე გადასვლა.

გლახთა მასობრივი მოძრაობა რუსეთში მეტად გაძლიერდა ყირიმის ომის დროს. 1854 წელს გამოქვეყნდა ბრძანებულება ოთხი გუბერნიის (პეტერბურგის, ნოვგოროდის, ტვერისა და ოლონეცკის) მოხალისეთა რიცხვიდან საზღვაო ფლოტილის ფორმირების შესახებ. ამოძრავდნენ ცენტრალური რაიონებისა და ვოლგისპირეთის ყმა გლეხები, რომლებმაც მიატოვეს მინდვრის სამუშაოები და დაიძრნენ საქალაქო ცენტრებისკენ, განსაკუთრებით მოსკოვისკენ, იმ იმედით, რომ ლაშქარში სამსახური გაათავისუფლებდათ ბატონყმობისაგან. მეფის მთავრობამ „თვითნებურად წასულთა“ ეს სტიქიური ნაკადი შეაჩერა. მოსკოვამდე მიღწეულ გლეხებს საპრობილევებში ათავსებდნენ, ბორკილებს ადებდნენ და ბაღრაგის თანხლებით მებატონეთა მამულებში აბრუნებდნენ.

1855 წლის გაზაფხულზე გლახთა მოძრაობამ ახალი ძალით იფეთქა. გამოიკა სახელმწიფო ლაშქრის შესაკრები მანიფესტი. ამ აქტის შინაარსი გლეხებმა ისე გაიგეს, თითქოს მეფე მათ ნებაყოფლობითი სამხედრო სამსახურის გამო გაათავისუფლებას პირდებოდა. მღელვარებამ მოიცვა 16 გუბერნია; ამჯერადაც გლეხები საბატონო ბეგარის შესრულებას თავს ანებებდნენ და მოლაშქრედ ჩასაწერად ქალაქისკენ მიეშურებოდნენ. მეფის მთავრობამ მღელვარებით მოცული რაიონებისკენ ცხენოსანი და ქვეითი ჯარის ნაწილები დასძრა.

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ კი, 1856 წლის ზაფხულში ეკონომიკური ნოსტალგისა და ხერსონის გუბერნიების ზოგ მახარაში გლეხები თითქმის ერთიანად აიყარნენ თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან და ტავრის „თავისუფლების“ მოსაპოვებლად გაემგზავრნენ. ეს გამოიწვია ფართო მასებში გავრცელებულმა ხმა. — მეფე ნებაყოფლობით გადასახლებულთ ყირიმში მიწას ურიგებს და მათ მებატონის უფლისგან ათავისუფლებსო. მაგრამ გზაზე ჩასაფრებული მეფის სამხედრო ნაწილები გაქცეულ გლეხებს დაუზოგავად ხოცავდნენ.

ამრიგად, გლეხობას ბრძოლა რუსეთში საქართველოსთან შედარებით უფრო ფართო და დაძაბული ხასიათისა იყო, რასაც აპირობებდა ამ ქვეყნის საერთო ეკონომიური განვითარების შედარებით მაღალი დონე.

ყოველივე ამასთან ერთად უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველო კოლონიური ქვეყანა იყო. ამ გარემოებას უეჭველია, თავისებური გავლენა უნდა მოეხდინა თერგდალეულთა იდეოლოგიის შემუშავებაზე.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ასახულია ორი პრობლემა — ეროვნული და სოციალური. საქართველოს კოლონიური მდგომარეობისა და ეროვნული ჩაგვრის ასახვა, რომელსაც ქართველო ხალხი განიცდიდა მეფის რუსეთის ბატონობის პირობებში, ჩვენი დიდი განმანათლებლის შემოქმედებაში უპირატესად აღვიღს იჭერს, თუმცა სოციალური პრობლემაც სათანადოთაა ასახული.

ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ილია სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული წერდა: „აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა, და დაე გვძრახონ, ჩვენ მის ძეგნით დავლიოთ დღენი“... („ჩემო კალამო“)

მაგრამ ჩვენს ამოცანას ამჟამად შეადგენს ილიას შეხედულებათა დახასიათება ბატონყმობისა და საგლეხო რეფორმაზე. ამისთვის ჩვენ უნდა დავემ-

ყართ მწერლის მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებს.

ბატონყმობის მოტივებზეა აგებული ილიას შემდეგი მხატვრული ქმნილებები: „გუთნის დედა“ (1858 წ.), „აჩრდილი“ (1858—1859 წ.წ.), „კაკო ყაჩალი“ (1860 წ.), „გლახის ნაამბობი“ (1859 წ.), „კაცია ადამიანი?“ (1863 წ.). შეგნიშნავთ, რომ „აჩრდილში“ სოციალურ საკითხთან (ბატონყმობა) ერთად წამოყენებულია ეროვნული საკითხიც. დასახელებულ ნაწარმოებებში, ბატონყმური ურთიერთობის მძიმე სურათების ასახვასთან ერთად, ილია მებატონეთა წინააღმდეგ გლახთა შეუთრეგებელ ბრძოლასაც გვიხატავს. ილიას კმირები: კაკო, ზაქრო და გაბრო იარაღით უსწორდებიან გულქვა მებატონეებს.

როგორაა წარმოდგენილი ბატონყმობის საკითხი ილიას პუბლიცისტურ შემოქმედებაში?

პირველ რიგში საჭიროა აღინიშნოს, რომ ილია ჭკვევამდეს სწორად აქვს წარმოდგენილი ბატონყმობის წარმოშობის საკითხი. ის წერს: „სხვადასხვა საეკონომიო და საპოლიტიკო თვისების მიზეზთა გამო... ზოგადმა ელემენტმა საკუთრებისამ თანდათან გზა დაუთმო პირადსა, და პირადის ელემენტის გამარჯვება მთლად და უნაკლოდ გამოისახა მთელის თავისის სასტიკობითა ფეოდალობაში, რომელმაც შემოიტანა ბატონყმობა, ესე იგი, - იმისთანა წყობა, რომელიც მართო უფლებად უმოვალეობო, უსაზღვრო, პირობადაუდებელი, და რომელსაც სხვა საგანი არა ჰქონდა-რა, გარდა ცალკე კაცის პირადის კეთილდღეობისა.“

საზღვარდაუდებელმა უფლებამ საკუთრების პირადის ელემენტისამ მოუყარა თავი მამულებს კერძო კაცთა ხელში... განაშორა მუშაბელი სამოქმედო საგანს — მიწასა, განაცალკევა მუშა და სამუშაო საგანი“.¹

ბატონყმურ ინსტიტუტს კი ილია

ასე აფასებს: „ბატონყმური დამოკიდებულება უსამართლო საქმეებსა, საცა ცხადი და აშკარა უსამართლობაა, იქ სამართლიანობის პოვნა ყველასათვის ადვილია“¹.

ამრიგად, ბატონყმობის წარმოშობის დახასიათებასთან ერთად, ილია მას აფასებს, როგორც უსამართლო წყობილებას.

ილია საქართველოს ბატონყმობაზე შემდეგი აზრისაა: „...წოდებათა შორის უფლების ცილება, ეკონომიურის თუ პოლიტიკურისა, ცილება — რომელიც უაღრესი მიზეზი იყო დაუძინებლის განხეთქილებისა სხვა ქვეყნებში, ჩვენში არ არსებობდა. ამიტომაც არც წნეობით, არც აზრით, არც გრძნობით, არც მიმართულებით და არც ჩვეულებით ჩვენი თავადაზნაურობა არ დაპშორებია გლახობას, არ შეუქეტნია თავი, თავისი საკუთარი ინტერესები არ შემოუხეზავს ისე, როგორც სხვაგან... ჩვენში გლახთა და სხვა წოდებათა შორის კეთილი მიდრეკილება სუფევს... ჩვენს ცხოვრებაში არის იმისთანა ფესვი, რომელთა ზედაც შეიძლება ამოვიდეს სიკეთე ერთობისა და ყველასათვის სახიეროდ გაიშალოს“... და ბოლოს კიდევ ასეთი ნაწყევტი: „ერთს ბიჯსაც წინ ვერ წავდგამთ ამ ბრძოლაში (ილია გულისხმობს ბრძოლას „ყოველგვარ შევიწროებასთან“), თუ ყველამ ცალკე გავიწიეთ, ყველამ ცალკე ვიბრძოლეთ. თუ ესეა, ნუთუ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთს კვალში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყოს ყველასათვის? ნუთუ ყოველი ჩვენგანი არ უნდა ცდილობდეს სრულიად აღმოიფხვრას ჩვენთა წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზნი, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს დიდებულს დენას შეერთებულის ძა-

¹ იქვე, გვ. 137.

გრიგოლ ფურცელაძე

ილია ჭკვევამდის დამოკიდებულება ბატონყმობასა და საგლეხო რეფორმისადმი

¹ ილია ჭკვევამდეს ტომი VI, 1956 წ., ხიზნების საქმე, ნარკვევი მეორე (1866 წ.), გვ. 142.

ლისას? ამიტომაც დიდად სცოდნენ, — ამბობს ილია, — ქვეყანასა და ხალხსაც ნამეტნავად ჩვენში, — ისინი, ვისაც გულში ჩაუდვია, გინდა თუ არა განხეთქილება უნდა იყვესო წოდებათა შორის, რადგანაც ევროპაში ეგ განხეთქილება სუფევსო“¹.

მოტანილი ადგილები აშკარად მეტყველებენ ილიას „წოდებათა შერიგებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის“ თეორიაზე.

წოდებათა ბრძოლის ფაქტის უგულვებელყოფა საქართველოში და მათი შერიგების იდეა ილიასათვის წარმოადგენდა მისი უმთავრესი მრწამსის — საქართველოს ეროვნული გათავისუფლების საყრდენს. ამ საკითხზე საინტერესო მოსაზრებას ვამოსთქვამს პროფ. ლ. გორგილაძე: „მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როცა კაპიტალიზმის განვითარების შედეგად ეროვნული ერთიანობა იქმნებოდა და ის-ის იყო გზა ეხსნებოდა კლასების მიხედვით გამოიჯვანს, შეიძლებოდა ქართველ სამოციანელებს ელაპარაკათ ერთობაზე და ვერ დაენახათ, რომ კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან ერთად ეს „ერთობა“ თანდათან ქრებოდა“.

ამრიგად, მხატვრულ შემოქმედებაში ბატონყმური წყობილების დიდი პროტესტანტი, დაუნდობელი ბრძოლის მქადაგებელი აღვირახსნილ მებატონეთა წინააღმდეგ, ილია ჭავჭავაძე თავის პუბლიცისტურ ნაწარმოებში წოდებათა შერიგების თეორიის ავტორია, მაგრამ, როგორც სამართლიანად მიუთითებს ლ. გორგილაძე, „ეს არ ყოფილა ერთი მსოფლმხედველობის მეორეთი შეცვლა... ილია დარჩა იმავე, რაც იყო: ქართველი ხალხის ეროვნულ-დემოკრატიულ მისწრაფებათა გამომხატველი“.

მკვლევარი პროკოფი რატიანი ამავე საკითხზე შემდეგს წერს: „ნაკლოვანე-

ბანი და სუსტი მხარეები ი. ჭავჭავაძისა, როგორც მოაზროვნისა, მისწრაფება: თანამიმდევრობა, მისი გადახრები რევოლუციურ-დემოკრატიის პოზიციიდან ლიბერალიზმისაკენ, მის მიერ კლასთა ბრძოლის უარყოფა ჩვენში და სხვ. შემთხვევითი მოვლენა როდია (ან ისეთი რამ, რასაც შეეძლოს დაამციროს ილიას გენიალობა და ჩრდილი მიაყენოს მის გულწრფელობას); ესაა გამო-მონახულება იმ პირობებისა, — წინააღმდეგობებით სავსე და ჩამორჩენილი ცხოვრების პირობებისა, რომელშიც იყო საქართველო, — მეფის რუსეთის უუფლებო მხარე — XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში“.

განვიხილოთ ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება საგლეხო რეფორმისადმი. 1861 წელს მეფის მთავრობამ რუსეთში გაატარა საგლეხო რეფორმა. ამის გამო ვ. ი. ლენინი წერდა: „დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ბატონყმობის უკანასკნელი ნაშთები მოსპო 1789 წ. რევოლუციამ საფრანგეთში, 1848 წ. რევოლუციამ — დანარჩენი ქვეყნების უმეტეს ნაწილში. რუსეთში 1861 წელს ასწლობით შემამულეთა მონობაში მყოფ ხალხს არ შეეძლო ამდგარიყო და დაეწყო ფართო, აშკარა, შეგნებული ბრძოლა თავისუფლებისათვის. იმდროინდელ გლეხთა აჯანყებებს განმარტოებული, დაქუცმაცებული სტიქიური „ჯანყის“ ხასიათი ჰქონდათ, და მათ აღვივლად ახშობდნენ. ბატონყმობა გააუქმა არა აჯანყებულმა ხალხმა, არამედ მთავრობამ, რომელმაც ყირიმის ომში დამარცხების შემდეგ დაინახა ბატონყმური წესწყობილების შენარჩუნების სრული შეუძლებლობა“¹.

1864 წელს საგლეხო რეფორმა აღმოსავლეთ საქართველოშიც გატარდა. ხოლო ამის შემდეგ ის თანდათანობით განხორციელდა საქართველოს სხვა

¹ ილია ჭავჭავაძე. ტომი VI, 1956 წ., ცხოვრება და კანონი, გვ. 55-57.

¹ ვ. ი. ლენინი. თხზულებანი XVII, „ბატონყმობის გადავარდნის ორმოცდაათი წელი“, გვ. 87.

კუთხეებშიც. რეფორმის შედეგად გლეხებს სრული მოქალაქეობრივი უფლებები არ მიუღიათ, ხოლო ეკონომიურად ისინი უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: მათ ჩამოაჭრეს მიწების ნაწილი და მეზატონეებს გადასცეს. „გლეხთა გათავისუფლებას“ მეზატონური ხასიათი ჰქონდა, რის გამოც გლეხთა აჯანყებები არ შეწყვეტილა; ისინი ნამდვილი თავისუფლებისათვის იბრძოდნენ.

თერგდალეულები და ილია ჭავჭავაძე საგლეხო რეფორმის შეფასებისას გლეხობის ინტერესებს იცავდნენ და 1864 წლის დებულებებსაც ამ თვალსაზრისით განიხილავდნენ, მაგრამ რუსეთისა და საქართველოს საერთო განკითხვის იმ სხვაობამ, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ბუნებრივია, რომ ამ განხილვასაც თავისი დალი დაასვა.

რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატი და კერძოდ, ნ. ჩერნიშევსკის შეხედულებანი საგლეხო რეფორმასა და მის დებულებებზე უფრო რადიკალური იყო, ვიდრე ქართველი თერგდალეულებისა და თვით ილია ჭავჭავაძისა.

ცნობილია, რომ ნ. ჩერნიშევსკი საგლეხო რეფორმის მომზადებისას ყოველთვის გლეხთა ინტერესებს იცავდა. 1860 წლის ბოლოსა და 1861 წლის დამდეგს მან დაწერა პროკლამაცია — „საზატონო გლეხებს“ სალამი მათი კეთილმოსურნეთაგან“, სადაც გლეხებს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. ეს პროკლამაცია იმ პროკლამაციების ფართო გვემის ერთ-ერთ რგოლად გადაიქცა, რომელიც რუსეთის მოსახლეობის სხვადასხვა ფენების: გლეხების, სალდათებისა და ახალგაზრდობისადმი იყო მიმართული.

ჩერნიშევსკი გლეხთა რევოლუციის იდეებს ქადაგებდა და მათ ნაჯახისკენ მოუწოდებდა.

ვ. ი. ლენინი წერდა: „...ჩერნიშევსკი მარტო სოციალისტ-უტოპისტი როდი იყო. ის იყო აგრეთვე რევოლუციური დემოკრატი. ის... ატარებდა გლეხთა

რევოლუციის იდეას, ყველა ძველი ბულისუფლების დასამხობად და მასზე ბრძოლის იდეას. 61 წლის მანამდე რეფორმას... მან სისაძაგლე უწოდა. ვინაიდან ის ნათლად ხედავდა მის ბატონყმურ ხასიათს.“¹

ნ. ჩერნიშევსკი ნათლად ხედავდა, რომ რუსეთში ახლოვდებოდა სახალხო რევოლუცია და მასში აქტიური მონაწილეობის მისაღებად ემზადებოდა. რევოლუციის ძირითად ძალად მას ხალხის მასები და პირველ რიგში გლეხობა მიაჩნდა.

ნ. ჩერნიშევსკი მოითხოვდა ბატონყმობის რევოლუციურ დამხობას და გლეხობისათვის მთელი მიწის უსასყიდლოდ გადაცემას.

როგორი იყო ილიას პოზიცია საგლეხო რეფორმისადმი? ილია წერს: „1864 წ. მოხდა ჩვენი ყმების განთავისუფლება. მოისპო ჩვენი ერთიანგან მეორის ადამიანობის გაქვლვის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს... ხოლო ბატონყმობის საქმეში არის მეორე მხარეც, რომელსაც ქვეყნის კეთილდღეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. განთავისუფლებულს გლეხებს დაბინავება უნდოდა... ჯლეხს ბინა მიეცა, მიწა მიეცა.“² მაგრამ ილიას არ აკმაყოფილებს ის, რომ „გლეხის ადრინდელი ბინა და მიწა საზატონოდ აღიარეს და გლეხს სახმარისად დაუტევეს“. ის აღნიშნავს, რომ „გლეხისა და ნაზატონარის შორის“ უფლება-მოვალეობის განსაზღვრაში „მოხდა ის, რამაც ჩვენი თავდაპირველი სიხარული არ გაამართლა“. ეს იმით გამოიხატა, რომ ქართველი საზოგადოების უმრავლესმა ნაწილმა, ილიას სიტყვით, —

¹ ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, XVII, „საგლეხო რეფორმა“ და პროლეტარულ-გლეხური რევოლუცია, გვ 130.

² ილია ჭავჭავაძე — ცხოვრება და კანონი, ტ. VI, 1956 წ. გვ. 9.

გრიგოლ ფურცელაძე
ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ბატონყმობასა და საგლეხო რეფორმისადმი

„ირჩივა საქმის გათავება ისე, რომ გლესსა და ნაბატონარს შორის ცოტა კლანჭამოსადები რამ დარჩენილიყო. ჩამოვარდა მეოთხედობა — ეს განუსაზღვრელი მიზეზიანი მოვალეობა ერთისა და მეორისაც“, მაგრამ „გლესი უფრო ცუდს დღეში იყო... ბატონის კაცის ღოდინში სული ეღეოდა, ავდარმა ნამუშევარი არ წამისდინოსო, არ მოუცდიდა კიდევ — შიში ჰკლავდა, მეტს—წამომედავებიაო“¹. ილია დასძენს, რომ „ამ მეოთხედობას... სხვა აუცილებელი კანონიც დაერთო“, რომლის მიხედვით გლესს „უსათუოდ რგებული მიწების (ნადელის — გ. ფ.) ნახევარი ყოველწლივ უნდა მოეხნა“, რამაც „მრავალი შფოთი ჩამოაგდო... ამ ორ წოდებათა შორის“. ამის გამო ილია აცხადებს, რომ „იმისთანა სამუდამოდ წილზედ ჰქერა, რომელიც ამჟამად განხორციელებულია მეოთხედობაში, ჩვენის ცხოვრების ნერგზედ არ არის აღმოცენებული: რადგანაც... მეოთხედობა წილია და არა გადაკვეთილი ღალა, და მერე იმისთანა წილია, რომლის მოპოებაშიაც ხარჯი სრულად ერთის მხრისაა და არა ორივე მონაწილისა მანაც“². ამიტომ ის გარკვევით აღიარებს, რომ „ჩვენში გადაკვეთილი ღალა წარმოებდა, დღიურზედ ერთი კოდი“.

ილია ჭავჭავაძე ამასთან დაკავშირებით ეხება დებულების 172-ე მუხლს, რომელიც ვარაუდობს, რომ „წილზედ ჰქერა მამულისა... ერთს გარდაკვეთილ გარდასახად აღ იქცეს“.

ეს მუხლი ღალის ნორმებისა და მოცულობის ზუსტად აღრიცხვის შემდეგ ითვალისწინებდა ღალის კომუტაციას, ე. ი. ნატურალური რენტის ფულადზე გადაყვანას „ნაყმევის გარდასახადი ერთობ ფულად განისაზღვროს, ე. ი. ჩვეულებრივი მიწის მოსავლით გარდასახადი მასტა, როგორც ფულადი გადასახდელი, აქ ფულადი რენტის

მნიშვნელობით იხმარება“. — მაგრამ ილიას აზრით, ეს განზრახვა განსუხორციელებელია, რადგან „ჩვენ ვერ მოგვიფიქრებია, რა წესი უნდა იყოს იმისთანა, რომ სახნავ მიწისა და ვენახის მეოთხედი, ანუ სათიბის მიწის მესამედი ცნობაში მოიყვანოს და ეს მოყვანილი ცნობა მართალი და უტყუარი იყოს“... მასთან ის მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ „ფული ძნელად ჩაუვარდება ხელში გლესსა, რომლის სიმდიდრე დღესაც ფულიანობით კი არ იზომება. არამედ პურისა და ღვინის მეტ-ნაკლებობითა, ე. ი. მიწის მოსავლით“. „თუნდ ეგეც არ იყოს, — განაგრძობს ილია, — ჩვენ ვერ მიმხვდარვართ — რა საჭიროება მოითხოვს, რომ სულადით გარდასახადი ფულად იქცეს? საქმე მაგ გარდასახადის (ღალისა და კულუხის) განსაზღვრაა“, ე. ი. დადგინდეს არა საწილო, არამედ გარდაკვეთილი ღალა. მასთან ილიას აზრით, ჩვეულებით „გლესი დღეს — აქამომდე ღალას თუ კულუხს მიწის მოსავლით იხდიდა და ფულით გარდასახადს ერიდებოდა. ჰირი ხომ ჰირია, მაგრამ ჩვენი ხალხი ამაზედაც ამბობს, რომ შეჩვეული სჯობია შეუჩვევარსო“.

ამის შემდეგ ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს: „გამოიცვლება 172 მუხლის ძალითა აწინდელი წილადობილი ღალა და კულუხი თუ არა, მანინცდამანინც ამას ვიტყვით, რომ ეს არ არის გვირგვინი ბატონ-ყმობის საქმისა. ეგ შუაგზაა, უკეთესი მასზედ, რაც არის, და უარესი მასზედ, რაც სანატრელია. მაგზედ გაჩერება ყოვლად შეუძლებელია. დღეს თუ ხვალე საჭიროება მოითხოვს, რომ გლესი მიწის პატრონად შეიქმნას. მთავრობას... უგვიძნია ეს აუცილებელი საჭიროება და მისი აცილებისათვის ღონისძიებად მამულის შესყიდვა დაუნიშნავს“².

¹ ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება და კანონი. ტ. VI, 1956 წ. გვ. 11.

² იქვე, გვ. 18.

¹ ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება და კანონი. ტ. VI, 1956 წ. გვ. 22.

² იქვე, გვ. 25.

ის აკრიტიკებს „დებულების“ იმ მუხლს (დამატებითი კანონი 1861 წ. 19 თებერვლის წესდებათადმი ბატონ-ყმური ურთიერთობიდან გამოსულ გლახთა შესახებ თბილისის გუბერნი-ში, მე-9 მუხლი), რომლის მიხედვით გლახს არ შეეძლო მისთვის სამუდამო სარგებლობაში გადაცემული მიწის ნაკვეთის (ნადლის) საკუთრებად შექმნა მებატონის თანხმობის გარეშე. ილია აღნიშნავს: „გლახს ვალად დაადევს, რომ თუ მებატონე მოითხოვსო, უსათუოდ სახნავ-სათიბი მიწები და სამოსახლო ადგილი უნდა შეისყიდოს“. ამას ილია უარყოფს იმიტომ, რომ „ჩვენის გლახის მიდრეკილება მამულის სყიდვისადმი ძლიერი და დაუძინებელია“, რის გამო, მისი აზრით, ის კი არ უნდა ეფიქრათ გლახი მამულის ყიდვას არ ინდომებსო, ფიქრი მებატონისა უნდა ჰქონოდათ, რომ ის მამულს არ გაჰყიდდა.

პროფ. პაატა გუგუშვილი სამართლიანად მიუთითებს: „ამგვარად, ილია ჭავჭავაძე აშკარად მოითხოვდა, და ისიც მაშინდელ ცენზურულ პირობებში, რომ შემამულე უნდა ყოფილიყო კანონით ვალდებული მიეყიდა გლახისათვის მიწა, როცა უკანასკნელი მოინდომებდა და არა გლახი — ეყიდა მაშინ, როდესაც შემამულეს მოეპირანებოდა“.

ილიას კარგად ესმის, თუ რატომ ერიდება ქართველი გლახი მთავრობის შემწეობით შეისყიდოს მიწა, იმის მიუხედავად, რომ „მთავრობა ბევრით იფად აძლევს გლახს სესხსა“. ამის მიზეზად მას ის გარემოება მიაჩნია, რომ „სესხის გადასახდელად ურთიერთის თავდებობაა კანონით დადგენილი. ეგ. — აცხადებს ილია, — ჩვენებურის გლახის ჩვეულების პირდაპირ წინააღმდეგაა; წინააღმდეგია მისის მეურნეობის გამართულობისა, მისის ეკონომიურის მდგომარეობისა და მოწყობილობისა“¹. რაც შეეხება რუსეთს, ილიას

აზრით, იქ მის (ურთიერთის თავდებობის — გ. ფ.) საფუძველს წარმოადგენს „მამულების საერთოდ-სასოფლოდ მფლობელობა (თემური მფლობელობა. გ. ფ.), რასაც საერთო მოვალეობაც მოსდევს“, ხოლო „ჩვენში მფლობელობა ადგილ-მამულისა... კომლექსურია, განსაკუთრებით საოჯახოა და არა საერთო-სასოფლო“¹. ამის გამო, ილიას სიტყვით „არავითარი საბუთი არ იყო, რომ ურთიერთი თავდებობა შემოეღო... ჩვენებურს გლახს არ ესმის და, სწორედ ვითხრათ, ვერც გაიგებს რისთვის უნდა იხადოს სხვის მაგიერი ვალი, მაშინ როდესაც იმ სხვას თავისი საკუთარი ბინა აქვს, თავისი მიწა და ქონება“, ხოლო „იმ მიწასა და ქონებაზედ თვით არავითარი უფლება არ მიუძღვის, არც საზოგადოებრივი, არც კერძოებრივი“.

დასასრულ, ილია სამართლიანად მიუთითებს, რომ „ყველაზედ უმთავრესი მიზეზი, რომელიც ნაყმევთა მამულების დახსნას ხელს უშლის და დიდად აბრკოლებს, ის არის, რომ ნაყმევი მამულს ვერ იყიდის, თუ მებატონე ამას არ მოიწადინებს“. ამიტომ ის მოითხოვს, რათა „ერთობ უსაბუთოდ რთული“ კანონები მამულის დახსნისა „გამარტივდეს და სწრაფად აღსრულებაში მოვიდეს“.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძემ საგლახო რეფორმის დებულება მართებულად გააკრიტიკა. მან გამოავლინა ამ დებულების მებატონური ხასიათი და მეფის მთავრობას გლახთა ინტერესების უკუღებელყოფა დააბრალა. უდავოა, რომ მაშინდელი ცენზურის პირობებში ჩვენი სასიკადულო მოღვაწის ასეთი გამოსვლა მნიშვნელოვანი რევოლუციური ნაბიჯი იყო.

არ შეიძლება არ ითქვას ორიოდ

¹ იქვე, გვ. 29—30.

გრიგოლ ფურცელაძე
ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება
ბატონყმობისა და საგლახო რეფორ-
მისადმი

¹ ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება და კანონი, ტ. VI, 1956 წ. გვ. 29.

სიტყვა ილიას ჟურნალ „საქართველოს
„მოამბის“ საქმიანობაზე. ცნობილია,
რომ ჟურნალს აკრძალული ჰქონდა
პოლიტიკურ საკითხებზე, კერძოდ, ბა-
ტონყმობაზე წერა, მაგრამ ის შენიღ-
ბულად მაინც ახერხებდა ქართველი
ხალხის დარაზმვას დემოკრატიული
წყობილების დამყარებისათვის საბრ-
ძოლველად. ამას ჟურნალი ახორციე-
ლებდა როგორც ორიგინალური, ისე
ნათარგმნი მასალების გამოქვეყნებით...
„საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა
დობროლუბოვის წერილი „მამა ალექ-
სანდრე გავაცკი და მისი ქადაგება“
(თარგმნილი ილია ჭავჭავაძის მიერ),
სადაც საუბარია იტალიელი ხალხის გა-
მათავისუფლებელ ბრძოლაზე გარიბალ-
დის ხელმძღვანელობით.

ამ ჟურნალში ვიქტორ ჰიუგოს რო-
მანი „საბრალონიც“ დაიბეჭდა.

ჟურნალში დაბეჭდილია თვით ილიას
წერილი „საქართველოს მოამბეზედ“,
გიორგი წერეთლის — „ცისკარს რა
აკაკანებდა“ და სხვა.


„საქართველოს მოამბე“ ხელმძღვა-
ნელობდა ნაციონალურ-რევოლუციური

მოდერებით. ილია უმღეროდა გათა-
ვისუფლებულ ქართველ ხალხს, რო-
მელსაც ეს თავისუფლება მხოლოდ
ბრძოლით შეეძლო მოეპოვებინა. ქარ-
თველ ხალხში კი ის პირველ რიგში
მის ყველაზე საღ ნაწილს — გლეხობას
გულისხმობდა.

ამიტომაც, რომ როგორც ილია, ისე
მისი „საქართველოს მოამბე“ აქტიუ-
რად ემსახურებოდნენ ბატონყმური არ-
ტახებისაგან გლეხობის გათავისუფ-
ლების საქმეს.

ილია ჭავჭავაძემ დიდი სიყვარულით
უმღერა ქართველი ხალხის გათავისუფ-
ლებას როგორც ნაციონალური, ისე
სოციალური უღლისაგან.

მაგრამ, ჩვენის აზრით, ნაციონალურ-
გამათავისუფლებელი მოძრაობის ბე-
ლადმა მახვილის წვერი უმთავრესად
ქართველი ხალხის ნაციონალური თა-
ვისუფლების იდეის გახორციელებისა-
კენ მიმართა, თუმცა, იმავე დროს ეს
მახვილი ამ ხალხის საუკეთესო ნაწი-
ლის — გლეხობის მტრის გასაგმირა-
ვდაც მოიმარჯვა.



ღებენდა ქცუდი გმირობა

„მე კავკასიის ქედები მთხოვენ...“

გალაკტიონი

შარშან, როცა ჩვენს პრესაში მარუხის უღელტეხილის ბრძოლებზე მრავალი, მანამდე უცნობი მასალა გამოქვეყნდა და სამამულო ომის დაგვიანებული ექო კიდევ ერთხელ მისწვდა ჩვენი ხალხის გულსა და სმენას, საოცრად ავფორიაქდი. მე, როგორც ამ ბრძოლების მონაწილეს, უფრო ჩემი თანამებრძოლების ბედი მაღელვებდა. ბევრი ახლობელის — ქართველისა თუ რუსის, სომეხისა და უკრაინელის გადარჩენა და კარგად ყოფნა შევიტყვევ ერთი სული მქონდა, სანამ მათ ვნახავდი. ამ გახსენებამ სიხარულთან ერთად ტკივილიც განმიახლა — მწარედ დამაფიქრა მიუვალ ყინულებში ჩაკარგული ძვირფასი მეგობრების ბედზე. ყველას სახე საითათოდ დამიდგა თვალწინ — თითქოს მთხოვდნენ იმ უმავალითო თავგანწირვის დღეებზე მეც მემამბნა რამე, მეთქვა, რომ ისინი ამაოდ არ იწვნენ ყინულის სამარეში.

ერთი შეხედვით უცნაურიც კია, რომ ასეთ მნიშვნელოვან ბრძოლებზე საბჭოთა ხალხმა მანამდე თითქმის არაფე-

რი იცოდა. ამას თავისი მიზეზები აქვს. როცა უღელტეხილზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები იყო, პრესაში მხოლოდ მოკლე ინფორმაციები და დაჯილდოებულთა სიები ქვეყნდებოდა. ეს არც იყო გასაკვირი. ასეთ მიუდგომელ, პირქუშ მთებსა და ყინულებში რომელი კორესპონდენტი ან ჟურნალისტი ამოვიდოდა, რომ ჩვენი ბრძოლა ენახა და თავისი შთაბეჭდილებანი მკითხველისათვის გაეზიარებინა.

მარუხის ბრძოლების მნიშვნელობა და მის მონაწილეთა გმირობა ჯეროვნად მხოლოდ ოცი წლის შემდეგ შეფასდა. ეს მას აქეთ დაიწყო, როცა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური არქივის მუშაკებმა, მწერლებმა და ჟურნალისტებმა: ტ. სტეპანჩუკმა, მ. მოისენკომ, ვ. პაპუტკომ და ვ. გენუშევმა პრესაში გამოაქვეყნეს მასალები მარუხის ბრძოლებზე. ეს იყო ნამდვილი სენსაცია. სამამულო ომის დიდებული მატთანე ახალი, მანამდე უცნობი საგმირო ფურცლებით შეივსო.

მარუხის ბრძოლების ცოცხლად დარჩენილ მონაწილეთა ურთიერთდაკავშირება ჩვენმა პრესამ ითავა. 21 წლის დაშორების შემდეგ ბევრმა მათგანმა პირველად ნახა ერთმანეთი.

სტავროპოლის მხარის ყარაჩაევ-ჩერკესკის ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ინიციატივით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით და საქართველოს ალკპ ცენტრალური კომიტეტის, აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით 1963 წლის აგვისტოში მოეწყო მარუხის ბრძოლების მონაწილეთა დიდი და ამაღელვებელი შეხვედრა.

1963 წლის 16 აგვისტოს სტავროპოლელ ახალგაზრდათა დიდი ჯგუფი (ათასსუთასამდე კაცი) და მათთან ერთად მარუხის ბრძოლების 12 მონაწილე მარუხის უღელტეხილისკენ დაიძრნენ. მარუხის უღელტეხილზე სტავროპოლელთა შესახვედრად საქართველოდან წავიდა ოთხმოცამდე ახალგაზრდა, ცნობილი ალბინისტის ივანიშვილის მეთაურობით.

მესამე ბატალიონის ყოფილ მეთაურს ვასილ რუხაძეს, მერვე ასეულის ყოფილ მეთაურს ნიკოლოზ სხირტლაძეს და მე საექიმო კომისიამ უღელტეხილზე ფეხით ასვლის ნება არ დაავრთო. სამთავეს გული დაგვწყდა. რას გავაწყობდით; ჩანს, წლებს თავისი მიაქვს.

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ ჩვენთვის ვერტმფრენი გამოყო. სტავროპოლელთა და ჩვენი ჯგუფის შეხვედრის დროისათვის უღელტეხილზე უნდა ვყოფილიყავით. 18 აგვისტოს ვერტმფრენმა გეზი მარუხის უღელტეხილისაკენ აიღო. ჩვენთან ერთად ვერტმფრენში ისხდნენ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები; კინო-ოპერატორი, ფოტოკორესპონდენტი; აგრეთვე პირველი აფხაზი მფრინავი ქალი მერი ავიძბა, რომელიც უღელტეხილზე ბრძოლების მძიმე დღეებში ტყვია-წამლითა და სურსათით გვამარაგებდა.

ჰაერის გაიშვიათების გამო, სამწუხაროდ, უღელტეხილზე დაფრენის ვერ მოვახერხეთ. უღელტეხილზე ახალგაზრდობა და მარუხელები ქუდების სროლით გვესალმებოდნენ. დიდხანს გვესმოდა მათი ტაში და ვაშა. რაოდენ ნაცნობი იყო ჩემთვის და ჩემი ყოფილი თანამებრძოლებისთვის ეს გადათეთრებული მთები, ქარაფებით დაკბილული ხეობები, მზეზე აელვარებული ყინულოვანი ველი.

მიტინგში ველარ მივიღეთ მონაწილეობა. შეკრებილთა თავზე წრე გავაკეთეთ. უღელტეხილის მთის ძირში ყოფილი აეროდრომის პატარა მიწოდორზე დავეშვით. კავკასიონის სუფთა, ყინულოვით ცივი ჰაერი ჩავისუნთქეთ. ვისაუბრეთ. დაღუპულ გმირთა მოსაგონარი დავლიეთ, მათი ოჯახები და ცოცხლად დარჩენილი ვაჟაკები ვაღიერებდით. მერე ისევ სოხუმისკენ გამოვბრუნდით. სტავროპოლელთა ერთი ჯგუფი მარუხის ბრძოლების მონაწილეებთან ერთად სტუმრად ჩამოვიდა სოხუმში. ჩვენს ყოფილ თანამებრძოლებს: სმირნოვს, როგაჩევს, შუაევს, ნახუშევს, მალიუგინს, ხუდავერდიევს და სხვებს სოხუმის ტურბაზის ეზოში შევხვდით. დიდხანს ვეხვეოდით და ვკოცნიდით ერთმანეთს. ჩვენი შეხვედრა იმდენად ამაღელვებელი იყო, რომ ამ სურათის მნახველ უცნობ ადამიანებსაც ცრემლი სდიოდათ.

სოხუმის პროფკავშირების სახლში მოეწყო ჩვენი შეხვედრა აფხაზეთის პარტიულ-პროფკავშირულ აქტივთან, საწარმოებისა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურებთან. სოხუმის ცენტრალურ პარკში მარუხელთა მეგობრობის აღსანიშნავად ოთხი ძირი ნაძვის ხე დავრგით.

ბოლოს მანქანით ბიჭვინთაში წავედით. დავათვალიერეთ ის ადგილი, სადაც უღელტეხილზე წასვლამდე 1942 წლის მაის-აგვისტოში ვიმყოფებოდით. ძველი ტრანშეების კვალიც კი არსად ჩანდა. თვითმფრინავის გუგუნზე შემფოთებით არავინ იყურებოდა ცისკენ. სანაპიროზე უამრავ დამსვენებელს

მოყვარა თავი; ყველა ერთობოდა და მხიარულობდა. მათ ჩვენ დამსვენებლებად ჩაგვთვალეს. არავინ არ იცოდა, რომ ოცდაერთი წლის წინათ აქ, შეიარაღებული ვისხედით სანგრებში და ყოველ წამს მტრის თავდასხმას ველოდით, ყოველ წამს მზად ვიყავით თავი გაგვეწირა განსაცდელში მყოფ სამშობლოსათვის. როგორ არ ჰგავდა მაშინდელ ზაფხულს ეს ზაფხული.

გუმინდელივით მახსოვს 1941 წლის 22 ივნისი, წყნარი, მზიანი კვირა დღე იყო. ნიავეც არ იძროდა. აღმა და დაღმა გულთეთრა მერცხლები დასრიალებდნენ; მოლალურების გუნდი მალლა ირეოდა. მათი საოცრად ტკბილი ხმა გაკრიალებულ, ლურჯ ცაში იფანტებოდა. ქალაქის სამხრეთით აზიდულ ქანგისფერ მთებს აღმაცერად წამოსული მზის სხივები აბრწყვიალებდა.

მცხეთა ჩვეულებრივი ხალისით შეეგება იმ დღეს. მოქალაქენი მხიარულად მიმოდიოდნენ ქუჩებში და მოედნებზე. ზოგი სეირნობდა, ვინ თბილისში მიემგზავრებოდა, ვინ კიდევ ბაზარში მიდიოდა სანოვავის საყიდლად. ყველაფერს სილამაზე და სიცოცხლე ეტყობოდა.

მე მაშინ მცხეთაში სტამბის დირექტორად ვმუშაობდი. წინა ღამით გაზეთის ნომერი მოვამზადეთ, დავბეჭდეთ და დილით გაზეთები კავშირგაბმულობის კანტორაში გავაგზავნეთ ხელისმომწერლებზე დასარიგებლად. 10 საათი იქნებოდა, როცა გაზეთის რედაქტორი დავით რთველიაშვილი, სტამბის უფროსი ასოთამწყობი, მბეჭდავი (ესენი ორთავენი თბილისელები იყვნენ) და მე ღამენათევები ქალაქის მოედანზე გამოვედით.

უეცრად სამხედრო გზაზე მანქანამ ჩამოიქროლა; ოდნავ გაგვეცა თუ არა, მაშინვე დამუხრტუა. კარი გაიღო და რაიკომის მდივანმა ვლადიმერ თვალქრელიძემ მოგვაძახა: სასწრაფოდ რაიკომში ამოდიეთო. მანქანა დაიძრა და მოსახვევში გაუჩინარდა. რა უნდა ყოფილიყო? გავგნებული მივტრიალდით რაიკომის შენობისკენ. მდივნის კაბი-

ნეტში მის გარდა რაიკომის ოთხი მუშაკი დაგვხვდა. მდივანი ძალიან არეულ-ვეებული იყო, ოთახში ბოლთასაცემდა, ლაპარაკის დაწყება უჭირდა.

— ბიჭებო, — დაარღვია ბოლოს დუმილი, — ფაშისტური გერმანია ვერაგულად დაგვესხა თავს!.. მტერი დილის ხუთი საათიდან ბომბავს ჩვენს ქალაქებს. საზღვრისპირა ჯარები ბრძოლაში ჩაებნენ... თქვენ იცით, სასწრაფოდ გამოუძახეთ აქტივს. საამისოდ ყველა გამოიყენეთ, ვისაც გზაში შეხვდებით, დაწვრილებით შემდეგ...

ყველაფერი გასაგები იყო. ქალაქი ელვის სისწრაფით შემოვირბინეთ და ერთ საათში მდივნის საკმაოდ მოზრდილი კაბინეტი აქტივით აივსო. ამაღლებელი თათბირი დიდხანს არ გაგრძელებულა. ქალაქის უბნებზე და მახლობელ სოფლებზე მიგვამაგრეს. ჩვენი დავალება ასეთი იყო — უნდა ჩაგვეტარებინა მშრომელთა მიტინგები, გვემცნო მათთვის ეს საზარელი ამბავი, მოგვეწოდებინა, რომ უფრო მეტი თავდადებით ეშრომათ განსაცდელში ჩავარდნილი სამშობლოსათვის, არ აპყოლოდნენ ათასნაირ პანიკურ ხმებს და დემაგოგიას, ხოლო ვისაც მშობლიური მიწა-წყლის დასაცავად უხმობდნენ, ისინი დაუყოვნებლივ და მომზადებულნი უნდა გამოცხადებულიყვნენ სამხედრო კომისარიატში. დავალების შესასრულებლად მე მცხეთაში დავრჩი.

ომის დაწყების ცნობა უეცრად მოედო ქალაქს. ხალხი მხნედ შეხვდა ამ ამბავს; ყველგან პატრიოტულ შეძახილებს გაივონებდით. ყველას იმის რწმენა ჰქონდა, რომ მტერს სამაგიეროს მივუზღავდით მუხანათური თავდასხმისათვის.

22 ივნისს, ღამის ათ საათზე სამხედრო კომისრის კაპიტან თათარაშვილისაგან სამობლიზაციო პუნქტის მუშაობის გეგმა მივიღე. დილით სამობლიზაციო პუნქტის მთელი აპარატი დანიშნულ ადგილას გამოცხადდა და ახლანდელი

კონსტანტინე სვინტარაძე
ლგენდად ქცეული გმირობა

ტურბაზის ტერიტორიაზე მუშაობას შეუდგები. ახალგაზრდები გამოძახებას არც დაელოდნენ, ისე გაავსეს იქაურობა. სანამ ფრონტზე გამგზავრების განკარგულებას მიიღებდნენ, ისინი დოლ-გარმონის დაკრითა და ცეკვა-თამაშით ერთობოდნენ. მომავალი მებრძოლები დედამას, ნათესავებს, ცოლებს თუ შეყვარებულებს ეთხოვობოდნენ. ამაღლვებელი სურათები ერთმანეთს სცვლიდა. საერთო საქმით აღზნებულებს ჰამა და ძილი გვავიწყდებოდა. დაულალავად და ზუსტად მოქმედებდნენ სამობილიზაციო პუნქტის სამსახურის უფროსები: ლევან ციციშვილი, ბენია შარაშიძე, ანტონ თათარიშვილი და სხვები. გრაფიკის დარღვევის არც ერთი შემთხვევა არ გვქონია. ერთ დღეს სამობილიზაციო პუნქტის მუშაობის დასათვლიერებლად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი კოზლოვი, რესპუბლიკის სამხედრო კომისარი პოლკოვნიკი ზამბახიძე და სხვა სამხედრო პირები მოვიდნენ. მათ ჩვენი მუშაობა მოიწონეს, მადლობა გამოგვიცხადეს და შემდგომი წარმატებები გვისურვეს.

სამამულო ომის ფრონტებზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები მიდიოდა. ჩვენი ჯარები დროებით უკან იხევდნენ. 1942 წლის თებერვალში ბრძანება მივიღე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში გამოცხადებულ იყავი. შტაბიდან გადასამზადებელ კურსებზე გამგზავნეს. ხოლო მათში 394-ე მსროლელი დივიზიის 815-ე პოლკის ერთ-ერთი მსროლელი ოცეული ჩავიბარე. მალე ამავე დივიზიის 808-ე პოლკის პირველი მსროლელი ოცეულის მეთაურად გადამიყვანეს. ჩვენს პოლკს გუდაუთა-ბიჭვინთის მთელი სანაპირო ეჭირა. განსაკუთრებით ბიჭვინთის ნახევარკუნძული გვქონდა გამაგრებული. იგი საკმაოდ არის შეჭრილი ზღვაში და წყალი ნაპირთან ღრმია, რაც მტერს დესანტის გადმოსხმისა და წყალქვეშა ნავების მოქმედების საშუალებას აძლევდა.

ჩვენი პოლკი ძირითადად ქართველი მეთაურებისა და მებრძოლებისაგან შედგებოდა და მას ქართულ პოლკს უძახებდნენ. წვრთნასთან ერთად შეუწელებლად ტარდებოდა სამხედრო-პოლიტიკური მეცადინეობა. შუა ზაფხულში პოლკის საბრძოლო-პოლიტიკური მეცადინეობა შეამოწმა და მოიწონა კორპუსის სარდალმა გენერალ-მაიორმა კონსტანტინე ლესელიძემ. მივიღეთ ახალი დავალებები, განვავარძეთ დასახული ამოცანის შესრულება.

1942 წლის მაისში ფაშისტებმა ყირიმი დაიკავეს. მტერმა ისარგებლა იმით, რომ მოკავშირეები მეორე ფრონტის გახსნას აპიანურებდნენ და ვოლგოგრადისა და კავკასიის მიმართულეებით უდიდესი სამხედრო ძალები მოაყარა. გერმანელთა შეიარაღებული ძალების „ა“ დაჯგუფებას, რომლის მთავარსარდალი ფელდმარშალი ლისტი იყო, დავალებული ჰქონდა ალყაში მოემწყვდია და გაენადგურებინა ჩვენი ჯარები მდინარეებს — დონსა და ყუბანს შორის, რის შემდეგაც გენერალ-პოლკოვნიკ რუოფის მეჩვიდმეტე არმია ნოვოროსიისკისაკენ უნდა დაძრულიყო, შეტევა ეწარმოებინა ტუაფსე-სოხუმის მიმართულეებით და საქართველოში შეჭრილიყო; ამავე დროს 49-ე სამთო მსროლელ კორპუსს იერიში უნდა მიეტანა კავკასიონის მთავარი ქედების უღელტეხილებზე, გადაელახა ისინი, აღმოსავლეთიდან შეჭრილიყო სოხუმის რაიონში და იქ შეერთებოდა მეჩვიდმეტე არმიას, რათა შემდეგ ერთად განეგრძოთ შავი ზღვის დაპყრობა და შეერთებოდნენ თურქეთს, რომელსაც ამ დროს საქართველოს საზღვრებთან მზად ჰყავდა თავისი 26-ე დივიზია.

ავგისტოს მეორე დეკადაში გერმანელთა ჯარის ნაწილები ქ. მიქოიანშახარიდან (ამჟამად ქ. ყარაჩაევსკი) ქლუხორის უღელტეხილისაკენ გამოემართნენ. ამ უღელტეხილის დაუფლებისათვის მტერს თავგანწირული ბრძოლა გაუმართა ჩვენი დივიზიის 815-ე პოლკმა.

18 აგვისტოს სარდლობის ბრძანებით 808-ე პოლკის მესამე ბატალიონი ზღვისპირეთის დაცვიდან მოიხსნა და ავტომანქანებით სოფელ ზახაროვკაში (სოხუმის რაიონი) ჩავედით. ტყვია-წამალი და იარაღები იმავე ღამეს მოვიმარაგეთ, სამი დღის მშრალი ულუფა მივიღეთ და ზურგზე აკიდებული მძიმე ტვირთით ქლუხორის უღელტეხილისაკენ ქვეითად განვაგრძეთ გზა. სათაო დაცვა ჩემს ოცეულს ებრძანა. ეს იყო მძიმე და მომქანცველი მარში. ვიწრო ბილიკზე აღამიანს გავლა უჭირდა. გზაში თავსხმა წამოგვეწია. ღამე სოფელ ზემო ლათაში გავათიეთ; შესვენება ცეცხლის დანთებასა და ტანსაცმლის გაშრობას მოვანდომეთ. დილით კვლავ უღელტეხილისაკენ გავწვიეთ. გზადაგზა სულ უფრო ხშირად გვხვდებოდნენ ევაკუირებული, დაჭრილი ჯარისკაცები. 20 თუ 21 აგვისტოს მივიღწიეთ სოფელ აჭარას, სადაც კორპუსის შტაბი იყო.

ქლუხორის უღელტეხილამდე 10-15 კილომეტრი იქნებოდა დარჩენილი, რომ უღელტეხილიდან მომავალ გენერალ ლესელიძეს და მის თანმხლებ პირებს შევხვდი. გენერალს ჩემი ვინაობა და ამოცანა მოვახსენე. მიბრძანა: უკან დავბრუნებულეყავი და ბატალიონის მეთაურისათვის (უფროსი ლეიტენანტი ვ. რუხაძე) გადამეცა, რომ ისევ აჭარაში ჩავსულიყავით და იქ ახალ ბრძანებას დავლოდებოდით.

მალე მივიღეთ ბრძანება, რომლის თანახმად ჩვენი ბატალიონის მე-7 და მე-8 ასეულები მარუხის უღელტეხილისაკენ უნდა წასულიყვნენ, ხოლო მე-9 ასეული სოფელ აჭარაში რჩებოდა კორპუსისა და დივიზიის შტაბის დასაცავად.

ზახაროვკაში მიღებული სამი დღის ულუფა შემოგვევლია. საჭმლის შოვნის არავითარი იმედი არ გვქონდა. პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკების დახმარებით ერთ დღეს მოხერხდა, რომ მეგრძოლები-სათვის ცოტაოდენი საქონლის ხორცი მიგვეცა. ზურგზე იარაღაკიდებულები და ნახევრადმშვირები მარუხის უღელტეხილისკენ წავედით.

გზადაგზა ტყის ხილსა და ალაგაღაგ ჭყინტი სიმინდის შოვნასაც ვახერხებდით. ერთ სვანურ სოფელში მძიმე შოვნით ცოტაოდენი ხორცი, მაგრამ ეს ჩვენს გაჭირვებას არ შეელოდა. უგზობობამ, მძიმე ტვირთმა და შიმშილმა თავისი გაიტანა; ზოგიერთმა ვედარ გაუძლო ასეთ დაძაბვას და მათი ტვირთი სხვა მეგრძოლებზე გადანაწილდა. ბატალიონის მეთაური რუხაძე და კომისარი კილაძე ჯარისკაცის ტვირთით მოდიოდნენ. პარტიულ-კომკავშირული ბირთვისა და მეთაურების პირადი მავალითი მეგრძოლებს მხნეობას მატებდა.

აღრვევი ვიცოდით, რომ სოხუმიდან სხვა, უფრო მოკლე გზით მარუხის უღელტეხილზე მაიორ სმირნოვის მეთაურობით უნდა ასულიყო ჩვენი დივიზიის 810-ე პოლკის ორი ბატალიონი. ჩვენ მათ უნდა დავხმარებოდით. გადავწყვიტეთ უღელტეხილზე პატარა ჯგუფი გაგვეგზავნა, რათა 810-ე პოლკისათვის პროდუქტი გვეთხოვა. საქმარისი იყო, რომ ჩვენი მეგრძოლები ერთხელ დანაყრებულეყვნენ, რომ უღელტეხილზე ავიდოდით. მალე ეს ჯგუფი ლეიტენანტ იუსუფოვის მეთაურობით უღელტეხილისკენ გაემართა. გაგზავნილთა ტვირთი, გარდა პირადი იარაღისა და საჭირო ტყვია-წამლისა, დარჩენილმა მეგრძოლებმა გაინაწილეს. 15-20 წუთსაც არ გაუვლია, რომ ხეობაში სროლა ატყდა. მალე ჩვენთან ერთმა ხელში დაჭრილმა მეგრძოლმა მოიბრინა და გვამცნო: ბილიკზე მიმავლებს ვილაც ჩასაფრებულმა უცნობებმა აგვიტეხეს სროლაო. იუსუფოვი და ხუთი თანამეგრძოლი მოეკლათ, ხოლო თვითონ, დაჭრილი, ჩვენსკენ გამოქცეულიყო. გამოცხადდა საბრძოლო განგაში. ხეობა შევკარით. დავიწყეთ ბილიკებისა და ტყიანი ფერდობების ჩხრეკა. ერთმა ჩვენმა ჯგუფმა შეამჩნია, რომ ფერდობზე უცნობები გადარბოდნენ და სროლა აუტეხა მათ. დევნამ შედეგი არ გამოიღო. ვერაგულად დახოცილი იუსუფო-

კონსტანტინე სვინტრაძე
ლეგენდალ ქვეული გმირობა

ვი და ხუთი ჯარისკაცი გზაზე ეყარნენ. ქვედა საცვლების გარდა მათთვის ყველაფერი გაეხადათ და იარაღთან ერთად წაეღოთ. დავადგინეთ, რომ თავდასხმა მტრის მიერ ზურგში გადმოსხმულმა ჯგუფმა მოაწყო. ძვირფასი ამხანაგები იქვე, გზისპირად დავასაფლავეთ, ფიცი დავდეთ, რომ ამ ქურდული თავდასხმისათვის და სხვა მრავალი მხეცობისათვის მტერზე სასტიკ შურს ვიძიებდით. ჩვენმა მებრძოლებმა, რომლებთაც საბრძოლო ნათლობა ჯერ არ მიეღოთ, პირველად აქ ნახეს ტყვიით განგმირული ადამიანები, იგემეს ახლობელთა დაკარგვის მთელი სიმწარე. ყველას დაავიწყდა შიმშილი და მძიმე ტვირთი; ყველა ჩვენთაგანის გულში შურისძიების ცეცხლი ენთო.

განსაკუთრებული გულისტკივილით მაგონდება ის ადგილი, სადაც კურორტ თებერდიდან მომავალ ლტოლვილებს გადაეყარეთ. უსმელ-უქმელ, ფერდაკარგულ ავადმყოფ ბავშვებს ორი მომვლელი ქალი ახლდათ. ორივენი ბავშვებს თავს ევლებოდნენ. ჩვენმა დანახვამ ყველანი გაახარა და გამოაცოცხლა. ვისაც რა გაგვაჩნდა, უმწეო ბავშვებს შევუგროვეთ. ლტოლვილებმა მტერზე გამარჯვება გვისურვეს. გამოვემშვიდობეთ და ჩვენი მძიმე გზა განვაგრძეთ.

ვიცოდით, რომ ფაშისტები მალე გამოჩნდებოდნენ უღელტეხილზე. მტერს რომ დაესწრო — კოდორის ხეობისკენ გზა ეხსნებოდა. რადაც არ უნდა დაგვეჯდომოდა, მარუხზე პირველნი ჩვენ უნდა ავსულიყავით. ჩვენმა ბატალიონმა ეს ამოცანაც პირნათლად შეასრულა.

27 აგვისტოს, დილით, მარუხის უღელტეხილის ძირში ვიყავით. შევხვდით ლტოლვილთა უკანასკნელ ჯგუფს. 30-35 წლის სანდომიანი სახის ქალს ორი შვილი და რამდენიმე სხვა მცირეწლოვანი ბავშვი ახლდა. ისინი ქ. მიქოიანშახარისგან გამოსხლტომოდნენ გერმანელებს და პარტიზანების დახმარებით უღელტეხილი გადმოეღახათ. პატარებისა და ცოტაოდენი სურსათის საზიდად ერთი ცხენიც ჰყავდათ. ქალს

ღირსეულად ეჭირა თავი, ბავშვების გუჯუაციას დინჯად ხელმძღვანელობდა. იგი ქ. მიქოიანშახარის შხსსაგანის უფროსის მეუღლე აღმოჩნდა. ეს ადამიანი მამაციურად შერიგებოდა მწარე ხვედრს და განსაცდელში ქედს არ იხრიდა. ჩვენ მას გზა დავულოცეთ, გავამხნევეთ, რომ მალე ქართულ სოფლებს მიალწევდნენ და თავისუფლად ამოისუნთქავდნენ. მანაც მტერზე გამარჯვება და ოჯახებში მშვიდობით დაბრუნება გვისურვა.

იმავე დღეს შიმშილისა და სიცივისაგან დაუძლურებული მესამე ბატალიონის მებრძოლები მარუხის დათოვლილ კალთებზე ავდიოდით; საზაფხულო სამოსი გვეცვა და რძისფერ ბურუსში გახვეული ყინულოვანი მწვერვალებისკენ მივიწევდით.

ერთი კვირის წინ შავი ზღვის პირად ვიყავით აუტანელ სიციხეში. ახლა კავკასიონის პირქუშ მთებში ვიმყოფებოდით, ზღვის დონიდან ოთხი ათასი მეტრის სიმაღლეზე. კონტრასტი მართლაც რომ დიდი იყო.

საერთოდ ასეთ ადგილებში სიარული სპეციალურად გაწვრთნილი ჯარისა და სპორტსმენებისათვის არის მოსახერხებელი, ჩვენს შორის კი ამდაგვარი არავინ აღმოჩნდა, უმრავლესობა პირველად იყო ასეთ დიდ სიმაღლეზე. არც შესაფერი ტანსაცმელი და აღჭურვილობა გვქონდა, მაგრამ ამას არ უმოქმედნია ჩვენი ბიჭების საბრძოლო განწყობაზე. მეთაურები — ვ. რუხაძე, ნ. სხირტლაძე, შ. მარჯანიშვილი, გ. ლომიძე, ჩხატარაშვილი, ალფაიძე, ბასიული და სხვები ბატალიონის სიამაყე იყვნენ.

როცა მარუხის უღელტეხილს გერმანელთა ცნობილი ალპური დივიზიის — „ედელვეისის“ ნაწილები უახლოვდებოდნენ, ჩვენს ბატალიონს უღელტეხილი დაკავებული ჰქონდა. ის დამე იქ გავათიეთ. ბატალიონის შემადგენლობა (ფაქტიურად მე-7 და მე-8 ასეულები). მოწესრიგდა. ვინც შესძლო, მოუხერხებელი, უხეში ინგლისური ფეხსაცმელების ნაცვლად ქალამნები ჩაიცვა (წამოღებული გვქონდა სოფელ აჭარაში დაკ-

ლული ორი კამეჩის ტყავი და ქალამნე-
ბი უღელტეხილზე ავასხით). უღელტე-
ხილზე ცხვრის ხორციც ვიშოვეთ; გერ-
მანელებს მოახლოვება რომ გავგოთ,
პატრიოტი მწყემსები ალბური საძოვ-
რებიდან ცხვრის ფარებს სამშვიდობო-
სკენ მოერეკებოდნენ.

28 აგვისტოს, სისხამ დილით, ყარა-
ყაის მთის კალთები რომ დაგვეკავებინა,
უღელტეხილის ჩრდილოეთით მდებარე
ყინულოვანი ველის გადალახვა ვიწყეთ.
წინასწარი დაზვერვა ჩემს ოცეულს
დაევალა. ბატალიონი მთლიანად ველზე
იყო გაშლილი, რომ უეცრად მარცხნი-
დან, მალლობზე მოხერხებულად ჩასაფ-
რებულმა მტერმა სროლა აგვიტეხა. სა-
ერთოდ, ასეთ დროს, მოწინააღმდეგე
ერიდება თავისი ძალისა და ყველა სა-
ცეცხლე წერტის გამკლავუნებას, მაგ-
რამ ამას ამჯერად აზრი არ ჰქონდა —
ველზე ყველაფერი ხელისგულივით ჩან-
და. შაშხანების ქუხილს და ტყვი-
ამფრქვევების კაკანს დროდადრო ნაღ-
მების აფეთქების ხმა ახშობდა.

ბატალიონი საფრთხეში იყო: ოდნავი
დაბნეულობა და — განადგურება არ აგ-
ვცდებოდა. ასეულის მეთაურის ნ. სხირ-
ტლადის ბრძანებით ჩემი ოცეული სწრა-
ფად გაიჭრა მახლოვნილი მთის კალთის-
კენ და კლდოვან საფრებში გამაგრდა.
მალე მტერს ყველა იარაღიდან დავუშინ-
ეთ და მისი ყურადღება შევბოჭეთ.
ამავე დროს ჩასაფრებულ მოწინააღმდე-
გეს ლეიტენანტ ბარამიდის ოცეულმა
(მე-7 ასეული) აუტეხა სროლა.

— მომყევით... წინ სამშობლოსა-
თვის! — გაისმა ლეიტენანტ ვასილ რუხა-
ძის შეძახილი და დანარჩენმა მებრ-
ძოლებმა ყინულოვანი ველი მამაცი მე-
თაურის კვალდაკვალ გადაირბინეს. ეს
ისე სწრაფად და ორგანიზებულად მოხ-
და, გვეგონებოდათ ბრძოლებში ნაწრ-
თობი რაზმები მოქმედებდნენ და არა
გამოუტდელი ახალბედა ჯარისკაცები.
ჩემი და ბარამიდის ოცეულის მიერ ატე-
ხილმა სროლამ ბატალიონს საშუალება
მისცა ტყვიით გაცხრილული ველი დაე-
ტოვებინა და ყარა-ყაის კალთებისკენ
გაჭრილიყო. ჩემს ოცეულს (ოცეულ-

თან ასეულის მეთაური ნ. სხირტლადი
იმყოფებოდა) უფრო მოხერხებული აღ-
გილი ეკავა და ბარამიდის ოცეულს დაეფარა.
ხმარა, უფრო მიახლოვებოდა მტერს;
სულ მალე ამ ოცეულმა ლეიტენანტ ბა-
რამიდის უშიშარი და გონივრული მოქ-
მედებით მოწინააღმდეგე უკუაგდო და
მალლობს თავად დაეუფლა.

შეტევა მთელ დღეს გაგრძელდა. სა-
ლამოსთვის ბატალიონმა მოახერხა ყარა-
ყაის კალთების დაკავება. პირველი
ბრძოლა საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. ყი-
ნულოვან ველზე გადარბენის დროს რა-
მდენიმე ჯარისკაცი ნაპრაღში ჩაგვი-
ვარდა. ბატალიონის მეთაურმა რუხაძემ,
ათმეთაურმა მშვენიერაძემ და სხვებმა
ორი წითელარმიელი — ბარათელი და
ყურაშვილი გადამშული წვიგსახვევები-
თა და ქამრებით ამოიყვანეს, ხოლო ლე-
იტენანტ ჩხატარაშვილის შველა ვერა-
ვის ვერ შესძლო; ნაპრაღი მეტად ღრმა
აღმოჩნდა და უშიშარმა მებრძოლმა ყი-
ნულებში ჰპოვა სამარე. ჩვენს რიგებს
სამოცამდე კაცი გამოაკლდა; მტერმა
ორჯერ მეტი ზარალი ნახა და დამარ-
ცხებაც იგემა.

ლამით ბრძოლის შედეგები შევაჯა-
მეთ, შეძლებისდაგვარად მოვწესრიგ-
დით. ბატალიონის ექიმს ივანე შვანგი-
რაძეს მუხლი არ მოუყეცია; დაჭრილებს
დასტრიალებდა თავს და მათს ევაკუაცი-
ას ხელმძღვანელობდა. უბრალო თავის
მიღება და წაძინება არავის შეეძლო —
ნახევარი საათიც კმაროდა, რომ მძინა-
რე მებრძოლი გაყინულიყო.

გადაწყდა: 29 აგვისტოს ბატალიონი
ყარა-ყაის მთის კალთებიდან აქსაუტის
ხეობისკენ გაჭრილიყო, მდინარის მარ-
ჯვენა ნაპირის მალლობები დაეკავები-
ნა და იქიდან უკუეადო მტერი, ეს კი
ქლუხორის უღელტეხილზე მებრძოლი
815-ე პოლკისათვის დიდი შეღავათი
იქნებოდა. ბრძანების თანახმად მე-8
ასეულიდან ჩემი ოცეული პირდაპირ
უნდა წასულიყო. დანარჩენ ოცეულებს
ლეიტენანტ სხირტლადის მეთაურობით

კონსტანტინე სვინტრაძე
ლევანდად ქცეული გმირობა

მარჯვენა ფრთიდან და ზურგიდან უნდა შეეცა მტრისთვის. ბატალიონის მეთაურ ვ. რუხაძეს იმავე უბანზე უნდა ემოქმედა მებრძოლების ერთი ჯგუფით (20-25 კაცი). მარჯვენა ფრთიდან უნდა დასხმოდა მტერს, ავრეთვე, ლეიტენანტ მარჯანიშვილის მე-7 ასეული. გათენებამდე ორ საათზე მეტი იყო დარჩენილი, რომ ბატალიონი საბრძოლო ამოცანის შესრულებას შეუდგა. ნაბრძანები გვქონდა: მტერთან რაც შეიძლება ახლოს მივსულიყავით. ამისთვის უდიდესი სიფრთხილე გვჭირდებოდა. მრავალი ხევი და მიუდგომელი ციცაბო კლდე უხმაუროდ უნდა გადაგველახა. საკმარისი იყო უადგილო ადგილას ერთი ქვა გაგვეგორებინა, რომ ყველაფერ დაიღუპებოდა. ერთმანეთს მხრებზე ვადგებოდით და ისე მივიწვევდით მალა. ყველაზე მეტად ამ საქმეში სერჟანტი ლეუშა მშვენიერადაც გამოგვადგა; იგი სიმალლით ორ მეტრზე მეტი იყო (ამხანაგები ზუმრობით „გადაბმულს“ ეძახდნენ) და კიბის მაგივრობას გვიწვედა.

ნაბრძანები გვქონდა — სანამ ლეიტენანტი სხირტლაძე სროლას არ ატეხდა, მანამდე არც ერთ განაყოფს არ დაეწყო ბრძოლა. სხირტლაძის ჯგუფი მტრის განლაგებას მიუახლოვდა. თვით სხირტლაძე შვიდი მებრძოლით თითქმის თავზე წაადგა გერმანელებს. ღამეში გარკვევით ისმოდა გუშაგების ლაპარაკი. ისინი გაუფრთხილებლად ეწეოდნენ პაპიროსს. მათი იმედით გერმანელი ეგერები უზრუნველად ხვრინავდნენ ალპურ საძილე ტომრებში.

რამდენიმე ხელყუმბარის ერთდროულმა აფეთქებამ ყინვით შეკრული ჰაერი შეარყია. ბატალიონიც სწორედ ამ ნიშანს ელოდა. მალე სროლა და „ვაშა“ ერთმანეთში აირია. მტრისთვის ეს შეტევა იმდენად მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო, რომ აღარ იცოდა, რა ექნა. ვინ საძილე ტომარას ებლაუჭებოდა იარაღის მაგივრად, ვინ კიდევე, დაფეთებული კლდიდან ვარდებოდა. ჯერ ბინდი არ გადაყრილიყო და მტრის გარჩევაში ისიც გვშველოდა, რომ გერმანელები მანათობელ ტყვიებს ისროდ-

ნენ. საიდანაც ეს ტყვიები მოდიოდა, ვიცოდით — იქ გერმანელები უნდა ყოფილიყვნენ და ჩვენც ასეთ ადგილებზე ვეტანებოდით. შეუქმნევლად დაგვათენდა თავზე. გვეგონა, მტერი მთლიანად გავანადგურეთ, რომ უეცრად გერმანელებს ორი ასეული მაშველი ძალა მოუვიდათ (ეტყობოდა, ისინი ახლოს იყვნენ განლაგებული და სროლის ხმაზე წამოვიდნენ).

ბრძოლით შესურებულები კვლავ ერთიშე გადავედით. მტერმა დაიხია და ყინულის ბორცვებს ამოეფარა. საჭირო იყო ბატალიონის ახლებური ორგანიზება. მიუხედავად უდიდესი სიძნელეებისა, ბატალიონის მეთაურმა ვასილ რუხაძემ ზუსტად წარმართა ბრძოლა და მისი ხელმძღვანელობით პირწმინდად გავანადგურეთ ჩასაფრებული ფაშისტები. ბატალიონის თავგანწირულ ბრძოლას შედეგიც შესაფერისი მოჰყვა: მდინარე აქსაუტის მარჯვენა ნაპირის უმნიშვნელოვანესი მალბობები ჩვენ დავიკავეთ. მტრის ასეულებიდან, როგორც იტყვიან, ამბის წამლებიც არ გავვიშვია. ამ ბრძოლაში ჩვენმა ბატალიონმა პირადი შემადგენლობის 15-20 პროცენტი დაკარგა.

ასეულის მეთაურმა ნ. სხირტლაძემ ერთი ფაშისტი ოფიცერი ჩაიგდო ტყვედ. ერთ-ერთ მოკლულ ფაშისტს ჩანთაში კილოგრამამდე ოქროს მადანი, საბჭოთა პასპორტი, პარტილეტი და სხვა საბუთები აღმოაჩნდა. გამოვარკვეით, რომ ამ მძარცველ ოქროს ერთ-ერთი საბადოს დირექტორი მოეკლა და საბუთებიც მისგან წამოეღო. ეს საბუთები, ოქროს მადანი და ტყვე გერმანელი პოლკის შტაბში გავგზავნეთ.

იმავე ღამეს ჩვენთან ამოვიდა 810-ე პოლკის მეთაური მაიორი სმირონოვი. იგი დაწვრილებით გაცენო ჩვენს მდგომარეობას. მისი მონაწილეობით დაიწერა და პოლკის შტაბში გავგზავნეთ პატაკი, სადაც ბატალიონის შევსებას და, განსაკუთრებით კი, სურსათს ვითხოვდით. მაიორმა სმირონოვმა საჭირო მითითებები მოგვცა, წარმატება გვისურვა და დაგვემშვიდობა.

ღამე საშინლად ჰყინავდა. ვარსკვლავები ისე კაშკაშებდნენ და ისე ახლოს ჩანდნენ, ხელით მივწვდებო, კაცი იფიქრებდა. ირგვლივ ისეთი სიჩუმე იყო, დიდი ქარიშხლის წინ რომ იცის ხოლმე. დროდადრო ცაში მტრის შუშხუნა აიჭრებოდა და იქაურობას დღესავით გადაანათებდა; მერე ისევ მოთეთრო ბურუსში ინთქმებოდნენ მათათა კონუსები.

ჩვენი მდგომარეობა არ შეცვლილა; დახმარება არსაიდან ჩანდა. ვიცოდით, რომ ამ ადგილებში მტერი რიცხვით დიდად გვჭარბობდა.

ინათა თუ არა, მტერმა შეტევა განაახლა. როგორც ვვარაუდობდით, გერმანელები რევანშისტების მომხადებელიყვნენ — ჩვენს წინააღმდეგ ერთ ბატალიონამდე ჯარისკაცები გამოეგზავნათ.

30 აგვისტოს, დილით, სადაზვერვოდ მომავალი მტრის ერთი ოცეული შევნიშნეთ. გერმანელები ყინულის თვითულ ბორცვს დიდი სიფრთხილით ამოწმებდნენ და ისე მოიწვედნენ წინ. მათ კარგად იცოდნენ, თუ სად იყვნენ განლაგებული მათი წინამორბედნი და ახლა იმის გაგება სურდათ — ჩვენ სად ვიყავით ჩასაფრებულნი.

იმ ადგილებს, სადაც წინა დღით შეტაკება მოხდა, სიფრთხილისათვის მტერმა ნალმმტყორცნები და ქვემეხები დასცხო. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ წამოვეგეთ ანკესზე და მის შემდგომ მოქმედებას დაველოდეთ. მტრის მზვერავები დარწმუნდნენ, რომ იქაურობა მიტოვებული გვქონდა და წინ უფრო თამამად წამოვიდნენ. მთავარი ძალა თითქმის წამოეწია მზვერავთა ჯგუფს. რამდენიმე წუთიც და მზვერავები ჩვენი თავდაცვის ხაზზე აღმოჩნდებოდნენ. მეტი დაყოვნება აღარ შეიძლებოდა — ლეიტენანტ მარჯანიშვილის ასეულმა თვალის დახამხამებაში მოცელა მზვერავთა ჯგუფი. მტერი მიხვდა, რა ხიფათშიც ებმებოდა; მაშინვე გაიშალა და ჩასაფრება იწყო. მალე ორთავე ასეულს მძაფრად შემოგვიტყეს. გერმანელები ფლანგებიდან მოვლასაც ცდილობდნენ. აშკარა იყო მტრის განზრახვა — უნდოდათ ალყაში მოგვეჭირებოდა და გავექლიტეთ ან ტყვედ ჩავეგდეთ. მათს შეტევას ზურგს უმაგრებდნენ მეხები და დიდი ყალიბის ნალმმტყორცნები. ჩვენ კი მსგავსი არაფერი გავაჩინა. მტერმა განსაკუთრებული იერიში მიიტანა ყველაზე მოხერხებულ მალლობზე, სადაც ასეულის მეთაური ნ. სხირტლადე იმყოფებოდა მეგრძოლების ჯგუფითა და ერთადერთი „მაქსიმათი“. მიუხედავად დიდი ზარალისა, მტერი განზრახვაზე ხელს არ იღებდა, ე. წ. „ფსიქიურ შეტევას“ აგრძელებდა. ფაშისტთა თავგანწირვა ამო აღმოჩნდა — მათ ვერსად ვერ გაარღვიეს ჩვენი დაცვის ზღუდე; მტკიცედ ვინარჩუნებდით მალლობებს და მტერს ტყვიების სეტყვას ვაყრიდით. ასეთ რთულ პირობებში ბრძოლის წარმართვა და ორგანიზება, ბატალიონის მეთაურის ვასილ რუხაძის მხედრულ გამჭრიახობაზე მეტყველებდა, ხოლო თითო თავდაცვა მასიური გმირობის ბრწყინვალე მაგალითი იყო.

უზარმაზარ ბორცვებს შუა სისხლისაგან დაცლილი მტრის გვამები ეყარა. მკერდშეღეწილი, ხელფეხმოკრუნჩხული ფაშისტები ყინულით გადაღესილ აღმასივით მბზინავ კლდეებზე მიყინულიყვნენ. შორეულ ბავარიიდან, პომერანიიდან თუ შვარცვალდიდან წამოსულებს, აქ, კავკასიონის ყინულოვან კალთებზე დაეწია სიკვდილი.

ამ შეტაკებას უსისხლოდ არც ჩვენი თვის ჩაუვლია. სამშობლოს თავისუფლებას შესწირეს სიცოცხლე უმცროსმა მეთაურებმა: ყურაშვილმა, წამალაშვილმა, ფირცხალავამ; გმირულად დაეცნენ წითელარმიელები: ჭავჭავაძე, ცინცაძე, თედევი, ცუცქორიძე, უკუულავა, თოდუა; ლეიტენანტები — ბარამიძე, ასათიანი, მალაკელიძე და სხვები.

გასაოცარი გმირობა ჩაიდინა ოცეულის მეთაურმა ჩხარტიშვილმა. იგი მარტოდმარტო შეებრძოლა იერიშზე გადმოსულ ათ ჰიტლერელს, რვა მათგან

კონსტანტინე სვინტრაძე
ლეგენდად ქცეული გმირობა

ნი მოკლა, მაგრამ ხელჩართულ ბრძოლაში საბედისწეროდ დაუტურდა ფეხი და უფსკრულში გადაიჩეხა.

იმავე დღეს მტრის სნაიპერმა მხარში მძიმედ დაჭრა მე-8 ასეულის მეთაური ლეიტენანტი ნიკოლოზ სხირტლაძე. ღამით სხირტლაძე ევაკუირებულ იქნა. მტერი დაღამებამდე ბომბავდა ჩვენი თავდაცვის ზღუდეებს.

მალე შევიტყვეთ, რომ გერმანელებს ახალი მასშველი ძალა მოსვლოდათ და ჩვენ რკალში მოვემწყვდეით. თავდაცვის გაგრძელებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ყინვამ და შიმშილმა მებრძოლები საშინლად დაასუსტა. რკალის გარღვევაც წარმოუდგენელ სიძნელედ გვესახებოდა, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა. ეს ისე უნდა გაგვეკეთებინა, რომ მტერი ჩვენს განზრახვას ვერ მიმხედარიყო. ამისათვის მოჩვენებითი შეტევა უნდა დაგვეწყობოდა და იმისდა მიხედვით, თუ რა ვითარება შეიქმნებოდა, რკალი ერთ ადგილას გაგვერღვია.

უნდა გენახათ, რა გაათრებოდათ ეკვეთნენ საგანგებოდ აღჭურვილ და გაწვრთნილ გერმანელებს ლანდაღქცეული ბიჭები. მიკვირდა, საიდან შერჩათ მათ ამდენი ძალა და მხნეობა. ჩვენმა ორმა, ბრძოლებში შეთხლებულმა ასეულმა მტერს ზურგზე ბოლი ადინა. ოღონდ ცოცხალი გადარჩენილიყვნენ და გერმანელები ჩვენს გარემოცვას აღარ დაეძებდნენ.

გმირულ თავგანწირვას შედეგად შესაფერი მოჰყვა — მტრის რკალი გავარღვიეთ. ღამის 2 საათზე (31 აგვისტო-1 სექტემბერი) ბატალიონის ცოცხლად დარჩენილი 100—120 კაცი ხუთ ჯგუფად გაიყო, მტერს გაუსხლტა და უღელტეხილისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა. ამ ბილიკის დაცვა ლეიტენანტ მაჭავარიანის რაზმს დაევალა. რაზმმა ყარაყაის მთაზე ხელსაყრელი პოზიცია დაიკავა და ვიდრე ჩვენ სამშვიდობოს გავალწევდით, მტერს. მამაცურად უმკლავდებოდა. სამწუხაროდ, ეს სახელოვანი რაზმი ამ ოპერაციას შეეწირა. სასტიკი ბრძოლა ისე გადავიტანეთ, რომ მტერს არც ერთი ჯარისკაცი არ ჩავარ-

დნია ტყვედ. ყინულოვან ველზე მთლიანად დაღუპულ გმირთა გვამები დაღუპულა. როგორც ზემოთ ვთქვით, მტერს მტრებს გაცილებით მეტი ზარალი მოუვიდათ.

თავდაპირველად არც კი ვიცოდით, რომ ჩვენი გაუწვრთნელი განაყოფების წინააღმდეგ გერმანელთა სახელგანთქმული ალბური დივიზიის, „ედელვეისის“ ნაწილები იბრძოდნენ. აი, რას წერდა ერთ-ერთი ფაშისტური ყურნალი „ედელვეისერთა“ წვრთნაზე:

„ომის დაწყებამდე ჩვენი ეგერები გაცხოველებით ემზადებოდნენ ალბებში. თოვლიან ფერდობს კარგად უნდა დაკვირვებოდით, რომ ისინი შეგემჩნიათ. მაშინ ალბებში ათასობით ტურისტის დაეხეტებოდა და ისინი ვერ ამჩნევდნენ ჯარისკაცებს. გარეშე თვალისთვის რომ შეუმჩნეველი დარჩეს, ეს ალბური მსროლელის უმთავრესი მიზანია. მთის ბილიკს რომ დადგომოდით და მწვერვალზე ასულიყავით, მაშინდა გადაეყრებოდით კლდეებზე გულმოდგინედ მცოცავ ჯარისკაცებს. კარგი ჭოგრიტით რომელიმე მწვერვალიდან შეგეძლოთ თვალი გედევნებინათ ტაქტიკური მეცადინეობისათვის: შეუპოვარი მანევრები, ხელსაყრელი პუნქტების დაპყრობა, ელვისებური შემოვლები ერთმანეთს ენაცვლებოდა. კატასავით მოქნილი ეგერები მიუდგომელ კლდის ქიმზე აცოცდებოდნენ, წამით განერთხმოდნენ წვეტიან ლავგარდანებს და მერე ბნელ ნაბრალეებში უჩინარდებოდნენ...

როცა ზამთრის ყველაზე სუსხიანი დღეები იდგა, თოვლიან მთებში შეგეძლოთ დაგენახათ მოთხილამურეთა თეთრი ფიგურები, ზურგზე აკიდებული მძიმე ტვირთით. ისინი ტყვიასავით ეშვებოდნენ ციცაბო ფერდობიდან, გავაკებაზე თოვლს იბერტყავდნენ და უხილავ მოწინააღმდეგეს ცოფიანებით მისდევდნენ: მყინვარებზე რომ გადადიოდნენ, ღრმა, ყინულოვანი ხრამების გადალახვაც შეეძლოთ, ქვემიწები და ნალმტყორცნები მწვერვალეებზე აჭოდით, თოვლისა და ყინულისაგან თბილ თავშესაფრებს აკეთებდნენ“.

გარდა იმისა, რომ საუცხოოდ იყო გაწვრთნილი, მოწინააღმდეგეს ყველაფერი ჰქონდა მთებში საბრძოლველად — დაწყებული მყინვარებზე სასიარულო სპეციალური ფესხაცმელებით, და დამთავრებული თერმოსებითა და შავი სათვალეებით, თუმცა გამარჯვებისათვის ეს არ აღმოჩნდა საკმარისი.

ჩვენ მაშინ არც ის ვიცოდით, რომ გერმანელთა 49-ე სამთო კორპუსის სარდალი გენერალი რუდოლფ კონრადი ფაშისტური არმიების „ა“ დაჯგუფების მთავარსარდალს — გენერალ-პოლკოვნიკ კლაისტს კავკასიონის ქედზე ბრძოლებში მიყენებული დიდი ზარალის შესავსებად დეპეშით ახალ კონტიგენტებს თხოვდა. ამ დეპეშის მიხედვით, გენერალ ჰუმბერტ ლანცის დივიზიასაც, რომელსაც თქვენთვის უკვე ნაცნობი, კეთილხმოვანი პოეტური სახელი „ედელვეისი“ ერქვა, საფუძვლიანი შევსება ესაჭიროებოდა. ფაშისტურ დივიზიებში „ედელვეისი“ განსაკუთრებით პოპულარული იყო. კავკასიონის კალთებთან მომდგარი, ბრძოლებში ნაწრთობი „ედელვეისელების“ გასამხნეველად ჰიტლერელთა სარდლობამ საგანგებო მიმართვაც გამოაქვეყნა. ამ რიხიან მიმართვაში ნათქვამი იყო:

„გერმანული არმიის ალბური ეგერები იბრძოდნენ ნარვიკთან, მატაქსესის ხაზზე ხანგრძლივ საცეცხლე წერტებში ისხდნენ, დალაშქრეს კრეტა. მალე ისინი კავკასიონის გმირები გახდებიან... გერმანელი სამთო მსროლელის სული სამარადისოდ უნდა ცოცხლობდეს ჩვენს ამაყ ეგერებში, რომლებიც კავკასიონის დიდ ქედზე საიერიშოდ მიდიან“.

კავკასიონის გმირობას გადამთიელებს ასე ადვილად ვინ დაუთმობდა.

1 სექტემბერს ჩვენი მებრძოლების ხუთივე ჯგუფმა მარუხის უღელტეხილზე მოიყარა თავი. იქამად იქ ჩვენი 808-ე პოლკის საკომანდო პუნქტი იყო. გახარებული შეგვეგებნენ პოლკის მეთაური მაიორი თელია, კომისარი არუთინოვი და სხვები. თავი რომ სამშვიდობოს ვიკულებთ, არაქათგამოცლილები

მიწაზე დავეყარებით. ვასილ რუხნაძე ისე იყო გათოშილი, რომ ლაპარაკსაც ვერ ახერხებდა. პოლკის მეთაურმა კარავში შეიყვანა და ქაღალდების ცეცხლზე მოათბო. ექიმები — შვანგირაძე და მაჩიტაძე დაპირილ და დაუძლურებულ მებრძოლებს უვლიდნენ — უხვევდნენ და მასაყებით ასულიერებდნენ. ცოტაოდენი პროდუქტებიც მოგვეცეს. დაჭრილები და მოყინულები, ვისაც სიარულის თავი არ ჰქონდა, ზურგში გაგზავნეს სამკურნალოდ. უფრო ჯანსაღი მებრძოლები (ოთხმოც კაცამდე) უღელტეხილის სამხრეთ ფერდობზე გავეიყვანეს დასასვენებლად და მოსაწესრიგებლად. უღელტეხილის დაცვა დაეკისრა ჩვენი პოლკის მეორე ბატალიონს, რომელსაც კაპიტანი ვლადიმერ თათარაშვილი მეთაურობდა. როგორც თავში მოვიხსენიე, ლადო თათარაშვილი მცხეთის სამხედრო კომისარი იყო. ჩვენმა ბატალიონმა მარუხის უღელტეხილზე ასვლის ბრძანება რომ მიიღო, მეორე ბატალიონი ზღვის პირად დატოვეს. ლადო თითქმის ერთი თვის უნახავი მყავდა.

უღელტეხილზე ასვლის მეორე დღეს, 2 სექტემბერს რამდენიმე მებრძოლთან ერთად პოლკის საკომანდო პუნქტის გვერდით, ყინვით გალიბულ კლდის ძირში ვიჯექი. უეცრად ლადოს მოვკარი თვალი; იგი პოლკის შტაბიდან გამოსულიყო და თავის საკომანდო პუნქტში მიდიოდა. სიხარულისაგან გული ამიჩქარდა. ამ რამდენიმე კვირაში სავრძნობლად გამხდარი და შეცვლილი მეჩვენა, მაგრამ მისი ცნობა მაინც არ გამჭირვებია. გზად ჩვენს წინ უნდა გაველო. — ლადო, ბაჭო, ხალსს ველარ ცნობ-მეთქი, — მივაძახე, როდესაც ჩავგვიარა.

ჩემს ხმაზე მოტრიალდა, სათითაოდ აგვათვალიერა. ისე ვიყავი დაუძლურებული და სახეშეცვლილი, რომ ვერ მიცნო. რამდენადაც შემეძლო, ცოცხლად წამოვდექი და რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი მისკენ; თვითონაც მომიახლოვ-

კონსტანტინე სვინტრაძე
ლეგენდად ქვეული გმირობა

და. თვალეზში ჩაგხედეთ ერთმანეთს, გაუტყინე, მაშინ კი მიცნო და გადამეხვია; ცრემლი მოგვერია, სიხარულის და ტკივილის ცრემლი.

სამი დღის შემდეგ მისი დაღუპვის ამბავი შევიტყვე. უღელტეხილის ყინულოვან ველზე უთანასწორო ბრძოლაში დაეცა.

სიცოცხლეში ლადო ხშირად ახსენებდა თავის ერთადერთ ქალიშვილს, რომელიც გასაოცარი მშობლიური სიყვარულით უყვარდა. ქალიშვილის ბედნიერებას იგი ვერ მოესწო. ამჟამად ლადოს მეუღლე თამარი ქალიშვილთან და სიძესთან ერთად ცხოვრობს — ორი შვილიშვილი ჰყავს. მე მათი ოჯახის ხშირი სტუმარი ვარ; სამხედრო ფორმაში გამოწყობილი შავგვერდმანი, სასიამოვნო სახის ვაჟკაცი კედლიდან უხმოდ დაჰყურებს შვილიშვილების ჟრიამულს.

მტერს დამხმარე ძალები მოუზღვავდა, უფრო გათამამდა და იერიში იერიშზე მოჰქონდა. დღე და ღამე არ წყდებოდა გააფთრებული ბრძოლა. მარუხის უღელტეხილის მარჯვენა ფრთაზე მტერს ვაჟკაცურად უმკლავდებოდა და დიდ ზიანს აყენებდა 810-ე პოლკი. 3 სექტემბერს 810-ე პოლკის ძალაგამოცლილი და შეთხლებული ასეულები მეორე ეშელონში გადაიყვანეს სულის მოსათქმელად.

მარუხის უღელტეხილის დაცვა მთლიანად ჩვენი მეორე ბატალიონის და პოლკის რეზერვის (მეავტომატეთა ასეული და 4 ნაღმმტყორცნი) იმედზე იყო. ფაშისტები თანდათან უახლოვდებოდნენ უღელტეხილს. აყეფდა მათი ქვემეხები და ნაღმმტყორცნები, აგუგუნდა ავიაგამანადგურებლები, მაგრამ უღელტეხილის ხელში ჩაგდებას მტერი ჯერჯერობით მაინც ვერ ახერხებდა.

5 სექტემბერი მზიანი და წყნარი დღე გათენდა. ოდნავ დათბა კიდეც. ამ დღეს ფაშისტებმა გენერალური შეტევა დაიწყეს. ორი ასეულისა და მცირე დამხმარე ჯგუფის წინააღმდეგ „ედელვეისის“ ახალ-ახალი ნაწილები და იტალიის ალპური დივიზიის „თეთრი შროშანას“ რაზმები დასძრეს. უთანასწორო, უღმო-

ბელი ბრძოლა რამდენიმე საათს გრძელდებოდა. ნაშუადღევს მტერმა მთლიანად ბატალიონის შევიწროება. ეს ამბავი მალე გავიგეთ და ვასილ რუხაძის ბრძანებით ჩემი ასეულით (ორმოცდაათამდე ჯარისკაცი) უღელტეხილის დამცველთა დასახმარებლად ვავეშურეთ. გზადაგზა ზურგში მიმავალი დაჭრილი ჯარისკაცები და მეთაურები გვხვდებოდნენ. მათგან მეტად არასახარბიელო ცნობები მივიღეთ, ნაბიჯს ავუჩქარეთ. დროდადრო ჩვენს თავზე მიზანს აცდენილი ჭურვი გადაიშხუვლებდა და ხეობას ყრუ აფეთქების ხმა შესძრავდა. გზასამი საათი მოვუნდით. უღელტეხილთან რომ მივედით, ბინდდებოდა. მეორე ბატალიონი უკვე განადგურებული იყო; სწორედ აქ შევიტყვეთ, რომ ბატალიონის მეთაურს თათარაშვილს და მის მოადგილეს ზაიაცს ბრძოლის ველზე დაელიათ სული. წინააღმდეგობას მხოლოდ ბატალიონის მცირე ჯგუფები და საიმედოდ ჩასაფრებული ცალკეული მებრძოლები განაგრძობდნენ.

აქვე ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო. უღელტეხილს რომ მივუახლოვდით, ჩვენი მხრიდან რამდენიმე შაშხანისა და ავტომატის გარდა, ერთი ტყვიამფრქვევი ისროდა, გერმანელები კი მცირე და დიდი ყალიბის იმდენი იარაღიდან ისროდნენ, რომ დედამიწა დუღდა. ერთ-ერთი მძლავრი აფეთქების შემდეგ ჩვენი ტყვიამფრქვევი დადუმდა, მტერს გზა გაეხსნა.

ოცდაერთ წელიწადს აუხსნელი იყო ჩვენთვის ამ ტყვიამფრქვევის საიდუმლო. ვინ იყო ის უშიშარი მებრძოლი, რომელიც ამ ტყვიამფრქვევს უკანასკნელად უშენდა მტერს?

საიდუმლოება 1963 წლის აგვისტოში გამომჟღავნდა; საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური არქივის მუშაკებმა მ. მოისენკომ და ტ. სტეპანჩუკმა ცენტრალურ და რესპუბლიკურ გაზეთებში მრავალი მასალა გამოაქვეყნეს მარუხის ბრძოლების თაობაზე, ბევრ რამეს მოფინეს ნათელი. სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებთან ერთად არქივში მათ აღმოაჩინეს 46-ე

არმიის სამხედრო საბჭოს 1943 წლის 8 თებერვლის ბრძანება, რომლის თანახმად 808-ე პოლკის მე-8 ასეულის პოლიტხელი ლეიტენანტი გრიგოლ ალექსანდრეს ძე ლომიძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის ორდენით. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგეთ, რომ ლომიძე ცოცხალი იყო. თურმე იგი თბილისის ფეხსაცმელების ფაბრიკის ერთ-ერთი საამქროს უფროსად მუშაობდა და ამხანაგებმა მისი არსებობაც არ ვიცოდით.

1963 წლის 19 ნოემბერს საქართველოს სსრ სამხედრო კომისარმა ამხ. მურუსიძემ გრიგოლ ალექსანდრეს ძე ლომიძეს საზეიმო ვითარებაში გადასცა წითელი ვარსკვლავის ორდენი.

გრიგოლ ლომიძე, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ჩვენი, მე-8 ასეულის პოლიტხელი იყო. შავი ზღვიდან მარუხის უღელტეხილისკენ მარუხის დროს ავად გახდა და სამკურნალოდ სოფელ აპარაში დავტოვეთ. გამოჯანმრთელების შემდეგ მარტო წამოსულიყო და უღელტეხილზე 5 სექტემბერს ამოვიდა, როცა იქ ყველაზე სასტიკი ბრძოლა იყო. უდროობის გამო ჩვენს ბატალიონში გამოცხადება ვერ მოეხერხებინა და პოლკის საკომანდო პუნქტში დარჩენილიყო. საკომანდო პუნქტიდან უთანასწორო ბრძოლას ადევნებდა თვალს.

სალამო ხანს აფეთქების ხმა მოისმა და მე-8 ასეულის ერთადერთი ტყვიამფრქვევი დადუმდა. მტერი თითქმის დაუბრკოლებლად უახლოვდებოდა პოლკის შტაბს. ლომიძე ტყვიამფრქვევთან მიხიზნებულა. მეტყვიამფრქვევეთა ჯგუფი დაღუპული აღმოჩნდა; ლომიძეს ტყვიამფრქვევი მოემარჯვენისა და გათავზედებული მტრისთვის მიეშვა — შეტევაზე გადმოსული ფაშისტები მოეცელა. ტყვიამფრქვევი მხოლოდ მაშინ დადუმდა, როცა მის ახლოს ნაღმი აფეთქდა. მტერმა ის ადგილი დაიკავა; მძიმედ დაჭრილი, გონდაკარგული ლომიძე იქვე ენახა და წაეყვანა.

6 სექტემბერს გონზე მოსულ ლომიძეს უცხოთა ლაპარაკი ჩაესმა. თვალი

გახილა თუ არა, თავზე წამოძვარო/ გერმანელები დაინახა. მიხვდა — ტყვედ ჩაგვარდნოდა მტერს. ჭრილობა მოუშუშდა, ტყვეობიდან გაქცევა სცადა — დააპატიმრეს, წამებით კინაღამ სული ამოხადეს.

1944 წელს, როგორც იქნა, გაიქცა საკონცენტრაციო ბანაკიდან. ვინიცის ოლქის პარტიზანებმა იძმეს; სამი თვე მათთან ერთად თავზარს სცემდა მტერს. მალე წითელი არმია წამოეწია და ისევ განაგრძო ფაშისტების ყლექა. კენიგსბერგის აღებისათვის ბრძოლაში მედალი დაიმსახურა. გულხელდაკრეფილი არც მერე ყოფილა; იაპონიის განადგურებაშიც დაიდო წილი, ომი მანჯურიაში დაამთავრა. მის გულმკერდს ამშვენებს მედლები გერმანიასა და იაპონიაზე გამარჯვებისათვის; ჰეშმარიტად მკვდრეთით აღმდგარი, იგი ახლა დაუღალავად შრომობს მშვიდობისა და ჩვენი სამშობლოს ძლიერებისათვის.

ერთი წლის წინათ წერილები გამოვაქვეყნეთ „ზარია ვოსტოკაში“ და ამით გავიგეთ, რომ ლომიძე ცოცხალი ყოფილა. რუხაძე, სხირტლაძე, ვართანიანი და მე ერთად შევხვდით ფრონტელ მეგობარს. ძნელია სიტყვებით გამოხატო ის სიხარული, რაც ამ შეხვედრამ განგვაცდევინა.

ჩემი რაზმის მთავარი მიზანი, როგორც ზემოთაც ითქვა, ის იყო, რომ როგორმე უღელტეხილის დამცველებს დავხმარებოდით. მარუხის უღელტეხილის სამხრეთით მოზრდილი ყინულოვანი ქვაბური იყო. უღელტეხილზე ასასვლელი ბილიკი ამ ქვაბურზე გადიოდა, ხოლო სანამ ქვაბურში გახვიდოდი, კლდეში ბუნებრივად გაჭრილი კარი უნდა გაგვეღო. იქ რომ მივედით, ბრძოლა გრძელდებოდა. კლდის ძირში, მყუდრო ალაგას, რამდენიმე დაჭრილი ისვენებდა. დროდადრო მათ სხვებიც ემატებოდნენ. მათი გამოკითხვით ვერ დავაზუსტე ცეცხლის ხაზზე რა მდგომარეობა იყო, რომ შესაფერი გადაწყვეტილება მიმეღო. ამ დროს კლდის კარიკონსტანტინე სვინტრაძე ლეგენდად ქვეული გმირობა

დან პოლკის ქიმსამსახურის უფროსი, მკლავში დაჭრილი მაღალი ტანის ლეიტენანტი (გვარი არ მახსოვს) გამოვიდა. ვთხოვე, აეხსნა საქმის ვითარება.

— მეორე ბატალიონი და პოლკის შტაბი განადგურებულა. დაჭრილები, ვისაც სიარულის თავი აქვს, მოდიან. მძიმედ დაჭრილები სანიტრებს მოჰყავთ, მაგრამ მტერი მოგვდევს და უშწურო აღამიანებს ესვრის, — კბილების ღრქუნით თქვა ტკივილისაგან გამწარებულმა ლეიტენანტმა და შუბლზე დაყრილი ოფლის წვეთები სახელოთი მოიწმინდა.

აშკარა იყო — მტერი უკან დახეულ დაჭრილებზე ნადირობდა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა; კლდის კარი გავიარე და ყინულოვან ველს გავხედე. ქათქათა ფონზე შავად ჩანდნენ ჩვენს მომავალი, ველზე გაფანტული მერბოლები. ხანგამოშვებით თოფი გავარდებოდა და რომელიმე მათგანი წაიჩოქებდა, ან ყინულზე დაეშვებოდა.

სამხრეთ-დასავლეთიდან ქვაბურს კლდოვანი ქედი დაჰყურებდა. იქიდან ხელისგულივით ჩანდა ულელტეხილის მთაგანი. გადავწყვიტე — ჩემი რაზმით ამ ქედზე ავსულიყავი. ხელის ორი ტყვიამფრქვევის გარდა ოცდახუთამდე შაშასა და ამღენივე ავტომატი გვქონდა.

მალე მივაკვლიეთ ფაშისტების ბუნავს, საიდანაც ისინი უკანდახეულ უშწურო ჯარისკაცებს ტყვიას უშენდნენ. გათავხედებული მტერი ნიშანში ამოვიდეთ და ერთბაშად ავუტეხეთ 'როლა'. ბევრს ავუგეთ ანდერძი. გადარჩენილები მიიმაღნენ. ჩვენ აღვილად ვიცავდით თავს; ქედის თხემზე დაყრილი ვეება ლოდები საფარად გამოვიყენეთ.

ლამდებოდა. მტრის განლაგების მთელი ზოლი მოვიინიშნეთ, რათა გერმანელები ულელტეხილის სამხრეთ ფერდობზე არ გადმოსულიყვნენ. მტერმა დააზუსტა ჩვენი თავდაცვის ზოლი და ტყვიას არ ზოგავდა, მაგრამ ამოდ; საფარი საიმედოდ გვიცავდა. ამასობაში ჩვენი სანიტნაწილი, ფეხით მომავალი დაჭრილები და სხვა უკანდახეული მერბოლები სამშვიდობოს გამოვიდნენ.

ლამე თვალი არ მოგვიხუჭავს. ისედაც მცირე ჯგუფიდან 5 მებრძოლმა მახლო ადგილების დასახვერავად გვსუქ შვი. არც ზურგში და არც ფლანგებზე 1-2 კილომეტრის დაშორებით არავინ აღმოჩნდა. ლამის 3 საათი იქნებოდა, რომ ჩვენი ნაწილების ადგილსამყოფელის გასაგებად ახალი ხუთეული გავგზავნე; ამოცანა წარმატებით შევასრულეთ და ახლა მათ უნდა შევერთებოდით. ვათენებას იწყებდა, როცა მაცნობეს: ჩვენი ნაწილების თავშეყრა და გადაჯგუფება ულელტეხილის ძირას, ტყეში უნდა მოხდესო.

თავდაცვა სასწრაფოდ მივატოვეთ და ნაცნობი ბილიკით ძირს დავეშვი. ბილიკის ორივე მხარეს ვათვალიერებდით, რომ ნაწილის გამამყლავნებელი რაიმე საბუთი, დაუმარხავი გვამი ან ვინმე დაჭრილი არ დაგვრჩენოდა.

ერთი კილომეტრი რომ გამოვიარეთ, ინათა. ჩემდა უნებურად, ბილიკის გვერდით, 8-10 მეტრი სიღრმის ხრამში გადავიხედე. ხრამის ფსკერზე ფეხზე მდგარი, დასისხლიანებული სახედარი დავინახე. ზურგზე ტყვია-წამლის ყუთები ეკიდა. ხმაურზე საბრალომ ყურები გააპარტყუნა და ამოგხედა. შევლის იმედი მიეცა. სამწუხაროდ, მის ამოსაყვანად არც დრო გვქონდა და არც საშუალება, გზა განვაგრძეთ.

რამდენიმე საათის შემდეგ ულელტეხილის ძირში ვიყავით; მდინარე ჩხალთაზე რომ გადავდიოდით, მეთაურთა და თანმხლებ მებრძოლთა ჯგუფი შეგვხვდა. „ვინ ხართ? საიდან მოდიხართ? რატომ დააგვიანეთ?“ მოგვკარა წინ მომავალმა მაიორმა და პასუხს არ დავლოდებია, გვიბრძანა: სირბილით თქვენს განაყოფშიო.

ხეობაში მალე მივაგენით ჩვენს განაყოფს. ბატალიონის მეთაურს ვასილ რუხაძეს ჯერ გაუჰვირდა ცოცხლები რომ დაგვინახა; მერე, გახარებული, სათითაოდ გადაგვეხვია.

იმვე დღეს (6 სექტემბერი) ბრძანება მივიღეთ ახალი ზღუდეები დაგვეკავებინა და სასწრაფოდ შეგვეფერებინა მტრის წინსვლა. 810-ე პოლკი საბ-

რძოლველად უკვე მზად იყო. გერმანელები ამ დროს მარუხის უღელტეხილზე იდგნენ და დაუზვერავად ვერ ბედავდნენ წინსვლას.

ჩვენს ბატალიონს ჩხალთის გადალახვა და მისგან დასავლეთით აზიდულ ყინულოვან და ციკაბო მალლობზე ასვლა ებრძანა. ამ მალლობიდან მდინარე კოდორისკენ მიმავალი ხეობა უნდა დაგვეცვა. ჩხალთა იოლად გადავლახეთ, იმ ციკაბოსაც ადვილად მივადექით, მაგრამ ზედ ასვლას ვერ ვახერხებდით. ზოგი მეზობელი 4-5 მეტრით ახოხდებოდა მოლოპულ ციკაბოზე და ისევ ძირს გორდებოდა. ბატალიონის მეთაურმა ნადავლი გერმანული წერაქვით კლდეში საფეხურების კეთება დაიწყო, რამდენიმე ნაბიჯით აინაცვლა, მაგრამ მალე მასაც იგივე ბედი ეწია.

უფროსები, რომელთაც ეს ბრძანება მოგვცეს, მიხვდნენ, რომ ჩვენს უნაყოფო ცდებს არავითარი შედეგი არ მოჰყვებოდა და ახალი ბრძანება მივიღეთ. ამჟამად ყინულოვანი მთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მალლობი უნდა დაგვეკავებინა და იქ გავმავრებულიყავით. ეს ბრძანება სწრაფად შევასრულეთ.

შუადღისას გერმანელებმა მარუხის უღელტეხილის სამხრეთი კალთების ფრთხილი შემოწმება დაიწყეს, ისინი ნელ-ნელა მოიწვედნენ წინ. ჯერჯერობით ორივე მხარე ფრთხილობდა და ვადამწყვეტი ბრძოლისათვის უკეთესი პოზიციების დაკავებას ცდილობდნენ.

დაკავებული პოზიციის მახლობლად ალპური მოცივი აღმოვაჩინეთ. მის მოსაკრეფად მორიგეობით ვავზავნიდით მეზობლებს. მოცივის მარცვალი მეტად მარგებელი აღმოჩნდა; მშიერ, დასუსტებულ სხეულს წამალივით უხდებოდა. მე იმან მომასულიერა.

თანდათან ახალი ჯგუფები გვემატებოდნენ; სოხუმიდან სამხედრო კურსანტების ჯგუფი ამოვიდა. ახალმოსულთაგან ერთი ჩემი მეზობლის ნაცნობი გამოდგა — ჩანთაში სამი დღის გამომცხვარი როკივით პური და ცოტათუნე ორცხობილა ედო. ეს მაშინ

ბევრს ნიშნავდა. ულუფა ძმურად გვიწაწილეთ.

6 სექტემბერს, დაღამებისას, ჩვენმა ბატალიონმა ბრძანება მიიღო — თავდაცვის ზღუდე დაეტოვებინა, წინ წაწეულიყო და უღელტეხილის სამხრეთ ფერდობზე (მთის ძირიდან 500 მეტრ სიმაღლეზე) ახალი პოზიცია დაგვეკავებინა; მოწინააღმდეგისთვის თვალყური უნდა გვედევნებინა და თავდაცვის საჭირო ღონისძიებანი მიგველო. ეს ოპერაცია ღამით განვახორციელეთ. მეტრმა დილიდანვე ნაღმტყორცნიდან და ქვემეხებიდან დაგვიწყო სროლა. სროლას სროლითვე ვუპასუხეთ, მხოლოდ შეტევაზე არც ერთი მხარე არ გადადიოდა. მე თავდაცვისათვის მეტად მოხერხებული, მარჯვენა ფლანგი მეკავა. ლოდები, ღვთის წყალობით, აქაც ბლომად ეყარა და საფარად ვიყენებდით. რადგან შეტევას ვერ ბედავდნენ, გერმანელებმა სნაიპერები ამოქმედეს. ვალში არც ჩვენი სნაიპერები დარჩენილან. საკმარისი იყო რომელიმე ფაშისტს გაუფრთხილებლად გადაენაცვლებინა სხვა ადგილზე, რომ ტყვის წერა გახდებოდა.

7-8 სექტემბერს, ღამით, ბრძანება მოგვივიდა — თავდაცვის ხაზი დატოვებთ (იგი სხვა განაყოფმა დაიკავა) და პოლკის შტაბში გამოცხადდითო. გამოირკვა, რომ მეტრს მარუხ-ბაშის კალთები და მისი გაყოლებით ჩვენი თავდაცვის ზოლი დაეზვერა. მეტრის განზრახვა, რომ ზურგიდან შემოევლო ჩვენთვის, დროულად იქნა გამოძევუნებული. შტაბში ჩვენს ბატალიონს ებრძანა: მარუხის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მთის წაგრძელებულ მწვერვალზე (მისი სიმაღლე 3000 მეტრს აღწევდა) ავსულიყავით და მეტრისთვის ზურგიდან შემოვლის საშუალება მოგვეკეპო.

9 სექტემბერს, საღამოს, დანიშნულ ადგილას ვიყავით და 400 მეტრი სიგრძის ფრონტი გვეჭირა. აქედან კარგად

კონსტანტინე სეინტრაძე

ლეგენდალ ქვეული გმირობა

მოჩანდა მარუხის უღელტეხილის მთა-
განი და ფაშისტთა განლაგებასაც ზემო-
დან დავეყურებდით. გერმანელებს არ
გამოჰპარვიათ ჩვენი ვადანაცვლება და
ჩვენგან მარჯვნივ აღმართული უსახე-
ლო მწვერვალი დაიკავეს. ამ მწვერვა-
ლიდან უკვე მტერი დაჰყურებდა ჩვენს
პოზიციას. გერმანელები ამ უპირატე-
სობას კარგად იყენებდნენ; განსაკუთ-
რებით სნაიპერები აქტიურობდნენ.
გულხელდაკრეფილი არც ჩვენ ვიყავით.
სნაიპერებს შორის ხშირად დუელი
იმართებოდა.

ჩვენმა მეთვალყურეებმა შეამჩნიეს,
რომ უსახელო მწვერვალის ერთ ოდნავ
ჩაღრმავებულ, უნაგირის მსგავს ადგი-
ლას დროდადრო მტრის წელში მოხრი-
ლი ჯარისკაცები გადად-გადმოდიოდ-
ნენ. ხელის ტყვიამფრქვევის ჯგუფე-
ულს და რამდენიმე საუკეთესო მსრო-
ლელს დავავალე, რომ ის ადგილი ნი-
შანში ამოეღოთ. გაიარა ერთმა საათმა,
ორმა, სამმა; მტერი არ ჩანდა. უცებ
ტყვიამფრქვევმა და შაშხანებმა ერთ-
დროულად ატეხეს სროლა. წამით ჩა-
მოვარდნილი სიჩუმე უთვალავმა ექომ
დაფლითა. მაშინვე სათვალთვლო
პუნქტს მივევარდი. მხოლოდ ორ უკა-
ნასკნელ ფიგურას შევასწარი თვალი,
როგორ ასხმარტალდა და უსულოდ და-
ეცა. ამის შემდეგ გერმანელებს იქ აღარ
გაუტყაზნებიათ — ეტყობოდა, უფრო სა-
იმედო ადგილი გამოჩანეს იქით-აქით
სარბენად.

ორგანიზებული შეტევა არც ჩვენ შე-
გვეძლო და არც გერმანელებს; მტრის-
გან ღრმა ნაპრალები და კლდოვანი ხე-
ვები გვეყოფდა. სნაიპერები უკეთეს
ადგილს ვერც ინატრებდნენ, მაგრამ
რადგან თბილი ტანსაცმელი არ გვქონ-
და, სნაიპერებს ყოველ ორ საათში
ვცვლიდით. დაბლობში, რა თქმა უნდა,
ეს არ მოხერხდებოდა. ჩვენი თავდაცვის
ხაზი მთის კლდოვან, ყინულით დაფა-
რულ წვერზე გადიოდა. სანგრების გა-
თხრა იქ ყოველად შეუძლებელი იყო.
არც საამისო იარაღი გვქონდა, ამიტომ
საფარად ბუნებრივად ჩაღრმავებულ
ადგილებს და ლოდებს ვიყენებდით.

მთელ ასეულს სამი ლაბადა-კარავი
გვქონდა და მორიგეობით ვაფრენდით
თავს.

ლამის სიჩუმეში ზოგჯერ გვესმოდა.
როგორ ხეთქავდა კლდეს ყინვა. ძლიე-
რი ქვენა ზრიალით ერეებოდა ნაბადი-
ვით შავ, სქელ ღრუბლებს და ხანგა-
მოშვებით სავსე, კრიალა მთვარე გამო-
ანათებდა. მთვარის შუქზე თითქოს
უფრო მწარედ იკბინებოდა სუსხი.

რა გამძლეობა და ნებისყოფა უნდა
გქონოდა, რომ ასეთ საშინელ ყინვაში,
უძილო ღამეებით ქანცმილეულს წარბი
არ შეგეხარა, ფეხი არ მოგეცვალა ადგი-
ლიდან. მაგრამ მამა-პაპათა მიწის სიყ-
ვარულს რა არ შესძლებია. როცა სამ-
შობლო გასაჭირში ეგულება, თურმე
ყველაფერს აიტანს კაცი.

სექტემბრის შუა რიცხვებში. მდინა-
რე ჩხალთას მახლობლად, პატარა ვაკე-
ზე სარდლობამ აეროდრომი მოაწყო.
თავდაპირველად „კუჭურუზნიკები“
სურსათსა და ფოსტას იქ გვიყრიდნენ;
მერე და მერე თვითმფრინავების დაჯ-
დომაც კი მოხერხდა. ყველა ჩვენგანს
აუწერელ სიხარულს გვრიდა ნათესავ-
მეგობართა წერილები. ჩვენც იმედიან
ბარათებს ვაგზავნიდით ოჯახებში.
გვწამდა, რომ მტერს მალე მოვულებ-
დით ბოლოს. ახალ ამბებს მოწყურე-
ბული მეგობრობები ხარბად ვეტანებო-
დით გაზეთებს. გვინტერესებდა, რა
ხდებოდა სხვა ფრონტებზე, პირველ
ყოვლისა კი გულსიყური ვოლოგოგრა-
დის ბრძოლებისკენ გვქონდა მიპყრო-
ბილი.

უსახელო მწვერვალზე გამაგრებული
გერმანელები ყოველნაირად გვაფიწრო-
ებდნენ, რადგან უფრო მოხერხებული
პოზიცია ეკავათ. ამ მწვერვალზე სულ
უფრო და უფრო მეტი ეგერები იყრიდ-
ნენ თავს. რაღაც არ უნდა დაგვეჯდომა-
და მწვერვალი უნდა აგვედო, მაგრამ
ჩვენი დასუსტებული მეგობრობები საა-
მისოდ ვერ გამოდგებოდნენ.

— ეხ, მომცა ერთი ასი-ასორმოცდა-
თი დავსვენებული ჯარისკაცი და მე

ვიცი და ჩემმა ბიჭობამ, — ოხრავდა საღერღელაშლილი ვასილ რუხაძე.

ნატვრა მალე აგვისრულდა. პოლკს მწვერვალის ასაღებად ახალი შევსებიდან 118 მეზღვაური გამოეყო. დანიშნულ დღეს, საღამოთი, მეზღვაურები ჩვენს განლაგებასთან ამოვიდნენ. დასვენების შემდეგ ყველა მებრძოლი შემოწმდა. ბატალიონი შეტევის გეგმის განხორციელებას შეუდგა. დასავლეთის ფერდობიდან მწვერვალზე რუხაძე უნდა ასულიყო თავისი ჯგუფით, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან — მეზღვაურები. ღამის წყვდიადში მებრძოლები ნელ-ნელა მიიწვედნენ მალა. ქვიანი ფერდი მეტად საშოში იყო. ყოველ წუთში შეიძლებოდა მიმავლებს საყრდენი ქვები გამოცლოდათ, რასაც დიდი მსხვერპლი და ოპერაციის ჩაშლაც კი მოჰყვებოდა. შუა გზაზე იქნებოდნენ. როცა თოვა დაიწყო.

გათენებული არ იყო, რომ მწვერვალის გავაკებადმდე ასულ მოერიშეთა ერთ ჯგუფს ქვა დაუგორდა. ხმაურზე მტრის გუშაგი დაფრთხა, ავტომატის ერთი ჯერი უმისაპართოდ მიუშვა ჰაერში, თუმცა ვერ მოისაზრა, რომ მათს განლაგებას მოწინააღმდეგე უახლოვდებოდა. სამწუხაროდ, პირველად ასულმა ჯგუფმა არ დაუცადა დანარჩენებს — მტერს ნაადრევად შეუტია. გერმანელები გონს მოვიდნენ; გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. ის ჯგუფები, რომელთაც ჯერ არ აედწიათ მწვერვალამდე, აჩქარდნენ; სიჩქარეში ზოგ მებრძოლს ფეხი უსხლტებოდა და უფსკრულში ვარდებოდა. თოვამაც მოუხშირა. გზის გაგნება ჭირდა. უეცრად, აღმოსავლეთ ფერდობზე, საიდანაც მეზღვაურები ამოდიოდნენ, ზვავი ჩამოწვა. ამ უბედურებას მხოლოდ 7 კაცი გადაურჩა. ბრძოლამ ორ საათს გასტანა. მწვერვალი აღებულ იქნა. ეს მოხდა 1942 წლის 14 სექტემბერს.

უსახელო მწვერვალის მარცხი საბედისწერო განდა მტრისთვის. გერმანელები თანდათანობით კარგავდნენ პოზიციებს. ახლა ჩვენი თვითმფრინავები გადადიოდნენ შეტევაზე. მტრის

განლაგებას ბომბავდნენ. ამან ^{არც} რად აღაფრთოვანა ჩვენი მებრძოლები. ერთ-ერთი დაბომბვის დროს ჩვენმა მფრინავებმა გერმანელებს საბავირო ვზა მოუშალეს. ამ გზით ისინი ტყვია-წამალს, სურსათსა და იარაღს უმტკივნეულოდ იღებდნენ. ახლა კი კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ — ყველაფერი ზურგით უნდა ეზიდათ.

სექტემბრის ბოლოს ტყვია-წამლითა და სურსათით მომარაგება გაგვიუმჯობესდა. ორცხობილასთან ერთად ზოგჯერ სხვადასხვა კონცენტრატებიც მოგვდიოდა, მაგრამ იმ სიმაღლეზე ცეცხლის დანთება შეუძლებელი იყო. ამიტომ, რასაც მივიღებდით, ან ვიმოვიდით — უმალ შევექცეოდით.

მახსოვს, სანიტასეულიდან ორი გამომჯობინებული მებრძოლი დაგვიბრუნდა. თან ერთ კილოგრამამდე სოკოწიფითელი ამოიტანეს. ძვირფასი სოკოს დანახვაზე ნერწყვი მოგვადგა. მაშინვე გავინაწილეთ და ჭამას შევუდექით. 2-3 საათის შემდეგ ზოგიერთს ვულისრევა დაეწყო. მალე მეც ბინდი გადამეკრა თვალებზე და შევებარბაცდი. აშკარა იყო, მოვიწამლეთ. გონება რომ არ დაგვეკარგვოდა, შუბლს ყინულით ვისრესდით. კრიზისმა ნახევარსაათს გასტანა. გვიან გავიგეთ, რომ ეს საუკეთესო ჯიშის სოკო ჩვენს მებრძოლებს ნაძვის ძირში დაეკრიფათ და, რა თქმა უნდა, შხამიანი იქნებოდა.

ერთხელ ასეულის მწერალი, ორი მეკავშირე და მე საკომანდო პუნქტში კლდის ძირას ვიყავით წამოწოლილი. ძირს ნაძვის ტოტები და ბალახბულახნი გვეფინა. მე ასეულის შემადგენლობის სხვადასხვა ცნობებს ვწერდი. უეცრად ხმაური მომესმა და მალე ავიხედე. ჩემგან ხუთმეტრიდენ ნაბიჯის დაშორებით, სვეტივით მდგარ კლდის ქიმზე სროლის ექოთი დაფეთებული ჯიხვი შემხტარიყო. ცხოველს შიშისგან მთელი ტანი უცახცახებდა, განცვიფრებული მოგვიჩერებოდა და ახალი ნახტო-

კონსტანტინე სვინტრაძე
ლეგენდალ ქვეული გამირობა

მისთვის ემზადებოდა. იარაღი ხელთ არ მქონდა. შაშხანა რომ ამელო, შეუღმჩნევლად უკან გახიხება ვიწყე. ამ დროს ჯიხვმა კამარა შეჰკრა და ჩემს წინ დახტა. სწრაფად მივეარდი თოფს და თითქოს გაფრენილ ჯიხვს ორჯერ ვესროლე. საბრალომ ზედიზედ რამდენიმე ყირა გააკეთა და ჩაიკეცა; კისერი მოწყვეტით გადაუვარდა გვერდზე. ნანადირევი ყველას ვარგუნეთ. მწვადის შეწვა რომ შეგვძლებოდა, ნანადირევს მაშინ ექნებოდა გემო. მაგრამ მაშინ ავას ვინ დაგიღვედათ.

დღეები გადიოდა. ბუნება უფრო პირქუში გახდა. საშინელი ქარბუქი მძვინვარებდა. ბედად თბილმა ტანსაცმელმა ჩამოგვისწრო. მოსახლეობასაც არ დავევიწყებინეთ — თბილი წინდები, ჩაბალახები, საცვლები ბლომად გამოგვზავნათ. ამ მშობლიურმა სითბომ და ზრუნვამ ყველა ჩვენთაგანი ააღელვა. ყველას თავისი სახლ-კარი და ოჯახი მოაგონდა.

— ბიჭებო, აწი ნურაფრის გეშინიათ, — იძახდნენ გახარებული მებრძოლები. და მართლაც ეს სითბო სხვა იყო. ამ სითბოს ჩვენ სამშობლო ვვაძლევდა.

ჩვენგან ჩრდილო-დასავლეთით, მარუხის უღელტეხილის სამხრეთ კალთებზე 810-ე პოლკი და სხვა დამხმარე ჯგუფები გააფრებთ იბრძოდნენ. რა არ იღონა, მაგრამ ჩვენს უზანზე მტერმა ერთი ნაბიჯითაც კი ვერ წამოიწია წინ. ჩვენი თავდაცვა მიუვალ ციხესიმაგრესავით იდგა. ერთ გავაკებულ მალლობზე გამაგრებული გერმანელები განუწყვეტლივ უშენდნენ 810-ე პოლკის თავდაცვას. მტრის ორი ტყვიამფრქვევი შეუსვენებლად კაკანებდა — დღე და ღამე მანათობელ ტყვიებს ისროდა. ეს მალლობი უღელტეხილისკენ მიმავალ ბილიკს, ჩხალთის ხეობას და დაცვის 1-2 კილომეტრიან ფრონტს ზემოდან დაჰყურებდა. იმის აუღებლად მეტად ძნელი იყო თავდაცვითი და, მით უმეტეს, შეტევითი ოპერაციების წარმოება. ჩვენი ბატალიონი

მთაზე იყო განლაგებული და მტრის მოქმედებას კარგად ვხედავდით. მტომბრის მეორე დეკადაში, 810-ე პოლკის ერთ-ერთმა ჯგუფმა ეს მალლობი ხელთ იგდო. დილით უკვე ამ მალლობიდან ტყვიამფრქვევი ჩრდილოეთისკენ ისროდა. ამით გავიგეთ, რომ მტერი გაეძევებინათ. წარმატებამ უზომოდ აღგვაფრთოვანა.

ისედაც ცული ამინდისულ გაუარესდა. თოვა, ქარბუქი გაძლიერდა. ასეთ ამინდში აქ დარჩენას არც ერთი მხარისათვის არ ჰქონდა აზრი. მტრის პოზიციებზე სულიერი არავინ ჰაჰანებდა. მომარაგება შეუძლებელი შეიქნა.

პოლკის შტაბიდან ბრძანება მივიღეთ — მწვერვალი დაგვეტოვებინა. და ვაწყვეთ ძირს დაშვების გეგმა. ბატალიონისგან 15-20 ჯანსაღი მებრძოლი ავარჩიეთ, ტვირთისგან გავათავისუფლეთ და თოვლში გზის გაკვალვა დავავაღეთ. თოვლი 2—3 მეტრზე იდო. ამ საქმეს ისინი მორიგეობით აკეთებდნენ. გაკვალულ ბილაჯზე პირველად იარაღითა და სხვა ტვირთით დამძიმებული ჯანსაღი მებრძოლები მიდიოდნენ. მათ შემდეგ — დაუძლურებულნი. თვითეულს, ორი ჯანსაღი მებრძოლი ედგა მხარში. ასეულის ბოლოს მე და 5 მებრძოლი მოვდიოდით, თან საკაცეზე დაწვენილი მძიმე ავადმყოფი მოგვყავდა, გვარად მგონი, სერგეევი. ჩვენს შემდეგ მე-7 ასეულის მებრძოლები მოდიოდნენ, სულ ბოლოს ბატალიონის მეთაური ვასილ რუხაძე მოაბიჯებდა, შტაბითა და მებრძოლთა ჯგუფით.

დილის 7 თუ 8 საათი იქნებოდა. ქარ-თოვაში ძირს დაშვება რომ ვიწყეთ. როცა ვინმეს თოვლით დაფარულ კლდეზე ფეხი დაუტურდებოდა (ეს კი საკმაოდ ხშირად ხდებოდა), მაშინვე წვივსახვევებით, ყაბალახებით და ქამრებით გაკეთებულ „თოკს“ მივაშველებდით და თოვლში ჩაფლულ ამხანაგს გაუღდვისგან დავიხსნიდით. ბევრი იარაღი და ტვირთი თოვლში ჩავკარგეთ. მღუმარედ და დამაბული მივყვებოდით ვიწროდ გაკვალულ ბილიკს.



თოვლი სთოვს, ქარი ბობოქრობს,
 ყელბ შაკრულა მთებისა;
 ჩამოდის ხევად ზოვები,
 ჩამონასხლტნი კლდებისა.
 გაუბამ ყინულს ლურჯადა
 უბე-კალთები წყლებისა,
 მიუნაქრია ერთიან
 ვიწრო სავალი გზებისა.

ამაზე ძლიერად არა მგონია ვინმემ
 გადმოსცეს ბუნების მრისხანე და დი-
 დებულები სურათები, რისი ხილვის მოწ-
 მენიც ჩვენ ვიყავით მაშინ. მოდიოდ-
 ნენ ამირანის მოდგმის ბიჭები და
 სირცხვილნაჭამი არ ტოვებდნენ კავკა-
 სიონის „თოვლიან-ყინულიან“ მწვერვა-
 ლებს.

ღამის 10 საათი იქნებოდა, ჩხალთის
 ხეობამდე რომ ჩავდწიეთ. საშინლად
 ვიყავით დაქანცული. სერგეევი კარგა
 მოსული ვაჟკაცი იყო, ავადმყოფობის-
 გან მთელ ტანზე დასივდა. მისი ზიდვა
 ისე გვიჭირდა, რომ თითონ გვეხვეწე-
 ბოდა: დამტოვეთ, ბიჭებო. ჯობია
 მარტო მე დავიღუპო, ვიდრე თქვენც
 ჩემთან ერთადო.

ამან სულ ცეცხლი წაუკიდა მებრძო-
 ლებს; უკანასკნელი ძალა მოიკრიბეს
 ამხანაგის გადასარჩენად. შტაბთან რომ
 მივიყვანეთ, სერგეევი ძლივს სუნთქავ-

და. პოლკის მეთაური მაიორი ა. არუთისოვი
 ღია, კომისარი მაიორი ა. არუთისოვი
 და შტაბის თითქმის მთელი შემადგენ-
 ლობა გახარებული შეგვეგებნენ; მშვი-
 დობით ჩამოსვლა მოგვილოცეს. სერ-
 გეევი სასწრაფოდ სანიტარულ ნაწილ-
 ში გაგზავნეს; შემდეგ გავიგეთ, რომ
 მომჯობინებულიყო და იქიდან ზურგ-
 ში გაეგზავნათ სამკურნალოდ.

ექიმებმა ი. შვანგირაძემ და გ. მაჩი-
 ტაძემ ჩვეული გულმოდგინებით გა-
 სინჯეს მებრძოლები; დახმარებაც მა-
 შინვე აღმოუჩინეს; გათოშილი ძვლე-
 ბი გაგვითბა, მოვსულიერდით, დავნაყ-
 რდით. მარუხზე ყოფნის 75 დღის შემ-
 დეგ პირველად აქ ვჭამეთ ცხელი კერ-
 ძი.

რამდენიმე დღის შემდეგ ბატალიონ-
 ნის მეთაური ვასილ რუხაძე, სერჟანტი
 ლევან მშენიერაძე, 2 მებრძოლი და მე
 სოფელ წებელდაში გაგვაგზავნეს, რა-
 თა პოლკისათვის ბინები შეგვევრჩია.
 მალე ჩვენი პოლკიც იქ ჩამოვიდა.
 1943 წლის იანვარში ახალი საბრძოლო
 ამოცანის შესასრულებლად გავემგზავ-
 რეთ.

კონსტანტინე სვინტრაძე
 ლეგენდად ქცეული გმირობა



გუგამ ღოთქიფანიძე

ღებენღარუღი კოღხეთის უძვეღესი ქაღაქი

კოღხეთი უძვეღესი ღროიღან გან-
თქმული იყო თავისი სიმიღღრიტა ღა
პუნებით. მას მქიღრო ურთიერტობა
ქქონღა მაშინღელი კულტურული სამ-
ყაროს განვიტარებულ ქვეყნებთან. მარ-
ტალია, ქართულმა წყაროებმა ძალზე
მკირე ცნობები შემოგვინახეს იმ ღრო-
ის შესახებ, მაგრამ ბერძენ-რომაელ
ავტორტა შრომები ერთგვარად ავსებენ
ამ ღანაკლისს. განსაკუთრებით პოპუ-
ღარული იყო კოღხეთი ღა კოღხები
საბერძნეთში, საღაც შეიქმნა მითი არ-
გონავებზე. ამ მითს ხშირად იყენებ-
ღნენ ძველი ბერძენი მწერლები. იაზო-
ნისა ღა მეღეას ლიგენღა ისეთი პოპუ-
ღარული იყო, რომ ერთი გვიანღელი
რომაელი პოეტი წერღა: *Notique ere-
pto uellere colhi* — საწმისის ღაკარ-
კვით სახელგანთქმული კოღხნიო. ვარ-
ღა ამ მითებისა, რომლებშიც უეჭვეღად
აირეკღა სინამღვიღის ნაწილიც, ბერძ-
ნები კარგად იცნობღნენ კოღხეთის
სიმიღღრეს ღა ცდიღობღნენ კიღევაც
მის ხელში ჩაგღებას. ჰეროდოტეს, ქსე-
ნოფონტეს, სტრაბონის, პღინიუსის
ცნობებით კოღხეთი მიღღარი, მქიღ-
როღ ღასახლებული ქვეყანაა, საღაც

ბევრი ღიღი სავაჭრო ქაღაქია. კოღ-
ხებს კი ერთხმად აღიარებენ სამშობ-
ღოს მოყვარულ, მებრძოღ ხალხად.
კოღხეთს მრავალი სისხლისმიღვრელი
ომების გაღატანა უხღებოღათ: ხან აქე-
მენიღღურ ირანთან, ხან ბერძნებთან ღა
რომაელებთან ღა ხან კიღევ ვისთან.
ომებმა მიღმე კვალი ღაამჩნიეს ქვეყა-
ნას. ამასთან ღაკავშირებით აღსანიშ-
ნავია პღინიუს სეკუნღღუსის (I საუკ.
ჩვენი წელ-ით) ერთი ცნობა. იგი ჩამო-
თვღის ფაზისის ნაპირებზე გაშენებულ
ქაღაქებს: ტინღირიტს, კირკეის, კიგ-
ნისს, ფაზისს, ეას. „ამყამად, — ღასქენს
ავტორი, — არსებობს მხოლოღ ქაღაქი
სურიუმღი, რომელმაც თავისი სახელწო-
ღება მიიღო იმ მიღინარისგან, რომღის
ნაპირებზეც გაშენებულღია“. პღინიუ-
სის განსაზღვრით, ეს ქაღაქი გაშენე-
ბული იყო იმ აღგიღას, საღაც მიღინარე
ფაზისს მიღინარე სურიუმღი ერთგოღა.
სწორედ ამ ქაღაქამღე იყო მიღ. ფაზისი
(რიონი) სანაოსნო ღიღი გემებისთვის.
ჯერჯერობით ამ უძვეღესი ქაღაქე-
ბიღან მხოლოღ რამღენიმეს აღგიღ-
სამყოფელი თუ ვიციტ. მეცნიერები
ვარაუღობენ, რომ ფაზისი 'ახღანღელი

უოთის მახლობლად უნდა ყოფილიყო, დიოსკურია კი სოხუმთან. ამ ქალაქების აღმოჩენა-შესწავლა შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, ჩვენი პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის შედეგად. ამ მიმართულებით დიდი ხანია მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ნინო ხოშტარია. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ იქნა ძველი კოლხური ნაქალაქარი, რომელიც ნინო ხოშტარიას ვარაუდით პლინიუსის მიერ დასახლებული სურიაში უნდა იყოს¹. ეს ნაქალაქარი მდებარეობს მაიაკოვსკის რაიონის დაბა ვანში; იმ ადგილას, სადაც მდინარე რიონს მდინარე სულორეერთვის. მართლაც, ადვილი შესაძლებელია, რომ მდინარე სულორი ძველი სურიაში იყო და ამ სახელით იწოდებოდა აქ გაშენებული ქალაქი.

დაბა ვანმა, რომელიც რიონისპირა მაღლობზეა გაშენებული, დიდი ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. აქ აღმოჩენილ განძებზე დღესაც გაიგონებს ლეგენდებს იქ ჩასული კაცი. ეს ლეგენდები რომ უსაფუძვლო არ არის, ამას მოწმობს გასული საუკუნის საქართველოს ყურანალ-გაზეთებში დაბეჭდილი ცნობები, სადაც საუბარია ვანში ანუ საჩინოში აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებზე.

1848 წელს საქართველოში მოგზაურობდა აკადემიკოსი მარი ბროსე. ქუთაისში „სიძველეთა დიდ მოყვარულ გ. აბაშიძეს“ მისთვის საჩუქრად გადაუცია ვანში (საჩინო) აღმოჩენილი ადამიანის 14 გოჯის სიმადლის ბიუსტი. მ. ბროსეს არ გამოჰპარვია მხედველობიდან ამ უნიკალური ნივთის მნიშვნელობა და აღმოჩენის პირობების გამოსარკვევად სპეციალურად გაემგზავრა ვანში. მ. ბროსეს გაუგია, რომ ბიუსტი

სამარსში ეპოვება გლეხებს¹. ამ აღმოჩენის მნიშვნელობა მან ხაზგასმით აღნიშნა კავკასიის მეფისნაცვლისთვის წარდგენილ მიმართვაშიც, რომელიც გაზ. „Кавказ“-ის 1852 წლის ივლისის ნომერში დაიბეჭდა. ყველაზე საინტერესო ცნობები მიაწოდა მკითხველებს გაზეთმა „მოამბემ“ 1876 წლის ერთ-ერთ ნომერში, რუბრიკით — „საქართველოს დღიური“. აი, რას წერს კორესპონდენტი სხვიტორელი:

„...ისრე წვიმა არ მოვა, რომ ახვლედიანების კარებთან არ ჩამოიტანოს გორიდან ნიაღვარმა ხან ოქროები, ხან ოქროს ძეწკვი, ხან ბეჭდები, ხან რა და ხან რა ნივთეულობები“, — გულისტკივლით განაგრძობს წერილის ავტორი, — „როგორც ჩანს, დიდი სიმდიდრე უნდა იყოს ამ გორაში, ვინ იცის, რამდენი ისტორიის მასალები არის ნაპოვნი და პატრონების უცოდინარობით დაღუპულა და რამდენი კიდევ იბოვება ამ გორაში“-ო. კორესპონდენტი აღწერს იმ ნივთებს, რომლებიც მპოვნელებს ვაჭრებისთვის მიუყიდიათ. ესაა ოქროს ლანგარი ცხოველების გამოსახულებით, ოქროს ბეჭედში ჩასმული ლალი. რომელზედაც ამოჭრილი იყო ქალის სახე და მრავალი სხვა². აღწერილობის მიხედვით ვანში ანტიკური ხანის ოქრომპეველობის შესანიშნავი ნიმუშები აღმოჩენილა. ავტორი მიმართავს 1873 წელს საქართველოში შექმნილ არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებას, რომ ყურადღება მიექციოს ამ ამბავს. ეს გადაუღებელი ამოცანა იყო, რადგან საქართველოს სიძველეებით მრავალი ავანტიურისტი (განსაკუთრებით უცხოელები) იყო დაინტერესებული. „მოამბე“ მათ „ვითომდა არქეოლოგებს“ უწოდებს და ერის

¹ M. Brosset. Rapports sur "un voyage archéologique dans La Georgie et dans L' arménie, exécuté en 1847-1848, st. Pbg, 1851. მოხსენება 11. გვ. 5.

² უფრო დაწვრილებით იხ. ნ. ხოშტარია, არქეოლოგიური გათხრები სოფ. ვანში 1947 წ. მიომზილევი, I, თბ. 1949, გვ. 302-303.

მტრებად აცხადებს. საყურადღებოა, რომ დასავლეთ საქართველოში გათხრების ჩატარების ნებართვა ითხოვა სახელგანთქმულმა არქეოლოგმა შლიმანმა. ცნობილია, რომ შლიმანი საქმაოდ ანგარიშიანი ვაჭარიც გახლდათ და ტყუილუბრალოდ თანხებს არ გაიმეტებდა. მის დიდ დაინტერესებას მოწმობს ის, რომ ტრაში გათხრების დამთავრებისთანავე 1883 წელს მან თხოვნა გაუგზავნა რუსეთის მეფეს, რათა არქეოლოგიური გათხრების ჩატარების ნება მიეცათ საკუთარი სახსრებით. ცხადია, წყაროების გარდა მას რაღაც პირდაპირი ცნობებიც გააჩნდა. როგორც ირკვევა, ვერც ვანი გადაურჩა განძისმაძიებელთა თარეშს. არის ცნობები, რომ ვანში აღმოჩენილი სამკაულები სხვადასხვა პირებზე გაიყიდა. ქუთაისის გიმნაზიის დირექტორს შეუძენია ვანში აღმოჩენილი პატარა ოქროს ნიღაბი და სხვ. 1880 წელს, V საარქეოლოგო ყრილობის მზადების დროს, მწერალმა გიორგი წერეთელმა, რომელიც საქართველოს არქეოლოგიის დიდი მოყვარული იყო, ე. წ. მოსამზადებელი კომიტეტის სხდომაზე გააკეთა მოხსენება რიონის ხეობის ყორღანების შესახებ და აღნიშნა:

«Курганы в Сачино в имении наследников кн. Н. Чиджавадзе. 10 или 15 лет тому назад, некто дворянин Ахвледиани в одном из этих курганов нашел целый клад золотых и медных вещей повидимому очень древнего происхождения».¹

ამ განცხადებამ მეცნიერები დაინტერესა ვანის სიძველეებით. მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოების დავალებით 1889 წელს ვანში გათხრების ჩასატარებლად ჩავიდნენ ა. სტოიანოვი და ვინმე იაკობი, ტომით ფრანგი. ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია, თუ რა მასშტაბის და როგორი გათხრები ჩატარა მან, რადგან ჩვენამდე არავითარ დოკუმენტს არ მოუღწევია. „Кутаис-

кие ведомости“-ის 1889 წლის 17 აგლისის ნომერში, ე. წ. არაოფიციალური განყოფილების ადგილობრივ ქრონიკაში დაიბეჭდა მოკლე ცნობა, რომ სტოიანოვმა აღმოაჩინა: «...близ села Вани (Кутаисский уезд) могильники древнегреческой эпохи. Несколько золотых вещей найденных в этой местности представляет большой интерес».

როგორც ჩანს, ექსპედიციაში სამაოდ კვალიფიციური არქეოლოგიც ყოფილა (სტოიანოვი ეთნოგრაფი იყო),¹ რადგან სამარხების დათარიღება ძველბერძნული ხანით ზუსტია ვანში აღმოჩენილი სამარხების ერთი ჯგუფისათვის. თუ ვინ იყო იაკობი, ჩვენთვის უცნობია. იგი რომ მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოებისგან წარგზავნილი ოფიციალური პირი ყოფილიყო, ზემოთმოყვანილ პატარა ქრონიკაშიაც მოიხსენიებდნენ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ვიცით, თუ სად იმყოფება ა. სტოიანოვის მიერ მოპოვებული არქეოლოგიური ნივთები. შესაძლოა, ეს ნივთები საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყნის მუზეუმს ამშვენებს. კავკასიის მუზეუმის მაშინდელი უცხოელი ხელმძღვანელების წყალობით (გ. ი. რადე და სხვ.) ბევრი უნიკალური ნივთი აღმოჩნდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნების მუზეუმებში.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიექცა სათანადო ყურადღება ვანის სიძველეებს. 1929-1940 წ.წ. საქართველოს მუზეუმმა შეიძინა ს. ვანში აღმოჩენილი რამდენიმე ძვირფასი ნივთი. მათ შორის აღსანიშნავია პოლიქრომული დიადემა და ოქროს ბალთა, რომელზედაც გამოხატულია ვეფხვთან შექიდეებული ჰერაკლე და სხვ.

¹ ა. სტოიანოვის დიდი სიყვარულით იხსენებდა აკადემიკოსი ნიკო შარი, რომელიც მას თავის ნამდვილ მასწავლებლად თვლიდა მეცნიერებაში, კერძოდ კი კავკასიამცოდნეობაში.

¹ Г. Церетели. Заметки о курганах и раскопках по Рионской долине. Протоколы подг. Комитета к V арх. съезду в Тифлисе. Москва, 1882, стр. 337.

გურამ ლორთქიფანიძე
ლეგენდარული კოლხეთის უძველესი ქალაქი

1896 წელს მცირე გათხრები ჩაატარა ვანში ექვთიმე თაყაიშვილმა. მან ის ადგილი, სადაც სამუშაოები სწარმოებდა (ე. წ. ახლედანიანების გორა), შეადარა ქერჩის „მითრიდატეს გორას“ და არც თუ უსაფუძვლოდ. ორივე გორა მდიდარი იყო არქეოლოგიური ძეგლებით და ორივე უმოწყალოდ დაესერათ განძისძიებლებს. მიუხედავად ამისა, ვანის ნაქალაქარმა მრავალი საინტერესო ცნობა შემოგვინახა.

მართალია, ვანში დროდადრო ჩადიოდნენ მეცნიერები (ბ. კუფტინი, აკად. ნ. ბერძენიშვილი, ნ. ხოშტარია, ლ. მუსხელიშვილი), მაგრამ ნამდვილი არქეოლოგიური სამუშაოები აქ 1947 წლიდან იწყება. ჩვენს დიად სამშობლოს ჯერ არც კი მოეშუშებინა მძიმე სისხლისმღვრელი ომით მიყენებული ჭრილობები და მთავრობამ გამოიწვია სახსრები იმისთვისაც, რომ ვანში ნამდვილი არქეოლოგიური გათხრები დაწყებულიყო. ამ ექსპედიციის მოწყობის ინიციატორი იყო აკად. ს. ჯანაშია, ხელმძღვანელად დაინიშნა ნ. ხოშტარია.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოირკვა¹, რომ ე. წ. „ახლედანიანების გორა“ წარმოადგენდა ძველი კოლხური ქალაქის არისტოკრატებით დასახლებულ უბანს. აქ იყო ქალაქის შიდაციხე ანუ აკროპოლისი. ამ შიდაციხეს მეტად ხელსაყრელი მდებარეობა ეკავა — ორი მხრიდან მას ღრმა ხევეები იცავდა და, გარდა ამისა, მტკიცე გალავნითაც იყო გამაგრებული. აქედან ხელისგულივით ჩანდა რიონისპირა ქალები, მდ. სულორის ნაყოფიერი ხეობა.

ამ გორაკის თავზე იდგა შესანიშნავი ტაძარი, რომლისგანაც ჩვენამდე მხოლოდ ფართო კბემ და დიდი თლილი ქვების საძირკველმა მოაღწია. სავარაუდოა, რომ ნაგებობის ქვეშ იყო ტაძრის განძეულობათა მთავარი სამალავი. გათხრებმა გვიჩვენა, რომ ტა-

ძარს ვარს ეკრა წარჩინებულთა მარხები. ქალაქის სავაჭრო-სახელოსნო უბნები დაბლობში, რიონისპირებზე უნდა ყოფილიყო. რიონზე იყო დიდი გემსადგომი, რადგან, წყაროების მიხედვით, სწორედ ამ ადგილამდე იყო რიონი სანაოსნო-საზღვაო გემებისათვის. რიონზე კი, როგორც ცნობილია, ვადიოდა საერთაშორისო მნიშვნელობის დიდი სავაჭრო გზა, რომელიც ინდოეთიდან იწყებოდა და ქალაქ ფაზისთან მთავრდებოდა. სწორედ ამ სავაჭრო გზამ შეუწყო ხელი ქალაქ სურიუმის აყვავებას. აქ აღმოჩენილია სირიის, ეგვიპტის, საბერძნეთის, იტალიის სახელოსნოებში დამზადებული ნივთები. აღმოჩენილია კერამიკული ნაწარმოები, რომელთაც მცირე აზიის ქალაქ-სახელმწიფოთა დამღები აზით. გარდა ამისა, აქ აღმოჩენილია სხვადასხვა ქვეყნისა და ქალაქების ოქრო-ვერცხლისა და ბრინჯაოს მონეტები. ქალაქს თავისი საწონი სისტემაც ჰქონია. ამაზე მეტყველებს აქ აღმოჩენილი ტყვიის საწონები ჯერადობის ნიშნებით. უცხოურ ფულებთან ერთად მიმოქცევაში ყოფილა კოლხური ვერცხლის მონეტებიც, რომლებსაც ხშირად პოულობენ ნაქალაქარზე.

გორაკის ფერდობზე ქვის კვადრებით ნაშენი და კრამიტით გადახურული დიდებულითა სასახლეები იდგა. ახლა მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი. აღტაცებას იწვევს ე. წ. რუსტიკით დამუშავებული ერთ მეტრამდე სიგრძის ოთხკუთხა ქვები, სვეტის ნაწილები. ყველაფერი ეს ძველი კოლხეთის დიდ სამშენებლო ხელოვნებას მოწმობს.

ვინც ამ ნაქალაქარს ესტუმრება, ადვილად შეამჩნევს, რომ აქ დიდი კატასტროფა მომხდარა (ადგილობრივი მოხუცები „ქვეყნის დაქცევის“ დროინდელ ამბებს უკავშირებენ). მართლაც, ძალზე ნათელი სურათია უდიდესი ნგრევისა და მძვინვარე ხანძრისა. რა უბედურება დაატყდა ქალაქს? იქნებ პომ-

¹ ამასთან დაკავშირებით იხ. ნინო ხოშტარიას „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის“. II. თბ. 1959, გვ. 151 — 153.

გურამ ლორთქიფანიძე
ლეგენდარული კოლხეთის უძველესი ქალაქი

პეის ხვედრი გაიზიარა? აი, რა ტრაგედია დატრიალდა აქ 2000 წლის წინათ. კოლხეთი ძვ. წ. 1 საუკუნეში ჩათრეულ იქნა მითრიდატე VI პონტოელის ომების ორომტრიალში. რომაელებმა, პომპეუსის ხელმძღვანელობით, დაამარცხეს მითრიდატე. მითრიდატე ევპატორმა კოლხეთში ჰპოვა თავშესაფარი. დადგა მითრიდატეს მოკავშირეთა ჯერიც. პომპეუსმა დალაშქრა სომხეთი, გადმოვიდა აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც სისხლისმღვრელი ბრძოლა ჰქონდა იბერიის მეფე არტოგთან; სურამის გადასასვლელით შეიჭრა კოლხეთში... ეს მარშრუტი პომპეუსმა წინასწარ შეადგინა; შემთხვევით როდი ელოდებოდა ქ. ფაზისთან ნავარქოსი სერვილიუსი დიდი ფლოტი. პომპეუსი იჩქაროდა მასთან შესახვედრად, რადგან იმედოვნებდა, რომ ზღვიდან და ხმელეთიდან გზამოჭრილი მითრიდატე ვერსად გაექცეოდა. გზაზე მათ დიდი დაბრკოლება გადაეღობათ. ეს იყო კარგად გამაგრებული ქალაქი სურტიუმი. როგორც ნ. ხოშტარია ვარაუდობს, ქალაქი თავდაცვისათვის ემზადებოდა: გაუმაგრებულიათ კედლები და ფილაკავნებისთვის ქვის ჭურვები მოუმარაგებიათ. ერთ შენობასთან აღმოჩნდა ქვის ჭურვების საკმაოდ დიდი მარაგი (60 ცალზე მეტი). ქვის ჭურვების დამზადება (მათი დიამეტრი 10-დან 30 სმ-მდე) დიდ სახელმწიფოებრივ წარმოებას მოითხოვდა. ჭურვების დამზადება სპეციალურ სახელოსნოებში და სპეციალური ოსტატების მიერ ხდებოდა, რადგან მათი დიამეტრის მიხედვით ისაზღვრებოდა ფილაკავანთა ანუ პეტრობოლთა კალიბრი. ფილაკავანი, არტილერიის ეს შორეული წინაპარი, საკმაოდ რთულ მექანიზმს წარმოადგენდა და მხოლოდ ეკონომიურად ძლიერ და განვითარებულ ქვეყნებს ჰქონდათ. მათი მოქმედება ე. წ. ტერსონულ (Tersion — დაგრეხა) პრინციპზე იყო დამყარებული. ქვის სატყორცნი ენერჯის წყაროდ გამოყენებული იყო ხარის კისრის ძარღვები, რომლებიც ორ მასიურ ხის საყრდენს შორის იყო გაჭიმული. დაგრეხილ,

დაჭიმულ ლარებს შორის გატარებული იყო ბერკეტი, რომლის ერთ ბოლოში ქვის ჩასადები ბუდე იყო მოწყობილი დაგრეხილი ძარღვები აიძულებდა ბერკეტს ჰორიზონტალური მდგომარეობიდან უეცრად გადასულიყო ვერტიკალურში, რის შედეგადაც ხდებოდა ქვის ჭურვის ტყორცნა. ბერძენ-რომაელი სამხედრო ავტორები ირწმუნებიან, რომ ჭურვი იტყორცნებოდა 300 ნაბიჯის სიგრძეზე. ამ იარაღს იყენებდნენ როგორც ქალაქებზე თავდასხმისას, ასევე თავდაცვისთვის. განსაკუთრებით იყენებდნენ მას თავდამცველები, რადგან მანქანები სპეციალურ მოედნებზე ედგათ და ჭურვების მარაგიც იქვე ჰქონდათ. მათი გადაზიდვა, მანქანების გაწყობა დიდ დროსა და საკაპანო საშუალებებს მოითხოვდა. როგორც ვხედავთ, იმ დროისათვის ქალაქის დამცველები კარგად იყვნენ მომზადებულნი. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით კოლხთა ძირითადი საბრძოლო იარაღი სხვადასხვა ზომის სატყორცნი და საძვერებელი შუბები იყო. თავდაცვისათვის იყენებდნენ ხისა და ტყავისაგან დამზადებულ ფარებს, ტყავისავე ჩაფხუტებს. ხისა და ტყავის ნივთები ვიწაში არ ინახება და ამ მასალისგან დამზადებულ კოლხთა იარაღებზე ჩვენ ძველი ავტორების ცნობებიდან ვიცით. შეძლებულთა წარმომადგენლები ბრინჯაოს მუზარადასა და ჯავშნის კურტაკებში იყვნენ გამოწყობილნი. ასეთი ჯავშნის ბრინჯაოსა და რკინის ფირფიტები არაერთხელ აღმოჩენილა ვანში.

ჩვენ არ ვიცით, რამდენ ხანს გასტანა ბრძოლამ. ერთი კი ცხადია; რომაელთა ლეგიონებმა, რომელთაც ქალაქების აღების დიდი გამოკდილება ჰქონდათ, აიღეს და ძირფესვიანად დაანგრიეს ქალაქი. ხანძარს საკმაოდ დიდხანს უბოხოქრია. ამაზე ნათლად მეტყველებს ნახშირის სქელი ფენა ნაქალაქარის მთელ ფართობზე. არც რომაელებს დადგომიათ კარგი დღე; ვანში აღმოჩნდა რომაელთა ლეგიონის დროშის ე. წ. ვექსილუმის ნაწილი — ბრინჯაოს არწივი. როგორც ჩვენს დროში, ასევე

ძველადაც დროშის დაკარგვა დიდ სირ-
ცხვილად ითვლებოდა...

გავიდა დრო, ქალაქმა ვერ მოიშუშა
იარები, კლავინდებურად ვერ გაიმართა
წელში. ომიანობამ დიდი სავაჭრო გზაც
გააუქმა. ვაჭრებმა უფრო უხიფათო
გზები ირჩიეს. ამან კი ბოლო მოუღო
ქალაქს და უმნიშვნელო დასახლებად
აქცია. გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი.
ოდესლაც დადებული ქალაქის ნანგრე-
ვებიც მიწით დაიფარა. მომავალი თაო-
ბების მახსოვრობიდან მისი არსებობაც
კი წაიშალა. თუ რა მდიდარი იყო
კოლხეთი და კერძოდ ეს ქალაქი, მოწ-
მობს ვანში 1961 წელს აღმოჩენილი
ე. წ. „დიდებული კოლხი ქალის“ სამარ-
ხი, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუ-
ბარი.

*

ოქტომბრის მიწურული იყო. ბარაქი-
ანი შემოდგომა იდგა. ჩვენი ექსპედიცია
ძალე უნდა დამთავრებულიყო (საბედ-
ნიეროდ, კი არ დამთავრდა, არამედ
სწორედ მაშინ დაიწყო განუმეორებელი,
დაუეწიყარი, ღელვითა და სიხარულით
აღსავსე სამუშაო დღეები). ნინო ხოშ-
ტარია დიდი ხანია აპირებდა ახვლე-
დიანთა გორაზე მოსახლე კალინიკე და
სიმონ ახვლედიანების ეზოში არქეო-
ლოგიური სამუშაოების ჩატარებას. ჯერ
ერთი, ამ ეზოში წინათაც აღმოჩენილა
ქვის სარკოფაგი, აღმოჩენილი ძვირ-
ფასი სამკაულობა კი უკვალოდ დაკარ-
გულა (ეზოში ეგდო და ჩვენს ცნობის-
მოყვარეობას აღიზიანებდა ამ სარკოფა-
გის მონოლითისაგან გამოკვეთილი დი-
დი სახურავი). მეორეც: აქ ჩანდა ალი-
ზის კედლის ნაშთები, ქვის ჭურვები და
სხვა.

გასათხრელ ობიექტად არჩეულ იქნა
ის ადგილი, სადაც ჩვენს ჩამოსვლამდე
რამდენიმე დღით ადრე ქვის სახეთე
წისქვილი აღმოჩნდა... და აი, ექსპედი-
ციის დასასრულს, ზედაპირიდან — 2
მეტრის სიღრმეზე გამოჩნდა კლდეში
ამოკვეთილი სამარხი. ვერც გავიგეთ,
ისე დაგვადამდა. მუშაობის გაგრძელება
შეუძლებელია. არა და სამარხის დატო-

ვება არ შეგვიძლია — სიღრმეიდან ან-
თებს არაჩვეულებრივი სიღამა დასა-
რული საგანი. წასვლა არავის არ უფიქ-
რია. ექსპედიციის ცხრამეტივე წევ-
რი ველზეა და თავს ევლება სამარხს.
ნინო ხოშტარია იგონებს, თუ რა პირო-
ბებში აღმოჩენილა ვანში მდიდრული
სამარხები: ...ქვაყუთი გაიხსნა და აღმო-
ჩნდა პატარა გოგონას სამარხი. გულ-
დამწვარ მშობლებს იმის იმედით, რომ
მათი პაწია საიქიოშიც განაგრძობდა
სიცოცხლეს, პატარა ოქროსა და ვერცხ-
ლის სამკაულებთან ერთად სათამაშოც
კი ჩაეტანებინათ. ეს იყო 1948 წელს!
რა აღმოჩნდება წელს? ვაი თუ გაძარ-
ცულია სამარხი? იქნებ ჯერ კიდევ
ძველ დროში მიაგნო განძისმაძიებელ-
მა? ყველას ეს კითხვა აწვალებს, ხმა-
მალლა თქმისა კი ყველას ერიდება —
არ უნდათ დიდებული მოლოდინი მო-
უწამლონ ერთმანეთს. უზარმაზარი კაკ-
ლებიდან მთვარემ გადმოიხედა. ყველას
ცისკენ გაექცა თვალი. ჩვენს ბელზე ცა
მოწმენდილია, სამარხს არაფერი ემუქ-
რება. გათენდა თუ არა, სამარხის წმენ-
დას შეეუდებოთ. პატარა დანითა და
ფუნჯით როგორც იქნა გავწმინდეთ
ჩონჩხი. ძნელია სიტყვებით გამოხატო
ყველაფერი ის, რაც ჩონჩხთან ერთად
გამოჩნდა,¹ ჩანდა რომ მიცვალებულს
ოქროს პატარა ღილებით მოჭედილი
სუდარა ეხურა, რადგან 300 ასეთი
ღილი გაბნეული იყო მთელ სამარხში.
ჩონჩხი ძალზე ცუდად იყო შენახული.
ექვს არ იწვევდა ის ამბავი, აქ დიდ-
ებული ქალი იყო დაკრძალული, რადგან
უამრავი სამკაულები ჩაეტანებინათ
(გვიან მეცნიერებმა გამოაკვლიეს, რომ
იგი 25 წელს არ უნდა ყოფილიყო გა-
დაცილებული).

¹ სამარხში აღმოჩენილი ნივთების ვრცელი
აღწერა და დათარიღება იხ. Н. В. Хоштария
Археологические раскопки в Вани. Кавკ-
სიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, II, თბ.
1960, გვ. 68 — 75.

გურამ ლორთქიფანიძე
ლეგენდარული კოლხეთის უძველესი
ქალაქი



უდროოდ გარდაცვლილს. როგორც ჩანს, თან ჩაატანეს მისი საყვარელი ნივთები: ბრინჯაოს სარკე, გედისთავიანი ვერცხლის კოვზები, ძვირფასი ფინიკიური მინის ლარნაკები ნელსაცხებელთათვის, ოქროს სამაჯურები (4 წყვილი, ცხოველთა თავების სკულპტურული გამოსახულებით); მკერდზე სატარებელი ოქროს ბალთა ფასკუნჯებისა და ჩიტების ინკრუსტირებული გამოსახულებით. მას ოქროს ძეწკვებზევე ოქროს პატარა ბროწეულები ჰქონდა ჩამოკიდებული. მიცვალბულს მკერდზე ედო ოქროს ფილა. იქვე ეწყო არაჩვეულებრივი სილამაზის და სხვადასხვანაირი საყურეები. მათ შორის აღსანიშნავი იყო პატარა ცხენოსნების სკულპტურული გამოსახულებები, რომლებიც ბორბლებიან საზიდარზე იდგნენ (საგანი ისე ნატიფად იყო გაკეთებული, რომ ოთხივე ბორბალი თავისუფლად ბრუნავდა). ამ ქალის დიდ გემოვნებას მოწმობდა ისიც, რომ ამ უამრავ ოქროს ნივთებში ვერცხლისა და რკინის სამკაულებიც ერია. ყელის არეში ოქროს რამდენიმე სხვადასხვანაირი ყელსაბამე იყო, რომელთა შორისაც გამოირჩეოდა ჩიტუნებისა და პატარა ჯიხვების აცმა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოქროს პატარა ზოდის

აღმოჩენას. ექსპედიციის ხელმძღვანელის დასკვნით ეს იმას ნიშნავდა, რომ ნივთების უმეტესობა ადგილობრივი წარმოშობისა იყო. ეს პიპოთეზა განსაკუთრებით ნათლად დაადასტურა ოქროს მასიურმა დიადემამაც, რომლის ზუსტი ანალოგიები ბრინჯაოს ხანაშიც აღმოჩნდა ჩვენში. სამარხი ნ. ხომთარიამ ძვ. წ. V საუკუნით დაათარიდა. ამ აღმოჩენამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მითი ოქროს საწმისზე უბრალო ზღაპარი როდი იყო. კოლხეთი მართლაც რომ განთქმული ყოფილა ოქროთი და მისი დამუშავების დიდი ხელოვნებით.

დამთავრდა ექსპედიცია, რომელმაც საქართველოს ისტორიის კიდევ ერთი ბნელით მოცული ფურცელი გააშუქა. ყველაზე თვალწარმტაცი მაინც ის იყო, რომ ლეგენდარული კოლხეთის უძველესი ქალაქისთვის ნანგრევებზე ყვაოდნენ ბებერი ტყემლები. ყვაოდნენ ისე ნაზად, ისე დამათრობელ სურნელს აფრქვევდნენ ეს პატარა თეთრი ყვავილები, თითქოს გვანიშნებდნენ — ნუ დარდობთ ძველი კოლხეთის ბედს, მთავარია, რომ სიცოცხლე გრძელდება და ახალი თაობა ახალ ბედნიერ ცხოვრებას აშენებსო!



აზომ

წიგნი კენედის
გაქველდობაზე

უკვე 2,5 მლნ ამერიკელმა მოაწერა ხელი ჯერ გამოუცემელ წიგნზე პრეზიდენტ კენედის მეგობრობის შესახებ. წიგნი ემყარება პოლიციის სააგენტოს კორესპონდენტებისა და ადგილზევე გადაღებულ სურათებს. ხელმოწერა გრძელდება და ხელისმომწერთა რიცხვი დღეში 20.000-ს აღწევს. ამერიკის წიგნის გამოცემლობის ისტორიას არ ახსოვს ასეთი ტირაჟი.

ოსპარის პრემია 1963 წელს

ამერიკის კულტურულ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა ოსპარის პრემიის მინიჭება კინემატოგრაფიაში მიღწეული წარმატებებისათვის; 1963 წელს ეს პრემია მიენიჭა სემ სპიგელისა და დევიდ ლინის ფილმს — „პოლკოვნიკი ლოურენსი“. ფილმი მოგვითხრობს ინგლისელ ჯაშუშსა და პროვოკატორზე, რომელიც ახლო აღმოსავლეთში ცხოვრობდა და რომელსაც გულდაგულ ასაღებდნენ „არაბთა მეგობრად“. ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ ცნობილი მსახიობები: პიტერ ო'ტული, ალექ ვინესი და ანტონი კუინი.

„ჩემი ძმა ბილი“

უილიამ ფოლკნერის უმცროსმა ძმამ, ჯონ ფოლკნერმა გამოცხადებულ საინტერესო წიგნი — „ჩემი ძმა ბილი“. პრესის აზრით ეს მოგონებანი

სტილის სინატიფითა და მოკრძალებულობით თვით ჯონ ფოლკნერს აუენებს თვალსაჩინო მწერალთა რიგში. ფრანგული ჟურნალი „ნუველ ლიტერატურა“ წერს: ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის არ სარგებლობს თავისი მდგომარეობით და არ მისდევს იმ მკითხველთა სიამოვნებას, რომელთაც უყვართ სხვათა ინტიმურ ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფა. ის მოკრძალებულად, ურეტლამოდ ჰქმნის თავისი დიდებული ძმის ღირსეულ სურათს და გაცნობთ უილიამ ფოლკნერის ცხოვრებას ბავშვობის წლებიდან მოყოლებული მისი სამწერლო მოღვაწეობის ყველა ეტაპამდე.

გალსის დაბრუნება

ნიუ-იორკში ყველაზე მოღუბრი ცეკვა გახდა ვენური ვალსი; ამ ცეკვის ახალი მიმდევრები ამბობენ, ვალსი გვირჩვენია ტვისტს, ვინაიდან აქ გაცილებით ნაკლები ენერჯია გვიხარჯება, ხოლო მოხდენილობით რომ სჯობია, ამაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტიაო.

სინთეტიკური კვება

ამ ბოლო დროს ჩატარდა ძალზე საინტერესო ცდა: 18 კალიფორნიელი 3 თვის მანძილზე ნებაყოფლობით იკვებებოდა სინთეტიკური საკვებით. მთელი დღის განმავლობაში ისინი სამკურნალოდ იყენებდნენ მხოლოდ თითო პინტა (0,5 ლიტრამდე) თხელ ჯუიუს; ეს ჯუიუნი შეიცავდა სიცოცხლის შესანარჩუნებლად აუცილებელ 18 ამინომჟავას, 16 სახის ვი-

ტამინს, სუფთა წყალში ქიმიურად გახსნილ 11 მინერალურ მარილს, გლუკოზას და ცხიმოვან მჟავას. 18-ვე მოხალისე ხაკმაოდ გახდა ამ უცნაური დიეტის გამო, მაგრამ არ დაშკარგვიათ სულიერი და ფიზიკური ძალა, რითაც დაამტკიცეს, რომ კოსმონავტებს კარგა ხნით შეეძლება შეინარჩუნონ სიცოცხლე სინთეტიკური საკვებით. ამ ექსპერიმენტის შედეგები გამოყენებული იქნება აგრეთვე კვების მრეწველობის ტექნოლოგიის გასაუმჯობესებლად.

კენედის ძვირის წარიღები

პრეზიდენტ კენედის ძვირისგან უკლინ კენედიმ დღემდე მიიღო სამძიმრის 800.000 წერილი და ტელეგრამა. შემოსულ კორესპონდენციას კითხულობს და ახარისხებს 45 მოხალისე, ისინი ზოგჯერ პასუხობენ კიდევაც რომელიმე საპატიო პირს.

უტიფარი ძურღები

ნიუ-იორკში ერთი სახლი 10 თვის მანძილზე ოთხჯერ გაქურდეს; გაქურდებულმა მცხოვრებლებმა საღარბაზო კარზე გააკრეს განცხადება: „ქურდების საყურადღებოდ: სხვებმა დაგასწერეს. ამ ბიენიდან მოპარულია ყველა კინოკამერა, ტრანზიტული რადიომიმღები, ტელევიზორი, ბრილიანტის თვლიანი ბეჭდები, მარგალიტის ყელსაკიდები და მრავალი სხვა ძვირფასი თუ არაძვირფასი სამაუკლიო. თქვენთვის აღარაფერი დარჩა“. იმავე საღამოს ეს განცხადება მოიპარეს.

ფილმი დანიის ოპერაციამ

1965 წელს ეკრანზე გამოვა დოკუმენტური ფილმი დანიის ოკუპაციამ. ფილმი გადაიღო წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილემ, დანიელმა ოლაფ მალსტრემმა. ფილმის ავტორს ოკუპაციის დროიდან შემორჩა გესტაპოსთვის გადაღებული 40.000-ზე მეტი მეტრი კინოფირი, ხოლო მისმა თანამშრომლებმა ახლა შეავსეს ფილმი 1940-45 წლებში გადაღებული ახალი, სრულიად უცნობი კონსოკარებით.

იაკონი

იხედის უშპი კიბოს გაურნალობის სამედიცინო

სამმა იაპონელმა მეცნიერმა — დოქტორმა კურაკიმ, დოქტორმა ოშიამ და კოჯი იოკოიამ ერთ-ერთი სახეობის ლერწმის ფოთლებიდან მიიღეს წამალი, რომელიც წარმატებით გამოიყენეს კიბოს მკურნალობაში. ეს წამალი, რომელსაც მათ ბამფოლინი უწოდეს, შლის კიბოს სიმკვინეს ისე, რომ არაფერს ვერბს ორგანიზმს; გარდა ამისა, ქმნის ორგანიზმში ანტიხეულს, რომელიც სპობს კიბოს უჯრედებს. იაპონელ ექიმთა კვლევა-ძიება ჯერ არ გაუორებია ექსპერიმენტულ სტადიას. მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, ბამფოლინი მზადდება მხოლოდ ერთი გარკვეული ჯიშის ლერწმისაგან, რომელიც იაპონიაში ჯერჯერობით ნაპოვნი მხოლოდ ერთ ადგილას — კუნძულ იაკუშიმზე. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ სხვაგან არ აღმოჩნდება ამგვარი ლერწამი. გარდა ამისა, იაპონელმა მეცნიერებმა ჯერ კიდევ ვერ მიაგნეს, ამ წამალში შემავალი რომელი ნივთიერება იწვევს კიბოს საწინააღმდეგო მოქმედებას. ასეა თუ ისე, ეს უკვე იმედის შუქია და ამ წამლის მასობრივმა გამოყენებამ და მისი ზემოქმე-

დების შესწავლა-გამოკვლევა იქნებ კარგ შედეგები მოგვცეს.

მსოფლიოში უდიდესი გემი

იაპონიის გემთმშენებელთა სიამაყე, მსოფლიოში უდიდესი გემი „ნისუ მარუ“ დაბრუნდა თავისი პირველი რიხიდან. ამ გიგანტი გემის სიგრძეა 291 მეტრი, სიგანე — 43 მ., ხოლო სიმაღლე 22,2 მ. „ნისუ მარუ“ 132.000 ტონა წყალწყევია. მისი სიჩქარეა (სრული დატვირთვისას) 17 საზღვაო მილი.

ბელმესლვის ბანკითარება

იაპონიის ტელემაჟორებებს წელს შეეძლებათ 7 ტელეპროგრამიდან აირჩიონ თავიანთთვის საინტერესო პროგრამა. დღემდე არსებულ 6 სტუდიას კვირაში ჰქონდა 100 საათი გადაცემა, ხოლო 1984 წლიდან მუშაობა დაიწყო სტუდია, რომელიც შექმნა სამეცნიერო-ტექნიკურ ცოდნათა ხელშეწყობის საზოგადოებამ. ამრიგად, მეშვიდე სატელევიზიო პროგრამის მიზანია ტექნიკის დარგის მუშაკთა კვალიფიკაცია; ამ გადაცემათა ნაწილი ეძღვნება ინჟინერ-ტექნიკოსთა გადამზადებას, მეორე ნაწილი კი ცდილობს მკურნალებს — განსაკუთრებით კი ახალგაზრდობასა და ქალებს — აღუძრას მეცნიერებისა და ტექნიკის ინტერესი.

ინგლისი

წლის საუკეთესო წიგნი

ყოველკვირეულმა „იხსენებრმა“ ჩაატარა გამოკითხვა წლის საუკეთესო წიგნის თაობაზე. ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა ჩ. სლოუმ პირველი ადგილი მიაკუთვნა შოლოხოვის „წყნარ დონს“ და განაცხადა: ესა „ისტატური ნაწარმოები და მე ის მიმანია ჩემი თაობის საუკეთესო რომანად არა მხოლოდ რუსეთში, არამედ მთელს მსოფლიოში“. ცნობილ-

მა თეატრალურმა კრიტიკოსმა კენეტ ტინსმმა საუკეთესო წიგნად დაასახელა მისივე წიგნი „სტელენი“ აუცილებლობა“.

კურდების უღმრთებში

1960 წელს ლონდონის ნაციონალური გალერეიდან მოიპარეს ჰერცოგ ველინგტონის პორტრეტი, შესრულებული გოიას მიერ. სამი წლის მანძილზე ძებნას არავითარი შედეგი არ გამოუღია. 1963 წლის მიწურულს გალერეის ხელმძღვანელმა ბას ტელეფონით აცნობეს, დამწვარი პორტრეტის ფერფლი ლონდონის ვაგზალ ვიქტორიას შესანახ კამერაში ინახებოდა. გალერეის სასოწარკვეთილი ხელმძღვანელები მიცვედნენ სადგურში. მაგრამ სკოტლანდ-იარდის ექსპერტის ანალიზით, ეს არ იყო პორტრეტის ფერფლი. 1965 წლის 31 დეკემბერს ლონდონის ტელეგრაფის ერთ-ერთმა სააგენტომ მიიღო ტელეგრაფმა რომელიც იტყობინებოდა, რომ ქურდები მზად არიან დააბრუნონ გოიას პორტრეტი საჯაროდ, ფოტორეპორტიორების თანდასწრებით, ოღონდ იმ პირს, ვინც სურათს მოიტანს. ექნება ნიღბი. გარდა ამისა, ქურდები მოითხოვენ, რომ გაზეთებს გადაეხადათ მათთვის 5-5 შილინგი ყოველ ათას ეგზემპლარ გაზეთზე. რომელიც დაბეჭდილი იქნებოდა ამ ცერემონიალის ფოტოები, ხოლო მიღებული ფული გადაეცათ იმ საქველმოქმედო საზოგადოებისთვის, რომელსაც თვით ქურდები მიუთითებდნენ. ერთ დროულად ნაციონალური გალერეის დირექტორმა ლორდა მარბინსმა მიიღო წერილი სადაც სთავაზობენ, 140 ათასი გირვანქა სტერლინგი მოგვეცით და პორტრეტს დაგიბრუნებთ, თუ არა და კიდევ ერთი წლით მიიძინებოთ“. ამ წერილის შესწავლა-დამუშავებაში არიან სკოტლენდ-იარდის ექსპერტები, ხოლო ლორდა მარბინსმა ტელევიზიით მიმართა ქურდებს და თხოვა დააბრუნ-

ნონ პორტრეტი, ვიღრე სამეფო აკადემიაში გაიხსენება გოიას გამოფენა.

მსახიობებს, როგორც არიან ლოურენს ოლივიე, მაქსიმოლიან შელი და უან-ლუი ბარო.

საზრანბითი



საქართველოს მწერთა კავშირი

რუსული პიესები პარიზში

მინის ხიდი

ლონდონში, მდინარე ტემზაზე, შენდება მინის ხიდი, რომელიც მიდის შვიდსართულიან მინის სასახლისკენ. ხიდზე ექვს მწკრივად გაივლის სასახლეში მიმავალი ავტომანქანები. სასახლეში მოთავსებულია სასტუმრო, რესტორანი, მაღაზიები, სპიგურაო ადგილი და სურათების დიდი გალერეა. ხიდი და სასახლე 7 მლნ გირვანჯა სტერლინგი დაჯდება.

გუბატოვის გამოფენა

პარში, პალაცო დე ლა პილოტას უფილ საჯინობებში გაიხსნა რენატო გუბატოვის ნაწარმოებთა დიდი გამოფენა — აქ წარმოდგენილია 200 ტილო და 280 ნახატი. ეს გამოფენა იქცა მოვლენად არა მხოლოდ იტალიისათვის, არამედ ევროპისთვისაც. ინგლისის გაზეთებმა „ტაიმსმა“ და „სტივტიმენს“ გამოგზავნეს თავიანთი კორესპონდენტები—მხატვრული კრიტიკოსები. „ტაიმსი“ გამოუენას უთმობს სამ სვეტს სათაურით — „სოციალისტური რეალიზმის დიდი წარმომადგენელი“. ინგლისელ კრიტიკოსებს გუბატოვისთვის მოეპოვებათ მხოლოდ ქების სიტყვები და ამტკიცებენ, რომ მისი სიუჟეტები იგვივა, რაც მსოფლიოში გახმარებული იტალიური ფილმებისა და მორავიას მოთხრობების სიუჟეტები.

იტალია

„ჰამლეტის“ ახალი დადგმა

შექპირის წელთან დაკავშირებით იტალიაში აღდგენილი იქნა „ჰამლეტი“, რომელიც დადგა პროკლიმერ-ალბერტოვის დასმა: სპექტაკლში მონაწილეობენ დასის ხელმძღვანელები, ცოლ-ქმარი ანა პროკლიმერი (პერტრუდა, ჰამლეტის დედა) და ჯორჯო ალბერტოვი (ჰამლეტი). შარშან ალბერტოვი უკვე დადგა „ჰამლეტი“ ინგლისელი რეჟისორის ფრენკ ჰაუშერის რეჟისორობით. სპექტაკლმა მოიარა ვერონას, ტურინის, პიზას, ტრიესტისა და რომის თეატრები, იგი ნახა 40.000-ზე მეტმა მაყურებელმა. მაგრამ ალბერტოვი არ დააქმაყოფილა ტრაგედიის ტრადიციულმა გადაწყვეტამ და რეჟისორ ფრანკო ზეფირელოსთან ერთად ხელი მოჰკიდა მის ახალ დადგმას; ახალ ვარიანტში რეჟისორი საგრძნობლად შორდება ორიგინალს, ქმნის ფსიქონალიტიკოს, თანამედროვე ჰამლეტს. ალბერტოვი ოცნებობს, პიესის თავისუფლი გადაწყვეტა დაუპირისპიროს შექპირის ეივონ-სტრატეგორდის თეატრის დაგმას, ოცნებობს აგრეთვე პარიზის ეროვნებათა თეატრში ამ როლის შესრულებაში შეეჯიბროს ისეთ

„მარკო ტრაპეციის“ პრემია

რომში უკვეწლიურად ხდება ხოლმე პრემია „მარკო ტრაპეციის“ მინიჭება ორი საუკეთესო კინოსახიობისთვის წლის მანძილზე. 1968 წელს ეს ჯილდო გადაეცათ ინგრიდ ბერგმანსა და ანტონი უიანს ფილმში — „მოხუცი ქალბატონის ვიზიტი“ (ლოურენსატის პიესის მიხედვით).

ბრიჯიტ ბარდოს „ტუშკი“

ახალგაზრდა იტალიელი კინოვარსკვლავი ევა მირანდა ისე ჰგავს ბრიჯიტ ბარდოს, რომ ეკრანზე მის მნახველს შეიძლება შეეშალოს კიდევ. მაგრამ მისი ნიჭიერების შეფასება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას უკან, როცა ეკრანზე გამოვა ახალი ფილმი. ხადაც მთავარ როლს ევა მირანდა ასრულებს.

პარიზის თეატრში „სტუდიის დე შანსელიზე“ დიდი წარმატება ხვდა პიესას „ობლომოვი“ გონჩაროვის რომანის მიხედვით. ამას წინათ შექმნილ აღმოსავლეთ პარიზის თეატრში, რომელიც დემოკრატიული რეპერტუარის პოლიტიკოს გამტარებელია, რეჟისორმა გი რეტორემ მაყურებელს აჩვენა გოგოლის „შინდის“ ინსცენირება.

თეატრ „ატელიეში“ ამ დადგმებს მოჰყვა ტურგენევის ძველი პიესა — „ერთი დღე სოფელად“, რომელმაც პარიზის საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ცნობილმა თეატრალურმა კრიტიკოსმა კანტერმა „ექსპრესში“ დაწერა, რომ ამ პიესამ და მისმა საუცხოო დადგამმა გამოაცოცხლა მაყურებელი.

რადიოს ახალი სახლი

ამას წინათ პარიზში საუენილო გაიხსნა ახალი შენობა—რადიოს სახლი, რომლის აგებაც დაჯდა კარგა გვირავი თანხა — 40 მლნ დოლარი. რადიოს სახლის შენობა ყველაზე დიდია ევროპაში (500.000 მ²), აქვს ყველაზე დიდი სტუდია სიმფონიური მუსიკისთვის და სპექტაკლური სტუდია საჯარო მუსიკისათვის. რადიოს სახლის პროექტი 1958 წელს შეადგინა არქიტექტორმა ანრი ბერნარმა, რომლის იდეაც იყო აღმინისტრაციული კორპუსისათვის მთელა წრისთვის ფორმა, რათა სტუდია დაეცვა ქუჩის ხმაურისაგან.

თეატრებს საზრანბი მლით

საფრანგეთის მთავრობამ 60.000 ახალი ფრანკით შეუმცირა თეატრებს ფინანსური დახმარება. მიუხედავად იმისა, რომ ბილეთები საგრძნობლად გაძვირდა, საფრანგეთის თეატრები ცუდ დღეში არიან:

6 / 77

დღემდე არ იციან, დაიხურება თუ არა ფრანგული თეატრები.

ნაკლები პრემიები კანში

კანის კინოფესტივალების გენერალურმა მდივანმა უკტუშემ განაცხადა, რომ 1964 წლიდან კანის ფესტივალებზე ნაკლები პრემიები გაიცემა და ფილმებიც ნაკლები იქნება წარმოდგენილი, სამაგიეროდ ეს იქნება ნამდვილად საუკეთესო ფილმები.

შნგრები

მთელს სოფელს ერთი წინააპრი ჰქვას

უნგრელმა მეცნიერმა იანოშ ნემეშკერიმ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მუზეუმის განყოფილების გამგემ, 25 წელი მონაღობა მატრისა და ბიუკის უღელტეხილთა შესაყარზე მდებარე სოფლის, ივადის მცხოვრებთა შესწავლას. მისმა გამოკვლევებმა ცხადჰყვეს, რომ ამ სოფლის მთელი მოსახლეობა, 5.500 კაცი (150 ახალმოსულთა გამოკლებით), მიეკუთვნება ერთ ოჯახს და გვარიც ყველას ერთი აქვს — ივადი. ნემეშკერი გამოკითხვითა და ხაარქივო დო-

კუმენტებით აჰყვა ამ უჩვეულო ოჯახის გენეალოგიურ შტოს მის წინაპრამდე — ეს გახლდათ პირველი ივადი იმრე, რომელიც ცხოვრობდა 1617 წელს. ეს მიყრუებული, მთებს შორის გამომწყვდეული და ხოლგრიხან ორჯერ გამოცარიელებული სოფელია (ხოლერამ დააფრთხო ახალმოსახლენი და ივადების გარდა ყველამ შიატოვა იქაურობა) და ივადები, მცირე გამოწყლისის გარდა, ცოლად ირთავენ თავის ცოტად თუ ბევრად მონათესავე ქალებს, მაგრამ, ნემეშკერის დაკვირვებით, ამას არ გამოუწვევია გადაგვარება. ივადები ვასაოცრად ჰგვანან ერთმანეთს სახის ნაკვთებით, ტანადობით, ხასიათით. ამრიგად, სოფელი ივადი ცოცხალი ლაბორატორიაა, სადაც შეიძლება სისხლის შერევისა და მემკვიდრეობის ბიოლოგიურ თვისებათა პრობლემების შესწავლავამოკვლევა.

შვიცარია

ბაბრონის „აპტობინოპრაფია“

ბაბრონი თავის სიცოცხლეშივე იქცა ისეთ ლეგენდა-

რულ პიროვნებად, ზონ მასხეკორი და ცილისწამება. უფრო მეტი შემორჩა, ვიდრე რეალურიული ფაქტები. ამ ხუთი წლის უკან პროფესორმა ლესლი მარჩანდმა სცადა გაეწმინდა პოეტის ბიოგრაფია საექვო ცნობებისაგან და სამ ტომად გამოსცა მონოგრაფია ბაბრონზე. სულ სხვა გზა აირჩია შვეიცარიელმა მწერალმა ქალმა კორდულა შიგონმა: ბაბრონის 1.700 წერილიდან მან ამოარჩია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი წერილები, შეავსო ისინი ბაბრონის დღიურებიდან ამოკრებილი ცნობებით და, ამრიგად, შექმნა ბაბრონის „ავტობიოგრაფია“. „ნაეე ციურისენ ცვატუნგის“ რეცენზენტის აზრით ამ წიგნში ბაბრონი წარმოვიდგება „გაბრაზებულ ყმაწვილკაცად“, პროტესტს რომ უცხადებს ყოველგვარ ხელისუფლებას; ეხაა თავხედი ცინიკოსი, ქარაფშუტულად რომ ეთამაშება სიცოცხლესა და სიყვარულს, ამავე დროს მეოცნებეა და მეღაწქოლიკი.



რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პროსპ. № 91.

ტელეფონები: რედაქციის — 5-08-75, პ/მზ მდივნის — 5-08-86, განყოფილებების: კრიტიკის და პუბლიცისტიკის — 5-08-85, კოპიისა და პროზის — 5-08-85.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/III-64 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შევ. № 217. უგ 04153. ქაღალდის ზომა 70x108. ტირაჟი 8 000.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ № 5.



მუშა





მწყემსი ბიჭი

ფოტორეპროდუქციები ნ. არჩვაძისა



რ ე ვ ა ზ ს ა ნ ა ძ ე

ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში მოთავსებულია ახადგაზრდა მოქანდაკის რევაზ სანაძის ნამუშევრების რეპროდუქციები.

ახადგაზრდა მოქანდაკის ნაწარმოებებმა: „ზ. ფადიაშვილი“, „გოგონები“, „მწყემსი ბიჭი“, „მშენებელი“, „ზღვის სანაპიროზე“ და მრავალმა სხვამ თავიდანვე მიიქცია მნახველის ყურადღება. ისინი გამოირჩევიან თავისებური კომპოზიციით, დინამიზმით და ოსტატობით.

კარგად არის ჩაფიქრებული და განხორციელებული სკულპტურა „მშენებელი“, გამოქანდაკებული ფიგურა მშენებლის ცოცხად ენერგიულსა და დინამიურ სურათს ქმნის.

ქანდაკება „მწყემსი ბიჭი“ გადმოგვცემს სოფლელი ბავშვის ცხოვრების ერთ ეპიზოდს — იგი ზაფხულში თავისი სურვილით ეხმარება კოდმეურნეებს. ქანდაკების კომპოზიცია მარტივია. მაგრამ ფიგურის ბუნებრივი მდგომარეობა კარგად გამოხატავს ბიჭის ხასიათს.

ოსტატურად არის ხეზე ამოკვეთილი მრავალფიგურიანი კომპოზიცია „ზღვის სანაპიროზე“. ბარელიეფზე გამოხატული ფიგურები დახვეწილი და ნატიფია, კომპოზიცია — უაღრესად დინამიური.

„გოგონები“, „მშენებელი“, „ზღვის სანაპიროზე“ და სხვა ქანდაკებები მეტყველებენ, რომ ახადგაზრდა მოქანდაკე შემოქმედებითი ზრდის გზაზე დგას.



ՅՆԸՆ 60 ՅՅՅ

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО

„ЛИТЕРАТУРА ԴՆ ԽԵԼՈՎՆԵԲՎ“

ИНДЕКС 76236